

საქართველო

მთავარი ნიმუხები

თბილისი

2012

ყოველ ერს ჰყავს კარგი თუ დასაწუნი მოღვაწეობით გამორჩეული შვილები. ბევრი მათგანის შესახებ ცნობების სიუხვეა, ზოგიერთი კი საერთოდ მივიწყებული.

ქართული საისტორიო მწერლობა ძუნწად აღნიშნავს, რომ VI საუკუნეში. ლაზიკის გამოჩენილი მეფე გუბაზი მტრებმა ლაღატით მოკლეს.

X საუკუნეში კი სამეფო-სამთავროების გაერთიანების იდეის ავტორია იოანე მარუშის ძე. ნათელმოფენილი არაა, ვინ იყო იგი, რაშია მისი დამსახურება, რა ისტორიულ ვითარებაში უწევდა მოღვაწეობა და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი დიდი მამულიშვილების სახელის არდავიწყების ამოცანას ისახავს მიზნად.

ჩქაქაძე

მახინა ბუაძე

ლიხანიანი-ღამაბაღმოწაბანი

ქობა ბედოიძე

ბაშოძე

თამაზ ახაღაძე

გუბანი

(549 - 554 66)





/549 წ. თათბირობენ ლაზიკის მეფე გუბაზი და მისი მძა წათე/

გუბაზი

ღმერთო, რომელმაც ქვეყნად დამბადე,
 როგორიც გსურდი, ისე დამხატე,
 ჩემი სურვილი არად ჩააგდე, რაც მინატრია არ დამიმატე,
 მივევლად, ლტოლვილად შორეთს მატარე,
 ათასგვარ ხიფათს გამომატარე,
 ჩემი ტყე-ველი გახადე სხვისი, არ დამიტოვე აღარც სატარე.
 რაცა მქონია მე აღებული, შენით ყოფილა ის აგებული
 რაღად წამართვი გაძვირებული, მამა-პაპათგან დაძველებული,
 არ დამიტოვე სხვა გასაქანი, ბრძოლაში უნდა გავტანჯო ჯანი,
 გასახარელი არ მომეც ხანი, რამდენი დამრჩა გადასატანი?

წათე

დიდი დიდგულობს, შორს იყურება,
 მცირეს მცირე აქვს გადასახედი,
 უნდა ვიბრძოლოთ ან დავმორჩილდეთ,
 ასეთი მოგვცა უფალმა ბედი,



მხარში დამიდექ, ჩვენი მცდელობით
ლაზთა ცხოვრება გარდაიქმნება.

ჯათე

შენ ადრეც სცადე, რვა წლის წინ მოხდა,
ირანს ეწვია ჩვენი ელჩობა,
კეისრისაგან შეწუხებულთა
ხოსროს იმედით ვიწყეთ ურჩობა,
რა გამოვიდა? პეტრეს მაგიერ პავლე მოვიდა, გაგვიბატონდა,
ერთი წავიდა, მეორე დაჯდა, ჩაკლა იმედი,
რომელიც გვქონდა
ახლა რაღა კენათ? ვიდრე გადაწყვეტ
ფარსმანს შეხვდი და მოეთათბირე,
თუმც გამდგარია მაინც ლაზია, სცადე,
შეთანხმდი, გადმოიბირე.

ბუბაზი

ფარსმანი რაა მამულს თუ არგებს, მტერიც რომ იყოს,
დავუმოყვრდები,
სამშობლოს ვალი კისერზე მაწევს, უნდა ვიხადო,
ვიდრე მოვკვდები,
ჩვენთვის ერთია რომი-ირანი, ბევრი უფერო მტერი-მტერია,
გული მიკვდება, როცა შევიტყობ, მათში თუ ლაზი გამოერია.
ფარსმანს აშკარად მიტომ ვემდლური, ჩვენ მიგვატოვა,
მტერს ეფერება,
სპარსელთა სარდალს, ფაბრიზს ერთგულობს,
ერთი აქვთ სიტყვა და ამღერება.

ჯათე

ფარსმანის გიკვირს, მაგრამ ჩვენ თვითონ
იმავე სპარსელებს ვემეგობრებით,
რომს ერთად ვებრძვით, იმათ ასაწევს,
გატანჯულები ვწვევით მხრებით,



ბუბაზი

ჯერ ხარ ჯეელი, მალე მიხვდები,
 ცვალეზადია მიწყივ ცხოვრება,
 ვინც გუშინ გმტრობდა, დღეს გიმეგობრებს, აჰყვები,
 ძველიც გემახსოვრება.
 შენ დაუკვირდი მტერთა საქმეებს,
 ისე განსაზღვრე საკეთებელი
 ორას წლამდეა უკვე გასული,
 მტრობა-მოყვრობა წარმავალია,
 ერთი-მეორის არის მხლებელი,
 გასული, რომმა სომხეთში მოსპო მეფობა¹.
 იგივ სპარსეთმა გაიმეორა, არად ჩაადლო სომეხთა ძმობა²,
 მას მიაყოლა ალბანთ სამეფო³ და იბერია ზედ წაამატა⁴,
 ასე თანდათან, ნაწილ და ნაწილ, ჩვენი წარსული გადაიხატა,
 ახლა ჩვენზეა მომდგარი ჯერი,
 ჩვენ მამულში დგას იგივე მტერი,
 ერთიც ავია, მეორეც ავი,
 ვინ გვყავს ერთგული და მისაფერი?

წათე

შენ კარგად ყვები. სადაც კი შეძლო,
 სპარსეთმა ყველგან მოსპო მეფობა,
 ამ ქვეყანაზე არ გაგონილა
 ტყვედ ჩავარდნილის კარგად მყოფობა,
 მე გამიგია მეფე გურგენი, მისი ვაჟები ბაკურ, პერანი,
 წათე მამასთან თავს აფარებდნენ,
 რადგან მძლავრობდა მტერი ვერანი

1. 391 წ. რომის იმპერიამ მის „კუთვნილ“ დასავლეთ სომხეთში მეფობა მოსპო.
2. 428 წ. ირანმა მის „კუთვნილ“ სომხეთში იგივე მოიშოქმედა.
3. 510 წ. ირანის შაჰმა კავადიმ მეფობა ალბანეთში მოსპო.
4. 523 წ. ირანმა მეფობა მოსპო იბერიაში (ქართლში).



შემდეგ წავიდნენ ბიზანტიაში,
 ლტოლვილის ერგოთ დუხჭირი ბედი,
 ქართლს მარზპანი ჰყავს მეფის მაგიერ,
 მარზპანისაა გადასახედი,
 ყველგან სპარსული არი პატივში, თავისი არის დავიწყებული,
 იგივ მოგველის, თუ მივენდობით,
 თუ არ გავავლეთ ლაზურად ხნული,
 ის მართალია, გუბაზ, რაც კი თქვი ქართვებზე,
 დღეს სპარსელია მათი ბატონი,
 როგორ ჩავარდნენ ამ გასაჭირში, მითხარი თუ ხარ ამის გამგონი?
 ჰო და იცოდე კეისრის გამო, ჯერ შეუთანხმდა, დააიმედა,
 შემდეგ უგანა, არ მიეხმარა, მეგობრად ისევ სპარსელს შეხედა,
 გურგენს რა ექნა, გაცლა არჩია, უაზროდ სისხლის დადინებასა,
 სუსტის ბედია, მოტყუებული მომტყუებელის დასდევს ნებასა,
 ამიტომ ვამბობ, ლაზებისათვის ერთიც მგელია, მეორეც მგელი,
 მათ შორის ვბრუნავთ გამომწყვდეულნი,
 უნდა ვეწამოთ სიცოცხლე მთელი,

წათე

ყველა თავისთვის ცდილობს და იბრძვის,
 არ არის მოძმე და მეგობარი,
 ამიტომ გირჩევ შერიგდი ფარსმანს,
 გვიჯობს ლაზებმა მხარს მივცეთ მხარი,
 მით უფრო ვიცი მოაქვს ამბავი, რის გამო რქენას ურჩევნის ზავი,
 შენც მოუსმინე, წვრილად განსაჯე, შემდეგ გაჰყავი კარგი და ავი.

ბუბაზი

ფარსმანს შევხვდები, თუმცა მაკვირვებს,
 რა უნდა ჰქონდეს იმის მიზეზი,

1. იუსტინე კეისარმა (518-527 წწ.) გურგენ მეფესთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო ირანის წინააღმდეგ. სინამდვილეში მოატყუა და ქართველობა შაჰ კავად I (488-527 წწ.) ააოხრებინა. ქართლის მეფე ახლობლებით იძულებული გახდა ბიზანტიისათვის შეეფარებინა თავი.



საძულველ ბატონს გამოეცხადოს,
 არჩეულ გზაზე შეცვალოს გეზი,
 ორი წელია და ცოტა მეტი, შაჰი კეისარს რაც დაუზავდა,
 ჩვენი ჩარევით და დახმარებით რომაელების საქმე გათავდა
 ახლა მშვიდობა არის მათ შორის
 და არც ერთ მხარეს ჩვენ არ ვჭირდებით,
 ჩვენც მშვიდადა ვართ, არ მოგვდევს ძალა,
 ცალკე ვერც ერთს ვერ დავეჭიდებით,
 რაც უნდა იყოს ნება მიეცი, მოვიდეს,
 მნახოს, მითხრას ამბავი
 გუშინ ურჩობდა, დღეს მიერთგულებს?
 ვნახოთ რა მიზნით გადადო თავი.

/წათე გადის და მალე შემოჰყავს ლაზი დიდებული ფარსმანი.
 შემოსული მეფეს მდაბლად თავს უხრის./

ფარსმანი

მეფევ, ვატყობ ხარ გაოცებული,
 იცი, არ ვიყავ შენი ერთგული,
 შენ გამო მტერთან არ მიომია, არ დამერქმევა თავდადებული,
 იტყვი, დღეს მისთვის რა შეიცვალა,
 განა წარსული გადაიშალა?
 ან როგორ ბედავს მეფესთან მოსვლას,
 თავხედობისთვის სადა აქვს ძალა.
 მით უფრო იცი, სპარსელს ვმეგობრობ,
 შაჰი დღეს შენი მოკავშირეა,
 ძალით და წონით შენ მე მამეტებ,
 ჩემი გავლენა შენზე მცირეა,
 და მაინც ვბედავ გამოგეცხადო,
 აზრი რაც მტანჯავს ჩუმიად გაგანდო
 სხვას რომ ვუამბო, რომც დამიჯეროს
 მაინც არაა შენსავით სანდო.



ბუბაზი

ფარსმან, უცნაურ ამბებს მიყვები,
 მიზნისკენ უცნობ ბილიკს მიჰყვები,
 რაც შენ გიბიძგებს, ვერ გამოვიცან,
 შენ ნაფიქრს უცებ მე ვერ მივხვდები,
 წლების მანძილზე მეფედ არ მცნობდი,
 გულში გმირობას ამიტომ გრძნობდი
 შაჰს შეეკარი, ლაზებს გვიგანე, ძმად
 და მეგობრად სპარსელებს ცნობდი.
 შენში ისეთი რა შეიცვალა, ძველი ჩვევები გამოგეცალა,
 ლაზებს გვიგანე, სპარსელი ლოცე,
 კაცობამ ოდნავ არ გაგაწვალა?
 ახლა კვლავ ჩვენსკენ თუ იხედები,
 გინდა გაკვალო ახალი გზები,
 იცოდე ძველი არ დაგივიწყებს,
 გზას რომ მორჩები მაშინ მიხვდები.

ფარსმანი

მეფესთან მოსვლა, ქედის დადრეკა,
 მართლაც არ იყო ჩემთვის იოლი,
 ქვეყნად არავის არ ვემხრობოდი,
 მამულისათვის ვიყავ მებრძოლი,
 ჩემს გარდა ყველა გყავდა ერთგული?
 რამდენი შენგან გამწარებული,
 როგორც შეეძლო, ისე გებრძოდა
 ბოგანო იყო თუ შეძლებული.
 ზოგი შენამდე შურობდა მეფეს, ზოგი შენ შესძელ
 და აიმტერე,
 შენც არ ყოფილხარ ერთგან მლოცველი,
 ერთის მიმყოლი და მოსიმღერე.



ბუბაზი

აბაზგები გყავს მხედველობაში, დაგეთანხმები, ჩემამდე აღრე,
 მათი მთავრები მეფეს არ ცნობენ, იუარებდნენ, –
 ეს რატომ მკადრე,
 ლაზებს განუდგნენ, რომის კეისარს, მამა უწოდეს,
 უთხრეს შეილობა.
 ფიქრობდნენ მისით ბევრი მიეღოთ,
 შიგნით ჩაეხშოთ კარაშლილობა,
 კეისრის სიტყვით ქრისტიანებად ზიარება თქვეს,
 გადაინათლნენ,
 კეისრის ჯარი გარს დაიყენეს,
 მტრის ერთგულები ერთბაშად გახდნენ,
 ბიჭვინთის ციხე და ცხუმის ციხე,
 სად რომაელთა დადგნენ ჯარები.
 კეისრის სიტყვით მიწაზე დასცეს,
 ჩამოამსხვრიეს რკინის კარები,
 ვითომ სპარსელთა საპირისპიროდ,
 მაგრამ კედლები დასცეს უპიროდ,
 სად გაგონილა ქვაბი უძიროდ, სადა ნახულა კაცი უპიროდ?
 რომაელთაგან შეწუხებულთა, მთავრებისაგან დაჩაგრულებმა,
 ერთხმად მოიღეს ბოგანოთ ხელი,
 ველარ გაუძლო კაცებს გულემა.
 რომაელთ ჯარებს, მთავრების სისხლი მოსაგონებლად
 თან გააყოლეს,
 სხვა აირჩიეს წინამძღოლებად სიავით სული არ აიყროლოს,
 ოფსიტე დასვეს აღმოსავლეთით,
 დასავლეთი კი სკეპარნას ერგო,
 ახლებს ჯერ კარგად ვერ გაერჩიათ ხაჭო და ყველი,
 ქონი და ერბო,
 ხან სპარსელების იმედი ჰქონდათ,
 ხან რომაელთა დახმარებისა,



უმრავლესობა პირველად იწერდა,
 ცეცხლის თაყვანი იყო სხვებისა,
 როცა სკეპარნა ეწვია ხოსროს,
 სპარსელთა ჯარის იყო მთხოვნელი,
 რომაელებმა აბაზგნი ჟლიტეს,
 კაცის არ დარჩა ვინმე მპოვნელი.
 ახლა მე გეტყვი, ღალატის ფასად,
 აბაზგებს ერგოთ იქით ღალატი
 არ შეიძლება ზეცას შურობდე
 და არ შეგეძლოს ხმელზე ტაატი.
 მე აბაზგების მხოლოდ ეს მიკვირს,
 ჩვენ რატომ ვენდოთ თუ არ სურთ ძმობა,
 ერთი გვაქვს ჭიში, სისხლი და ხმობა, რად უნდა ჰქონდეთ,
 სხვაგვარი გრძნობა,
 რად ვარგა კაცი, კაცი ვერ იცნოს,
 მოყვარის წილად აღეძრას მტრობა?
 ცალმხრივი არ მწამს ნათესაობა,
 ამხანაგობა და მეგობრობა.

ფარსმანი

სხვაგვარად მიცქერ. მთელი მოღალატედ,
 მაგრამ თუ იცი ჩემი ბუნება?
 არა მჩვევია პირში ნათქვამის
 ზურგს უკან შეცვლა, შემობრუნება.
 შენ სხვაგვარად სჯი, სხვას არ ენდობი, გიკვირს,
 აქეთაც არა აქეთ ნდობა,
 არადა მეფეს მეტი ეკუთვნის ჭირის დათმენა,
 სხვათა დანდობა,
 რად გავაგრძელო. აქ არ მოვსულვარ,
 ფუჭად აზრები გაგიზიარო,
 ცეტიც არა ვარ, სად ხიფათს ველი,
 იქითკენ ჩემი ნებით ვიარო.



მოსულვარ, რათა ქვეყნის სატკივარს
 გამოვუძებნოთ ერთად წამალი,
 ერი დედაა, ჩვენ კი შვილები, ის უკვდავია,
 ჩვენ წარმავალი.

გუბაზი

ერის შვილობა დიდი ტვირთია,
 მშობელზე ზრუნვა ჩვენია ვალი,
 ეს თუ არ ვიცით, როგორ ვაშენოთ დღევანდელი
 დღე და მომავალი,
 მე რომ ვარ მეფე, მე მაწევს ტვირთი,
 როგორ გადავჭრა, საით წავიდეთ,
 მარცხია მუდამ ჩვენი მეგზური,
 მოძმე თუ მოძმეს არ შევეხიდეთ.
 თუ შენისთანა გადიდგულდება
 მეფეს დაუწყებს ჭორვას და რქენას,
 მტერს უმეგობრებს, მოძმეს უგანებს,
 ვერ მოერევა საკუთარ წყნას.

ფარსმანი

უკვე განიშნე. აქ ვარ მოსული,
 რადგან სამშობლოს სჭირდება შველა,
 მეფე შენა ხარ, გვინდა, არ გვინდა,
 უნდა შევიკრათ შენს ირგვლივ ყველა.
 ბევრი ვინმე გვყავს გამორჩეული,
 ერის შვილობით დაგაჭარბებენ,
 მაგრამ ერი მათ არ გამოჰყვება, მიტომ გმონებენ
 და მეფედ გცნობენ,
 არც მე ვარ მათში სხვაზე ჯაბანი, მეც მიწევია ჩემი ჭაპანი,
 იმდენიც ვიცი ცალკე ბრძოლაში
 ცუდად გაცვდება მებრძოლი ჯანი.



მაგრამ თუ დავთმე გულზვიადობა,
 დანარჩენებმაც ასე განსაჯეს,
 ეგებ ერთობით ვუშველოთ მამულს, იმათ მოიგონ
 ვინც გაისარჯეს.

ბუბაზი

უცნაურად სჯი, სათქმელს არ ამბობ,
 არ გინდა გასცე გულს დაფარული,
 თუ ასე არი, სად მოდიოდი, ჩუმად ვისგან ხარ გამოპარული,
 ან მე რადა მცდი, ეგება ფიქრობ,
 ჩემით ამოვყრი გულის ხვაშიადს,
 შენ გაიგონებ, სპარსელს უამბობ,
 ჯილდოდ მიიღებ რაღაცა დიადს.

ფარსმანი

მართალი ვიყავ, როცა ვფიქრობდი, – ეჭვიანია,
 რატომ მენდობა,
 გარეშეა თუ შინაურია, არავისა აქვს მისგან შენდობა,
 სხვა გზა ვერ ვნახე, რაც უნდა გითხრა,
 სხვისი არაა გადასაწყვეტი,
 არა ვარ ცეტი ცუდად ვიხუმრო,
 არც მაქვს მიზანი დაგესხს რეტი.
 შვიდი წლის წინათ, რად გაგახსენო,
 შენ მოიწვიე სპარსელთა ჯარი,¹
 შაჰს შეურიდდი, საერთო ძალამ,
 კეისრის ჯარებს დასცა თავზარი,
 მთავარი ციხე პეტრა² აიღეთ,
 ბრძოლაში მოკვდა მათი სარდალი,

1. 542 წ. ლაზთა მეფე გუბაზთან შეთანხმებით, შაჰ ხოსრო I ჯარი დასავლეთ საქართველოში (ლაზიკას, ეგრისს) შეიჭრანა.

2. პეტრა – ციხისძირი



ციბე-ს¹ ქონება ხოსრომ წაიღო, დარჩი,
 როგორც იყავ საწყალი,
 მაშინ, სანაცვლოდ რომაელები სპარსეთს დაეცნენ,
 გაატიალეს².
 ციხენი დასცეს, იმათ მამულში რომის დროშები ააფრიალეს,
 მტრები შერიგდნენ, ჩვენ რა მოვიგეთ, ერთი წავიდა
 და სხვა მოვიდა,
 ვაის გავეჭვებო, ვაი რომ მორჩა, ვუი ჩვენ თავზე გარდამოვიდა.
 ახლა ასეა, სპარსელთა ჯარი ჩვენ მამულში დგას
 და გვემუქრება,
 არა სჭირდებათ ჩვენი პატიჟი,
 არც სიამოვნებთ ჩვენი თანხლება.
 ხოსრო პირველი, ანოშარვანი³, ბატონად გვიზის
 და ჭკვას გვარიგებს,
 თუ ვეურჩებით, თავებს დაგვაჭრის, მონებად გავგვცემს
 და დაგვარიგებს,
 ჩვენ თუ ვჭირდებით, მხოლოდ მსახურად,
 მივუჩნევივართ რამ უსახურად,
 ჩვენ თავს თუ დროით არ ვუმკურნალეთ,
 გადავიქცევით რამ უსუსურად,
 მოვსულვარ რათა გულის ტკივილი,
 ერის წინამძღოლს გაგიზიაროთ,
 მინდა შევერთდეთ და გავძლიერდეთ,
 ცალკე უძლურმა რატომ ვიარო.

1. ციბე-იოანე – რომაელთა სარდალი

2. სპარსელების საპასუხოდ რომაელთა სარდალი, ველისარი ირანს დაეცა. 546 წ. მათ შორის ლაზიკაში ზავი დაიდო.

3. ხოსრო I, ანოშარვანი (სამართლიანი) – (531-579 წწ.) – შაჰ კავადის ვაჟი. მან აღზევებისთანავე მიიწვია მაზდაკიდები (თანასწორუფლებიანობის მიმდევრები) და ქეიფის დროს დაახოცინა. ამას დაემატა მისი შუღლი უფროს ძმა ზამასთან. ხოსრომ ყლა ძმა მათი ოჯახებით სიკვდილით დასაჯა. არ დაინდო, ვისაც კი მომავალში შეიძლება შაჰობის პრეტენზია გასჩენოდა.



ბუბანი

რასაც შენ ამბობ სანაქებოა,
 მამულიშვილურ გრძობით ნათქვამი,
 გუშინ სხვას მღერდი,
 შენი სვლა-გეზი რატომ იცვლება ჟამი და ჟამი?
 ჩემზე რომ ამბობ ეჭვიანია, მითხარ, როგორ არ ვიეჭვიანო,
 ფრთხილად არ ვიყვე, ავწონ-დავწონო,
 ნიშნავს თავდაცვა დავაგვიანო,
 სპარსელთა სარდალ ფაბრიზს მეგობრობ,
 ვინ იცის რაა თქვენში საერთო,
 მისგან მოსული, მეფის კარს ზვერაგ
 და როგორ გინდა შენთან გავეროთ?

ფარსმანი

მტერს რომ აჯობო, უნდა იცოდე იმ მტრის განზრახვა,
 იმაზე კარგად,
 ვინც გამოიცნო მტრების ნაფიქრი, იმან მოიგო, იმან ივარგა,
 ფაბრიზს ვმეგობრობ, თუმც სპარსელია ვაჟაკი არი
 და პირნათელი,
 ასეთი სანთლით საქებარია,
 თუნდაც ღლე და ღამ გენტოს სანთელი.
 სწორედ იმისგან ვიცი, რის გამო იქიდან აქეთ მალვით ვიარე,
 თან ფიქრი მკლავდა, არვინ შემიტყოს,
 დედლური შიში გავიზიარე,
 ახლა აქა ვარ, მეფის წინაშე, მენლო, არ მენლო,
 თავად განსაჯე,
 შენზე კი არა, მამულზე ვდარდობ,
 ამ სიმართლისთვის გნებავს დამსაჯე,
 მაგრამ მანამდე უნდა იცოდე,
 რა ხიფათს ვხედავ მამულის წილად,
 შენ და სამშობლო, სამშობლო და შენ,
 რად მიმანხიხარო განუყრელ წყვილად.



ბუბაზი

შენ მართალი თქვი, ჩვენი მამული,
 დღეს ჩემით არი კვლავ ფეხზე მდგარი,
 იმდენად კვლავაც გამობრწყინდება,
 რამდენიც ქვეყნად ვიქნები მყარი.
 ვინ იცის რამდენს ელო ღალატი,
 რამდენმა მკვლელი შემომისია,
 ვინ ჩამოთვალოს ავის მსურველი,
 მტერ-მოყვარისა არა მაქვს სია,
 რატომ გიკვირდეს, თუ გვერდით მყოფი,
 ვინც ახლობლობას მეფიცებოდა,
 ფარულად მტრობდა, მახეს მიგებდა,
 თავის ნაფიქრით ჩემთან ცდებოდა,
 შენ, ვინც აშკარად იყავ გამდგარი,
 რატომ იქნები უფრო ერთგული?
 ვისაც მეგობრობ, მას უერთგულო, ასე მგონია,
 ერთი გაქვს სული.

ფარსმანი

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდია,
 ნათქვამი არი,
 დაზარალებულს თუ შეეკითხე, ეგებ შედეგი იყოს სხვაგვარი.
 კაცის ღალატი, ქვეყნის ღალატი, ასევე ძნელია შესადარებლად,
 მე თუ გერჩოდი, ასჯერ მერჩოდი,
 შენი მუჟარა დამდევიდა მხლებლად,
 ახლა კი საქმე მამულს ეხება, კაცი სხვა არი, სხვაა მამული,
 კაცს მამული ზრდის, კაცის ვალია,
 მოთოკოს ყველა აზრი ფარული.
 ქვეყნის გულისთვის თავი გადადოს,
 თუ საჭიროა სამსხვერპლოდ დადოს,
 ჩემი-შენობა გადაავადოს და ერთგულება გამოაცხადოს.



მე ასე ვფიქრობ, მიტომ გიბედავ,
 ფარულად აქეთ მიტომ ვიღოდი,
 ვიცოდი მეფევ, მოგდევს კაცობა,
 კაცობის ზღვარს არ გადახვიდოდი.

ბუბაზი

თუ ასე არი, მაშინ გამანდე, რა ხიფათს ხედავ,
 რომელი მხრიდან
 მტრებს შორის ზავი არ დარღვეულა,
 რას მოველოდე ზღვიდან თუ ციდან?
 სპარსელებთან გვაქვს მტკიცე კავშირი,
 არცა მგონია გატეხონ პირი,
 რომაელები ვეღარ გვერჩიან,
 არც სავაჭრო გვაქვს მიმოსვლა ხშირი,
 სამეფო, როგორც იქნა დაწყნარდა,
 მშრომელმა იგრძნო მშვიდობის ძალა,
 ერთი ეგაა, მამულზე ზრუნვამ
 ცოლ-შვილის ნახვა არ დამაცალა,
 მაღალ მთებში მყავს გახიზნული, მშვიდად ვარ,
 მტერი მათ ვერ მისწვდება,
 იქა კაჟდება ჩემი პატარა, შემცვლის,
 როდესაც წამოიზრდება.

ფარსმანი

სანამ შვილები დაიზრდებიან
 სამშობლოს დაცვა მამის ვალია,
 როგორცა ხნავ და როგორცა თესავ,
 შემდეგ ისეთი მოსავალია,
 მისაყვედურე, სპარსელს ვმეგობრობ,
 მასთან კაცობა მაქვს დანათესი,
 ხელი ხელსა ბანს და ორივე პირს,
 ასეთი არი ფაბრიზის წესი.



ჰო და ჩემს ნათეს მეგობრობაში
 გამოუცხადა სპარსელმა ნდობა,
 ჩუმად გამანდო შაჰის სურვილი:
 ხოსრომ არ იცის სხვისი დანდობა,
 კაცი, რომელიც ძმებს და ახლობლებს უწყალოდ,
 ეჭვით დაახოცინებს,
 რად დაათასებს შენს ერთგულებას,
 მკვლელს მოგიგზავნის და გაიცინებს.
 შაჰის მიზანი არი ასეთი: რომს რომ ეომოს წარმატებულად,
 ზღვაზე სჭირდება ისეთი ძალა,
 შიშის ზარს სცემდეს კეისარს სრულად,
 რადგან ხმელეთზე ვერაფერს გახდა,
 კონსტანტინეპოლს ვერ მიაწვდინა,
 სურს ზღვიდან დასცეს დედაქალაქი
 და მერე იქვე დაილოს ბინა.
 ყველაზე კარგად ეს მოხერხდება,
 თუ ჩვენ ნაპირთან ააგებს გემებს
 ლაზებს გაჟლიტავს, სპარსელებს დასხამს,
 სპარსული რჯულის ძალას იგემებს,
 აქ ჩვენი ყოფნა სულაც არ აწყობს, თითქოს ვმეგობრობთ
 მაინც ვართ მტრები,
 იცის, შენ იბრძვი მამულისათვის,
 მისი გულისთვის რატომ დაშვრები,
 მისი მცდელობა დაწყებულია, სამასი კაცი შეურჩევია,
 ჩუმად უწვრთნია, უმოწმებია,
 რადგან სხვის ნდობა არა სჩვევია,
 ფაბრიზი სარდლად დაუნიშნია,
 იცის, ლაზებთან კიდევ მეგობრობს,
 მათთან ნადირობს, კიდევ ნადიმობს,
 გზებს და ბილიკებს ახლოდანა ცნობს.
 შაჰმაც, ფაბრიზმაც კარგად იციან ჩემი
 და შენი ურთიერთობა,



არა გვაქვს მტრობა, მესისხლეობა,
 არც ერთმანეთის არა გვაქვს ცნობა,
 ეგებ ამიტომ გამენდო სპარსი,
 მომთხოვა რჩევა და მეგზურობა,
 აღმითქვა ბევრი, ოქრო, ღიღება,
 შაჰის პატივი და მეგობრობა,
 შორს დავიჭირე, ბოლოს დავთანხმდი, მე თუ არა,
 სხვას მოისყიდიდა,
 შაჰის ბრძანების აღსრულებასა, უნდა, არ უნდა,
 მაინცა სცდიდა.
 ახლა წავიდა, რომ ქართის მხრიდან
 სამასი სპარსი გადმოიყვანოს,
 ჩემი შეწვევით შემოგიტიოს, ჩუმაღ დაგესხას, არ დაახანოს,
 მე შენ გაფრთხილებ, მე შენი სახით
 მამულს ვაფრთხილებ და მოვუწოდებ,
 დღისით ემზადე, ღამით იფხიზლე, მოვლენ, დაჰკარი,
 ნუ შეიცოლებ.

ბუბაზი

ჭკვასთან ახლოა ეგ მონაყოლი,
 მამულს ჩემსავით ვინ უპატრონებს,
 ჩემი მოწამვლა რამდენჯერ სცადეს,
 მომიგზავნიდნენ მოსყიდულ მონებს,
 არა მაქვს მოცლა, არ ვიცი ძილი,
 ათასი ფიქრი თავზე გადამდის,
 ამიტომ შევძელ ხიფათის მოხსნა და მოვიყვანე ერი აქამდის.
 მე კარგად ვუწყი, რომ ვარ სამიზნე,
 ყველა ორგული ჩემზე ნადირობს,
 სპარსელი არი თუ რომელი, როცა ვერ მხედავს იქადის,
 გამირობს,
 თუ მომიხელთეს, მე თუ მომკლავენ,
 ამით სამეფოს დააჩოქებენ,



ერს გამიჟღერებენ, ტყვედ წაიყვანენ, იბატონებენ,
 თავს შეიქებენ,
 მიკიჟინებენ, არა მაქვს ნდობა,
 ომში არ ვიცი მტრების დანდობა,
 მაშ, შენ რად გენდო, არა მაქვს ცნობა,
 ეგებ ფაბრიზის გაძალებს ძმობა?

ფარსმანი

ასეც ვიცოდლი. რატომ მენდობი,
 შენს მოლაღატედ ყოველთვის მთვლიდი,
 რაც უნდა მეთქვა, მეკეთებინა, არად აგდებდი,
 შენთვისა თლიდი,
 მეც მიეჭვია, მე რატომ ვენდო,
 რატომ გავხდები მისი მსახური,
 თუ ჩემ კაცობას არად ჩააგდებს,
 ვგონივარ მონა და უსახური.
 ამიტომ იყო, შენ სპარსელს ენდე და მეგობრობა გაუზიარე,
 მისთვის იბრძოლე, რომს შეეჭიდე,
 ბრძოლით ზღვისპირი შემოიარე,
 და მეც ვიანდე, სპარსელს მეგობრობს,
 მეც რომ მომგულდოს სპარსელის ხელით?
 თუ მეფე უიშობს მსახურის ქცევას,
 მსახურნი აქეთ რაღას მოველით?
 მეც შენ მოგბაძე, ფაბრიზს შევეკარ,
 მანაც მიმიღო და მიერთგულა,
 ახლა იანდე, ჩემი განდგომა, ვითომ ღალატი რამ მაიძულა?
 შენ დღეს სპარსელთა მოკავშირე ხარ,
 მეც იძულებით სპარსელს ვმეგობრობ,
 მისი იმედით ხელს ვერვინ მახლებს,
 მას ვეტმასნები და ჩემთვის ვმაგრობ,
 მაგრამ როდესაც სასწორის პინას
 ერის ბედი დევს და შემიძლია



შევეხილო და გადავარჩინო. ჩემში კაცობა გამოილია?
 მეც ხომ ძუძუ მაქვს ღედის ნაწოვი, ფარსმანი მქვია,
 ჯიშით ვარ ლაზი,
 სამშობლოსათვის მეც შემიძლია,
 ამ ცხოვრებაში გავავლო ხაზი,
 შენ კი არ გიცავ. მე შენი სახით, ლაზთა სამეფოს შევეხიდები,
 მე სხვა სიმდიდრე არცა მჭირდება, მისთვის ვიბრძოლებ,
 მისთვის მოვკვდები.

ბუბაზი

ლამაზად ამბობ. ვატყობ სათქმელი
 წინასწარა გაქვს დალაგებული,
 ზურგს სპარსელების ძალა გიმავრებს,
 ამიტომა ხარ გალადებული,
 ჩემი აზრები სხვაგვარად ფრენენ, ვენდო,
 არ ვენდო მოთაფლულ ენებს,
 მე თუ შევეცდები, მოენე წავა, მომავალი კი მე შემაჩვენებს.
 ვახ, თუ არ ვენდო, იყოს სიმართლე,
 ამით ქვეყანას დავაზიანებ,
 ჩემ თავს არ ვჩივი, საერთო საქმეს, როგორ მოვიქცე,
 რითი არ ვაგნებ.

ფარსმანი

მეფის წუხილი გასაგებია. ყველა ეჭვებზე ანაგებია,
 მიიღე ის, რაც მისაღებია. უარყავ ის რაც წასაგებია,
 მე კი იმიტომ, რომ მართლა მენდო,
 იცოდე გულში სიმართლე მედო,
 პირჯვარს გაღვიწერ და დაგიფიცებ,
 ჩემო უფალო და შემოქმედო.
 თუ ვულალატო მამულის საქმეს, მეხი დამეცეს,
 ჩამნაცროს აქვე,
 ჩემი კაცობის ასაზიდავი, უკან წავიდეს, დაქანდეს თავქვე,



არ დაგვირდება დიდი ლოდინი,
 ორიოდ დღეში ფაბრიზს შევხვდები,
 ვინმე ერთგული მსახურად მომეც, რასაც ვიაზრებთ,
 გეტყვის, მიხვდები.
 გეცოდინება თავდასხმის ჟამი, მოემზადები, არა ხარ ხამი,
 სამასი სპარსი შენი დაცვისგან, გადითელება
 როგორც ლერწამი,
 მე თუ შევქელი და გავერიდე, გადავრჩები
 და შედეგსაც ვნახავ,
 შებრძოლებას თუ შევეწირები, შემინდობ
 ხსოვნას შემოინახავ.

გუბაზი

თითქმის ვირწმუნე შენი ნათქვამი, რასაც მიყვები,
 თუ გამართლდება,
 კაცის სახელი, ვინაცა მძულდა,
 ჩემთვის სალოცავ ხატად გახდება,
 მაგრამ თუ გიღვეს ლალალატი გულში, გიჯობს,
 რომ მისცე დავიწყებასა,
 ეზიარო და უფალს ეაჯო, მონანიება მოგგვრის შევბასა.
 რადგან იუდა და გამყიდველი იცი, ვედარსად დამემალევი,
 წამებას მიგცემ დაუნანდებლად, დაგეშრიტება ორივ თვალები,
 შენ თუ მამულის ბედი გაწუხებს,
 ამ ბედისა ვარ მატარებელი,
 წინამძღოლი და პირველი მცველი, თანაზიარი, თანამხლებელი,
 ახლა კი მოვრჩეთ და ვიდრე წახვალ,
 ხატზე შემფიცე შენი პირობა.
 უფალი იყოს შენი მფარველი, თუ ხარ ერთგული,
 მოგდევს გმირობა.

/გუბაზი მოიხმობს წათეს, მოატანინებს ხატს. ფარსმანი ხატზე იფიცებს, გამოეშმიდობება გუბაზს და გადის წათეს თანხლებით. ცოტა ხნის შემდეგ წათე ბრუნდება./



ვათე

შენ ჩემო მეფე და ჩემო ძმაო,
 მოხარული ვარ შენი დიდების,
 მკლავის სიმაგრეს სიბრძნე ამეტებს,
 ჩვევა გაქვს მოყვრად ყმის მოკიდების,
 შენ რომ იცოდი, მეც ხომ ვიცოდი, ხოსრო უჟმური,
 ანოშარვანი,
 არ დაგინდობდა, რად დაგინდობდა
 ვინც არ დაინდო დანი და ძმანი,
 რაც თქვა ფარსმანმა ცუდად მენიშნა,
 ნიშანში შენ ხარ ამოღებული,
 შაჰს სპარსელთათვის მიუზომია
 მამული, სად ხარ გალაღებული,
 შენი წაქცევით ქვეყანას დასცემს, რაც ლაზისაა
 სპარსელზე გასცემს,
 ვინც გაღურჩება ხოცვას და ჟლეტას, მონებად აქცევს,
 აშრომებს და სცემს.
 ორმაგად გვინდა სიფრთხილის დაცვა,
 ვერ შეძლონ ჩვენი ხოცვა და ძარცვა,
 ჩვენსკენ მოღერილ ნალეს მახვილზე,
 შვიძლოთ მტრების დაკვლა და აცმა,
 მე ასე მესმის, მაგრამ ეს მე ვარ,
 მეფე შენა ხარ მძლავრი და ბრძენი,
 შენ უნდა იცნო სად მოყვარეა, სად არაკაცი,
 მტრობის ჩამდენი.

ბუბაზი

დილას რომ ეთქვათ მოვა ფარსმანი, ეფიცა,
 მე ვერ დავიჯერებდი,
 ეჭვით მზვერავებს ავადღენებდი, ვინც რამე იცის,
 სადმე შევკრებდი,



აქ მყავს ფარტაძი, წათე, ხომ გახსოვს,
 ფარტაძი იყო ფარსმანის ახლო,
 როდესაც ფაბრიხს ძმობა შეჰფიცა,
 მამული მისცა და სამოსახლო,
 შენ ჰკითხე ფარტაძს,
 თუ შეიძლება გაორებულის ძმობა და ნდობა,
 იქითაც არის, აქეთაც არის,
 მაგრამ არც ერთის არ აქვს დანდობა.

ვათე

მესმის, რომ ეჭვობ,
 სპარსელთა მხარემ შესამოწმებლად გამოგიგზავნა,
 უთხრეს, ასე თქვი, ის უპასუხე
 და ოქროს ქისა უბოძეს თავნად,
 ასეც რომ იყოს, შენ რას გერჩიან,
 არ დაგცდენია სპარსელთ გინება,
 თავად მოვიდა, თავად იყბედა,
 პირობის დათქმაც თავად ინება.
 თუ ისე მოხდა, ფარსმანი ცრუობს,
 შენ რასა კარგავ, ერთგულად დგეხარ,
 მტერთა დახვედრას თუ ეპირები, გარედან რა ჩანს,
 მორჩილსა ჰგეგხარ,
 მაგრამ ფარსმანმა თუ თქვა სიმართლე,
 მტერსაც შეხვედები მომზადებული.
 შენ გადარჩები, ერს გადაარჩენ, ისიც გახდება მირონცხებული.

ბუბაზი

როცა მეფე ხარ, თუმცა ხარ კაცი,
 მაგრამ შენ თავს არ მიეკუთვნები,
 როგორაც გინდა ვერ გალალდები,
 ვერც გამოჩნდები ერში თავნები,
 ერის წინამძღოლს არა აქვს ნება, იყოს რიგითი ადამიანი,



ქალს გაეკიდოს, იმღერ-იცეკვოს, იყოს მსუბუქი ან დარდიანი,
როცა მე წავალ, შენ გამეფდები, ითვალისწინე ჩემი დარდები,
მაშინ მიხვდები, რომ ვარ მართალი

ეჭვების ფესვებს მაშინ ჩახვდები.

ამას შევეშვათ, რაც ახლა მოხდა, არი მომავლის საფიქრებელი,
ფარსმანი თუკი არი მართალი,

ჩვენ დაქცევაში არ უღვეს ხელი,
მაშინ გვჭირდება ახლავე ზრუნვა, საიდან,

ვისი გვქონდეს იმედი,

ღღეს ვინც იფიქრა რა მოაქვს ხვალეს,

ხვალე იმისა იქნება ბედი.

წათა

შენა ხარ მეფე, შენ გევალება, რაც ხდება ყველა აწონ-დაწონო,
საზიანოა, შენ უკუაგდო და მოსაწონიც შენ მოიწონო,
მე ისიც მყოფნის, რომ გვერდით გყავარ, ფიქრს მიზიარებ,

კიდევ მენდობი,

შეუცდომელი არავინაა, ბრძენია სხვისი ცოდვის შემნდობი.

დაგეთანხმები, ახლავე უნდა, ჩვენ თავს რაც ხდება

წვრილად განვსაჯოთ,

ავი და კარგი სასწორზე დავდოთ, ვიაზროთ,

რათა არ დავისაჯოთ.

მე ასე ვფიქრობ. ფარსმანს თუ უთხრეს,

ფაბრიზის რჩევით ჩვენთან მოვიდა,

მათ რა მოიგეს ამ მოვლინებით, სხვა რა სიკეთე გარდამოვიდა,

სიმართლეს უფრო შეეფერება, ლაზი არი და უყვარს მამული,

სხვაა ენა და მისი ნაჭორი, სხვაა რას ფიქრობ

და რას გრძნობს გული.

ბუბაზი

ჩვენ რომ შეგვეძლოს რომთან ჭიდილი,

რალად გვინდოდა მაშინ სპარსელი,



კეისარია თუ არი შაპი, ჩვენ დასაპყრობად უწვდიათ ხელი,
 ერთიც მტერია, მეორეც მტერი,
 ორ ვეშაპს შორის ვიბრძვით და ვბრუნავთ,
 ორივეს უნდა ჩვენი ჩაყლაპვა, ჩვენ ჩვენი გვიჭირს,
 ჩვენ თავზე ვზრუნავთ.
 ახლა, თუ სპარსელს მოსდომებია ლაზთა გაჟღეცა,
 ტყვევნა და აყრა,
 ნიშნავს ჟამია მომწიფებულნი თავს ვუშველოთ
 და შევიძლოთ გაყრა,
 რომ გავერიდოთ, საით წავიდეთ,
 ირგვლივ გვარტყია მტერთა ძალები,
 ერთი ათს ვჯობნით, ასს ვერას ვუზამთ
 ათასს ტყუილად მივეძალებით.
 სხვა გზა არა ჩანს, ისევ კეისარს უნდა მივუდგეთ,
 მივცეთ პირობა
 არ გამოდგება სიტყვით ქადილი
 და არც ივარგებს სიტყვაძვირობა.

ჯათი

ძმაო მიგიხვდი. შენ ხარ მართალი.
 თუ გინდა ვიყოთ ლაზთა სარქალი,
 უნდა შევიძლოთ ლაზების მოვლა,
 კაცთან თუ ქალთან დავრჩეთ მართალი,
 შენ არ გითქვია, მე თავადა ვგრძნობ,
 მტრის მტერს შევიტკბობ, მოყვარედა ვცნობ,
 თუ საჭიროა თავსაც გადავდებ,
 და ხელისგულზე სანთელს დავიდნობ.
 ოღონდ მითხარი და დამარიგე, საფიქრ-სათქმელის კოშკი ამიგე,
 დედის ნათესავთ მოვინახულებ, ნომი გავხადო საქმის გამრიგე,
 თუ საჭიროა, მძევლად დავრჩები,
 ვიცი ამ ტანჯვას ვერ გადავრჩები,
 საითაც მეტყვი, იქით მოგყვები, მეფესა
 და ძმას რად გეურჩები?



ბუბაზი

მე არ მითქვია, რაც იცი თავად,
 როცა ყორანი დაგჩხავლებს ავად,
 უნდა მზად გქონდეს მშვილდი, ისარი გადასარჩენად
 და დასაცავად,
 სხვა გზა არა ჩანს, ხოსრო ყორანი, ვინც ავს გვიპირებს
 სწორედ ის არი,
 სამიზნე ჩვენ ვართ მშვილდად მოხრილი, კეისარია ჩვენი ისარი.
 მის მაგივრობას ვერავინ გასწევს, რომც იყოს,
 ხელი ვერ მოუწვედება
 სანამ მოვძებნით სხვას უფრო ერთგულს,
 აქ მოსახდენი უკვე მოხდება,
 მიმოიხედე, რამდენიც ვიცით, მოსპობილია ყველგან მეფობა,
 ვერავინ შეძლო საქმის გამართვა, შერჩათ წაუწუნი,
 სიტყვამყფობა.
 ახლა ჩვენა ვართ სპარსელთ სამიზნე, არავინაა ძმა
 და ერთგული,
 ყველა თავისას მიერეკება და სათავისოდ მიუძგერს გული.
 შენთვის არ მითქვამს, ერთ ჟამად ვცადე,
 აბაზგთა მთავრებს აზრი ვაწიე,
 შევუთვალე და სიტყვა ვუთხარი, გავაფრთხილე
 და თან დავაწიე,
 შენ უკვე იცი რაც მოხდა იქით, ჩვენი ღალატით რა მოიპოვეს,
 მარჯვნივ ნაგები მარცხნივ ანგრიეს,
 მარცხნივ ნაქსოვი მარჯვნივა ქსოვეს.
 და რა მოიგეს მონობის მეტი, ძმას ძმის ჭინაზე დაესხა რეტი,
 ასეთი ძმობაც შემირხცვენია, ასეთ ძმას უნდა ერქვას ჩერჩეტი,
 ამას რად ვამბობ, აბაზგებს ჩვენთვის
 ერთგულება რომ გამოეჩინათ,
 რომაელთ რისხვას აიცილებდნენ,
 შეეძლოთ მშვიდად თავი ერჩინათ.



და ჩვენც შევძლებდით ჩრდილოეთიდან ხაზართა,
 თუნდაც მცირე იმედი
 თუ გვექნებოდა, შეგვეძლებოდა, გამოგვეჭედა საჩვენო ბედი.
 ახლა რაღა ვქნათ, სხვა რაა ძალა,
 დღესვე გვჭირდება შეწვენა, შეველა,
 ჩვენ თუ მოგვსპობენ განდგომილები
 ჩვენ გზას მიჰყვება თანდათან ყველა,
 თუ თავს ვუშველით, მათაც ვუშველით,
 იმათი ბედი ჩვენსას ჰკიდია,
 ასევერ ავზომოთ და ისე გავკურათ, მტერი ბევრია,
 საფრთხე დიდია.

წათე

მომსწრე არა ვარ, მაგრამ ხომ ვიცი
 აბაზგთა მოსდევთ მოლალატობა,
 სხვისას ვერ სცნობენ, საკუთარს რქმევენ,
 საკუთარისაც არა აქვთ ცნობა.
 ლაზებს და ეგრებს როცა განუდგნენ და კეისარი იწამეს მამად,
 კვლავ ქრისტიანად გადაინათლნენ, რომაელობა იწყეს თამამად
 და რა მოიგეს ლალატის წილად,
 სხვას გადულოცეს ბიჭვინთა, ცხუმი,
 რამდენიც დათმეს, იმდენჯერ შეცდნენ,
 მტრად გადაიქცა მომხრე ძალუმი,
 სარდალმა ბესამ ციხენი დასცა,
 აბაზგებს ცხვირში ძმარი აღინა.
 თავიდანვეა დამარცხებული, ვინც ძმის ლალატი მოიწადინა,
 აბაზგები რომ ერთგულნი იყვნენ,
 ხაზარეთამდე ხმას მოვაწვდენდით
 შაჰს და კეისარს ფეხს მოვუკვეთდით,
 მტრისგან სამეფოს სრულად გავწმენდით,
 ახლა რა გზაა, შაჰი თუ მძლავრობს,
 კეისარს უნდა დავემორჩილოთ,
 ეგება მტერი მივუშვათ მტერზე,
 თავისუფლების დილა ვიხილოთ.



ბუბაზი

ერთი სამშობლო და ერთი მამა
 ჯიშით და სისხლით გვეერთიანებს,
 ვინც ჯიშს დაკარგავს, სისხლს გამოიცვლის,
 სხვას რას შემატებს, საკუთარს ავნებს.
 ორნი ვართ ძმანი, მაგრამ ერთი გვაქვს საბრძოლველი
 და საკეთებელი,
 რამდენსაც შევძლებთ უნდა დავიცვათ
 კოლხეთის მხარე ჩვენი მშობელი.
 ცხოვრება ითხოვს სიბრძნით სიჩქარეს,
 სანამ სპარსელნი თავს დამესხმიან,
 კეისარს ვამცნოთ ჩვენი მიზანი და არ იქნება ნაბიჯი გვიან,
 რადგან თუ აღრე ეცოდინება,
 რომ მეგობრობის აღდგენა გვინდა,
 მაშინ გამოდის, ვართ გულწრფელები
 და გვამოძრავებს გრძნობები წმინდა,
 ამის შემდეგ კი ჩემზე თავდასხმა,
 რომზე თავდასხმას გაუტოლდება,
 შური ატყდება იქით და აქეთ, ვიცით შურს რა სდევს
 და რა მოხდება.
 ამას დაურთე ის, რაც იციან, ან მსტოვრებისგან
 აქეთ განაგონი,
 სპარსელნი ზღვაზე ხომალდებს კრეფენ,
 ზღვის გზით თავდასხმას გეგმავენ მგონი,
 ეტყვი, ჩვენ მზად ვართ მხარში დავუდგეთ,
 სპარსელებს ფეხი მოვაკვეთინოთ,
 ჩვენი მტერი ხომ მათიც მტერია,
 მტრის გამო ერთურთს არ ვაწყენინოთ.
 დედაშენი ხომ მამამისს სტუმრობს,
 კი არა სტუმრობს იქ თავს აფარებს,
 შენ წასვლას როცა აქ მიხვდებიან,
 სპარსელებს ვერვინ გამოაპარებს



მეფის ძმის წასვლას. მე მაშინ ვიტყვი,
 მშობელის ნახვა მონატრებია,
 რა უნდა ჰქონდეს სხვაფრივ საერთო,
 რომაელები ჩვენი მტრებია,
 აქ ამის გამო დააჩქარებენ, ჩემზე თავდასხმას, მოშორებასა
 თუ გამართლდება ფარსმანის ცნობა, ეჭვს მოვიშორებ,
 ვპოვებ შევებასა.

/წათე ემშვიდობება ძმას და მიდის/

/კონსტანტინეპოლი. იმპერატორ (კეისარ) იუსტინიანესთან თათბირო-
 ბენ დედოფალი თეოდორა, საჭურისი სარდალი ნარსესი, პატრიკიოსი ნომი/

იუსტინიანე

დედოფლის თხოვნა, თქვენი წუხილი არად ჩავაგდო
 რას ემგვანება,
 თანაგრძობასაც ხომ აქვს საზღვარი,
 რად დავცე ის, რაც დამენანება,
 მცირეს გულისთვის დიდს შეველიო,
 ათეულ წლობით რისთვის ვიბრძოდი,
 რომის დიდების აღდგენა მინდა,
 და მივალწვედი, ჩემთვის ვიცოდი,
 ახლა, როდესაც მიზანსა ვხედავ, როცა ახლოა მისალწვევლი,
 ჩემით დავთმო და უკან დავბრუნდე,
 წყალში ჩავყარო ამაგი მთელი?

თეოდორა

ჩემო მეუფევ, ჩემი ბატონო, ვინ გაგიბედავს უაზრო რჩევას,
 შენც ნუ მოითხოვ ერთგულებისგან
 სათქმელად მხოლოდ ტკბილის შერჩევას,
 პატრიკიოსმა მხოლოდ გაცნობა
 რაც ხოსროს ჩუმად უპირებია,
 ერთგულთა დაცვა შენი ვალია, ლაზები განა უპირებია.



პატრიკიოსი ნომი

რაცა ვთქვი, ვბრძანებ, გავიმეორებ,
 რომ ჩანაფიქრი გავხადო ცხადი,
 რაც რომს ეკუთვნის, უკან იბრუნებ,
 რა უნდა იყოს უფრო დიადი,
 შენი მცდელობით რომის მიწები – გალებ-ფრანკები,
 ყველა გუთები,
 დაქსაქსულები, ცალკ-ცალკე გყობენ, არ უნდა ფიცი
 და საბუთები.
 ვანდალები და ალანები! კი ასი წელია ვერას ღონობენ,
 საიდან – საით მოხვედრილები,
 ვერას გაკლებენ და ბედსა გმობენ,
 შვიდი წლის წინათ გუთების
 მეფე ვიტიგისმაც კი მოხარა ქელი,
 შენი მტრობისთვის სიკვდილი ერგო,
 შემოსწყრა ზენა და შემოქმედი.

იუსტინიანე

ის გამარჯვება მეც კარგად მახსოვს,
 არც მატასუნტა არ მავეწყდება,
 ქმარი გაწირა, ხელში ჩაგვიგდო, ცოლი ქმარსა მტრობს,
 ასედაც ხდება,
 ამიტომ იყო, მე, ვიტიგისი
 უბრალოდ კი არ მოვაკვლევი ,
 აღმოსავლეთში გადავასახლე,
 მატასუნტასაც არ ვაწყენინე.

1.ალანები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში კავკასიის გადაღმა მიწებს ფლობდნენ (ახლანდელი ჩრ. კავკასია), ვანდალებმა აიყოლიეს და ბოლოს ერთად მოხვედნენ აფრიკაში. VI ს. იუსტინიანეს სარდლებმა ეს ორი გაერთიანება დაიმორჩილეს. დღევანდელ ოსებს რა აქვთ საეთო იმ ალანებთან – ცალკე ანალიზის თემაა.



გერმანს მივეცი, როგორც მეუღლე,
 გერმანი ჩემი ნათესავია¹,
 მოღალატე ცოლს, ღალატისათვის, მივეუსაჯე
 რაც მისთვის ავია,
 გერმანმაც იცის, ახალი ცოლი, ჩემგან ნაფერი, არი დარაჯი,
 ორგულობასაც ვერ მოინდომებს,
 რომ არ გაიღოს სიცოცხლით ხარჯი.
 თორმეტი წლის წინ ავიღე რომი, სირაკუზი
 და მასთან კატანი²,
 მხოლოდ ტოტილა³ გამოჩნდა ურჩი
 და ბატონების ცუდად ამტანი,
 ჩემი ვალია მისი მოთოკვა, რომ აჯანყებებს მოედოს ბოლო,
 არ შემძლია ეს იმპერია ლაზების საქმეს გადავაცოლო.

საბუთისი ნარსმსი

კეისრის ნათქვამს დავამატებდი,
 პო-ს⁴ ჩრდილოეთით მყოფი ტომები,
 რომლებიც იყვნენ დაჩოქებულნი, გადავიხადეთ როცა ომები,

1. 540 წ. იუსტინიანე კეისრის სარდალმა ველისარმა გუთების მეფე ვიტიგისი დაამარცხა დედოფალ მატასუნტას გამცემლობით. დატყვებულნი გუთი მცირე აზიაში გაასახლეს. დედოფალყოფილ მატასუნტა იუსტინიანეს ნათესავ გერმანს მიათხოვეს. ამრიგად, იტალიის დიდ ტერიტორიაზე მოფენილი გუთები გაერთიანების გზაზე დამდგარი რომის იმპერიის (ბიზანტიის იმპერიის) შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. მოგვიანებით მიიმატა იუსტინიანემ კუნძულები, ჩრ. აფრიკა, ესპანეთი.

2. სირაკუზი და კატანი – კ. სიცილიის ქალაქები

3. ტოტილა, იტალიაში, მდ. პო-ს ჩრდილოეთით მცხოვრები გუთების აჯანყების წინამძღოლი 542 წლიდან. ახალგაზრდა, ლამაზი, განათლებული ტოტილა კარგი სარდალი და პოლიტიკოსი გამოდგა. მან წვრილი მიწათმოქმედნი გაათავისუფლა, ხალხი მიიმხრო და 546 წ. უკვე რომი აიღო.

4. პო – მდინარე ჩრ. იტალიაში.



ახლა ცდილობენ, როგორც შეძლებენ,
 ჩამოგვაცალონ ვრცელი მიწები,
 რომიდან ქვემოთ, სირაკუზამდე, რაც იყო ჩვენი დასაფიცები,
 მთელი ძალები თუ არ მივმართეთ შემოვიმტკიცეთ
 რაც არი ჩვენი,
 თუ იმპერია არ ვამთლიანეთ, სადა გვაქვს თავი გამოსაჩენი,
 ხოსროს წავართვათ ლაზების მხარე,
 განა დანაკარგს გაუტოლდება?
 მიტომ კეისარს დავეთანხმები,
 დასავლეთს უნდა შენი ხელდება.

პატრიკიოსი ნაომი

განა ვინაა წინააღმდეგი, შემოვიკრიბოთ, რაც იყო რომის,
 ჩემი ნათქვამი არ უნდა იყოს მიზეზი
 დმერთის რჩეულის წყრომის,
 მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ სპარსელები
 კოლხეთში ჯარებს თუკი შეკრებენ,
 გემებით აქ თუ მოგვადგებიან და დედაქალაქს გადაგვიწვავენ,
 მარცხი იქნება არანაკლები, ვიდრე ტოტილამ განგვაცდევინა,
 ასე თუ მოხდა, იანგარიშე, უარესებში ვინაა – ვინა,
 და ამას გარდა, ლაზთა ქვეყანა,
 ჰუნებისათვის გზების ჩამკეტი,
 ხომ ბუნებრივი მოკავშირეა, მტრების მტერია,
 მათი გამწყვეტი,
 მიტომ გირჩიეთ, მეფე გუბაზი,
 თუ მეგობრობის აზრზე მოსულა,
 ნიშნავს, უფალს არ გაუწირივართ
 და მისი მადლი გარდამოსულა,
 ჩემი ბაღიში წათე მეწვია, წვრილად ამიხსნა
 იქით რაც ხდება
 აბაზგეთი და მისი მიღეთი მალე სპარსელთა კერძი გახდება,



ზღვას თუ სპარსელი დაეპატრონა,
 იქიდან აქეთ გზა ხომ ხსნილია,
 ქსერქსესთან¹ ომი გაგიგონიათ, წიანპართაგან გამოვლილია,
 ჩვენ ახლა რატომ გავიმეორეთ,
 ჩვენი მამული მომხდურმა თელოს,
 თავქარიანი ბედს ელოდება,
 მცდელი იქითკენ გაიტანს ლელოს.

თეოლორა

პატრიკოსის ნათქვამის მჯერა, საფრთხე დიდია, დავეთანხმები,
 რომს საომარი არ დაელია,
 ჟანგით არ წახდა ნალესი ხმლები,
 ჩვენ ვიდრე ვიბრძვით მტრების მიწაზე,
 აქეთი რჩება დაუბრბეველი,
 რატომ შევცვალეთ ეს ნაცადი გზა,
 რად გავამრუდოთ სავალი ძველი.
 მესმის ტოტილა დიდ საფრთხეს გვიქმნის,
 უნდა წაიღოს დასავლეთ რომი,
 მისი გულისთვის სპარსეთს დავზავდით²,
 იქით და აქეთ არ გვაწყობს ომი,
 სანამ ტოტილას ბოლოს მოვუღებთ,
 ხოსრო ძალებს კრებს და იმუქრება,
 არავინ უწყის, დაელოდება
 ვიდრე ტოტილას საფრთხე გაქრება?
 ამიტომ გვინდა ეს, თუ არ გვინდა,
 გუბაზ მეფესაც შევლა სჭირდება,
 უნდა შევიძლოთ ვიქნიოთ ხმალი, იქით,
 საითაც გავვიჭირდება.

1. ქსერქსე — ძველი სპარსეთის უძლიერეს მბრძანებელთაგანი. მის სახელთანაა დაკავშირებული შეჭრა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ომი ათენელებთან და სპარტელებთან.
 2. ტოტილასთან მარცხმა აიძულა იუსტინიანე სპარსეთთან ზავი დაედო და მთელი ძლიერება იტალიის საბოლოოდ დაპრყობისათვის წარემართა.



საჭურისი ნარსესი

დედოფლის ნათქვამს ვისმენდი გულით, ზოგი მენიშნა
 და ვეთანხმები,
 პატარა ოქრო ქვის ლოდს სჯობია, სხვა აქეთ ფასი
 და ამონაგები,
 მაგრამ თუ ლოდი აგორებული, აქეთ წალეკვით დაგვემუქრება,
 ოქროს მიაგდებ, ამას მიხედავ, ასეთი არი კაცის ბუნება.
 ლაზების მხარე ოქროა მცირე, დასავლეთ მხარე ლოდი დიადი,
 აგორებული, აჯანყებული და სახიფათო ჩვენთვის ფრიადი,
 ჩვენი ჯარებიც მიმოფანტულნი, ჩვენს დასაცავად მახვილს იქნევენ,
 თუ სწორს არ მივცემთ მიმართულებას,
 ჩვენ თუ შევცდებით, მარცხსაც იწვნევენ,
 ამიტომ გვმართებს თავშეკავება, გრძნობის აყოლა მავნებელია,
 ვინც დიად მიზანს შეეჭიდება, მისთვის დიდება თანმხლებელია.
 ის, რაც ცეზარმა, ტიბერიუსმა და ადრიანემ¹ შემოგვინახეს,
 ჩვენ რად გავფანტოთ ბარბაროსებზე,
 ჩვენში დაბალი ლოზე სად ნახეს.

პატრიკიოსი ნოში

ჩვენ დასავლეთის მოთოკვა გვინდა,
 გადავაშიშვლეთ აღმოსავლეთი,
 რაც შაჰ კავადის ადრე წავართვით,
 უკან წაიღეს წვეთი და წვეთი,
 ნისიბისთან რომ ციხე ავაგეთ, სხვაგან ავაგეთ ქალაქი „დარი“
 ვერ გავამაგრეთ, იქით დავკარგეთ, აღმოსავლეთში დადგა ავდარი,
 ჰასანიდების² არაბთა მხარე ჩვენ გვეკუთვნოდა,
 სპარსეთს ებრძოდა,

1. იულიუს ცეზარი, ტიბერიუსი, ადრიანე – რომის იმპერიის მმართველები ძვ. წ.ა. I და ახ. წ. აღ. I – II საუკუნეებში.
 2. არაბთა ტომებს ორი გაერთიანება ჰქონდათ. ჰასანიდების არაბეთი ბიზანტიის (რომის) იმპერიის დაქვემდებარებაში იყო. ლახმიდებისა (ლახ-ტომის სახელწოდების მიხედვით) ძირითადად სპარსეთს მორჩილებდა. 505-554 წწ. მათი ბელადი მუნდირ III, გამორჩეულად ცბიერი მმართველი იყო.



მუნდირ მესამის¹ ლახმიდთა ტომი
 მოღალატეთა შორისა ჩნდოდა,
 სამარიტელი მთავრები
 სპარსეთს უხმობდნენ დასახმარებლად,
 მაინც შევძელით, ყველა დავლაშქრეთ, მახსოვს,
 ვიყავი კეისრის მხლებლად,
 ახლა რა ხდება, სპარსეთი მძლავრობს,
 თავისადა თვლის არაბთა მხარეს.
 სომეხ-ალბანთა და იბერებმა ძლიერ
 დამპყრობთან ქელი მოხარეს,
 ჩვენდა იმედად რჩება ლაზიკა,
 სპარსეთს ზღვისაკენ სავალს არ უთმობს,
 მაგრამ თუ ძალა აღმართს გადახნავს, შიგნიდან უმტრობს,
 გარედან უძმობს,
 მაშინ არ ვიცით საით გასწევენ სუან-სვანები, და აბაზგები,
 დაილეწება მრავალი ციხე-გზების ჩამკეტი, წლობით ნაგები,
 ავარ-პუნებიც მოგვესევიან, მტერი სასურველ დროს ელოდება,
 კონსტანტინეპოლს ხომ არ მოსწვდება
 დაობლებულთა მწარე გოდება?
 ახლა ასე ვთქვათ, თუ გავიჭირვებთ
 და გუბაზ მეფეს დავეხმარებით,
 თუ იმედს მივცემთ, გულს გავუმაგრებთ,
 ბრძოლის სიმძიმეს ასწევენ მხრებით.

იუსტინიანე

ჩვენ შორისაა ერთი სხვაობა, ვისაც არ ესმის საქმის რაობა,
 ასედაც იტყვის, ისეც მიდგება, დარჩება ბოლოს მასხარაობა,
 თქვენ გუბაზს უცქერთ, მეფეს უძახით,
 ლაზმა მოგხიბლათ სიტყვით და სახით,

1. 528 წ. ლალატით მოკლეს ჰასანიდების ბელადი არეფი. შურისძიების მიზნით ბიზანტიამ მომთაბარე არაბების დასჯა მოინდომა, თავის მხრივ სპარსეთი ჩაერია და გაჩაღდა ომი. შაჰ კავადის სიკვდილის მერე ზავი დაიდო.



ფიქრობთ, იმედი თუ გავუღვივეთ,
 მტერს მისაკდება რიხით და ზარით,
 ვატყობ წარსული დაგვიწყობიათ, მეცნაურა და ამოვიცანი,
 შეგასხენებდით: როდის ყოფილა
 ლაზთა დიდება ჩვენი მიზანი?
 ჩვენ მოკავშირე როდი გვჭირდება,
 რაც უფრო მეტად გაუჭირდება,
 უფრო დამყოლი გახდება ჩვენი, ყმა ძმას სჯობია,
 ასედაც ხდება.
 იუსტინეს დროს, უნდა გახსოვდეთ,
 გასული არი ოციოდ წელი,
 სკანდა-შორაპანს¹ ჩვენები ჩადგნენ,
 ქართლის საზღვარზე უწვდინეს ხელი,
 შემდეგ უომრად სპარსეთს დაუთმეს, რა,
 არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ?
 ხომ არა ფიქრობთ მისვლა-წამოსვლით
 რომაელები კურდღლებად ხტოდნენ?
 აქ აზრი იყო შორს გამიზნული,
 და ჭკვიანურად გაავლეს ხნული,
 სპარსეთს უჩინეს ახალი მტერი,
 დაარბევინეს ლაზთა მამული.
 ჯერ წათე მეფე, შემდეგ გუბაზი,
 ველარ უვლიდნენ დარბეულ მხარეს
 გამოიციანით, ვინ რა მოიგო, ვინ რა მიიღო, რით გაიხარეს.

თეოლოკა

პატრიკიოსი ვატყობ დამუნჯდა,
 არაფერი აქვს ჩვენთან სათქმელი,
 მაღალზე მჯდომი შორს იყურება, ძლიერი არი სიკეთის მქნელი.

1. სკანდისა და შორაპანის (შორავანის) ციხე-სიმაგრეები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის საზღვრებს აკონტროლებდნენ. (იმ დროს ლაზიკასა და ქართლს, უკვე ქართლს შორის საზღვარს).



საჭურისი ნარსმისი

კეისრის ნათქვამს ბრძენი ჩახვდება,
 მისი ბაგენი სიბრძნეს ღაღადებს,
 ასე შორს მჭკრეტელს სხვაგან სად ნახავ
 და ასე ძლიერს ვინღა დაბადებს,
 მისი მცდელობით და მოთმინებით
 მტრების ძალები დაქსაქსულია,
 ერთი-მეორეს დაჯახებულნი, მესამ-მეოთხის ერთად წყლულია.
 აბა, შევხედოთ: ვანდალ-ალანებს მუდმივად ვერჩით და ვეომებით,
 ვანდალ-ალანნი ოსტგუთებს მტრობენ,
 იქით უტევენ შეწყობილ ხმებით,
 ოსტგუთები ხომ ფრანკებს ებრძვიან,
 თუმცა ძმებია, განაყარია,
 ფრანკები აქეთ ვესტგუთებს რქენენ,
 მათ შორის შური წილნაყარია.
 რიცხვით მრავალნი, გათიშულები, მძლავრი ტომები
 სუსტნი არიან,
 ფრანკებს არ ვერჩით, იქით ვაქეზებთ,
 მათაც ეს აწყობთ და უხარიათ.
 ახლა გუთები აჯანყებულან, ალპების მხრიდან ქვევით იწვევენ,
 თუ არ ავლაგმეთ ეს თავხედობა, სხვათა განდგომას გამოიწვევენ,
 ამიტომ გვინდა ეს თუ არ გვინდა,
 ტოტილას უნდა მოვუღლოთ ბოლო,
 რომ ვანდალები და ალანები
 უფრო ადვილად ზედ მივაყოლოთ,
 ამასობაში ლაზ-სპარსელები ერთი-მეორეს დაასუსტებენ,
 ჩვენი ჩარევით კმაყოფილები,
 ჩვენი გულისთვის თავსაც დასდებენ.

იუსტინიანი

ნარსესი ჩახვდა, რაა მიზანი, თუმცა არ იცის ბოლო ცნობები,



სპარსელნი გუბაზს თავზე დასხმიან,
 მატყობინებენ ჩვენი მსტოვრები,
 ხოსროს ბრძანებით შეურჩევიათ სამასი სპარსი თავდადებული,
 მეგზურად ლაზი უწინამძღვრიათ, რომელიც იყო მათი ერთგული,
 თავს დასცემიან მძინარე მეფეს, დრო საგანგებოდ შეურჩევიათ.
 ლაზებს მომხდურნი გაუჟღეჭიათ,

სპარსელთ ბანაკიც დაურბევიათ,
 გუბაზი თურმე იარაღს ისხამს, სპარსელებს მიჯრით მიერეკება,
 მათ შორის ომი განახლებულა, ასეთი არი განგების ნება.

თეოლორა

მარტო ლაზები რას გახდებიან თუ არ გავიღეთ საშველად ხელი,
 თავს გასწირავენ, გაღებებიან და არ იქნება მათი საშველი.

იუსტინიანე

გუბაზი ბრძენი მეომარია, თუმცა განგვიდგა, გზა არ არია,
 გულმა თუ უგრძნო, ძმა მოგვიგზავნა, წათე გუბაზის დასადარია,
 ახლა სპარსებთან ლაზებს აქეთ ომი, ის ახდა, რისიც ვიყავი მდომი,
 საჭირო არი დრო შევეურჩიოთ, ავამოქმედოთ ჩვენი საზომი.

ჯერ მოვიცადოთ, ვნახოთ აბაზგნი, აბშილები და მისიმილები,
 ვის მხარეს დგომას მოიფიქრებენ, ვის უმოყვრებენ ვისი შვილები,
 თუმცალა ვიცი გამოცდილებით, გუბაზს არაფრით მიემხრობიან,
 შიდა ქიშპობას გადაჰყვებიან, მტერს დალოცავენ და ეყობიან,
 დრო კიდევ ითმენს, ნარსეს გიბრძანებ,

უნდა შეკრიბო ჩვენი ძალები,
 ტოტილას უნდა მოვუღო ბოლო, შევძლებ,

თუ მიჯრით მივეძალები.

დასავლეთს დავყოფ მე ოთხ დუკატად,¹

შენ გევალება ყველას სარდლობა,

1. დუკატი — სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. იუსტინიანემ იტალია ოთხ დუკატად დაჰყო. ყველას თავისი სარდალი ჰყავდა. ყველა ნარსეს ემორჩილებოდა.



არ დაიშურებ, ვიცი, ძალ-ღონეს,
 წინასწარ უნდა გითხრა მადლობა.
 აღმოსავლეთში ბესა, დაგისთე სარდლები ფრთხილი,
 შორს გამჭვრეტელი,
 ვუბრძანებ, გუბაზს დაუკავშირდნენ, არც აჩქარდნენ
 და არც დარჩნენ ნელი.

პატრიკოსი ნომი

კრისარი ხარ, შენი სურვილიც, ქვეშევრდომთათვის არი ბრძანება,
 გემორჩილები, თუმცაღა იცი, ბადიშის ბედი დამენანება.

იუსტინიანე

შენ ლაზებს დარდობ. ლაზებს მივხედავ
 და მცირე ძალით დავეხმარები,
 მეფე გუბაზი, დაე, მეფობდეს, ვერ შეუნგრიონ გულის კარები,
 შენ ბადიშს წათეს, ჩემთან დავტოვებ,
 ერთგულებისთვის პატივს მივაგებ,
 პატრიკოსის, წოდებას ვაძლევ, მის საქციელზე პასუხს შენ აგებ,
 შემდეგ კი ვნახოთ დრო რას მოიტანს,
 უნდა დასრულდეს ფუჭი მეფობა,
 მტერ-მოყარობის ჩვენთან თამაში, ქცევით ლალატი, სიტყვამყვობა.
 ლაზეთი უნდა შემოვიმტკიცო, გზა ჩავუკეტო სპარსებს
 და ჰუნებს,
 გული მკარნახობს, ეს ღვთის ნებაა, ასე მოქცევას არ დამიწუნებს.

/554 წ. მდ ხობის წყალთან რომაელების (ბიზანტიელების) სამხ-
 ელრო ბანაკი. კარავში თათბირობენ სარდლები მარტინესი, რუსტიკე და
 ლაზების მეფე გუბაზი/

გუბაზი

მოწვეული ვარ, რათა განვსაზღვროთ,
 საით მივმართოთ ჩვენი ჯარები,
 საით აჯობებს იქით დავარტყათ, სად ჩავუკეტოთ ციხის კარები,



ჩვენ თუ გვექნება ერთობის გრძნობა,
 მოკავშირული ცნობა და ნდობა,
 არ დაგატყდებით კეისრის რისხვა,
 არ დაგჭირდებით ჩემგან შენდობა,
 სტრატეგოს ბესას რაც დაემართა,
 ის უნდა იყოს თქვენთვის ნიშანი,
 რაც უშოვია, უცებ დაკარგა, როცა სიმხდალე იმისი ვცანი.

მარტინესი

მე და რუსტიკემ სხვაგვარად ვიცით, ბესა არ იყო გასაწირავი,
 ხუთი წელია შენ გვერდით ვიბრძვით,
 ბესამ რამდენჯერ გადადო თავი,
 შენგან მაღლობის სამაგიეროდ, შური მოიმკო და დაბეზღება,
 რად დაგავიწყდა, მხოლოდ მან შეძლო სპარსელთა ტყვევნა,
 პეტრას აღება.

რუსტიკე

მართო ეს იყო? შენ გაიხსენე, როცა სკეპარნა, აბაზგთა თავი,
 ხოსროს ეახლა, ჯარები სთხოვა, რომაელებზე ურჩია ავი,
 აბაზგიაში შეიჭრა ბესა, ქვეყნად წაშალა აბაზგთ ხსენება,
 მოღალატეთა სასტიკად დასჯა ბესასთან ერთად შენც ხომ გენება?
 და ამას გარდა შემოგომტიკიცა აბშილეთი და მისიმილეთი,
 პეტრა ავილეთ, დაგემორჩილა ჭანეთ-ეგრეთი და ჩრდილოეთი,
 შენ მაინც დარჩი უკმაყოფილო, ბესა კეისარს დაასჯევინე,
 დაგისთეს ბედი გაიზიარა, ერთგულს სიმწარე რად აწვნევინე?

ბუბაზი

დაგისთეს აქებ და მასთან ბესას, მათი ქმედება კი გავიწყდება,
 სტრატეგოსია განა ვინც ითმენს იმისი ჯარი სანამ გაწყდება?
 თუ დაგავიწყდა, მე შეგახსენებ, ხუთი წლის უკან ვით მოკავშირე
 რომ შეგუთანხმდი, მისი იმედით,
 სპარსელთა ჯარის რბვევას ვუხშირე,
 იმპერატორმა შვიდი ათასი მეომარიც კი ვერ დამახმარა,



მტერი გვჭარბობდა, სხვა გზა არ იყო,
 უნდა ლაზური ხერხი მეხმარა,
 პეტრას ციხესთან ალყა გაგრძელდა,
 ყოველ მცდელობას მარცხი თან სდევდა,
 სპარსელთა დიდი ძალა დაიძრა, სულს მიხუთავდა დარდი და სევდა.
 დაგისთვის მაშინ მოვეთათბირე, შევთანხმდით,
 ჩვენი ძალები მცირე
 ისე დაგვეყო, გზები შეგვეკრა, აქეთ დაგვეცვა ზღვის სანაპირე.
 ჩემი ძალები ფაზისის იქით გზებს და ბილიკებს უდარაჯებდნენ,
 დაგისთვის უნდა პეტრა აეღო, სანამ სპარსელნი იქ მიუსწრებდნენ.
 თქვენც იქ იყავით, იცით რაც მოხდა, დაგისთემ ალყა აჭიანურა,
 ციხეს კარები ვერ შეუღლეწა, ფუჭად იცადა და იხმაურა,
 როცა სპარსელნი მიუახლოვდნენ,
 დაგისთე ბრძოლის ნაცვლად გაიქცა,
 მისმა სიმბდალემ მარცხი გვაწვნია,
 ალაფიც მტრების ნადავლად იქცა.

რუსტიკა

შენ რომ ეგ გახსოვს, რატომ ივიწყებ,
 ბევრად გვჭარბობდა სპარსელთ ძალები,
 ათჯერ მეტს მაინც ვერ მოერევი, ტყუილად იქით მიეძალები,
 ამასთან, როცა ისე გვიჭირდა, შენ სად იყავი როგორც დამხმარე?
 ჩვენ თუ დავმარცხდით, შენც ხომ დამარცხდი,
 შენც ხომ დაგიდგა დროება მწარე?

ბუბაზი

მე მხოლოდ ერთში დაგეთანხმები, ის თქვენი მარცხი შუა გაიყო,
 მეც დავზარალდი, მაგრამ არ ნიშნავს,
 ის დავივიწყო, რაც მართლა იყო,
 თქვენი გაქცევით ფრაშესხმულები, მეციხოვნენი გამოგვეკიდნენ,
 თქვენი ალაფით დატვირთულები მარბეველ ჭანებს გადაეკიდნენ.
 ჭანებმა მაშინ ბევრი იშოვეს, ნადავლი იგდეს აურაცხელი,
 უფალი ჭკვიანს მოაპოვინებს, რასაც დაჰკარგავს გზაში სულელი.



აბა, რა გითხრა, ან რა აზრი აქვს, თუმც ბევრი იყო სასაყვედურო,
 ჭკვას ნუ არიგებ ვინც მეტი იცის,
 სჯობს ყიამყრალი პირი დახურო.

რუსტიკა

ჯერ არ ყოფილა ქვეყნად სარდალი,
 რომ მცირე მარცხიც კი არ ენახოს,
 თან არ დაჰქონდეს ხსოვნის ჭრილობა,
 გულში ბოღმა არ შემოენახოს,
 დაგისთემ თუმცა მარცხი იწვინა, პეტრა ვერ დასცა და ვერ იხარა,
 მუხურისთან ხომ მეორე წელსვე სპარსელთა ჯავრი ამოიყარა,
 ლაზებმა მადლი არ დაუფასეთ, კეისარს მაინც დაასჯევინეთ,
 თქვენი, სიმბდალევ მას მიაწერეთ, მას მიუწონეთ
 და აზღვევინეთ.

ბუბაზი

უკმეხად ცრუობ, ოთხი წლის წინათ,
 ცხენისწყლის ახლოს როცა ვიდექი,
 გზებს ვუხერგავდი სპარსელთა ჯარებს, კი არ ვლოთობდი,
 კი არ ვიწექი,
 მუხურისთან რომ მტერი მომადგა, დაგისთეს ისევ გაქცევა სურდა,
 თქვენი ძალები იფანტებოდა, როგორც დათვლისას
 იფანტვის ხურდა.
 მაშინ ლაზები მუშტად შეიკვრნენ და მოითხოვეს მოწინაგობა,
 თქვენგან სხვაობით კარგად იცოდნენ ბრძოლის მიზანი,
 მისი რაობა,
 ასეც მივმართე: ძმებო ლაზებო, რა შეგულემა სჭირდება იმას,
 ვინც არასოდეს შეშინებია ტანგრძელ შუბებს და ისართა წვიმას,
 ვინც მამულს იცავს, ვინც ცოლ-შვილს იცავს,
 მისთვის ლხინია ფიცხელი ომი.
 გამოგვიცდია, დღესაც შევიძლებთ, რომ დავამიწოთ სიავის მდომი,
 ლაზნი ვეკვეთეთ მუხურის ხევში, ფოლადი კვესდა,
 სიკვდილი მღერდა.



ჩვენ თავგანწირვას, თავისდაღებას
 დაგისთე ცოტა შორიდან მზერდა,
 ჩვენ საიმედოდ შუა ბრძოლისას,
 სპარსელთა სარდალს ისარი მოხვდა,
 მტერი უშიში უცებ დადებდა,
 როდესაც მათი სარდალი მოკვდა,
 კეისარს ვამცნე ომის შედეგი, მისი ნაბიჯი იყო მედეგი,
 დაგისთეს თავზე რისხვა დაატყდა, ბესა, სარდალი გახდა შემდეგი.

მარტინესი

დაგისთეს ბედი ვის ანაღვლია, დაიმსახურა, მოხვდა ციხეში,
 ის უმი იყო, ბესა რვალია, ფოლადი რატომ გაცეცვალო ხეში?
 გამდგარ აბაზგებს ბესამ მიხედა, ჩაფერვლა,
 როგორც ხეს დაწვავს მესი,
 ისეა მათი მხარე დაცლილი, როგორც იცლება ცხვრისგან ფარეხი.
 ბიჭვინთა – ცხუმის მყარი ციხენი, მიწასთან არი გასწორებული,
 ვინაც გადარჩა, შეშინებული, კეისრის გახდა ისევ ერთგული,
 შენ მოკავშირე იმპერიისა ამ წარმატებით უნდა ხარობდე,
 ჩვენ ჩვენი დაგვდევს მოვალეობა, ამის გულისთვის არა ცხარობდე.

რუსტიკა

არ დაივიწყო, იმავ დროს მოხდა, აბშილეთს ვინაც იყო მთავარი,
 შენ გილალატა, წიბილეს¹ ციხე, სპარსეთს გადასცა,
 მოგტეხა მხარი,
 ტერდეტმა, ცეტმა, ის ვერ გათვალა,
 აბშილს სპარსელი რად დაინდობდა,

1. წიბილეს ციხე – წებელდას ციხე. აბშილეთის მმართველმა ტერდეტმა გუბაზ მეფეს ულალატა და ციხე (რომლის აღება ვერც ერთმა მომხდურმა ვერ შეძლო) სპარსელებს გადასცა. მათმა სარდალმა ციხის უფროსის მეუღლე შეურაცხყო. ამ საქციელმა (თუ ეს ერთადერთი იყო) აბშილების აღშფოთება გამოიწვია. მათ სპარსელების რაზმი ერთიანად გაჟლიტეს და მეფე გუბაზს შერიგება სთხოვეს. ამ ამბავმა და სტრატეგოს ბესას მიერ აბაზგების მოთოკვამ ეს ჩრდილოეთი მხარე გუბაზს შემოუმტკიცა) სამეფოს ზურგი გაუმაგრა და სამხრეთით და აღმოსავლეთით შეტევის საშუალება მისცა.



ქვეყანას ხელში თუ მოიგდებდა, ძალაუფლებას მისას მოსპობდა.
 შედეგმა იცი, არ დააყოვნა, არ შიწყნარეს აბშილთა თხოვნა,
 მათი ქალები გაითავისეს, ბავშვებს დასჭირდათ მამების წოვნა
 როცა აბშილნი მოვიდნენ გონზე,

სპარსელთა ჟღერით გული იჯერეს,
 მიხვდნენ ვინ არი მათი მფარველი,

შენ გიერთგულეს და დაგიჯერეს,
 სტრატეგი ბესა ხომ გედგა გვერდით,

ლაზების მხარეს იცავდა მკერდით,
 რად უღალატე, დაასჯევინე, ჭკუა გღალატობს, ისე დაბერდი?

ბუბაზი

სტრატეგოს ბესა თქვენ გამფარველობდათ,

ვიცი ამიტომ გული გეწვებათ,
 ფიქრობთ მეგობრის შურისძიებას, მახვილისაკენ ხელი გეწევათ,
 მაგრამ დაფიქრდით, დრო რომ ვიხელთე,

მძლავრი შეტევით პეტრა ავიღეთ,
 რომაელები მარჯაფად იყვნენ, ლაზებმა დიდი მსხვერპლი გავიღეთ..
 შემდეგ მომიხდა დიდი კამათი, ციხის დათმობა მას არ უნდოდა
 მე თუ დავთმობდი, კეისრის თვალში

გამარჯვებული ხომ ბესა ჩნდოდა.
 ბოლოს შევთანხმდით: ამ შეთანხმებით მომავლის გეზი ასე გაიყო,
 რადგან გავიგეთ სპარსელთა ჯარი დიდი ძალებით გადმოსულიყო,
 პეტრას დავთმობდი, სანაცვლოდ ბესა,

ბრძოლებში მთავარ წილს დაიდებდა,
 მტერს შეებმოდა მთელი ძალებით,

ომშიც არასდროს მიღალატებდა.
 როგორც შევთანხმდით დავტოვე ციხე,

მგლურად დავლახე აღმოსავლეთი ,
 არქეოპოლისს მტერს ჩავუსაფრდი,

სისხლი ვადინე წვეთი და წვეთი,
 დამარცხებული სპარსული ჯარი, ქუთათისამდე რბენით ილტვოდა,



ბესა იმ დროს არ წამომეხმარა, რომ მჭირდებოდა,
 კარგად იცოდა.
 დევნა შევწყვიტე იძულებულმა, ვერ გადავრეკე ლიხს იქით მტერი,
 ბესა სხვა რამეს თურმე ფიქრობდა,
 ჟამი დაუდგა გულით სამღერი.
 პეტრას კედლები დაანგრევინა, ნაცვლად ლაზების დახმარებისა,
 ვის მხარეს იყო, ვერ გაიგებდი,
 სიტყვით ვის უმტრო და საქმით ვისა.
 დანგრევას მორჩა და კმაყოფილმა,
 სომხეთს მიმართა დასასვენებლად,
 რომის ლაშქარიც თან გაიყოლა,
 ხარკის საკრეფად და პირად მხლებლად.
 მე დავითმინე, მაგრამ უჩემოდ, კეისარს მისწვდა მისი კაცობა,
 რა უპასუხა, ან რა უბრძანეს, არ დამიწყია რჩევა-ანცობა,
 რადგან იმავ წელს ბრძოლები შეწყდა,
 სპარსეთმა რომთან ითხოვა ზავი,
 როცა მშვიდობა დაისადგურებს, დაგავიწყდება თანდათან ავი.

მარტინესი

ეს ხომ ჩვენც ვიცით, შარშან წინდელი, არც ახალია,
 არც ისე ძველი,
 როგორ, რა მოხდა აღარ გვახსოვდეს
 და ჩავიქნით წარსულზე ხელი?

ბუბაზი

ზავი თქვენ დადეთ, რომაელებმა, მე რა მოვიგე, ეს ვერ გავიგე,
 წიბოლეს ციხე თქვენ დაიკავეთ, მისიმილეთი ფეხქვეშ გაიგეთ,
 ეგრისელები ხოსროს მიემხრნენ, მას მიემატა სვანეთ-ლეჩხუმი,
 ჩემი სამეფო გაინაწილეთ, ვერ მიმხვდარიყავ, არა ვარ უმი.
 ბესა იმ მხარეს აღარ მიშვებდა, სპარსელთა ჯარი უკან მომდევდა,
 არავინ იყო ჩვენი პატრონი, გულს არ ხვდებოდა ლაზების სევდა,
 მაგრამ უფალმა ჩვენ არ გაგვწირა, ანდაზა არი, აქ ყველამ იცის.



თავის მახეში გამოებმება ცრუ, მოლაღატე, გამტეხი ფიცის.
 ბესამ წამილო წიბელეს ციხე, მაგრამ ბოლომდე ვერ დაიფარა,
 მომტყუებელი იქით მოტყუვდა, სიტკბო იგემა და ჩაემწარა,
 სპარსელთა რაზმმა ბესას უყელა, მხდალი გარბოდა გამგელელებული,
 მე მისი მარცხი არ მიხაროდა, მაგრამ მეამა, მომფხანა გული.
 ის სამარცხვინო მისი გაქცევა, კეისარს მალე გააგებინეს,
 სტრატეგოსობა დაათმობინეს, პასუხი სთხოვეს და აგებინეს,
 მის გაძევებას თქვენ მე მაბრალებთ,
 თქვენ მე გგონივართ მისი დამსმენი,
 ლაზური სიბრძნე გაგიგონიათ, გამოგაჩენენ შენი საქმენი.

მარტინესი

შენ მოიშორე ციბე, დაგისთე, ახლა ბესაა წამატებული,
 სტრატეგოსები აღმოსავლეთის და მეომრები წარმატებული,
 ბესას ქონება რომ ჩამოართვეს, შენ რა მიიღე იქიდან წილი?
 თუ არ გიცავდა, თავს არ გესხმოდა,
 მეგობარს რატომ დასწამე ცილი?

რუსტიკა

ახლა არ გვითხრა, რომ არ იცოდი,
 სიტყვა არ გითქვამს კეისრის წინა,
 ჩვენც აქ ვიყავით, კარგად ვხედავდით, ვინ ვინ დაინდო და აწყინა,
 შენ რომაელთა შური გაწუხებს, არავინ გულზე არ გეხატება,
 დრომდე მოგვითმენ იძულებული, მეგობარს გვეტყვი,
 ასედაც ხდება.
 მაგრამ როგორც კი ფეხზე დადგები,
 ცდილობ თავიდან მოშორებასა,
 ერთს მონივლებ, მეორეს ერჩი, მას მიაყოლებ, მოძებნი სხვასა,
 ბესა დაღუპე, ჩვენი ჯვრია, რუსტიკე არი თუ მარტინესი,
 ვინც გიტოვლებდა, მას მოიშორებ, ამოცანაა უმარტივესი.

ბუბაზი

ჩანაფიქრს ვხვდები. შემომიტყუეთ,
 თქვენი ცოდვები გინდათ ამკილოთ,



რაც გიფიქრიათ, გიკეთებიათ, ასხმული არი, როგორც აკილო,
 თუმცა კაცურად გენდეთ, ვფრთხილობდი,
 რადგან ბევრია საკეთებელი,
 სვანეთ-ლეჩხუმში სპარსეთი მძლავრობს,
 აბშილ-ეგრებზე უღვია ხელი,
 სწორედ ამიტომ თავი გადავდე, რა როგორა ვქნათ,
 მოგეთათბიროთ,
 თქვენ კი წარსულის განჩხრეკას იწყებთ, ცილსაცა მწამებთ,
 თანაც უპიროდ.
 თუ ასე გინდათ, მაშინ შევეთანხმდეთ, კეისარს ყველა შევატყობინოთ,
 სამართალი ქნას ჩემ და თქვენ შორის,
 სიცრუით უფალს არ ვაწყენინოთ.

მარტინუსი

კეისარს შენთვის სადა სცალია, დასავლეთში აქვს მძიმე ომები,
 იმპერია კვლავ გახლეჩილია, მისაღებია მკაცრი ზომები,
 გემახსოვრება, ოთხი წლის უკან, ტოტილამ შეძლო შეუძლებელი,
 სამხრეთს უწია, კუნძულებს მიწვდა,
 დიდება გახდა მისი მხლებელი.
 მაშინ სარდლობა ნარსესს¹ მიანდეს,
 ნარსესმა ბევრი ფანდი იხმარა,
 ტოტილა მოკლეს მოსყიდულებმა, ბედმა ვაჟაკი ვერ დაიფარა,
 ორი წლის უკან ბოლო მოეღო, გუთების ჭანჭს და თავზედობასა,
 ნაცვლად გამოჩნდნენ ალემანები, სიკვდილს არჩევენ მეგობრობასა.

1. 550-551 წწ. ოსტგუთებმა ტოტილას სარდლობით სიცილია, სარდინია და კორსიკის კუნძულები დაიკავეს. 552 წ. ტოტილა მოკლეს. საჭურის ნარსესის სარდლობით მალე ოსტგუთები დაიმორჩილეს და მათი სამეფო გაუქმდა. 553 წ. უკვე ფრანკები და ალემანები შეიჭრნენ ჩრ. იტალიაში. ერთი წლის მერე მათ მესინის სრუტეს უწიეს. 555 წელ კი საბოლოოდ დამარცხდნენ. 554 წლისათვის ისინი ჯერ კიდევ მძლავრობდნენ და იმპერიას მთელი ძალების დაძაბვა სჭირდებოდა. ამიტომაც იუსტინიანე კეისართ ლაზიკ – კავკასია – სპარსეთის პრობლემებს ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდა.



ფრანკთა ტომები უდგანან გვერდით
 და სამხრეთისკენ გზას მიიკვლევენ,
 მამულს გვირბევენ, ნადავლს იყოფენ,
 უვალ ადგილებს რად აირჩევენ,
 ახლა მითხარი, ვისა სცალია, შენი ჭორობის განსახილველად,
 რა დროს ცოდვაა და ცოდვის განსჯა
 თუ გასული ხარ საომარ ველად.

რუსტიკე

მოვრჩეთ ლაპარაკს. ყური რომ უგდო,
 ბოროტს მოვიმკით სიკეთის წილად,
 ლაზს რაში აწყობს რომის დიდება,
 ჩვენი სიცოცხლეც არ უღირს ჩირად,
 ასე დგას საქმე, ვინაც დაასწრებს, იგი დარჩება გამარჯვებული,
 ცრუ დაბეზლებით ამან გვაჯობა,
 ერთგულებისთვის მოგვიკლა გული.
 აქეთ მომავალს, კეისრის კარზე,
 მაფრთხილებდნენ და მეუბნებოდნენ,
 გუბაზს არ ენდო, არა მყარია. იცოდნენ,
 განა უბრალოდ გრძნობდნენ.
 ჩვენ მაინც ვენდეთ და რა მივიღეთ,
 მის გამო ჩვენაც დაგვამცირებენ,
 ეგებ ღალატით კიდევ დაგვზოცენ,
 არ დაგვმარხავენ და გვიტირებენ.
 სად დაბადებულს, სად მელის ბოლო,
 ვარდის სანაცვლოდ სად მხვდება ღოღო,
 მე თუ გამწირა, ეს რად დავტოვო, არ წავიშლივანო,
 არ გავიყოლო.

/რუსტიკე და მარტინესი უცებ ესხმიან უიარალო გუბაზ ლაზთა
 მეფეს და კლავენ/

/ლაზიკის მეფე გუბაზის მკვლელობიდან ცოტა ხნის შემდეგ შედგა
 დიდებულთა და მეომართა სახალხო კრება. მას უნდა გადაეწყვიტა
 ქვეყნის განვითარების გზები/



ფარსმანი

ჩვენ ვერ გვიშველის წარსულის ქება,
 მტრების ძიება, სიტყვით გინება,
 და არც მორჩილად ბედს შერიგება: ასეთი იყო უფალის ნება,
 ორი გზით უნდა ვიაროთ ერთად,
 შეკრულები ვართ ღვთის ფიცით ყველა,
 ვინც მოთმინებით ჩააცხრო რისხვა, გზასაც მიაგნო,
 მტერსაც უყვლა.
 სანამ გუბაში წინ მიგვიძლოდა, ბევრი ჩვენგანი გან და გან ხტოდა,
 მისი სიკვდილი ასე შეგვეკრავდა და დაგვრაზმავდა, ვინმემ იცოდა?
 მე თავად წლობით ცალკე ვიყავი, არც ვენდობოდი,
 არც მენდობოდა,
 ჩვენ უნდობლობამ დაგვრია ხელი და არ ვიცოდით
 სად რა ხდებოდა,
 რომაელები თუ სპარსელები ცალკ-ცალკე
 ყველას მახეს გვიგებდნენ,
 ასე გვეგონა, ჩვენი მოძმენი, ჩვენ გაჭირვებას ვერ გაგვიგებდნენ,
 ხუთი წლის მერე თვალთ ამეხილა, გონება გაეხსენ,
 დამიდგა დილა,
 როცა ფაბრიზმა გუბაზის მოკვლა მოიწადინა და გამიმხილა.
 მივხვდი, კარგია თავისუფლება, მეფეს არ ვმონებ, ვემორჩილები,
 მაგრამ ბატონად ფაბრიზი მიდგას,
 გარს მახვევია სპარსელთ შვილები,
 იმათ რომ უნდათ გუბაზის მოკვლა,
 ლაზთა სამეფოც ხომ წაიშლება,
 არ გვეყოლება ერის შემკრები, უმეთაუროდ რა გვეშველება?
 ამიტომ იყო წათეს გავენდე, გუბაზს შევრიგდი და ვურეთგულე,
 მომწონს არ მომწონს, ერის თავია,
 მისი შემცვლელი სხვა ვერ ვიგულები,
 არც მინანია. ხუთი წელია, გვერდით ვედექი, ჩემ ჭაპანს ვწევდი,
 წინ მიიწევდა, უკან მივსდევდი,
 ჩემი რომ იყო მის აზრებს ვსდევდი.



ვაგლახ, აღარ გვყავს ქვეყნის დიდება,
 მაგრამ ცხოვრება ხომ არა წყდება,
 უნდა დავძებნოთ გეზი და კაცი რაც ჩვენ მომავალს შეეხიდება.

ფართაძი

ფარსმან, მიტომ ხარ სასიქადულო,
 პირადი დათმე მამულის წილად,
 რად ვარგა კაცი, ნდომას გადაჰყვეს,
 სხვისი ტკივილი არ უჩნდეს ჩირად,
 ჩვენ ერთად ბევრი გვისაუბრია, კაცისთვის რაა და რისი ფასი,
 და გვითქვამს ჩვენი მამული გვიჯობს,
 მიტომ მტერი გვყავს მრავალ ათასი.
 დღეს ეს მამული გაყოფილია, იქ თუ სპარსი დგას, აქ რომაელი,
 რომ არ უნდოდეს მათი განდევნა, ჩვენ შორის არი ნეტა რომელი,
 მაგრამ სანამდე გეზს ავირჩევდეთ,
 უნდა ყოველმხრივ კარგად ავწონოთ.
 რა შეგვიძლია, რით შეგვიძლია
 და არ მოვიქცეთ სულსწრაფ-უგონოდ
 ამიტომ მოდი, ჯერ მოვუსმინოთ სხვადასხვა კუთხის დიდებულები
 გვირჩევენ ან რას დაგვიწუნებენ, არ დავრჩეთ ბედით გათანგულები.

აიმატი

გამკვირვებია თქვენი ნათქვამი.
 მოგსვლიათ გრძელი მსჯელობის ჟამი,
 ისე საუბრობთ გეზის გარშემო, თითქო ჩვენ ვიყოთ საქმეში ხამი.
 დალოცვილებო, იმას შეხედეთ,
 მეფე გვყავდა და დალატით მოკლეს,
 შემდეგ ონთგურის ციხეს მიადგნენ, მგლურად იარეს,
 გზა დაიმოკლეს,
 ფიქრობდნენ ციხეს თუ გატეხავდნენ,
 თავს იმართლებდნენ კეისრის წინა,
 ისაც იტყოდა, მე რად ვეძიო, ვინ ვის უგანა და აწყენინა.



მთავარი არი ლაზთა ქვეყანა, ჩემი არი და მე მემონება,
 რაც მოიპოვეს, მოიპოვებენ, იმპერიისა არი ქონება,
 ჩვენ კი ასეთ დროს რა მოგველოდა, ვითომ სარდლები,
 მეფის მკვლელები,
 ჩვენგან უფრო მეტს მოინდომებდნენ,
 გაეხსნებოდათ ხარბებს ხელები.
 მადლობა უფალს, რომაელებმა, ციხის გატეხვა ვერ მოახერხეს,¹
 მარცხი იწვნიეს, წინ ვერ წავიდნენ,
 დასახევი გზაც თავად ჩახერხეს.
 აქ მოსულებმა კარგად უწყიან,
 სპარსელებს თუმცა სულ არ ვეძმოდნი,
 მაგრამ მიმაჩნდნენ მხარის დამჭერად,
 რომის მეომრებს როცა ვებრძოდი,
 სპარსელის სიტყვას დიდ აქვს წონა, სძულთ მატყურა,
 ცრუ და ორპირი,
 რომაელს ნახავ, არ შეიძლება,
 ენას არ დასცდეს შემხვედრზე ძვირი.
 თქვენ ახლა იტყვი, აიეტი ხომ რომაელების ძველი მტერია
 ახლაც დრო ნახა მათ საგინებლად, ჩვენშიც ამოტომ გამოერია,
 დალოცვილებო, ცოტა დაფიქრდით,
 მკვლელებს მკვლელები თუ არ ვუწოდებთ,
 თუ კვლავ მეგობრად გადავეყარე, საშველად ხელი თუ გავუწოდებ,
 მაშინ გუბაზის სული რას მეტყვის, როცა იმ ქვეყნად გადავეყრები,
 მეფეს რა ვუთხრა, კრავივით დაკლულს,
 კაცნი კი არა, ვყოფილვართ ცხვრები?

/აიეტის სიტყვები დამსწრეთ გულისყურით მოისმინეს, ისტორია გვამცნობს, რომ შეფასების სასწორი სპარსეთის სასარგებლოდ გააღიხარა./

1. მეფე გუბაზის ლაჩრული მკვლელობის შემდეგ მარტინესი და რუსტიკე ონოგურის ციხეს მიადგნენ 50 000 მეომრით. აქ 3 000 სპარსელმა დამცველმა ისინი დაამარცხა 554 წ.



ფარსმანი

აიეტმა თქვა თავის სათქმელი,
 ტანჯვით ნაფიქრალს მოხსნა სარკველი,
 დამსწრეთ მოგვანდო გადასაწყვეტად, ვინაა მგელი, ვინაა ქველი,
 მაგრამ სხვებიც ხომ მრავლად არიან, ვისაც ეს ყოფა არ უხარია,
 მათაც ვუსმინოთ, ისე დავასკვნათ, სანანებელი არ გახდეს გვიან.
 მე ის მინდა ვთქვა, ჩვენი სამეფო, ისედაც წვრილად დაყოფილია,
 მაგრამ ერთნი ვართ და ნულარ ვიტყვით,
 დღეს მე ვარ რაც ვარ, ის ყოფილია,
 თქვენ დაუკვირდით, დღეს რომს ეკუთვნის აბაზგ-აბშილნი,
 ლაზეთ-ჭანეთი,
 სპარსელებსა აქვთ წიბილეს ციხე, მისიმილეთი, სუან, სვანეთი,
 თავად ეგრები, თუმცა გვექმიან, სპარსელებსიკენ გადიხრებიან,
 გუბაზს რომ ვტირით ისიც გავიგოთ
 ხვალ ჩვენი ძმები ვინ იქნებიან.
 კაცს ხომ არ კვებავს მხოლოდ წარსული, ჩვენი ამაყი,
 ცოდვილი სული,
 უნდა ვიცოდეთ ხვალე რას ელის, არ დარჩეს ერი ვადაგასული.

ოფსიტე

მე წარმოვადგენ სააბაზგიოს, ყველას აზრის თქმა მე დამეველა,
 რადგან სკეპარნა, მძიმედ დაჭრილი რომაელთაგან, გარდაიცვალა,
 აქ ყველამ იცის დიდი ხანია, აბაზგთა მთავრებს ზნე ასე სჭირდათ!,
 რასაც ლაზები გზას აირჩევდნენ, საპრისპირო მუდამ უღირდათ.
 ახლა დროება კვლავ შეიცვალა და აბაზგები ლაზებს ვემხრობით,
 ორივე ერთად რომთან ვმეგობრობთ,
 გული გვაქვს სავესე სპარსელთა მტრობით,

1. VI ს. დასაწყისში აბაზგელებმა ლაზიკის საპრისპირო პოლიტიკის წარმოება დაიწყეს. თუ ლაზები სპარსელებს მიემხრობოდნენ, ისინი ბიზანტიის მხარეს იჭერდნენ. როცა გუბაზ ლაზთა მეფე 549 წ. შეურიგდა იუსტინიანეს, სკეპარნა შაჰ ხოსროს მიუვიდა დახმარების სათხოვნად. ბოლოს სტრატეგოსმა ბესამ აბაზგების ჟღერით მიადწია მათ „მეგობრობას“.



მინდა იცოდეთ, დღეს თუ გადაწყდა
 და დაიჭირეთ სპარსეთის მხარე,
 ჩვენ ვერ მოგვყვებით, აღარ გვაქვს ღონე,
 დაცლილი არი ის არე-მარე.
 ეს გაგვიკეთეს რომაელებმა, ვიცით
 მტერს უნდა მტრულად შეხედო,
 მაგრამ იგივე მამულში გვიდგას, მძლავრს,
 დაუნდობელს როგორ შევბედოთ?
 გვიჯობს მეგობრად თავი ვაჩვენოთ,
 რომ სული ჩვენი არ შევაჩვენოთ,
 თორემ რად გვინდა აბაზგთა მხარე,
 თუკი დარჩება მხარე უჩვენოთ?
 და ამას გარდა, ერთი მომხდური, მეორე მომხდურს რითი სჯობია,
 მახვილს რომ ხედავთ, მკიღია წელზე,
 ორივე მტრისთვის დასაჭდობია,
 მაგრამ ხომ ვიცი, მახვილს თუ ვენდე, იქით ათასი აელვარდება,
 ვინაც გადავრჩით, დავილუპებით, სამოთხე ჩვენი გადაგვარდება.

ტერმები

რაც თქვა ოფისტემ, გავიმეორებ
 და გაგახსენებთ უახლეს წარსულს,
 ზოგისთვის ალბათ სულ უმნიშვნელოს,
 ზოგისთვის უკვე ვადა გადასულს.
 ჩვენ, აბუილები, სპარსელებს ვენდეთ, წიბილეს ციხე გავუნაწილეთ,
 თუ რამე გვქონდა, ფეხქვეშ გავუგეთ, თუ მოისურვეს,
 არ გავაწბილეთ,
 ვფიქრობდით იყვნენ ჩვენი დამცველნი,
 ჩვენი კაცობის კარგად გამგები,
 სუსტი ნუ ელი აქეთ შენდობას თუ ძლიერს იქით გადაეგები,
 იმათ კი ნაცვლად მეგობრობისა, დიაცებს უწყეს ამბორი, ხვევნა,
 აღშფოთდა ტომი, მახვილით ხელში დამცველს
 დაუწყა ტყვევნა და ღევნა,



მაშინ გამოჩნდა სპარსელთ ბუნება,
 გამჟღავნდა მათი განზრახულობა,
 დრო მოიხელთეს, არად ჩაადგეს, ამაყი კაცის კარდაცულობა.
 დღეს სპარსელი ფლობს წიბილეს ციხეს,
 მაგრამ ქვეყანა ისევ ჩვენია,
 ციხის გამოხსნა ჩვენი ვალია, ასეთი არი განაჩენია.
 თქვენ თუ სპარსეთის მხარეს გადახვალთ, ჩვენ გეზს არ შევცვლით,
 თქვენ დაგშორდებით,
 უთქვენოდ ყოფნაც გაგვიჭირდება,
 მაგრამ მომხდურებს არ დავნებდებით.
 როცა კენჭს უყრით, ჩვენი ეს აზრი, გულთან მიიღეთ, გაიზიარეთ,
 თუმცა ვერ გეტყვით ეს გადაწყვეტით,
 თქვენ თქვენი გზა გაქვთ, ისე იარეთ.

ფარსმანი

აბაზგთა თავი, აბშილთა თავი, რასაც ამბობენ, გასაგებია,
 მათი ცხოვრება ამას მოითხოვს, სიტყვაც ამაზე ანაგებია,
 ვრჩებით ლაზები. ნაწილის აზრი, აიეტმა თქვა დაუფარავად,
 ბევრის სათქმელი სათქმელი დარჩა, ჩემი სიტყვა მაქვს
 მეც თავის თავად.
 ფარტადის უნდა გული გაგვიხსნას, გვითხრას რა არი საკეთებელი,
 სიტყვა მიცვეთ და პატივი დავდოთ,
 სიბრძნეა მუდამ მისი მხლებელი.

ფარტადი

ჩვენ მოვისმინეთ მრავალი სიტყვა, ზოგი ეს ითქვა, ზოგი ის ითქვა,
 მჭერმეტყველება გამოვიჩინეთ, ზოგი შევაქეთ,
 ზოგს ვესროლეთ ქვა,
 მჭერმეტყველების ძალა ვინც იცის, იტყვის რომ იგი უძლეველია,
 ვინაც სათქმელი სიტყვას მოარგო, იმას სახელი არ დაელია,
 ლამაზი სიტყვაც წარმავალია, მთავარია ის, რაც გვავალია,
 რასაც შევიძლებთ, ის ალალია, დარჩენილი კი მომავალია.



მომავალია მიწყივ მთავარი, გზა ახარისხებს როგორ, რა არი,
 ყველაზე უფრო არი საზარი, მცდარად თუ სადმე მოგვექცა მხარი.
 ჩვენ შევიკრიბეთ არა იმიტომ, წვრილად განვსაჯოთ რა,

როგორ იყო,

მთავარი არი ვნახოთ შედეგი, ჩვენი ერთობა რატომ გაიყო,
 ის აბაზგია, ის არი ლაზი, ის უშნო არი, ის კი ლამაზი?

ასე მიდგომა მარცხს გაგვიმზადებს,

ერთობით უნდა გავავლოთ ხაზი.

დღეს ჩვენ ერთი გვაქვს სადარდებელი,

უნდა შევიძლოთ გავხადოთ ძველი,

ბედის ტრიალით დაყოფილებმა,

ერთობისათვის ხელს მოვცეთ ხელი,

რაც უკვე მოხდა, ეს ყველამ ვიცით,

რაზე დავიწყეთ თავიდან დავა,

ბრძენი გავლილ გზას უკან დატოვებს,

სულელი განვლილს ხელახლა გავა,

ჩვენ კარგად ვიცით, მეფის მკვლელობა,

ორი უგვანოს მოწყობილია,

ეს რომ კეისარს გადავებრალოთ, სულ ადვილია, ენა რბილია.

და ან ასე ვთქვათ რომაელები, რომელნიც ჩვენსავ მიწაზე დგანან,
 ყველა ერთგვარად დამნაშავეა,

ყველა გუბაზის მკვლელებსა ჰგვანან?

ამიტომ ვფიქრობ უპრიანი, განვსაჯოთ ვინ და რისი მგვანია,

ავი და კარგი თუ ვერ გავყავით, ერთად როგორი ასატანია?

და ამას გარდა, ჩვენ ყველამ ვიცით,

სპარსელნი რწმენას აგვიკრძალავენ,

ეკლესიებში ცეცხლს დაგვინთებენ, იქვე დაგვკლავენ,

არ დაგვკრძალავენ,

გუბაზე მეფე რომ იყოს ცოცხალი, თქვენ რასა ფიქრობთ

ჩვენ რას გვირჩევდა?

სასოწარკვეთას არ მივცემოდით,

ღრმად ჩაგვემარხა ბოლმა და სევდა.



მონები არ ვართ კოლხის შვილები, ბატონი ვცვალოთ
 და ჩვენც ვიცვალოთ,
 მამა-პაპური წესები დავთმოთ, უბედურება ვერ გადავძალოთ,
 მეფე მოგვიკლეს, უმეფობაა, ყველას კი ერთად გვინდა პატრონი,
 წათე მძევლად გვყავს, არავინა ვართ მისი მნახველი,
 სიტყვის გამგონი,
 სპარსელთ მივუდგეთ, რომაელები წათეს დათმობენ,
 დაგვიბრუნებენ?
 სპარსელნი ყველგან მეფობას სპობენ,
 ჩვენც უმეფობას გვაიძულებენ,
 მე თუ მთხოვთ რჩევას, ამას გირჩევდით,
 ერთი-მეორეს დავუდგეთ გვერდით,
 ერთად კეისარს შევატყობინოთ, რა როგორ მოხდა,
 რაზე შევჯერდით,
 მოვთხოვოთ მეფის მკვლელების დასჯა,
 ჩვენშიც ეს მოსპობს უთანხმოებას,
 წათე მოვითხოვოთ და გავამეფოთ,
 ჩვენ ეს მოგვიტანს ახალ დროებას.
 თუ კეისარი უარზე დადგა, ჩვენთვის იქნება იმის ნიშანი –
 მკვლელობა მისი თანხმობით მოხდა, გამომჟღავნდება მისი მიზანი,
 როცა ეს ყველა გვეცოდინება, შევცვალოთ გეზი, გვექნება ნება,
 სპარსელებს მაშინ დავუკავშირდეთ,
 რომაელთათვის გავხდეთ თავნება.
 ეს ჩემი აზრი სხვისას შეაჭდეთ, თუ მოგეწონათ, კენჭი უყარეთ,
 თავისუფალი კოლხის შვილები, ასეთად დავრჩეთ შინა თუ გარეთ.

/ისტორია მოგვითხრობს, რომ ფარტადის ნათქვამმა შეკრებილების
 აზრი შემოაბრუნა. გადაწყდა, კეისრისათვის მიემართათ, შეთქმულთა
 დასჯა და წათეს მეფედ დადგინება მოეთხოვათ.

იმპერატორმა იუსტინიანემ ბრძნულად განსაჯა: ლაზიკის დაკარგვას
 ორი, დაბალი რანგის მოხელის გაწირვა ამჯობინა.




სენატორ ათანასეს ხელმძღვანელობით მარტინესი და რუსტიკე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

წათე მეფედ იქნა დადგენილი. ეს დათმობაც იძულებითი და დროებითი იყო. წათეს შემდეგ დასავლეთ საქართველოში მეფობა მოსპეს, მემკვიდრეებს კი პატრიკიოსის ტიტული მიენიჭა. ასე გაგრძელდა, სანამ ლეონ II 788 წ. მეფობა არ აღადგინა, მაგრამ ეს უკვე იყო არა ლაზიკის, არა ეგრისის არამედ აფხაზეთის სამეფო./

ნათნე მარტუშის ძე

(1975-1988)





/უფლისციხე – 975 წ. სამეფო დარბაზში შეკრებილან აფხაზეთის მეფე გიორგის ასული, ქართველთა მეფე ბაგრატის ძე გურგენის მეუღლე, აფხაზეთის სამეფოს კუთვნილი ქართლის გამგებელ-დედოფალი გურანდუხტი; აფხაზეთის სამეფოს აბაზგია-სანიგეთის ერისთავი იოანე შავლიანი; იმიერ და ამიერ ტაოს მეფე-მფლობელის, დავით დიდი კურაპალატის მწიგნობარი და მრჩეველი მამა იორდანე; აფხაზეთის სამეფოს ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე./

დედოფალი გურანდუხტი

მარუშნიანო, არ შურიანო, გამგებო, ბრძენო ადამიანო,
 სამამულედ ხარ წამომართული, არც გინდა საქმე დაავიანო,
 მადლობელი ვარ თანადგომისთვის,
 დღეს ერთგულება მართლა ძნელია,
 მოვდევე, მოვტირი ამ წუთისოფელს, სადარდებელი არ დამელია.
 მაგრამ განსასჯელს ვიდრე განვსჯიდეთ, გული არ ითმენს და
 პასუხს ითხოვს ჩემი ბაგრატის მინდა ვიცოდე, როგორ,
 რასა იქს, მამაოს ვკითხო.



მამა იორღანე

ბატონიშვილი ჰასაკით მცირე, გონებით სავსე, ჯანით მაგარი,
 თუ ვინ გვყოლია გამორჩეული, მათი ფერაა და დასადარი,
 მეფე დავითი, ჩემი უფალი, ვისიც არ ვიცი მსგავსი
 და ტოლი ,
 შვილობილს წურთნის, კიდეც უფერებს,
 მაგრამ ცხოვრება არ აქვს იოლი.

დედოფალი გურანდუხტი

კი არ ვწუწუნებ, თავად მიხვდებით, როგორი არი,
 რომ დედამ შვილი
 კოცნით ნაზარდი, სხვას მიაშვილოს,
 ნახვას ნატრობდეს ხელებგაშლილი.

მამა იორღანე

შენ, დედოფალო, ამოდ დარღობ, შვილის მომავალს სტირი
 და ჰყვედრი,
 ვინ უნდა ჰპოვო მეფედ ნაშობი,
 რომ არ შეშურდეს ბაგრატის ხვედრი?

დედოფალი გურანდუხტი

მეცხედრის ბიძა, მამამთილია, ჩემი ბაგრატი, მისი ბაღიში
 ვიცით, პაპისგან ნაფერებია, ნაშვილები ჰყავს, არა მაქვს შიში,
 მაგრამ დედის გულს ეს ვერ აოკებს, თვალით ვერ ვხედავ,
 არ ესმის სმენას შემთხვევით ვინმე თუ რამეს მამცნობს,
 დასამშვიდებლად დახარჯავს ენას.
 ნეტა ვიცოდე ახლა სად არი, ვისთან იწრობა, ვისთან ერთობა
 ვინ უნდა გაყოს ან რამ წაშალოს,
 დედაშვილობის მტკიცე ერთობა.

მამა იორღანე

ჩემო ბატონო და ქალბატონო, პირჯვარს გადავიწერ,
 მრისხავდეს ხატი,



როგორ დავამცირო, ზურგს უკან ვლანძღო
 აღმოსავლეთის კურაპალატი¹,
 უფრო დიდ მფარველს, აღმზრდელს და პატრონს
 ვერავინ ნახავს, ბევრიც უნდოდეს,
 როგორ იქნება სხვასა ჩუქნილედ სიმდიდრეს,
 რაიც თავად არ გქონდეს?
 ოლთისში თუა ვინმე ნამყოფი, მოულოცია ბანა და მერე,
 ის ვერ გახდება თავგადაკლული, სხვათ მაქებარი და მოსიმღერე.
 უფლისწულ ბაგრატს ვინ გაუჭირვებს,
 ტაოს მფლობელი ჰყავს მამობილი,
 მის კარზე ყოფნას ყოველი ნატრობს,
 რომელიც მეფედ არი შობილი,
 ერისთავი ჰყავს, დიდი თორნიკე, მხედრობის საქმეს
 რომ აზიაროს,
 მეფობის საქმეს მეფესთან სწავლობს,
 სხვასთან ამისთვის რაზე იაროს.
 წერა-კითხვას და წიგნის გამართვას ჩემგან ეჩვევა, არ ეზარება,
 ეპისკოპოსი ლოცვანს უკითხავს, ზოგჯერ მასთანვე ეზიარება,
 ერისთავების, აზნაურების ტოლი ბიჭები მკლავს უსინჯავენ,
 ჯირითი, ბრძოლა თუ ისრის სროლა,
 ჯანსა თუ სიტყვას ერთადა ფქვავენ,
 თითქო ადრეა, მაგრამ რომ ვატყობ,
 დინარისაკენ თვალსაც აპარებს,
 თუმცა კი ცდილობს, რომ დამიმალოს,
 თვალეზზე ხელს ხომ ვერ ამათარებს?

1. ბიზანტიის კეისარი სხვა ქვეყნების მმართველებს დიდმოხელეთა წოდებებს (კურაპალატი, პატრიკიოსი, მაგისტროსი) ანიჭებდა და ცდილობდა გავლენის ქვეშ ყოლოდა. ქართველებში პირველად აშოტ დიდმა მიიღო კურაპალატის ტიტული (სასახლის მცველთა მეთაურს ნიშნავს). მის შემკვიდრებებში უფროსად ის ითვლებოდა, ვისაც კურაპალატის წოდება ამშვენებდა. ისე ყველა მათგანი თავს მეფედ გრძნობდა. ტაოს მხარის მეფე დავით დიდი იყო პირველი, რომელმაც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის კურაპალატობა მიიღო.



დედოფალი გურანდუხტი

რაც მოგვიყვები ყველა კარგია და არც მეგონა დავითი დიდი,
რაკი უფალმა ძე არ არგუნა, ტახტის მომავალს ვერ გასდო ხიდი,
შვილობილს სითბოს არ მიაგებდა, არ გახდებოდა სიკეთის მზიდი,
მაგრამ დინარი ვისია ქალი, რა აქვთ საერთო ან გასარიდი?

მაგა იორღანე

გულს ნუ დაუშვებ, ეს ისე გითხარ, დედა ხარ ყველა უნდა იცოდე,
ვაჟი გეზრდება თვალად-ტანადი, სიკეთით სავსე, არა შემცოდე.

დედოფალი გურანდუხტი

ვითომ წამოგცდა, მაგრამ ხომ ვიცი, ის რაც არა ღირს,
აქ არ იტყოდი,
შვილის წვრილმანიც დედის გულს ხვდება,
როცა ამბობდი კარგად იცოდე.

მაგა იორღანე

თუ ცოდნა გინდა, უნდა გაიგო, საგნის რაობა, ყველა წვრილმანი,
არ დამიმალავს, ამიტომაც ვთქვი, რაც შევამჩნიე ეს ბოლო ხანი,
დინარისაკენ თვალს გააპარებს, ეს მართალია, ხელს ვინ აფარებს.
ეს იმას ნიშნავს კაცად მაჭრდება, თუნდ აღრე იყოს,
გულს ეს ახარებს,
რატი ბაღვაში¹, მე რად აგისხნა, ერისთავია გამორჩეული.

1. ბაღვაშები თუ ბაღაშები – ლაზური წარმომავლობის გვარია. გამრავლებულნი, გაყოფილნი და სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებულნი. ბაღვაშებმა არგვეთის ერისთაობა მოიპოვეს. როცა ლეონ II, აფხაზთა მთავარმა, მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავა და თავი მეფედ გამოაცხადა, ლიპარიტ ბაღვაში ქართლს გადავიდა და თრიალეთში ახალი საერისთაო შექმნა. ბაღვაშებს ეკუთვნოდათ ატენის (საცივის), ვერეს, აზრატის, ბერეს, წდისის ციხეები, ცენტრით კლდეკარის ციხე-ქალაქში. განდიდებული კლდეკარის ერისთავი წარმატებით ერეოდა სამეფო-სამთავროთა (აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, კახეთ-ჰერეთის და თბილისის საამიროს) რთულ ურთიერთბრძოლაში პირველობისათვის.



თვითონ ამირა არაბებისა არა ერთხელ ჰყავს ომში ძლეული,
 ბაღვას ეკუთვნის მანგლისის ხევი, თრიალეთი
 და მასთან სკორეთი,
 ატენის ციხე, ტანის ხეობა, კლდეკარის ციხე კლდეთა ყორეთი,
 მისი ასული მეფესთან სტუმრობს, დედოფალს ართობს,
 იქვე იზრდება.

მძევალს ვერ ვიტყვი, გოგოს მძევლობამ,
 რითი შემატოს ტაოს დიდება?
 მაგრამ ერთია თვალში საცემი, რატომ აღუთქვა ასული კახელს.
 ქორეპისკოპოსს¹ თუ დაუმოყვრდა
 უცებ მიხვდება თვალს ვინც გაახელს,
 რა ხიფათია აფხაზთ მეფისთვის, ქართლს რა მოელის,
 არავინ იცის,
 ერთი ცხადია, ერთიც, მეორეც, მრავალჯერ არი გამტეხი ფიცის².
 ჰოდა, რატი რომ ერთგულად იყოს,
 კახთ ბატონებს არ დაუკავშირდეს
 დინარი, ოლთისს, დედოფალს სტუმრობს, სტუმრობა, ვფიქრობ,
 ამადა ღირდეს, ბაგრატს გოგონა მხრებამდე წვდება,
 მის დანახვაზე წითლდება, კრთება,
 არავინ იცის, რა მოაქვს ხვალეს, დღეს ვინ მარწმუნოს
 ზეგ რა მოხდება?

დედოფალი ბურანდუხტი

გასაგებია. ბაღვაშთა ჯიში, არ მოგვასვენებს ლხინში თუ ჭირში,
 აფხაზეთიდან გამოქცეულნი, მოსაკვეთია ეს გვარი ძირში,
 საერისთაოც ქართლის გულშია, აქეთ და იქით ნაწილებად ყოფს,

1. ქორეპისკოპოსი – ეწოდებოდა კახეთის სამთავროს მფლობელს, ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა მისცა სათავე ბრძოლას პირველობისთვის, როდესაც არავგი (საზღვარი იმ დროს) გადალახა და მდ. ქსნის ხეობა დაიკავა.
2. გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლთან (მტკვრის მარცხენა მხარე), კახეთიც დაიკავა და ჰერეთს შეუტია. კვირიკე ქორეპისკოპოსმა, ზავით, კახეთი დათმო. შემდეგ მოატყუა მეფე და კახეთი კვლავ დაიკავა.



მეფე-მთავართა წასისინებით ჭარბად იკრეფენ სახრავად სამყოფს,
ღირსეულ მამას მიტომ გავალეზ,

დიდ დავითს უთხრა ეს სათხოვარი,
ღინარი ერთხანს აქეთ მასტუმროს, აქ გავუჩინო თავშესაფარი,
ეტყოდე ჩემზე, ძმის სიკვდილს გლოვობს,

მწუხარეს ოდნავ მოეფინება,
ბაგრატს თუ გოგოს ჩამოვაცილებ მეფეს ეს აზრი რად ეწყინება?

მამა იორღანე

აფხაზეთს მეფის გარდაცვალება, ოლთისს გაიგეს, კიდევ
გლოვობენ ნათესავნია ბაგრატოვანთა,¹

ნათესაობით წუხილსა გრძნობენ,

1. ბაგრატოვანი, ბაგრატიონი – რეალურად ფარნავაზ მეფიდან იღებენ სათავეს. ფარნავაზმა კლარჯეთს ერისთავად ძე ბაგრატი დასვა. ბაგრატის ძე ბივრიტი იყო ბაგრატიონთა ღინასტიის ფუძემდებელი. მისი განაყოფა ბაგრატუნინი, ბაგრატუნი – სომეხთა მეფეები. გვარის დაწინაურება VI ს. იწყება, გურამ (გურგენ) ერისმთავრიდან. („ფარნავაზ შვა ბაგამ და ბაგრატი. ბაგრატ შვა ბივრიტი, ბივრიტ შვა ასპატი“... და ა. შ. მეორე წყარო ამბობს „ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა [აზო-ფარნავაზიანთა] შვილის შვილნი არიან“ და სხვა).

ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნა აშოტ დიდის მამა ადარნასემ დაიწყო და შვილმა განასრულა. 888 წ-ან ბაგრატიონები მეფის ტიტულს იძენენ. ორი წლით ადრე, აშოტ I ბაგრატუნი ხდება სომხეთში მეფე. შემდეგ მისი ძე სუმბატი მეფდება (891წ), ქართველი მეფის ადარნასე II ხელშეწყობით. აშოტ დიდი კურაპალატის მემკვიდრეებიდან ბაგრატი ხდება მომავალი საქართველოს მეფეთა უშუალო წინაპარი. ადარნასეს (უფროსი ძმის) შტო ადრე ჩამოცილდა მეფობისათვის ბრძოლის ასპარეზს. კიდევ უფრო ადრე შეწყდა უმცროსი ძმის გუარამ მამფალის ხაზი. მისი ძე ნასრი ბიძაშვილებთან ტერიტორიებისათვის დავას შეეწირა. საშუალო ძმის ბაგრატის ხაზი გაგრძელდა ასე: დავითი (876-881 წწ.) – ადარნასე ქართველთა მეფე (888-923 წწ.) – ადარნასეს ძეებმა; ბაგრატი (937-945 წწ) და სუმბატმა (954-958 წწ) საფუძველი მისცეს ბაგრატიონთა ტაოს (ცენტრი ოლთისი) და კლარჯეთის (ცენტრი არტანუჯი) შტოებს. ბაგრატის შემდეგ იყო ადარნასე (945-958 წწ) და შემდეგ დავით დიდი კურაპალატი. სუმბატის შტომ მოგვცა ბაგრატი (937-994 წწ) რეგულენად წოდებული, მისი ძე გურგენ მეფეთა მეფე და მისი ძე ბაგრატ III, საქართველოს გამაერთიანებელი.



მარუშისძემ რომ აქეთ მიწვია, პირადად მეფემ მომცა თანხმობა, სამხიმარს ვამბობ, სამხიმარის სიტყვით ვერ გაქარვდება მტანჯველი გრძნობა მაგრამ გულს მაინც მოეფონება,

ასეთი არი კაცის გონება.

წავალ და მერე მეფეს გადავცემ, რასაც იტყვით და გამეგონება.

იონანი შავლიანი

ქართლის ერისთავს რაღაც აქვს აზრად,

ქუთათისიდან¹ მიტომ მაწვია,

1. ქუთათისიდან – ეს ქალაქი გახდა აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი, მას შემდეგ, რაც ლეონ II აფხაზეთის მთავარმა ლიხის მთამდე გადმოიწია საზღვარი და თავი მეფედ გამოაცხადა.

ლაზიკაში (ეგრისში) მეფობის გაუქმების შემდეგ, მეფე გუბაზის მემკვიდრეებს პატრიკიოსის წოდებას ანიჭებს ბიზანტიის კეისარი. პატრიკიოსის უფლება ვრცელდება მდ. კელასურამდე. ჩრდილოეთი აფხაზეთი VI ს-ან ბიზანტიის უშუალო გავლენის სფერო იყო.

არაბთა შემოსევებმა მთელ აფხაზეთს უწიეს. ბიზანტიის ხელშეწყობით არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანდებიან ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი (მისი ვაჟები მირი და არჩილი) და პატრიკიოსთა შთამომავალი, აფხაზეთის მთავარი ლეონი. მათ საერთო ძალით არაბები დასავლეთ საქართველოდან განდევნეს. ბიზანტიის კეისარმა მირი და არჩილი ცნო მეფეებად და გვირგვინები გამოუფხავა. ლეონს მეფეთა მორჩილება მოსთხოვა და მდ. კელასურის ჩრდილოეთი აფხაზეთის მთავრად აღიარა.

მეფე მირის ასული გურანდუხტი ლეონის მეუღლე ხდება და რამდენადაც სხვა მემკვიდრე არაა, მეფობის პრეტენზიას, მირის შემდეგ: ლეონი აცხადებს. არჩილ მეფის მემკვიდრეების დაღუპვის შემდეგ ლაზიკაში და ქართ-ში ეთადერთი კანონიერი პრეტენდენტი მეფობისა ლეონის ძმისშვილი ლეონ II-ეა. ლეონ II ისარგებლა იმით, რომ მისი ძმა და მემკვიდრე თეოდოსი აშოტ კურაპალატის სიძეა და ამიტომ ბუნებრივი მოკავშირე, გადალახა სამთავროს საზღვრები ლიხის მთამდე, დააარსა აფხაზეთის სამეფო და თავი მეფედ გამოაცხადა. ამავე დროს აფხაზეთის ეკლესია ჩამოცილდა ბერძნულ ეპარქიას და მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა.

აფხაზეთის სამეფოს დაარსებით დაედო საფუძველი ტაო-კლარჯეთთან დაახლოებას, რაც პირველობისათვის ბრძოლას არ გამოორიცხავდა. ასე, მაგალითად 904წ. აფხაზეთის მეფე კონსტანტინემ ქართლი დაიკავა. მას წინ აღუდგა სომეხთა მეფე სუმბატი. სუმბატს მიუდგა ქართველთა მეფე ადარნასე, თუმცა კონსტანტინე მისი სიძე იყო.



მეფის ერთგული, მის დას ვაცილებ, შავი თალხები მიტომ მაცვია,
 ახლა გავიგე, შენც ოლთისიდან იოანესგან ხარ მოწვეული,
 ერთად შეგვყარა, იმასა ნიშნავს, რაღაცა დიდი აქვს მოწეული,
 გვითხარი მაინც, რაღაზე გვტანჯავ,

ფართოდ გახსენი ფიქრის კარები.
 თუ მამულს არგებს, შენთან გვიგულე,
 დავრჩეთ ერთობით განახარები.

მამა იორღანე

მე თითქმის ვხვდები, რაა სამსჯავრო
 და მოლოდინით თოვლივით ვდნები,
 უნდა გავიგო, მეფეს მოვუყვე, მისგან ასევე მაქვს ნაბრძანები.

დედოფალი ბურანდუხტი

დიდებულებო, არა ლხენისთვის,
 გინდ სამძიმრისთვის დავთქვი შეხვედრა,
 იოანეს ვარ შეპირებული, რათა ხანია, ამას მევედრა,
 ამიტომ მოხდა, როცა დემეტრე, აფხაზთა მეფე, გარდაიცვალა,
 დიდ ხანს არ დავრჩი, აქეთ ვიჩქარე,
 საქმემ გლოვაც კი არ დამაცალა,
 შენც თან გაიხლე, რადგან აფხაზეთს,
 არავინა მყავს შენზე ერთგული,
 ახლა ვიმსჯელოთ, დაუფარავად, გადმოვალაგოთ აზრი ფარული.

იონანე მარუშისძე

ამ ქვეყნად დედამ მიტომ დაგვბადა, ძუძუ გვაწოვა,
 კაცად გაგვხადა,
 უძილოდ ღამე მიტომ გვითია, თბილი ჩაგვაცვა, სველი გაგვხადა.
 ფეხ ადგმულები მიწას მიგვანდო, სამშობლო არქვა და შეგვაყვარა.
 მამულმა მიტომ გაგვიხსნა გული, ყველა სიკეთე შემოგვაყარა,
 ზეცა იმიტომ დაგვცქერის შვილებს,
 ლოცვით მისკენვე ხლებაწვდილებს



გზას გაგვინათებს, ხიფათს გვარიღებს, საღ დაგვაცხუნებს,
 იქ გაგვამგრილებს,
 რომ კარგად ვიგრძნოთ ვისი ვართ შვილი, რითი ნაკვები,
 რისი ნაწილი,
 რომ გავიაზროთ რა გვაწევს ვალი,
 რატომ მიგვიღოს ჯაფით დაღლილი,
 რომ ვიდრე ძალგვიძს ვალი ვიხადოთ,
 ჯაჭვის პერანგი არ გავიხადოთ,
 ერთობით ვხნათ და ერთობით ვთესაოთ, დავიცვათ,
 რომი გადავიხადოთ.
 ჩვენ კი რას ვჩადით, ვის ვემუქრებით, ვის ვუქნევთ მახვილს,
 ვედიდგულებით,
 საწილეს ვართმევთ, ვეპატრონებით, სიცოცხლეს ვტაცებთ,
 ვავსებთ წყლულებით,
 თუ შინაღამი არი გართობა, მიმოვიხედოთ, გარს მტრების წყობა
 ჩვენ დასაქცევად მომართულია, არ დაჭირდებათ ჩვენგან მოხმობა,
 თურქობა მოდის, ნუთუ ვერ ხვდებით,
 ჩვენზე ნებით დაცლილი გზებით,
 აქეთ ოსები, იქით სომხები, ხანჯლებს ლესავენ ეშხით და გზნებით,
 კიდევ რამდენი ჩასაფრებულნი, გვზომავს
 და გვწონის მუშტრული თვალით,
 ჩვენ რა გვიშველის ან ვინ გვიშველის,
 თუ არ გავმარდით ერთობის ძალით,
 გვინდა, არ გვინდა, უნდა გავიგოთ,
 მოზობელმა კაცად მიტომ გავგხადა,
 დედა იმიტომ ვუწოდეთ მიწას, რომ მისთვის ვალი გადაგვეხადა.

მამა იორღანე

ასე ნათქვამი სასაყვედურო, რამდენიც გინდა აქ იხმაურო,
 ტაოს ნაშობებს არ შეგვეხება, არც გაიფიქრო და დაგვემდურო,
 აბა იაზრე, დავითი დიდი, ვინც გაამყარა ერთობის ხიდი,
 სამეფოს იცავს და აფართოებს, რომ თქვენიც იყოს თავშესახიდი.



ვანის ტბის ირგვლივ და იმას იქით, მტრებს მიწებს ართმევს,
 ჩვენებს ასახლებს,
 მისი ხმლის ძალით შეშინებული,
 მომხდური დამხდურს ხელსაც ვერ ახლებს,
 ქართლს რომ პატრონობს, სომხეთსაც იცავს,
 ბაგრატიუნებიც ჩვენია ჯიში.
 ერთად ასახლებს ქართველს და სომეხს
 და არც ეშლება რამ ანგარიში,
 იქით რომ იბრძვის, აქეთას იცავს, აქეთ ხმალი არ მოუქნევია,
 კახეთს და ჰერეთს, ქართლს და აფხაზეთს
 მისგან დარტყმა ხომ არ უწვენევია,
 სასაყვედურო მაშინ ჩვენ რა გვაქვს,
 ჩვენ ჩვენი ვიცით წოდა და ვალი,
 მხარში ვერავინ ამოგვიდგება,
 არცა გვჭირდება ფუჟად თვალთვალი.

იოანე შავლიანი

იორდანემ თქვა ჩემი სათქმელი, ერთბაშად მოჭრა,
 რაც იყო ძნელი,
 ერთიანობას თუ ვინმე თესავს, ყვლგან იგრძნობა აფხაზთა ხელი.
 იმას არ ვიტყვი, იყო ადვილი გაფანტულ ტომთა ერთად შეკრება,
 ყველა გვარს ჰყავდა თავისი მეფე, იყო ამაყი და უკარება,
 გუბაზის შემდეგ და წათეს შემდეგ, როცა მეფენი დააქვეითეს,
 სამეფო დასცეს, დაანაწილეს, ბიზანტიელთა თავს ცოდვა იდეს,
 კლისურას გასწვრივ ყორე აღმართეს,
 სამეფო გასცეს ნაწილ-ნაწილად,
 ვინ იაზრებდა, შემდეგ არაბნი,
 რომ აგვიგდებდნენ ერთად საცინლად.
 მისიმიანნი და აბსილები, აბაზგ, სანიგებს არაფრად გვთვლიდნენ,
 იქით ჯიქები შემოგვისიეს, ჩვენ მოთმინებას წლობითა ცდიდნენ,
 ორჯერ გაწყვიტეს აბაზგთა მოდგმა,
 აღარ დატოვეს კაცი თუ ქალი.



კლისურას იქით დარჩენილები, ვიყვავით კაცთა გამონაცვალი ერისთავები, შავლიანები, ამალღებულნი გორგასლის მიერ მომხდურთა ძლევას ვერ ვახერხებდით.

არც ვასვენებდით მშვიდად წამიერ ქართლის მთავარი, თავის ვაჟებით, მათთან ლაზიკის პატრიკიოსი მეფე გუბაზის ჩამომავალი, მიმტოვებელი თავის სამწყსოსი, საერისთაოს შემოეხიზნენ, ნათესაურად მივეცით მხარი. ერთიან ძალით დავცხვით არაბებს,

ლიხს გადავრეკეთ მტერი საზარი, მადლობის ნაცვლად პატრიკიოსი აფხაზეთს მთავრად წამოგვეჭიმა, შავლიანები არად ჩაგვაგდო, ხარკი დაგვადო და დაგვიმძიმა. ძალა აღმართს ხნავს, ვარქვით მთავარი

და სამსახური კისერზე ვიდეთ. მათ სამსახურში, გვარის შვილები, ერისთაობას ჩამოვეკიდეთ, შეუპოვრობის და თავდადების, სამეფოს შექმნა, იყო შედეგი, შემოვიერთეთ ჭიქეთ, ჭანეთი, ქართლი, კახეთი იყო შემდეგი. ჯერ ბაგრატი მეფემ¹ იბრძოლა მედგრად,

შემდეგ მისმა ძემ² ქართლი აიღო, ჰერეთს უწია, ვეჟინ, არიშის, გავაზის ციხის კარი გაიღო, მისი ძე იყო გიორგი³ მეფე, ჩვენი დედოფლის მამა-მშობელი, აფხაზთა მეფე, ქართლის, კახეთის, მაერთებელი, მანათობელი. აქ იოანე გულით ამბობდა, მართალს იტყოდა და არა მცდარად, ერთობა გვინდა ყველა სამეფოს, თუ გადავრჩებით,

მხოლოდ ამგვარად.

იოანე მარუშისძე

კაცს თუ წარსული ეამაყება და ღლეგანდელზე ნაკლებად ზრუნავს,

1. ბაგრატი აფხაზთა მეფე (861-873 წწ) გუარამ მამფალის სიძე.
2. კონსტანტინე აფხაზთა მეფე (873-912 წწ), ქართველთა მეფე ადარნასეს (888-923 წწ) სიძე.
3. გიორგი მეფე (912-957 წწ).



ნიშნავს, მომავალს საფუძველს აცლის,
 როგორც წარსული ფუჭადა ბრუნავს.
 ის, რაც აქ ითქვა და უფრო მეტი, ვინ რა აკეთა,

მეც კარგად ვიცი,
 მთავარი არი დღეს რას მივალწევ, რითი გავხდები ხვალ დასაფიცო.
 ყოველი მხარე თავისას აქებს,საძრახისს მალავს და ერიდება,
 კაცი ჭირს მალავს, მაგრამ მალული არ იკარგება, ასედაც ხდება –
 ხომ დიდი იყო მეფე გიორგი, ჭიქეთ-კახეთი დაიმორჩილა,
 მაგრამ ვერ მოსპო შური, . ღალატი,

შვილის ამბოხიც ვერ აიცილა.
 პატიებას ვთხოვ მე ჩემ დედოფალს,

მის ნათესავეებს სიტყვით ვეხები,
 ძე-ზე არ ვამბობ პატარისათვის დამიკოცნია ბევრჯერ ვეხები,
 მაგრამ მეცხედრე მისი, გურგენი და მამამთილი ბაგრატი დიდი
 მეფობის გამო ერთმანეთს კბენენ, სამეფო როგორ იქნება მშვიდი.
 ნაცვლად იმისა არაბთ ამირას, თბილის ქალაქი დაათმობინონ,
 იმას ცდილობენ ერთ-ურთს წაგლიჯონ, დაკარგეს?

ჯიბრზე რომ აზღვევინონ,
 რატი ბაღვაში ჰყავთ შუამავლად და სათავისოდ ყოველი ზრუნავს.
 ხან არი ასე, ხან არი ისე, გაურკვევლობა გლახობას თრგუნავს.
 ქართლის ნაწილი აფხაზეთია, დღეს დედოფალი კიდევ განაგებს,
 აბაზასძენი, ტბელნი, ძამელნი მიწყვ ანგრევენ მისგან ანაგებს.
 უფრო მწარესაც გაგახსენებდით, არა იმიტომ, მოგიკლათ გული,
 ქვეყნის გულისთვის, ქვეყნის გამგებელს,

პირში სიმართლეს ეტყვის ერთგული.
 შენ შავლიანო ქუთათისიდან, ქართლს დედოფალი გამოაცილე
 იქ ვინ დაკრძალე, ვინ გაამეფე, შავი ფიქრები თუ აიცილე?
 გიორგის შემდეგ, ლეონის შემდეგ,¹

ტახტზე დემეტრე? როცა ავიდა,

1. ლეონი მეფობდას 957-967 წწ.
 2. დემეტრე მეფობდა 967-975 წწ.



შური და ბრძოლა, გაუტანლობა, არ დაწყებულა განა თავიდან?
 დემეტრე მეფეს ძმა აუჯანყდა, ისიც მეფობის იყო მდომელი,
 ნებით დაეთმო სამეფო ტახტი, ამ ქვეყანაზე იყო რომელი?
 თეოდოსს¹ სძლია ტახტზე მჯდომელმა,

აოტა სოფლის გახადა გზირი,
 ძმამ თუ ძმას სძლია სისხლი აღინა, რომელი არი ამაში გმირი?
 ძმისგან დევნილი, მიუსაფარი, ძამელ აზნაურს ეფარებოდა,
 დამორჩილებას სულ არ ფიქრობდა, მეფობას მაინც ეპირებოდა,
 როცა ძამიდან დევნა დემეტრემ, ტაოს წავიდა, რომ დავით დიდი
 შემწედ ენახა და მისი ძალით აფხაზეთისკენ გაედო ხიდი.
 არ გამოვიდა. კურაპალატი არ აჰყვა ძმათა ბოროტ ცთუნებას,
 მაშინ ლტოლვილი კახეთს გადავიდა, შეუთანხმდა კვირიკეს ნებას,
 დემეტრე მეფეს სხვა გზა არ დარჩა,

სთხოვა თეოდოსს შერიგებოდა
 სვეტიცხოველში ფიციც კი დადო,

თუმცა იცოდა რაც მოხდებოდა,
 დაიყოლია დიდებულები და თეოდოსი თან წაიყვანა
 ძმის ურჩობისთვის იძია შური, თვალები დასწვა, არ დაახანა,
 ახლა, როდესაც დემეტრეს სული, შენდობას ითხოვს,
 ზეცაში ბრუნავს

უსინათლო ძმა, ტახტზე ასული,
 გამოასწორებს იმ ძმის საზრუნავს?
 მტკივნეულია რაც მოგახსენეთ და უფრო მწარე კიდევ ითქმება,
 თუ გონს არ მოვალთ, არ შევერთდებით,

სხვა უარესი ხვალე იქნება.
 მიტომ მინდოდა თქვენთან შეხვედრა,
 ზოგი რამ მწარე მიტომ არ ვმალე
 უნდა განვსაჯოთ, უნდა შევთანხმდეთ, არ გამეორდეს სიავე ხვალე

იონაე შავლიანი

ვიცი, რაც ითქვა, იყო სიმართლე,
 მაგრამ ლალატი მართო ჩვენ ვთესეთ?

1. თეოდოსი მეფობდა 975-978 წწ.



ქართს ერისთავთა და დიდებულთა ეს დაამკვიდრეთ და დააწესეთ, დიდი აშოტი კურაპალატის შვილებს

თუ ჰქონდათ მიწვივ მშვიდობა

შვილთა შვილებმა გადაივიწყეს

და აღარ სურდათ ერთ-ერთის ძმობა.

ასი წლის წინათ ძე ბაგრატისა, დავით მეფე და კურაპალატი¹, ძეს მამფალისას გადაეკიდა, გადაამსხვრია ერთობის ხატი, ნასრამ, მემკვიდრემ გუარამ მეფის,

ხუთი წლის შემდეგ დავითს უყვლა, ძმათა შვილებმა სისხლი დაღვარეს, როგორ, რა მოხდა,

ვიცი სულ ყველა

გნებავს კახელნი, მეფე გიორგიმ,

აფხაზთა მეფემ კახელს რომ სძლია

დამარცხებულ ძმას, ძმამ უღალატა, მტერს მიეხლა და შეაძლია უჯარმის ციხე მიუღდომელი. შურტა² ძმის ტახტის იყო მდომელი

1. აშოტ კურაპალატის საშუალო ძე ბაგრატი ძმებმა გვარის უფროსად და კურაპალატად აღიარეს. უმცროსმა გუარამ მამფალმა არაბებისაგან გაათავისუფლა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, არტაანი და სამფლობელო გაიფართოვა. არგვეთიდან ქართლს გადასული ლიპარიტ ბაღაში თრიალეთს (გუარამის მამულში) დაუფუძნა, მაგრამ პატრონად გუარამი კი არა, ბაგრატის ძე დავითი აღიარა. ამის გამო დავითი და ნასრი გუარამის ძე 876 წ. წაეკიდნენ. 881 წ. კი ნასრმა მოხერხებით მიიტყუა ბიძაშვილი დავითი და მოკლა. (ისტორია ამბობს, რომ გუარამ მამფალს მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია). შუილი იმით დამთავრდა, რომ 888წ. ბრძოლაში დაუპირისპირდნენ მოკლულის ძე აღარნასე (შემდეგში ტალ-კლარჯეთის მეფე „ქართველთა მეფის“ წოდებით) მოკავშირეებით და ნასრი „აფხაზთა მეფე ბაგრატის (დის ქმარის) და ოსების ჯარებით. ასპინძასთან ომში ნასრი და ოსების ბელადი ბაყათარი იქნენ მოკლულნი. ბაგრატიონთა ეს შტო შეწყდა, მათი მამულები დავითის მემკვიდრეებმა გაინაწილეს.

2. შურტა – კვირიკე ქორეპისკოპოსის ძმა. როდესაც აფხაზთა მეფე გიორგის გარდაბნელი აზნაურები განუდგნენ, მშველელად ქორეპისკოპოსი იგულუვეს. გიორგი მეფემ დაამარცხა განდგომილები. უკან გაბრუნებულს ატენში ეახლა კვირიკეს ძმა შურტა, ერთგულება შეფიცა და უჯარმის ციხე გადასცა. იმ ბრძოლების დროს აფხაზთა მეფეს დიდი წინააღმდეგობა ლოწობნის ციხის პატრონმა იონე არშისტემ გაუწია. მისი ძმა ხახუა კი მარანის ციხეში იყო გამაგრებული, მეფემ ხახუა დაიჭირა და მის კუთვნილ ჯიქეთის მხარეს ტყვედ წაიყვანა.



ჩვენზე რომ ამბობ, არი მართალი,
თქვენში მართალი არი რომელი?

დედოფალი ბუხანდუხტი

გული მტკივა და ცრემლი მადგება,
როდესაც ვისმენ ამდაგვარ ამბავს
თუ გავაგრძელებთ, არ დამთავრდება,
ცუდს უარესსაც ბევრი მიიბავეს
ამიტომ გვიჯობს გრძნობას არ ავყვეთ, დღეის ხატება გავითავისოთ
კარგი რამდენად მეტი ყოფილა, ამ მოგონებით გული ავივსოთ

მამა იორღანე

მწარედ მენიშნა რაც თქვეს დავითზე,
განა მან იწყო ნასართან კირთება?
სანთელი განა ყველას ამართლებს ეკლესიაში რაც კი ინთება
დავითი შტოა ტაოელების, მიტომ ნათქვამი გულზე მედება
ან რა წესია მოპარულ ქოთნის, სხვის განჩინაში ჩუმად შედება
განა დავითმა დაიწყო ქიშპი, ნასრის მამულთა მიმტაცებელი
ლიპარიტ ბალვაშს რაზე არ ჰკითხა,
რატომ არ გახდა მისი მხლებელი?
და საერთოდაც, ბალვაშთა გვარი, მეფეთა შორის შურის მოთავე
ბაგრატიონებს ეყმის და ებრძვის, წამგლეჯია და მიწის მოდავე
ახლაც ასეა, თუ დედოფალი აფხაზთა ძალით აქეთ განაგებს
მისი მეცხედრე კლარჯეთში მყოფი,
გვერდს ვერ აუვლის რატის ანაგებს
ორ მამულს შორის, რატის მამული,
როგორც გამყოფი გახიდულია
მისგან მალულად ნაბიჯს ვერ გასდგავ,
ზრახვა წინასწარ გაყიდულია

იონანე მარუშისძე

შენ მიადექი უმთავრეს სათქმელს,
მეც გამოვალე ნაფიქრის სარკმელს



თქვენ გულს მივაწვდი გრძნობათა საჭმელს,
 და თქვენ გონებას ავუხსნი საქნელს
 ვისაც ვეძახდით კოლხეთს და იბერს, დაშლილია და დაფანტულია
 ნაწილი მთელობს და ნაწილდება, დანაწილება ქვეყნის წყლულია
 ჰერეთი ფიქრობს სხვებს გაეყაროს,

ცალკე იმდეროს ჰერი და ჰერი
 კახეთს ჰგონია ყველას აჭარბებს, არაგინაა მისი საფერი
 ქართლი ათასად დაყოფილია, მიტომ გამხდარა სხვათა საცილე
 ზევით ოსები, ქვევით სომხები, მიუზომიათ თავის საწილე
 თბილისი იყო დედაქალაქი, დედას ამირა გაგვიჩნდა მამად
 ტაოდან წანარს თუ გადასძახებ, პასუხს მიიღებ ჟამიდან ჟამად
 რამდენი არი ქართლში ნაწილი, ცალკე სამეფოდ გამზადებული
 ერთი-მეორის აზრი არ ესმით და ერთი გრძნობით

არ თბება გული
 დღეს ვიღას ახსოვს ხალიბთა ბედი, ლაზნი, ჭანნი და ჰენიოხები
 სანიგთ მიწები უპყრიათ ზიქებს, ვერც რამეს ეტყვი და შეეჩები
 სანამ ნაწილი თავისთვის მთელობს

და მთელი ცდილობს დანაწილებას
 მტრები მომდგარნი წასალეკავად, არ წყვეტენ ძარცვას

და შეცილებას
 ჩვენ რა გვიშველის ერთობის გარდა, ძალა ყოველთვის ერთობაშია
 ნუ გეგონებათ მისი მიღწევა ლხინი, გართობა და თამაშია
 უნდა შევიძლოთ შევაჯლოთ აზრი,

უნდა გულები ერთად ფეთქავდეს
 ერთიან ძალით ამონასუნთქი,

უცებ ავარდნილ ქარიშხალს ჰგავდეს
 დამდგარა ჟამი მიზნის მიღწევის, აღვზდგეთ არ იყოს მერე გვიანი
 მცონარე ამინდს დაელოდება, მებრძოლს ექნება დილა მზიანი

იოანე ზავლიანი

არავინ დაობს, წალეკვისაგან, თუ გადაგვარჩენს ერთობის ძალა
 გიორგი მეფემ კახეთ, ჰერეთი მიტომ დალაშქრა, მიტომ იძალა



ახლა ვინღა გვეყავს იმისი მსგავსი,
 რომ ერთობაზე გული სტკიოვდეს
 მისთვის იბრძოდეს, იტანჯებოდეს, და მზეც თანაბრად ამოდინოდეს
 ერთობის ძალა არი ოცნება, გნებავს, მიზანი მიულწვევლი
 სამკვდროდ ცალ-ცალკე წაიკიდებულთა,
 ერთად შემკრები არი რომელი?

მამა იორღანე

ასე რად ჰყვები, მეფე დავითი, ყველა მეფეზე არაა მეტი?
 სამხრეთის ბედი და მომავალი არაა მისი გადასაწყვეტი?
 გიორგის ამბობ, გიორგი იყო. აფხაზეთს მსგავსი არ ეყოლება
 თეოდოს, ნათელ დაბნელებული, დავითს საიდან მიეტოლება
 შენ ის იფიქრე. ერისთავები, აზნაურები აიშლებიან
 ძმას არ ინდობენ მიწის გულისთვის და უსინათლოს დანებდებიან?
 ერთი იმედი არი დავითი, აღმოსავლეთის კურაპალატი
 მისკენ მივმართოთ ჩვენი მცდელობა, გავაღმერთოთ
 და გავხადოთ ხატი

დედოფალი ბურანდუხტი

ჩვენ ვერ ვთანხმდებით, დავას არა ვწყვეტო,
 ყველას თავისი სხვას ურჩევია
 ასე აღზრდილა ქვეყნად ყოველი, ბუნებას ასე დაუჩვევია
 მაგრამ ერთია, მარუშიანმა, ერთგულელებსთან ვინც არი ბრძენი
 ნათლად გაუწყათ, თუ ჰკვას არ მიხვალთ,
 ეგებ აგინოთ ქვეყნად გამჩენი
 არაბთა ნაცვლად თურქობა მოდის დაუნდობელი და ტომმრავალი
 მტრების რისხვისგან თავდასაცავად ერთობა არი გამოსავალი
 ერთობა გვინდა, როგორ მივალწვეთ?
 წვრილად მოგიხრობთ მარუშიანი
 ეგება შევძლოთ ბრძენის გაგება და არ იქნება გარჯა გვიანი

იოანე მარუშისძე

ჩვენ ბევრი რამ ვთქვით იქით და აქეთ, ზოგი გაკვილეთ
 და ზოგი ვაქეთ



სხვის მამულებში გავინადირეთ,
 მტკვრის წყალში ვრეცხეთ, ტალახში ვჭაქეთ,
 მაგრამ მთავარი არ გავიხსენეთ,

და არც მომავლის გზები დავსახეთ.
 ეს იმას ნიშნავს, რიყს მიველით და რიყის ქვები ვერ დავინახეთ,
 ახლა მე გეტყვით, ვართ უფლისციხეს,

უფლისციხე კი ქართლის გულია.
 აფხაზთა მეფეს ეკუთვნის იგი, მაგრამ მისთვისაც დაკარგულია,
 რადგან თეოდოსს არ ძალუძს შველა,

ლიხს იმიერი აქვს მოსავლელი,
 უსინათლო და უშვილო მეფემ,

როგორ მოიღოს საშველად ხელი?
 თუ ასე დარჩა, ვინ ჰყავს მემკვიდრე, უმეფოდ ტახტი კი არ ეგება
 აიშლებიან ერისთავები, ქვეყანა მათ შულლს გადაეგება,
 მეორე მხარეს ტაო-კლარჯეთი და მისი მეფე დავითი დიდი
 ქართველ-სომეხთა მძლავრი იმედი., მაგრამ უნდა ვთქვა,

რა მაქვს სარიდი
 უძეო არი დიადი მეფე, უძეომ ტახტი ვის დაუტოვოს?
 ხვალ რა მოხდება ტაოს მხარეში, რომ მიიცვალოს და მიატოვოს?
 ჭკვიანმა მეფემ მიტომ იზრუნა, ბაგრატი ზარდა, კიდეც იშვილა,
 მრავალ სამეფოს შემკრები ძალა, პატარა ბიჭში, მეფემ იხილა,
 აბა შეხედეთ, ადრე თუ გვიან, ვაჟი იზრდება, დავაჟკაცდება,
 მეფობის ასაკს როცა მიაღწევს, არავინ უწყის იქ რა მოხდება,
 ბაგრატი არი ტაოს მემკვიდრე, რასაც დავითის ჰქვია მამული.
 დროის ამბავი არი შედეგი, არა ფარული ან დამალული,
 ტაოდან აქეთ ბაგრატი მეფეა ჯერ კიდეც შემძლე და ჭანიანი,
 რამდენს იმეფებს, არავინ იცის, შარიანია და ეჭვიანი,
 ბარგატი არი ბაგრატის პაპა და სხვა მემკვიდრე არავინა ჩანს,
 სწორედ ესაა ამოსავალი, და თუ დამაცლით კიდეც ცოტა ხანს,
 მე მეტსაც გეტყვით. თუ ორ სამეფოს კანონიერი არი მემკვიდრე,
 მამა სამეფოს ვის დაუტოვებს?

თუნდაც იმეფოს იცოცხლებს ვიდრე.



ბაგრატის ძეა მეფე გურგენი, მამა-შვილს მოსდევს მწარი –
 ერთობა
 გურგენი ზრუნავს ორთავ მამულზე, იცავს და იბრძვის,
 განა ერთობა.

დღეს ეს ასეა. რა მიაქვს ხვალეს? ხვალე გურგენის ძისა იქნება,
 სამივ სამეფოს ერთი მემკვიდრე, სამგანვე მეფედ გარდაიქმნება.
 ხელავთ? ცხოვრებამ განსაზღვრა ისე,

რომ მტკვრის ქვევიდან ქართველთა მხარე,
 მემკვიდრეობის წესის მიხედვით, ერთის გახდება, გულგასახარე.
 მაგრამ მტკვრის აქეთ? აქეთ ვისია? დედოფალია მისი გამგები,
 ესაა კვანძი ერთობის გზაზე, თუ ვინმე არი ამის გამგები.
 დედის მამული შვილს ეკუთვნოდეს, განა ეს აზრი საკვირველია?
 მშობლის სიცოცხლე შვილში გრძელდება,

თუ მშობელს შვილი არ დაელია,
 გურანდუხტს ვინ ჰყავს ბაგრატის გარდა,

რომ დაულოცოს გზა მომავლისა,
 ბაგრატს დარჩება მისი მამული და თუ ექნება თავი მოვლისა
 მაშინ გამოდის, ტაოდან აქეთ, ქართველ მეფეთა ყველა მიწები,
 ერთ მეფის ხელში ერთიანდება, ერთისა ხდება დასაფიცები.

ახლა შეეხედოთ სხვაგვარი თვალთ. ქართლის ეს მხარე აფხაზეთია,
 კახეთ-ჰერეთსაც უწევს სამეფო, ამერია თუ იმერეთია,

ამ აფხაზეთში თეოდოს მეფე, არი უძეო, მიუსაფარი,
 დედოფლის გარდა, მთელ სამეფოში, მისი მემკვიდრე არავინ არი,
 თუ დედოფალი არი მემკვიდრე, მისი მემკვიდრე რალა გამოდის?

ბაგრატს ეკუთვნის ბოლოს მეფობა, იმედის სხივი მისით ამოდის,
 მოლი შევკრიფოთ ჩვენი აზრები, ერთ-ერთ შეეხედოთ,

გავშალოთ მხრები,
 ტაოდან აქეთ ჯიქეთის ჩათვლით, კიდიდან კიდე,

მთები თუ ზვრები,
 ერთ მეფის ხელში ერთიანდება

და ერთის ძალას იგრძნობენ მტრები.



თუ ერთი მეფის გვერდით ვიქნებით,
 ერთობის ზრუნვით თუკი დავშრებით,
 თქვენ ახლა მეტყვით თბილის ქალაქი, არაბთ ამირას ემორჩილება,
 კახეთ-ჰერეთიც ცალკე გამდგარა, არ სურთ ერთობა
 და მორჩილება,
 დაგეთანხმებით. ეს არი ესე, მაგრამ ასეა ვიდრე ვიყოფით,
 ყველა თავისას მიერეკება და სხვას სჯობია, ჰგონია, ყოფით,
 მაგრამ ბაგრატი თუკი შეიძლებს აფხაზეთის
 და ქართველთ მეფობას,
 დანარჩენებიც დარწმუნდებიან თუ რა სიკეთე მოაქვს ერთობას.

მამა იორღანე

მე დამაფიქრეს შენმა სიტყვებმა, კარგია, როცა კარგი ითქმება,
 მაგრამ ერთია რას მოიაზრებ და მეორეა ის, რაც იქნება,
 მართალია, რომ დავითი დიდი, არაბებს,
 ბერძნებს ვისიც აქვთ რიდი,
 ვისშიც ეძებენ მფარველ მეგობარს, სომეხთა არის თავშესახიდი.
 ბაგრატს ღებულობს, თავის მემკვიდრედ,
 ის არი მეფის ძე და ნათელი,
 სომხითს¹ და ტაოს, სამცხეს,
 ჯავახეთს მისთვის უნთია წმინდა სანთელი,
 ვიდრე დავითი ზეობს და მძლავრობს,
 ბაგრატს არც არა გაუჭირდება,
 შვილობილს იცავს და გზას უკაფავს,
 მისთვის ვარსკვლავებს შეეჭიდება,
 ეს ხდება ტაოს, მაგრამ რა ვიცით
 რასა ფიქრობენ ქართველთ მეფენი,
 ან აფხაზეთში რას გადაწყვეტენ ან გახდებიან რისი მყუფენი?

1. სომხითი – ტაშირის პროვინცია (დღევანდელი სასომხეთის ლორე – ახტალა – ალავერდის მხარე) „სომეხთა თქმით „ქართული ველი“. 1920 წ. სომხეთის მიერ საქართველოს კუთვნილ მიწად აღიარებული და 1921 წ. მოსკოვის მიერ მისთვის გადაცემული.



ბურანდუხტ დედოფალი

ქართლის ერისთავს, ქართული საქმე რომ აღარდებდეს გასაგებია, მისი ნაფიქრიც, აქ მოთხრობილი, მყარ ნიადაგზე ანაგებია, ორივე მამამთილს მე კარგად ვიცნობ, ეჭვი არაა დავითი დიდი, როცა მოგვისმენს, მხარს გაგვიმაგრებს,

ყველა სიმძიმის გახდება მზიდი.
მაგრამ მეორეს, ბაგრატს, რა გითხრათ, რას იანდეზებს,

როგორ მიხვდება,
ეგებ ხო გვითხრას ან ეგებ არა, საით იქნება მისი ხელდება,
ბოლო ხანებში შვილსაც გაურბის,

გურგენზე მეტად ბაღვაშის სჯერა,
შვილი თუ უყვარს, მეფობაც უნდა, ვერ გარკვეულა,
რა უჯობს ჯერაც.

რატი ბაღვაშიც მიტომ ვახსენე,
დიდაზნაურნიც შმაგნი და ხელნი,
არავინ იცის საით გასწევენ, რას მიწვდებიან გაწვდილნი ხელნი,
ამიტომ ვფრთხილობ და თქვენც გაფრთხილებთ,

რომ არ დაქანდეს საქმენი თავქვე,
ვიღრე გადავწყვეტთ, წვრილად განვსაჯოთ,
ყველა შედეგი დავსახოთ აქვე.

სულაც არ მინდა ჩემი ბაგრატი,
ჩემი ცხოვრების სუნთქვა და ხატი,
დიდებულების შუღლს შეეწიროს,
იმედად დამრჩეს კედელს ნახატი.

იოანე ზავლიანი

შენ, დედოფალო, კარგია ფრთხილობ,
შვილის მომავლის დაცვასა ცდილობ,
მაგრამ თუ გინდა მზეს მიეფიცხო,

არ მოეთარო ფარდაგს და ჭილობს.
რაც იოანემ აზრი გვაცნობა, თან მიაყოლა გული და გრძნობა,
ყველა კარგია და მისაღები და საჭიროა ახლო გაცნობა



რა ხდება ტაოს, შავშეთს, ჯავახეთს, ეს უკეთესად მოგეხსენებათ, მაგრამ იქაც კი ავის მსურველნი, დაეწყობიან საომარ წყებად, სხვებს არას ვამბობ, ამირა იცით და მასთან ერთად ჰყვანი, კახელნი, ერთად თუ ცალკე რას იაზრებენ შეუპოვარნი, მამაცნი, ხელნი. მე მხოლოდ ვიცი, რომ აფხაზეთი, სამთავროებად დაყოფილია, სადაც მტრობა აქვს, იქ მეგობრობა, სად ახალია, სად ყოფილია, ყველაფერს უნდა წვრილად აწონა, არ შეგვეშალოს თანხმობის ზომა, წვეთიც დაახრჩობს დამაშვრალ მსურველს, სიხარბით შესმა თუ მოინდომა.

იონან მარუშის ძე

ერთობის გზები როცა დავსახე, განა იმიტომ, სიზმარი ვნახე, ფიქრის სკივრს ვუჯექ შეუსვენებლად, ტვინი ვიღრძინი, ჯანი გავლახე, განა ვერა ვგრძნობ სად და რა ხდება, ვინ რასა ცდილობს, ვინ რისთვის კვდება, მაგრამ ერთობის მიღწევის ეს გზა, აღარასოდეს გამეორდება, საქმეს დავიწყებთ, შინა თუ გარეთ, მტრები ერთბაშად აიშლებიან, ბოროტს, სიკეთის ერთობით მთესნი, ერთობის ძალით წინ დახვდებიან, თუ არა ვცადეთ, თუ არ დავიწყებთ, ხვალე ეს ყველა იქნება გვიან, ჩვენ შემართებას, ჩვენ მონდომებას, მამულის დაცვის სურვილი ჰქვია.

მამა იორღანე

ხვალვე ავდგები, ავიკაზმები და სპერისაკენ გზას დავადგები, მეფეს რა ვუთხრა, მერე ვურჩიო, გონებაშია ყველა ნაგები, გზად ვერ ავცდები ტბელებს, ბალვაშებს, ვიცი რას ვეტყვი და რას მეტყვიან, გურგენ მეფესთან მივალ იქიდან, იმას ვუამბობ, რაიც მეტქმიან.



რომ გავეუმხილო ეს ჩანაფიქრი, ვიდრე არ ვიცი მეფის პირობა, ჩემგან იქნება ფუჭი მცდელობა, ვირის ყროყინი, გნებავთ ვირობა.

იოანე მარუშის ძე

ჩვენ კაცები ვართ, კაცურად ნათქვამს, ასევე უნდა გულში შენახვა, არა უაზროდ ტარტარი ენის, საქმის წახდენა, ფიცის შელახვა, შენ მხოლოდ დავითს მოახსენებდე,

ჩვენ რასა ვაზრობთ ერისთავები, როგორი არი მისგან იმედი, ჩვენ ფიქრთან როგორ შენაზავები. შორს გადადება, რომ არ ივარგებს საქმის დაწყების, ესაც აუწყე, ვინ ჰოს მთქმელია, ვინ იტყვის არას, დააჯამე და ისე დაუწყე, შემდეგ შედეგი შეგვატყობინე, ჭარის შეკრება ჩვენც დაგვიკირდება, თუ არ შევაწყვეთ ხმები, საქმენი, მიზნის მიღწევა გაგვიკირდება, შავლიანს უფრო ძნელი მოელის, მეტ დროს მოითხოვს და მოთმინებას.

ერისთავები, აზნაურები არ დაჰყვებიან იოლად ნებას, მაგრამ თუ ქართლში ბაგრატს ვამეფებთ, აფხაზეთს რა აქვს გამოსავალი, იქ სხვა მემკვიდრე არავინ არი, უნდა მოგვაპყრონ სმენა და თვალი, ეს დღე ზეგ მოვა, ახლა მთავარი დიდი დავითის თანხმობა არი, თუ მოინდომებს, წინ ვინ დახვება, რომ არ დაეცეს შიშით თავზარი. ის თუ ჰოს იტყვის, აქეთ წამოვა, ყველა ორგული გაირინდება, დრო დაგვიდგება მოქმედებისა და ჩანაფიქრიც მალე ახდება.

დედოფალი ბურანდუხტი

მთავარი არი აზრი ავაწყეთ, რაზეც შევთანხმდით ხატს დავიფიცოთ, ვინც უღალატოს სამშობლოს საქმეს, შევაჩვენოთ და მახვილს დავიცოთ, მე იმ პირობით მოგცემთ თანხმობას, თუ ვერწმუნები ერთგულთა ძმობას,



ბაგრატს მოგანდობთ, ერს მოგაშველებთ,
 არ შევუდგები მშველელთ მოხმობას.
 /დელოფალი გამოიღებს მოზრდილ ჯვარს, დამსწრენი
 ემთხვევიან, ფიცს ამბობენ, პირჯვარს იწერენ/

/ბაგრატიონთა საგარეულო ციხე-სიმაგრე სპერი. შეკრებილან ტაოს მეფე და კურაპალატი დავით დიდი; მისი ბიძაშვილი, კლარჯეთ-ერუშეთის მეფე გურგენი; მამა იორდანე მწიგნობარი და მრჩეველი; ერისთავები – თორნიკე ჩორჩანელი და გაბრიელ დაფანჩული/

დავითი დიდი

მიწა დედაა, ცა ნაბადია, ყოველი მათი დანაბადია,
 მათგან ნაზარდი ცვალებადია, ისიც მათია, რაც გვაბადია.
 როცა ვუცქერით გგონია ჩვენი, ზეციდან ჩვენთვის ჩამონადენი,
 რასაც ვიპოვით მივიღებთ ლხენით,
 რასაც წავიღებთ არი რამდენი?
 ვამბობ იმიტომ, ვიცოდეთ ზომა, არ გავაღმერთოთ სურვილი,
 ნდომა,
 მოსახვეჭელად არ ვიწყით ძრომა,
 არ დავიტეხოთ მშობელის წყრომა.

მეფე ბურბანი

ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ მაგისტვის არტანუჯიდან რად მომიწვევდი,
 ვიყავი ჩემთვის, სიამეს ვკრეფდი, თუ ვჭეფობდი,
 ნადირსაც ვღვევდი.

დავით დიდი

შენ ბიძაშვილო, კარგად მიმხვდარხარ,
 დროსტარებისთვის აქ არა მყავხარ,
 ზღაპრებისათვის არ ვარ მოცლილი,
 აცეტებული არც შენა ჩანხარ,
 მარტო გიწვიე. მამაშენიც კი, ხედავ? სტუმრად არ მომიწვევია,
 თუმცა კი იცი, ვარ ხელგაშლილი, გულუხვს სიძუნწე არა მჩვევია.



მეფე ბურბანი

მეც ეგ მაფიქრებს. რა უნდა იყოს, აქ საიდუმლო,
ჩვენში სათქმელი,
სადაო არ გვაქვს და გასაყოფი, სამეფოები ჩვენია ვრცელი,
ჩემი ბაგრატიც, გამოვიკითხე, შენთან ცხოვრებით კმაყოფილია,
ორთავ მამულიც მისი იქნება, რაც მამათაგან დაყოფილია.

ღავითი ღიღი

თითქო სათქმელთან ახლოს მიხვედი,
თავად სათქმელი უფრო ბევრია,
უნდა დავფინოთ კალოს აზრები, დავატრიალოთ წყვილად კევრია,
მოგიყვებოდი, მაგრამ მე რად ვთქვა,
რაც სხვისგანაა ღიად სათქმელი,
გასასხლავია რაც არი ნელდი, დასაწვავია, რაც არი ხმელი.
სწორედ ამიტომ სხვა არ ვიწვიე, სხვას არ გავანდე, გავახმიანე,
აზრი, რომელიც გონებას მოხვდა, ფუჭი განსჯით არ დავაზიანე,
ოლთისს არ შეგხვდი. იმ ვრცელ ქალაქში,
სად მოყვარეა, იქვე მტერია,
ბევრიც ეცადო, ძნელად გაარჩევ ერთი მეორეს თუ შეერია.
აქ კი შენ ხედავ ვინ დაგახვედრე, ვისაც იცნობ და ვისაც ვენდობი,
ღიდ საქმეებში თანაზიარნი, შეცდომებისას ცოდვის შენმდობი.

მეფე ბურბანი

თქმა რაღად მინდა, დაფანჩულს ვიცნობ
და ჩორჩანელიც არ შემეშლებს,
შენ თუ ენდობი, დაფარულს ეტყვი, მაშინ მე რაზე მომეკრძალება?

ღავითი ღიღი

ერისთავებზე არა ნაკლებად, იორდანეა ჩემი სანდობი,
დაე მან გვითხრას, შეკრებილებთან,
რა აქვს სათხრობი და გასანდობი.



მამა იორღანე

რასაც მე ვიტყვი, ჩემი კი არა, სხვისი ნაფიქრი, აზრია ბრძნული, ამის სათქმელად იქით მიმიხმო და გაამქლავნა გულს დაფარული. ქართლში ვიყავი, უფლისციხეში, ღვთის კურთხეული მოვინახულე, დედოფალს ახლდა მარაშუიანი და შავლიანი მოჭირნახულე.

სამძიმარი ვთქვი, აფხაზთა მეფე, ქართლის დედოფლის ნათესავია, გამოვიკითხე როგორ, რა იყო, რაა საამო, ან რა ავია, აფხაზეთს მეფედ დასვეს თეოდოს, უსინათლო და მიუსაფარი, მარაშუისძემ თქვა მისი პატრონი, ტახტის მემკვიდრე არავინ არი, თვინიერ ბაგრატ შვილობილისა, გურგენის ძისა,

მცირე წლოვანის.

ეს იმას ნიშნავს, თქვა იოანემ, როცა გახდება საკმაო ხანის, ქუთათისის ელის სამეფო ტახტი, თავად სამეფო მძლავრი

და ვრცელი,

ჩქეეთის ჩათვლით და მცხეთის ჩათვლით

აფხაზთა მეფეს უღვია ხელი,

იქ თუ ბაგრატი გახდება მეფე, ვინაც ტაოში არი მემკვიდრე, ორი ქვეყანა ერთიანდება, ბაგრატის მოდგმა იქნება ვიდრე, იოანემ თქვა, კარგად ვიაზროთ, ბაგრატი არი გურგენის შვილი, ნიშნავს ეს მხარეც მისი იქნება, და თუ დაერთო პაპის ნაწილი და დაერთვება, რადგანაც ბაგრატს¹ არავინა ყავს ბაგრატის მეტი, ერთი მეორის სისხლი და ხორცი, ჯიშის, ჯილაგის ჩამონახვეტი, მაგრამ ცხოვრება, ხიფათით სავსე, ცვალებადი და დაუნდობელი, ხვალ რას გვიმზადებს, არავინ იცის, ამიტომ არი,

თუ ხარ მშობელი.

შვილს თუ შვილობილს უნდა ჰფარავდე

და გასაჭირში ეხილებოდე,

თუ საჭიროა თავსა სწირავდე, შორს არ უვლიდე, ერიდებოდე, თქვენ შეგიძლიათ დღეს გადაწყვიტოთ,

ის, რაც ხვალე შვილს გაუძნელდება,

1. ბაგრატი – იგულისხმება ბაგრატი II რეგენი, მეფე ქართველთა, მამა გურგენისა და პაპა ბაგრატი III.



ერთად შეკრიბოთ თქვენი ძალები,
ქვეყანამ იგოქნოს მძლავრი ხელდება.

ღაპითი ღიღი

მე იორდანემ ეს აზრი მამცნო, ჭკვაში დამიჯდა, გონივრულია,
მარუშისძემ თქვა ჩვენი სათქმელი,
რაც ჩვენ გულებში დაფარულია,
მე სხვა ვინა მყავს ამ ქვეყანაზე, ჩემი სამეფო გადავულოცო,
ჩემ მეფედა ვცნო, დავემორჩილო, გულში ჩავიკრა,
შუბლზე ვაკოცო.
უფალის ნებით ისე გადაწყდა, გურგენ შენი ძე, გამხდარა ჩემი,
ბაგრატის ტახტი, ჩემი და შენი, მისია, მისთვის გადასაცემი,
თუ აფხაზეთსაც იგივე ელის, თეოდოსს ვინ ჰყავს,
სხვა ვინ უშველის,
ოთხი სამეფო ერთიანდება თუ გამომღები ვიქნებით ხელის.

მეფე ბურბანი

ეს მარუშისძეს რა უფიქრია, როგორ მოზომა, როგორ გათვალა,
იორდანეს და შავლიანს შეხვდა, აზრი გაანდო, სიტყვა გაცვალა,
ეს რომ ნამდვილად შეიძლებოდეს, საშვილიშვილო საქმე იქნება,
შვილად ნაკუწი ჩვენი სამშობლო, ერთიან ძალად გარდაიქმნება.
მაგრამ სათქმელად რაც ადვილია, საკეთებელი ყოფილა ძნელი,
ჩვენ საქმე ისე როგორ ვაკეთოთ,
არ შეგვიშალოს ორგულმა ხელი,
დღეს ზემო ქართლი აფხაზთა მეფეს, გიორგის მერე მიეკუთვნება,
კახეთი დაობს ამ მხარისათვის, კიდევ დაიპყრობს თუ მისცეს ნება,
ჩემი მეუღლე იქ ზის დედოფლად, უფლისციხეში უღვია ბინა,
მაგრამ ქვეყანა აფხაზთა არი, უფალმა ასე შეაძლებინა.
ჩვენ როგორ გვინდა მტკვარს გადავიდეთ
და აფხაზებმა ეს ვერ გაიგონ
არ შეგვებრძოლონ, ნებით დავგითმონ
და მოთმინების კოშკი აიგონ.
მათ მიუმატე ბაღვაშთა ნება, აბაზისძენი, ტბელნი და სხვანი,



საერთო ძალით წინ დაგვებდებიან,

რომ დაგვატეხონ თავზე რისხვანი.
ახლა კახელნი, ქორეპისკოპოსს, ქართლი ეკუთვნის, ასე ჰგონია,
დიდაზნაურთა საერთო ძალა, სათქმელად მწირი მოსაგონია,
ქორეპისკოპოსს არაბთ ამირა, როგორც ომია, გვერდით უდგება,
ერთიანობით შეკრულ ამ ძალას, რომელი არი, წინ დაუდგება?

გაბრიელ ღაფანაშული

მეფეთ ნათქვამი ვისმინე ყველა, ცოტა შევშინდი, ძალზე მეძნელა,
რადგან არავინ არი დამხმარე, რომ აგვიწიოს საქმე ამხელა,
ჩვენ არაბები ვერ გაგვიყრია, ხალიფა ხოსრო დასჯას გვიპირებს,
ამიღის ემირს ჯარებს უგროვებს და თურქმენებსაც თუ შეიპირებს,
ბრძოლის გადახდა გარდუვალა და თუ დიდება წარმავალია,
თუ კი მიიმხრეს იმპერატორი, მოხდება ის, რაც მოსახდენია.

თორნიკე მრისთავი

თუ მომიწვიეთ, მეც მათქმევინეთ,

მინდა რომ წვრილად აზრი განვსაჯოთ,
შესაძლებელი ავწონ-დავწონოთ, არ გავამაყდეთ და დავისაჯოთ,
დიდმა დავითმა, ასე ვიტყვოდი, ვისიც არ ვიცით ტოლი და ფასი,
სხვისი ნათქვამი თავისადა ცნო, დასვა საკითხი მრავალ ათასი.
გაბრიელმა თქვა და სწორედ ბრძანა, ათას კითხვაში არი მთავარი,
იმპერატორი ბიზანტიისა საით იანდებს მოექცეს მხარი,
იმპერატორად იოანე ზის, კაცი ლამაზი, შესახედავი,
ამავ დროს ომში კარგი სარდალი,

შიგნით ღალატის ვერ დამნახავი.
დასავლეთისკენ როცა ილაშქრა, მან ბულგარები დაიმორჩილა,
აღმოსავლეთში სირია იგდო, აქაც დიდება ვერ აიცილა,
არაბებთან აქვს მუდმივი მტრობა, ხალიფას იგი არ მიემხრობა,
დრო კარგი არი, მეფეს მხარს ვუჭერ,

ახლა გვჭირდება შიგნით მძლავრობა.



მამა იორღანე

ბიზანტიელთა საქმე მე მკითხეთ, შიგნით ქიშპი აქვთ შეურიგები,
ერთი წავა და მეორე მოვა, არ დაილია მტრების რიგები.

ეს ყველაფერი ქალის ბრალია, ლამაზი ქალი შურის თავია,
შენთან არი და გულს უხარია, თუ მიგატოვა ავზე-ავია.

იქ ისე მოხდა, რომ ერთ მედღუქნეს, გოგონა ჰყავდა ულამაზესი,
იმპერატორმა როგორც იხილა, დედოფლად დასვა,

როგორც არს წესი.

ანასტასია გათხოვებამდე, სახელშეცვლილი ფეოფანეა,

წლები გადის და ის არ ბერდება, კუროთა¹ შორის მოგოგმანეა,
რომან მეორე იმპერატორი თორმეტი წლის წინ კიდევაც მოკლეს
ქალთა ქიშპობას გადაჰყვა მეფე,

ქვეყნად სიცოცხლეს დასჯერდა მოკლეს²,

რომანის შემდეგ იმპერატორი ნიკიფორეა ფოკას გვარიდან³.

ფეოფანემ ის ქმრად აირჩია და გარყვნილებაც იწყო თავიდან,
ვამბობ თავიდან, რადგან დედოფალს უმალ გაუჩნდა ახალი კურო,
ქალი თუ უარს არავის ეტყვის,

შენ როგორ გინდა რომ დაემდურო.

1. კურო – საყვარელი.

2. რომან II იმპერატორი იყო 959-963 წწ. მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ცოლი, დედა და და. რომან II დარჩა 3 შვილი: 5 წლის ბასილი (მომავალში იმპერატორი), კონსტანტინე 3 წლის და უმცროსი ანა.

3. ნიკიფორე ფოკა (963-969 წწ). ნიკიფორე ჯერ აღმოსავლეთის დომესტიკოსი (ჯარების სარდალი) იყო წარმატებული. შემდეგ კ. კრეტა გაათავისუფლა არაბებისაგან. როცა რომან II 963წ. მარტში უცებ მოკვდა, დედოფალმა მასზე შეყვარებული ნიკიფორე იგულვა იმედად. ბოლოს ცოლად გაჰყვა და ამ გზით ნიკიფორე ფოკა გაიმპერატორდა.



ახალი კურო ციმისხიელი იოანეა, კარგი სარდალი,
 ქალებისაგან გამორჩეული, ორთაბრძოლაშიც არაა მხდალი,
 სწორედ მან შესძლო, ამ ექვსი წლის წინ,
 პირადად მოკლა იმპერატორი¹,
 მას მიაყოლა ფოკას გვარიდან, დიდის და მცირეს წამოდგა გორი.
 ახლაც ის მეფობს. მან ჭკვა იხმარა,
 ქალი, რომელმაც სხვებს უღალატა,
 მასაც იგივეს გაუკეთებდა, რად დასახავდა ღმერთად და ხატად?
 მან ფეოფანე ჩამოიშორა, მაგრამ როდემდე ასე იქნება,
 არავინ იცის, მიტოვებული, ეგებ ძუ ვეფხვად გარდაიქმნება?
 დღეს ასე არი. იმპერატორი სასახლის კარზე ყელას უფერებს,
 სარდლებს არ მოსწონთ მისი ეს ქცევა
 და ასე ყოფა მათ გულს უფერებს.
 ამ ორი წლის წინ მოხდა ამბავი, ფოკას ძმისწულმა შეპყარა ჯარი,
 კაპადოკია დაიმორჩილა, აზიის მხარეს მოსდო ხანძარი,
 ჩვენ უფალ მეფეს თხოვნით მომართა,
 ჩვენგან ითხოვდა დახმარებასა,
 დაგვიანებით, რადგან დამხმარე, ვიდრე შეკრებდა საჭირო ჯარსა,
 იმპერატორმა ბარდა სკლირს სთხოვა, ვალი მოსთხოვა ნათესაური,
 მათ ბარდა ფოკას მარჯვედ უყელეს, არ დაუწყიათ დიდი ხმაური.
 ფოკა დამარცხდა და განერიდა. ძალებს მოიკრეფს დამარცხებული,
 ხვალ რა მოხდება არავინ იცის. ვისი იქნება დავის ერთგული,
 რატომ მოვეყვი. წელს ბიზანტიას ჩვენთვის არ სცხელა,
 ვერ მოიცლიან,
 ჩვენ თუ შევყოვნდით, საქმე გადავდეთ,
 ვაითუ, იყოს დაწყება გვიან.

1. ნიკიფორე ფოკას ხელქვეითი სარდალი იოანე ციმისხი დედოფალ ფეოფანეს მოეწონა. ნიკიფორემ იეჭვიანა და იოანე გააძევა. გაძევებულმა დედოფლის დახმარებით 969 წ. 11 დეკემბერს ნიკიფორე მოკლა. იმპერატორად აღზევებულმა იოანემ ძალაუფლების გამყარების მიზნით, ფეოფანე გააძევა და ცოლად გარდაცვლილი იმპერატორის კონსტანტინე VII ქალიშვილი თეოდორა შეირთო



მე მარუშისძე ერისთავს ვაქებ, მან ჩვენზე ადრე დათვალა ყველა,
 ვინ ერთგულია და ვინ ორგული, ვინ არი მტერი,
 ვის ძალუძს შველა,
 თუ არ დავეყვით ბრძენის შეძახილს, საქმის დაწყება დავაგვიანეთ,
 ნიშნავს მამული გაგვიწირია, რაცა გვაქვს ისიც დავაზიანეთ.

ბაბრემლ დაფანჩული

კარგად გამიგეთ. რაც მოგახსენეთ, სიფრთხილისაა მანიშნებელი,
 სხვაფრივ, საითაც უფალი გასწევს,
 ჩემი რაზმით ვარ მისი მსლებელი,
 აზნაურები მე არ მადარდებს, ერთი მეორეს კბენენ და მტრობენ,
 თავს მცირე მეფედ წარმოიდგენენ,
 ტოლად და ცალად არავის ცნობენ.
 ერთიანობა მათი ძნელია, ერთად მოძებნა მოკავშირისა,
 არც უნდა გვქონდეს შესაყოფნებლად,
 შიში და ფიქრი მათი რისხვისა,
 მაგრამ განსჯისას უნდა განვჭვრიტოთ,
 ვინ რისი არი ცხადად ჩამდენი,
 ჩვენი და სხვისა ცალკე დავთვალოთ, როგორი არი,
 რატომ, რამდენი.

მეფე ბურბანი

მე როგორც ვატყობ ერისთავები, მარუშისძის აზრს ეთანხმებიან,
 ეს იმას ნიშნავს, თუ გადავწყვიტეთ,
 ერთობის დროშის ქვეშ დადგებიან,
 ამას თქვენ იზამთ. ახლა იფიქრეთ გამოგყვებიან აზნაურები?
 თქვენ როგორ გინდათ დიდმა თუ მცირემ
 ერთი საქმისთვის შეაწყოს ხმები.
 ეს თუ მოხერხდა, საქმე წინ წავა, ვიდრე თეოდოს რამეს იღონებს,
 ტაო და ქართლი, შეერთებული, კიდევ სხვას იზამს,
 სხვას მოიგონებს,
 მაგრამ მე უფრო სხვა რამ მადარდებს,
 მამაჩემს როგორ ვუთხრა სიმართლე,



რომ არ იფიქროს ტახტს ვეცილები,
 არ ჩაიბნელოს ეჭვით სინათლე,
 მოხუცი კაცის უხიაკობა, ზღაპარი არი და არაკობა,
 უკუღმა ესმის მემკვიდრის თხრობა,
 ტკბილს ურჩევნია სიმწარით ტკბობა.

ღაგიტი ღიღი

ძველს ახალი სჯობს, მაგრამ ახალის დაწყება არი ყველაზე ძნელი,
 ჩვენც ასე ვმსჯელობთ, გვინდა ვიცოდეთ,
 რა ხიფათია მოსალოდნელი,
 დაგამწვიდებთ და მოგიგებთ მოკლედ,
 რაც იორდანემ აქ მოგახსენათ,
 რაც მისაღებად მიგიჩნევიათ, ძნელ გასაჭრელად რაც მოგეჩვენათ,
 ის მარუშისძეს დაუდგენია. წლობით ფიქრობდა იგი ამაზე,
 ჩვენიც განსაზღვრა, შემოგვითვალა,
 ჩვენ პასუხს ვაგებთ როდის და რაზე,
 მართალიც არი, როდესაც გვირჩევს,
 საქმეს არ დავდოთ მტრების იერი,
 არა იმიტომ დაგვამარცხებენ, წინ დაგვიდგება ვინმე ძლიერი.
 მან კარგად იცის ამერ-იმერებს ძირძველი მოგვედევს ნათესაობა,
 მეფე-მთავრებში, ერისთავებში, ჯიშით არაა რამე სხვაობა,
 ჯერ კიდევ როდის, ეგროს, ქართოსი
 თუ ძმები იყვნენ გამორჩეული,
 მათი ტომები ერთობით სჭრიდნენ
 და მტრები ჰყავდათ მიტომ ძლეული.
 ლეონ მთავარი, პატრიკიოსი, მეფე გუბაზის ჩამომავალი,
 ქართლის მთავრების გვერდით იბრძოდა
 და არცა სურდა სხვა მომავალი,
 ლეონ მეორემ, მეფე რომ გახდა, ეკლესიები აერთიანა
 ბიზანტიური ქართულით ცვალა, მცხეთაში ლოცვა არ დაახანა,
 ჩვენ განა რა გვჭირს, აფხაზთა მეფე, მტრად მივიჩნიოთ,
 ბრძოლა დავუწყოთ,



ნათელ წართმეულ კაცს ვუღალატოთ,
 რასაც ვერ ხედავს თვალწინ დავუწყოთ.
 უმჯობესია, სხვაფრივ მოვიქცეთ, ნათესავს იქით არ ვაწყენინოთ,
 ცუდი არ მიგცეთ სხვას მაგალითი,
 მომავალს თავი არ ვაწყვევლინოთ.

მეფე ბურბანი

დავითის სიტყვა მისაღებია, დიდი ხარ, ბრძნულად ამიტომ იტყვი,
 ზოგჯერ სატევარს გაუჭირდება, სადაც იოლად გაიტან სიტყვით,
 ერთი პირობა შევფიქრიანდი, თეოდოს ცოლის ნათესავია,
 კარზე მივუხტე, ჩხუბი ავტეხო, შორიდან როგორ სანახავია.
 მეორე მხრივ კი ქართლი ჩვენია, ბაგრატიონთანა მონაპოვარი,
 დიდი აშოტის დანატოვარი, ქართლოსიანთა თავშესაფარი,
 აფხაზთა მეფე ეპატრონება, სტეფანოზის და მირის უფლებით,
 მაგრამ ასაკი თუ იზომება ათეული და ასეულ წლებით.
 მაშინ ჩვენია უპირატესი. ჩვენგან წაღებულს თუ დავიბრუნებთ,
 ნიშნავს, სიმართლეს გაუმარჯვია და თუ მამულზე ასე ვიზრუნებთ,
 შთამომავლობა ხომ დაინახავს, ერთგული ჯაფა დაგვიფასდება,
 ჩვენი ცხოვრება შედეგით ფასობს,
 შედეგს ვერ ვალწევთ ასედაც ხდება.

ღავითი ღიღი

ეს საქმე არი გადაწყვეტილი. სიბრძნეა,
 დროით დავსვათ წერტილი,
 წყნარად ვიჩქაროთ, არვინ იფიქროს,
 სამტროდ მივიღივართ თავაწყვეტილი,
 გურგენი წავა, გადინადირებს, არც დასჭირდება დიდი მზადება,
 ბაგრატს წაიყვანს. ვინ გაიკვირვებს ყმაწვილს
 თუ ღედა მონატრება,
 ამასობაში მეც მზად ვიქნები, არ დაგვჭირდება დიდი ძალები,
 მტკვარს არ გადავალთ, არვინ იფიქროს
 აფხაზეთს სამტროდ მივეძალებით.



იორდანეს ვთხოვ, არ დამავიწყოს,
 გურანდუხტს ჰქონდა ასე სურვილი,
 დინარი მისთვის მესტუმრებინა, ჩემგან აღზრდილი
 ბაღვაშთა შვილი.
 ამავე დროს ჩემი ერისთავები,
 დათქმულ ადგილას შეკრებენ რაზმებს,
 ერთგულ მცველებად გამოგვყვებიან,
 ქართლის გულისკენ გამგზავრებულ ძმებს,
 თორნიკეს, როგორც უფრო გამოცდილს,
 ვაგალებ იყოს რაზმის სარდალი,
 კაცი რომ ფიქრობს, ეშმაკს არ სძინავს,
 თუ მოადუნა სმენა და თვალი.

თორნიკე პრისტავი

ქვეყნის და მეფის გულსთვის გარჯა, მე არასოდეს დამზარებია,
 სად შენი ხმალი მტრებსა ზარავდა, ჩემი მახვილიც თანა გხლებია,
 იცვალნენ დრონი, მოვბერდი მგონი, ბერად შედგომა მომდომებია,
 აღრევე აზრი გაგიზიარე, არ თქვა, რომ ახლა მომგონებია,
 მეფევი მიახლე და მიმსახურე, მაგრამ არ მინდა ხმალი აღმართო,
 დაგორებულ ქვას ვერ შეაჩერებ,
 ბევრიც უძახო აღმართ-აღმართო.

ღავით დიდი

ჩემო თორნიკე, ქართველის სისხლი, არ დაგიღვრია,
 ეს კარგად ვიცი,
 არც ახლა რამეს დაგაღვრევენ, არ გაგიჭირვებ, მითქვია ფიცი.
 შენი თანხლება საჭიროდ ვცანი,
 რომ ქვეყნის ბედი ერთად გავჭედოთ,
 რომ ყველამ იცნას ჩვენი ერთობა,
 ჩვენ შორის მტრობა გულს ვისაც ედოთ,
 ქართლში გადავალთ, იქიდან მცხეთას,
 გაგისტუმრებ და მოგალოცინებ.



ბერად შედგომა თუ მოგდომია, რად გაგიმტყუნებ
და რად დაგცინებ.

/რამდენიმე ღლის შემდეგ. ქვათახევი. დავით კურაპალატის კარავი.
შეკრებილან: დავითი ღიდი, მეფე გურგენი, დედოფალი გურანდუხტი,
იოანე მარუშისძე/

იოანე მარუშისძე

სიყვარულის გზით იმან იარა, ღვთის მადლის ძალა გაიზიარა,
ერთობა თესა და გვაზიარა, სხვას მოუშუშა ვინაც იარა.
შენ წინ ქედს ვიდრეკ, ლხენით ვიჩოქებ,
შენ სამანს უღებ ერის ერთობას,
მის სახელს ფიცავ, მტრისაგან იცავ, წინ მიუძღვები
და სწევ ღმერთობას,
ღიღება შენდა ღვთით კურთხეულო, მადლი
რომელიც შენგან გადმოდის,
დაძაბუნებულ ჯანს გაამრთელებს, ძალა მომავლის ასე გამოდის.
სადა ყოფილა ჩვენი მამული, ჩვენ გლესს სად უხნავს და უთესია,
რამდენი დავთმეთ, რამდენი დაგვრჩა, ვინ შეათასოს უკეთესია,
წარსულის დევნა უაზრობაა, ხსოვნა, ნატვრა და მოგონებაა.
აწყმოს სჭირდება ჩვენი ჭიდილი, ერთად თავმოყრა ერის ნებაა,
შენ ხარ მოთავე საშური საქმის, ქართველთ შეკრება შენი ვალია,
გულეებს დარჩებათ მისი სახელი, მათთვის ზრუნვაში
ვინც გზა გალია.
ვინც ღღეს თავს სწირავს ქვეყნის ერთობას,
ის უკვდავებას ეზიარება,
საამაყოა მის გვერდით ღგომა, ვის თავდადება არ ეზარება,
მე როგორც ერთი თანამებრძოლი, რასაც შევიძლებ,
იმადა ვღირვარ,
თუ ვერ შევიძელ იმის გაგება, რატომ დამბადეს,
რა ვარ და ვინ ვარ,
მაშინ წარსული არა მცოდნია, მომავალს როგორ შევეხდები,



როგორ გავხდები მისთვის მებრძოლი,
 როგორი ღირსი მისი დიდების?
 დღეს ასე არი, რასაც შენ ფიცავ, მტრისაგან იცავ
 და სწევ ღმერთობას,
 იქვე მიგულე, რამდენს შევიძლებ,
 იმდენს შევწირავ ქვეყნის ერთობას.

ღაპრითი ღიღი

ეს იოანე მარტოშვიდი. თუმც არ მინახავს, მაინც გული გრძნობს,
 ჭკვიანს-ჭკვიანი, სულელს-სულელი,
 ერთგულს-ერთგული შორიდანა სცნობს,
 მომიახლოვდი, მამულის შეილო,
 სურვილი მძალავს შუბლზე საკოცნად,
 რამდენი უნდა კიდევ ვიცოცხლო,
 რომ შენი მსგავსი ვიპოვი ქვეყნად.
 დღეს ქართუს ტომთა სამეფოები,
 ვრცელ მიდამოში მიმოფანტულა,
 ვერ შეკრებილა მათი მიწები, მათი სურათი ვერ დახატულა,
 შორს რად წავიდე, აგერ შემხედე, ჩემი ჯარები სად არ ომობენ,
 ახალ მხარეში დასახლებულნი, ჩემი გლეხები სად არ შრომობენ.
 ურმიასა და ვანის ტბებს შორის ჰერებია და კარდუხებია,
 ჩემი შეწევნით და თავდადებით მათ მტრების ხელი არ შეხებია,
 იდიგნასა და ფურათუს¹ ვეტყვით, ორივე მდინარის სათავეები,
 ხმალ ჩაუგებელს მაქვს დალაზული, მიტარებია გრძელი თვეები,
 მაგრამ აქეთ კი არ მიომია, არა მქონია მსგავსი სურვილი,
 რადგან საითაც უნდა შემოვკრა, მსხვერპლი იქნება მამულიშვილი.
 შენ სხვანაირად შეხედე საქმეს, სხვანაირია შენი აზრები,
 ომის გარეშე, სისხლის გარეშე,
 თუ შეერთდება ქართველთა გზები,
 მაშინ რა ძალა წინ დაგვიდგება, არაბების თუ თურქთა ჯოგები,

1. იდიგნა და ფურათუს – მდ. ტიგრის და ევფრატის ძველი სახელწოდება.



ბიზანტიაა თუ ყოვალეთი, ვერ გახდებიან ომის მომგები,
შენ აზრი გვიტახარ, ჩვენ, მეფეებმა ბრძნული ნათქვამი გავიზიარეთ,
ქვათახევს ვდგევართ, სპერიდან აქეთ

შეუსვენებლივ მიტომ ვიარეთ,
რომ სახვალყო საქმე ვაკეთოთ, ერთობის ჯაჭვი ერთად გავჭედოთ,
ჯიქეთს და კახეთს, ტაოს და ჰერეთს, ერთად ვუფეროთ,
ერთად გავხედოთ.

მეფე ბურბანი

კლარჯეთის კერის განაყარები, დღემდე ერთობით განახარები,
ერთადა ვდგავართ, რომ უნდობლობის,

ერთად შეველწოთ ძალით კარები.
დღეს ცალკე მეფობს დავითი დიდი,

ვინც ჩვენ გულეში ააგო ხიდი,
მამაჩემია ცალკე ბაგრატი, განზე მდგომელი, ეჭვების მზიდი.

იქვე სომხითში, ქართველთ ველეში¹, ბიძისშვილს,
მეფეს ბაგრატუნს ვარქმევთ,

იქით და აქეთ მამულებს ვდაობთ,
მცირის მოგებას მივიჩნევთ საქმედ,

არტანუჯიდან მომყვება ძირი, მე არ მეთქმება წარსულზე ძვირი,
თუ რამ შევიძელ, მეფობის ჟამად,

ერთობის საქმეს შევმატე მწირი.
სომხითის ახლო ჰერნი არიან, იმათ მცდელობას განდგომა ჰქვიან,
უნდა შევიძლოთ აქეთ გადმოხრა,

მათი ხსენება არ დაგვრჩეს გვიან,
კახეთზე კარგი როგორ დამცდება,

ბრძოლის გზა მათი ქართლს არა სცდება,

1. X ს. ლორე —ალავერდის მიდამოებს — ქართველები სომხითს (და არა სომხეთს) უწოდებდნენ. სომხები თავის მხრივ — „ქართველთა ველს“, რადგან მიუხედავად იმისა, რომ აქ სპერიდან წამოსული, ნახევრად გასომხებული ბაგრატუნნიანები მეფობდნენ მხარე ქართული იყო ქართველი მოსახლეობით, რუსეთის მიერ 1897 წ. ჩატარებული აღწერით აქ 128 ათასი მოსახლიდან სომეხი მხოლოდ 48 ათასი იყო. ახლა იქ ქართველობა საერთოდ არ აღინიშნება.



ქორეპისკოპოსს სიტყვა რომ ჰკადრო, პასუხად იტყვის,
 რომ არა სცდება.
 მხოლოდ იმერმა იმარჯვა ჩვენში, თავისად იცნო ქართლის ამერი,
 აფხაზთ სამეფო შორს გადაფინა,
 ამ მხრივ საქმე აქეთ თითქოს სამღერი,
 მაგრამ ეს უნდა კარგად გავიგოთ, სალხინო სუფრა ისე დავიგოთ,
 თუ ძმას წავართვით პირიდან ლუკმა,
 ასე ნაჭამი როგორ შავირგოთ?

იონანე მარუშისძე

ძალზე ვრცელია ქართველთა მხარე,
 მთებს ხურჩინივით გადაკიდული,
 ყოველი კუთხე თავისთვის იმღერს და ყველამ იცის,
 ქართლია გული,
 დღეს გული ბევრად დაყოფილია, არაბობაა მუდმივი წყლული,
 მიმხტომ-მიმხტომი არ დაილია, მტერი აშკარა თუ დამალული.
 უფლისციხეა ამ გულის წვერი, ქართველთა ნატვრა და მისამღერი,
 აქ დღეს მალამო ერის წყლულების, აქედან უნდა გამთელდეს ერი,
 ქართლის ერისთავს მევალებოდა,
 მალამოს განძის პოვნა და დაცვა,
 მე ხელთ მიპყრია მისი კლიტენი,
 მტრებმა ამიტომ ვერ შეძლეს ძარცვა.
 დღეს ეს კლიტენი მომიტანია, შენ, დიად მეფეს, ფეხქვეშ დაგიწყო,
 აქედან უნდა გაჰხედო მამულს, ზრუნვა ერთობის აქედან იწყო,
 გავიმეორებ, ეკლიან გზაზე, მიგულე, როგორც თანამებრძოლი,
 წინ გაგვიძეხი, უკან მოგყვებით,
 რადგან წინსვლაში არა გყვას ტოლი.

დედოფალი გურანდუხტი

რაზეც აქ ვმსჯელობთ, ერთი შეხედვით,
 არ არი ისე რთული და ჭრელი,



არ დაგვეჭირდება მახვილის ქნევა, არაა ძალით გადასაჭრელი.
 ეს იოანემ კარგად განსაზღვრა, დრო შეარჩია, თქვენ მოგიწოდათ,
 აზნაურებმა დამალეს თავი, ჩაიკლეს მადა, გულში რომ ჰქონდათ,
 არაბთ ამირას ჩვენთვის არ სცხელა, თბილისში არი გამოკეტილი,
 კიდეც უნდოდეს, ჩვენ ვერ მოგვეწვდება,

არ არი გაჟი თავაწყეტილი.

მას შიში დასდევს რატი ბაღვაშის

და არ გასცდება ქალაქის ზღუდეს,
 მტკვრის ქვედა მხარეს, არაბის თარეშს,

ერისთავებმა ზღვარი დაუდეს,
 ამიტომ არი, ქორეპისკოპოსს მიეკედლა და გვერდით უდგება,
 ხელი-ხელსა ჰბანს, თუმცაღა რჯულით ერთი-მეორეს ვერ ეგუება.
 თავად კახელთა, როცა შეიტყვეს, დიდი დავითის აქეთ მსვლელობა,
 თავი ანებეს ქართველთა ძარცვას, შეწყვიტეს გლეხთა ტყვევნა,

მკვლელობა,

საქმე გაუჩნდათ არაგვის იქით¹, თავის მამულში გამოიკეტნენ,
 ჰერებს აუწყეს ჩვენი ამბავი, და სათათბიროდ ამირას შეხვდნენ.
 არ ვიცით მხოლოდ აფხაზთა აზრი, თუ მოისმინეს,

როგორ იანდეს,

რა გადაწყვიტეს, ვინ გამოგზავნეს,

საქმის გარკვევა რომელს მიანდეს.

იოანე გარუშისძე

აშოტ დიდიდან მოყოლებული, აფხაზს ტაოსთან არ უღომია,
 ტაოს თავის მხრივ აფხაზებისგან მოყვრობის მეტი არა სდომია,
 რადგანაც ქართლი იყო ტაოსი, ლიხის მთა იყო მუდამ გამყოფი,
 ორივე მხარეს მტერი-მოყვარე და მამულები ჰქონდა სამყოფი.
 სამოცდაათი წელი გავიდა, როცა დაირღვა მოყვრული ზავი,
 აფხაზთა მეფე ტყვედ აიყვანეს და მოელოდა დროება ავი,
 რომ არა სომხის მუხანათობა, ტაოს მეფისგან ჩუმიად განდგომა,

1. მდ. არაგვის გასწვრივ გადიოდა საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის.



მოყვარეს უმტრო, მტერი შეინდო, რადგან იხარბა,
 სხვისი ინდომა!
 დრო რომ გამოხდა, აფხაზთა მეფემ
 ქართლი-კახეთიც დაიმორჩილა,
 ტაომ ვერ შეძლო ქართველთ შიკრება,
 ქართლის დაკარგვა ვერ აიცილა,
 დღეს სულ სხვა არი შესაძლებელი,
 თუ გამოვიღეთ ქართველთა ხელი,
 არ გვინდა ომი, ხოცვა და ჟლეტა, ისე შეგვკრიბოთ შესაკრებლი.

დედოფალი გურანდუხტი

როცა გამანდო გულის ნადები, ქართლის ერისთავს ჰქონდა იმედი,
 ქართველთ მეფენი მიუხედებიან, რაა ერთობით გამოსაჭედი,
 აფხაზთა მეფე თეოდოსი ხომ, როცა ძმისაგან თავს იფარავდა,
 ერთხანს ტაოში იმალებოდა, არას ერჩოდა, არც რას ჰპარავდა.
 დავითს აფხაზის კენესა ესმოდა, მამა-შვილურად კიდევ ზრუნავდა,
 ჩემი მეუფეც, შუამავალი, წაკიდებულ ძმებს შორის ბრუნავდა,
 თეოდოსია ახლა ბატონი, მასთან თანხმობა თქვენი ვალია,
 ასე ამბობენ, ზეცას ახედა, ფრინველმა როცა წყალი დალია.
 თქვენაც ახედეთ მოწყალე ზეცას, თეოდოსს ისე მიუზღეთ წილი,
 მამაჩემისგან იმას ეკუთვნის, მტკვარის იქითა, ქართლის ნაწილი,
 თქვენ როგორ გინდათ აღმართოდ ხელი
 და უსინათლო დააზიანოთ,
 ლიხს აქეთ თუ კი ძალას მოიხმართ,
 იქით მოყვრულად შეეხმიანოთ.

ღავითი დიდი

ქართლს გამოვედი არა იმიტომ, აფხაზთა მეფის სისხლი მწყურია,

1. ადარნასე ბაგრატიონმა, ქართველთა მეფემ (888-923 წწ), შირაქში სუმბატ აშოტის ძე ბაგრატუნისგან გაამეფა 891 წ. ორივემ აფხაზეთის მეფე კონსტანტინე ტყვედ ჩაიგდეს 904 წ. სუმბატი ადარნასესგან ფარულად შეუთანხმდა კონსტანტინეს და ტყვეობიდან გაათავისუფლა. ამ ღალატის გამო სუმბატი და ადარნასე მტრებად იქცნენ.



ასე მსჯელობა დედოფლისაგან გულს მტკენს და ცოტა უცნაურია, რაც მარუშისძემ აზრი გაგანდო, ომზე არ იყო რამე მსჯელობა, კიდევ მინდოდეს, მცირე ამალით,

როგორ მექნება რამე მცდელობა, შენ, დედოფალო ჩვენი ხარ რძალი, მაგრამ აფხაზი ნათესაობით, არ შეგეშლება არც ერთი მხარე, ვისი ვინ არი, როგორ, რაობით. აფხაზებს უჩქეფთ ქართული სისხლი,

აფხაზი უწევს ქართველს დედობას, ვიცი, დასძრახავ იქით და აქეთ, გაუტანლობას, ვერაგ ქმედობას, მინდა დამშვიდდე და დამიჯერო, ეს გზა საომრად არ გამილია, თეოდოსი რომ ქუთათისს მეფობს, გამეფებაში ჩემიც წვლილია. და უფრო მეტი. შენი ბაგრატი, განა საომრად მომიყვანია, დედას მოგგვარე მონატებული, არ გინახია, დიდი ხანია და მასთან ერთად თხოვნა გადმომცეს,

მესტუმრებინა შენთან დინარი, ერისთავების ცქრილა გოგო, თვალეხბატულა, მიწყვი მცინარი, როდის იყო რომ საომრად მავალს, მოუშვითარნი თან მყოლებია, ვითომ დავბერდი, ჭკუა დამაკლდა, უკადრებული მომლომებია?

დედოფალი ბურანდუხტი

ეჭვი გამოვთქვი, არა საწყენად, მაგრამ მინდა რომ კარგად გავიგო, უფლისციხე მაქვს მოკუთვნიებული, დაეტოვო, კერა საით ავიგო, მეორე მხრივ კი, დემეტრე მეფის გარდაცვალების ორმოცი¹ ხდება, მისამძიმრება ჩვენია ვალი, მეორედ ხომ არ განმეორდება.

ამიტომ იყო, რომ იოანეს ქუთათისს წასვლა კიდევაც ვთხოვე, მეფის დაკრძალვას რომ დავესწარი, იცის ვის,

როგორ გამოვეთხოვე, ახლა ჩავა და ამბავს ჩაიტანს, თან დიდებულებს მოითათბირებს, გამოიკითხავს ვინ გვეერთგულებს, ვინცა ყოყმანობს, გადმოიბირებს. მარუშისძეზე სხვა უკეთესი ამ საქმისათვის არ მეგულება, ქართველთა საქმეს რომელმა დასდოს მეტი ამაგი და ერთგულება?

1. ორმოცი – ქრისტიანობა გარდაცვალების მეორმოცი დღეს აღნიშნავს.



იონანე მარუშისძე

ქართველთ მეფეთა მადლობელი ვარ, რომ ჩემი აზრი გაიზიარეს,
 მოითათბირეს, ერთიან ძალით, გამალებული აქეთ იარეს,
 როცა შევეძახე, განა იმიტომ, მტერი ვაზარო, მოყვარეს ვცემო,
 ეს რომ გამიგე, მიტომ დამთანხმდი, შენ დედოფალო თაყვანსაცემო.
 ახლა, ქვათახევეს შეკრებილები,

დაზუსტებულად მომავალს ვსახავთ,
 აქედან ჩავალთ უფლისციხეში,

და დიდებულებს ქართლისას ვნახავთ,
 მათი თანხმობით და თანადგომით, ციხის კლიტენი მომირთმევი,
 რასაც შეგპირდით, ის აღვასრულე, ფუჭი პირობა არა მჩვევია,
 უფლისციხეში ზეიმს მოვრჩებით, ქუთათისისკენ გავემგზავრები.
 საქვეყნო საქმეს გარჯა სჭირდება, დედოფალს რატომ დავეზარები,
 მე როგორც ვიცი, დავით დიადმა,

თავის მემკვიდრედ ბაგრათი ზარდა,
 მის პაპა ბაგრატს და მამა გურგენს,

სხვა არავინ ყავთ ყმაწვილის გარდა.
 ჩემგან კლიტენი უკვე მიიღეთ, ქართლს აფხაზეთის, დაეუფლებით,
 ლიხის აქეთი ერთიანდება შვილობილის და შვილის უფლებით,
 არა სჭირდება ამას ხმლის ქნევა. ლაშქრის შეკრება,

მეტოქის ძლევა,
 სულელი ასტეხს საომარ ხმაურს, მასზე, რაც თავის თავად ეძლევა.

მეფე ბურბანი

გურანდუხტს ვაქებ. შენც ერისთავო. აგირჩევიათ გზა ჭკვიანური,
 რაც შეიძლება მშვიდად მოგვარდეს,

რატომ აგტეხთ მასზე ხმაური?
 მაგრამ ის ხომ ვერ დაიმალება, თუ გამეფდება ქართლში ბაგრათი,
 არ შეიძლება მცხეთას არ ლოცონ, არ შეაგებონ ჭვარი და ხატი,
 ქუთათისს უმალ ჩავა ამბავი და აფხაზები ამხედრდებიან,
 აქეთ კახელნი, იქით ამირა აღრე თუ გვიან შეერთდებიან.



არ დაგნებდებით და არ აგვცდებთ,
 გარეთ თუ შიგნით ფიცხელი ომი,
 მერე იყვრე და დაიფიცე, რომ არ ვიყავით ჩვენ ამის მდომი,
 უფლის ციხეში როგორც კი შევალთ,
 უნდა დავიწყოთ იქვე მზადება,
 იქ გამოჩნდება ვინ სიტყვით ომობს,
 არ ეზარება ვის თავდადება.

იონანე მარუშისკე

მეფემ ისეთი გზები დასახა, გზა უეჭველი ომისკენ მიდის,
 ამას რომ ვისმენ, სიშმაგე მძალავს
 და როგორ ვიყო ასეთ დროს მშვიდი?
 არ მიფიქრია ქართლში მეფობა,
 ვიცი, რომ ბაგრატს დამშვენდებოდა,
 მაგრამ ასეთ დროს ვერ გაამტყუნებ თუ თეოდოსი აღშფოთდებოდა,
 ამიტომ მქონდა რჩევა ასეთი, წლობით ფიქრისგან გამოსაკვეთი,
 მიწა, რომელიც შიდა ქართლია
 და ქართულის ხნავს სახნის-საკვეთი.
 დღეს აფხაზეთის სამეფოსია გურანდუხტისთვის მიკუთვნებული,
 მას მე განვაგებ დედოფლის ნებით,
 დედოფლისათვის თავდადებული,
 ბაგრატი თუ მას ჩაენაცვლება, შვილი, დედისა ძე და მემკვიდრე,
 არა ვით მეფე, ვით გამგებელი და ასე უნდა გაგრძელდეს ვიდრე,
 თავად აფხაზეთს არ გამეფდება.
 და როგორც ვამბობ თუ ეს მოხდება,
 აფხაზებს რა აქვთ სასაყურო, აფხაზთა საქმე ხომ არ წახდება.
 ბაგრატი ჭერაც უწლოვანია, დედას
 და მის შვილს უნდათ დამხმარე,
 რომ კახელების შემოსევისგან მყარად დაიცვას ეს არე-მარე.
 პატრონზე უკეთ, მამაზე უკეთ,
 გამგებელს გვერდით ვინ დაუდგება,
 სიძეზე უკეთ მოყვრის წინაშე ვის შეუძლია პასუხისგება.



მეფე გურგენი, უფლისციხეში, თანაგამგებლად თუ დადგინდება, მისი სამეფო და საგამგებლო ერთიანდება, ერთის გახდება, შემდეგში ამას მიემატება აფხაზთ სამეფოს ყველა მიწები, ყრმა გაიზრდება, იმერ-ამერი გახდება მისი დასაფიცები, რადგან თეოდოსს სხვა არავინ ყავს,

სამეფო ტახტი რომ დაუტოვოს, სხვა არვინაა სამეფო სისხლის, შვილად მიიღოს და ჩაეჭსოვოს.

ღავითი ღიღი

მარუშიანი სიმართლეს ამბობს, მისი ბაგენი სიბრძნეს ღაღადებს, ვეთაყვანები იმ ქართველ დედას,

ამღაგვარ ვაჟკაცს ვინაც დაბადებს, ამჟამად ჩვენთვის რა ბედენაა, მეფე ერქმევა თუ გამგებელი, ბაგრატი არი მცირეწლოვანი, მეურვედ უნდა ვინმე მხლებელი – მხლებელი, თანამოჭირნახულე, მამა და მეფე თუ კი იქნება, ამავე დროს სიძე თეოდოსისა, ომის საბაბი ვერ შეიქმნება, ასეც გადაწყდეს. უფლისციხეში თავშეკრებილი დიდებულები, ასე დავმოძღვროთ და დავამშვიდოთ,

არ აიღელვონ ცნობით გულები.

მე მათ ვუბრძანებ და რბილად ვეტყვი,

ყველანი ბაგრატს დაემორჩილონ, თუ უნდათ ჩვენი პატივისცემა და ჩემი წყრომა რომ აიცილონ, ვეტყვი, მე თავად ვარ მოურავი, ბაგრატისათვის გადმიდევს თავი, ჩემია ვალი მას ვემსახურო, სიკეთე ვთესო, ვაცილო ავი.

ამავე დროს ჩემი მუდმივი ყოფნა უფლისციხეში ხომ არ ეგება, ორივე ტაოს უნდა მიხედვა მსმენელი ამ აზრს გადაეგება, ჰო და, მე წავალ, მოურაობას, ბაგრატის მამას გადავაკისრებ, თანაგამგებლად შვილთან დავტოვებ,

ერთად ესროდნენ ორგულებს ისრებს.

მისი სამეფოც ძალზეა ახლო, მიხედვა აღარ გაუძნელდება, იქაც იქნება, აქაც იქნება, ორივეს უნდა მისი ხელდება, შუაში მხოლოდ რატი ბაღვაში და მისი ვრცელი მამულებია, ის მხოლოდ მაშინ გაბედავს რამეს, თუ ქალიშვილი მოსძულებია.



არა შიშისთვის მოყვარულ მამის,
 არამედ სტუმრად დინარის ვტოვებ,
 გუჟანდუხტს ვანდობ ასულის აღზრდას
 და გავიხარებ თუ კეთილს ვპოვებ,
 ახლა კი დროა, რომ ავიშალოთ,
 უფლისციხისკენ სწრაფად ვიაროთ,
 გადაწყვეტილი გამოვუცხადოთ, ჩვენი ერთობის მადლს ვაზიაროთ.

/რამდენიმე დღის შემდეგ. ზედაზენი. შეკრებილან: კვირიკე ქორეპის-
 კოპოსი, – კახეთის მთავარი; რატი ბაღვაში – კლდეკარის ერისთავი;
 ადარნასე ძამელი – ძამის ციხის მფლობელი აზნაური; ქავთარ ტბელი
 – ქართლის გამორჩენილი აზნაური/

ადარნასე ძამელი

როცა დემეტრემ ძმა გამოდევნა, სდია, უნდოდა უღონოს ტყვევნა,
 ლტოლვილი მოსდგა ძამის კარიბჭეს,
 დამიწყო ხვევნა, სურდა შეწვენა,
 წესია ჩვენი, გავილე ხელი და მეფისწული შინ შევიფარე,
 აფხაზთა მეფე, ავი მდევარი, არ გავიკარე და გავამწარე.
 ძმას არ ინდობდა, მე დამინდობდა? მეფემ დააწყო სააღყდ ჯარი,
 ძალა აღმართს ხნავს, მე რა მეღონა,
 არ დაეღეწათ სასახლის კარი,
 თეოდოსს ვუთხარ, რამდენსაც შევძლებ,
 მიგულო, როგორც ყმა და მფარველი,
 არა ვარ კაცურ სიტყვის გამტეხი, არც მოძალადე,
 არცა მპარველი.
 როცა მისჭირდა, ციხის გვირაბით, გავაპარე და გზა გავუხსენი,
 კურაპალატთან¹ გადავიყვანე, სტუმარს რა სჭირდა მე ავუხსენი,
 ჩვენ მაშინ დავთქვით, რომ ვიქნებოდი,
 ლტოლვილის მცველი, მისი ერთგული,
 ახლა რაღა ვქნა, როგორ წავშალო,
 ფიცი ღმერთისთვის მიბარებული?

1. კურაპალატი – ტაოს მფლობელი დავით ბაგრატიონი



ქავეთარ ტბელი

მე თეოდოსის არა მაქვს ვალი,
 მაგრამ მებრალვის ბრმა და საწყალი,
 მეფე გურგენმა როგორ იკადრა, გადაუკეტა აქეთ სავალი,
 სიძე-ცოლის ძმა ვერ თავსდებიან, ქართლის მამულში ატეხეს ომი,
 დაბრძანებული უფლის ციხეში, დავიწყებია კაცის საზომი.
 უფლის ციხეში იჯდა გურანდუხტ
 მეფე გიორგის შვილის უფლებით,
 პატივსა ვცემდით აზნაურები თავის დაკვრით
 და გზაში თანხლებით,
 ახლა რა ხდება, ქალის მაგიერ,
 მის ქმარ-შვილს უნდა მსახურად ვედგეთ,
 ამ დამცირებას, თავსლავის დასხმას,
 ჩვენ გვირჩევია ბერებად შევდგეთ,
 კლარჯეთ – შავშეთი ეცოტავება, ქართლს გადმოვიდა,
 გაგვიბატონდა,
 უნდა წაგვართვას თავისუფლება, მცირე მამული,
 რომელიც გვქონდა ,
 აფხაზთა მეფე ვერ მოვიშორეთ, ახლა მას უნდა გახდეს პატრონი,
 აზნაურებმა პირი შევკარით, არავინა ვართ მისი გამგონი.

რბტი ბალვანში

ხედავთ? არ შევცდი, როცა გირჩიეთ,
 ქორეპისკოპოსს რომ შევხვედროდით,
 არავინაა მასზე ძლიერი, ამირას რაღას ევედრებოდით,
 კახელთ უპყრიათ არაგვს აქეთი, იქით მუხნარი და ბაზალეთი,
 ცალი ხელი რომ ჰყრეთს აკავებს,
 მეორე ცდილობს იპყრას დვალეთი,
 ახლა თუ ქართლის აზნაურები, კვირიკეს მეფედ აღიარებენ,
 ერთიან ძალით გურგენსა სძლევენ, მამამისსაც ზედ მიაყოლებენ,
 მაგრამ ერთობა ქართლელთ ძნელია, გარე მხედველი არ დაელია,
 ციხე უფლისა ორგულმა გასცა, ორგულის გული ცარიელია.



კვირიკე ჭორეპისკოპოსი

ადარნასე წუხს, რომ თეოდოსი ვერაგობისგან ვერ დაიფარა,
 დემეტრე აფხაზთ მეფის განზრახვა, ძმის მკვლელობისა, გამოეპარა,
 მაშ, მე რალა ვთქვა, თეოდოსი ხომ ბოლოს

მე მენდო და მე გავეცი,
 და რა ვიცოდი, დემეტრე მეფე, ღმერთმა შეუნდოს,
 ყოფილა მხეცი.

როცა მევედრა ძმასთან შეხვედრას, არას ავნებდა, ხატზე იფიცა,
 მიგინებია მისი კაცობა, ვინც შეაქეზა, მასთან ისიცა,
 მცხეთაში შეგვხვდა დიდებულებით,

მღვდელმთავარს კრძალვით ხელზე აკოცა,
 როცა მივგვარე განდგომილი ძმა, გვერდით დაუდგა,
 მასთან ილოცა.

არა და მქონდა ადრე ნათქვამი: თეოდოს, შენ ხარ ძმა და სტუმარი,
 შენი სიცოცხლე სიცოცხლედ მიღირს,

შენი სასჯელით ვიქნები მკვდარი,
 თეოდოს მენდო და დამიჯერა, უვნებლობისთვის გავხდი თავდები,
 დემეტრემ ფიცი არ შეასრულა, როცა ვიხსენებ ამას, ვთავდები,
 ძმა დააბრმავა. ღალატისათვის მიწყვი ვიყავი სისხლის მძებნელი.
 შევჩერდი მაშინ, როცა სიკვდილმა ავს დაუშოკლა წუთისოფელი,
 ხედავ? ძამელო, მე თეოდოსის, კაცური ვალი, მეტი მქონია,
 შენი წუხილი მოყვასის გამო, ჩემ საწუხართან მონაგონია.

რათი ბალვაზი

ვხედავ მეფეო, სიმართლით სჭედავ,
 აზრის გამოთქმას მიტომ გიბედავ,
 ქართლის, ჰერეთის დიდებულები ერთგულები გყავს,

თავადაც ჰხედავ.
 ძამელთა გვარი ძალზე დიდია, რიცხვით მრავალი, ძალით ძლიერი,
 ტბელების მოდგმა თუ დაემატა, ვინ გაუბედოს, რამ უდიერი,
 ჩემზე არ ვიტყვი, მე ცოტა სხვა ვარ,

აფხაზთა მეფის არ მაწვეს ვალი.



უფრო პირიქით, იმათთან მტრობამ, მამათ უჩვენა აქეთ სავალი, მე უფრო ქართლის აზნაურები, ერის შვილები მეცოდებიან, გურგენი თავზე თუ გაიმეფეს, მისგან თავდახსნა იქნება გვიან, ვფიქრობ ახლაა დრო ხელსაყრელი,

თუ გამოიღეთ ერთობით ხელი.
ერთი მხრიდან და მეორე მხრიდან,

ათავისუფლოთ ქართლის სოფელი, ბრმა თეოდოსი მეფედ ითვლება, ქართლი ხომ ჯერაც აფხაზეთია, მეფობს არ მეფობს, ფლობს თუ ვერა ფლობს,

აზნაურთათვის ორივე ერთია, ახლა გურგენი ქართლს ეუფლება, ძალას მოიკრებს, დაიმორჩილებს, არად ჩააგდებს აფხაზს და კახელს, დიდ აზნაურებს და იმათ შვილებს.

კვირიკე ჭორმეხისკოვოსი

ტბელნი, ძამელნი, აბაზასძენი, ქართლელთა ბედი ვის აბარია, ზედაც კლდეკარის მძლავრი ბატონი,

ყველანი ერთად რამ გადარია, რით ვერ შეძელით მამულის დაცვა,

მტერს გზა მიეცით და აბატონებთ, რაც შეგიძლიათ საერთო ძალით,

ერთობით რატომ ვერ მოიგონებთ? მე არ გინდივართ, აფხაზს არა სცნობთ,

გურგენი რალად გინდათ პატრონი, კარგი უარყო, ცუდი ინდომო, არა ვარ ასეთ სიბრძნის გამგონი, ახლა რომ მოხვალთ და შეველას ითხოვთ,

რატომ მებრძოდით ქართლს რომ ვიყავი, რად ვერ შევეთანხმდით, თვალს ვერ გაუწვდენ, ამხელა მიწა ვერ გავიყავით.

რატი ბალვაში

რასაცა ბრძანებ, სულ მართალია, ქართლის წახდენა ჩვენი ბრალია,



დროულად გონს თუ არ მოვეგებით, რაც არი, ისიც წარმავალია,
დიდებულები ცალკ-ცალკე ვმეფობთ,

თითოს ციხე გვაქვს მიუდგომელი,
ერთად შეგვეკრიფოს და გვიწინამძღვროს,

ჩვენ შორის არი მითხარ რომელი?
ან და რა გვექნა. ვინ იფიქრებდა, როცა დემეტრე გარდაიცვალა,
მგლოვიარე დამ დრო გამონახა, სამტროდ მოირთო და მოიცალა,
ქართლის ერისთავს მარუშისაძეს, ციხე უფლისა ვისაც ებარა,
შეუთანახმდა, აზრი გაუყო, მოლალატეებს გადაეფარა.

მარუშისძემ კი, თავისი მხრიდან, ყველა დავით დიდს შეატყობინა,
მეფე გურგენი აიყოლიეს, მოლალატენი შეჰკრიფეს ზვინად,
ბოლოს შეიკრნენ და უფლის ციხე,

ქურდული მისვლით კიდევ აიღეს,
ლალატის თესლი აღმოაცენეს, არაკაცობის ვალი გაიღეს,
ბატონად დასხდნენ უფლისციხეში,

და უდარდელად დროს ატარებენ,
სამშობლოს ბედზე არა დარდობენ,

არც დიდებულებს რამედ აგდებენ.

ჰავთარ ტაელი

ეგ კიდევ რაა, ბოლოს შევიტყე, მაგრამ ვერ ჩავხვდი
რასა ნიშნავდეს,

როგორ იქნება კაცს უღალატო და ეს ღალატი ძმობასა ჰგავდეს,
მარუშისძეზე უნდა გაცნობოთ,

გურგენს და დავითს ის მიუძღოდა,
ზეიმით შეხვდა უფლისციხეში, თითქო ოცნება რამ ახდენოდა.
ორი დღის შემდეგ, როცა დავითი კურაპალატი უკან გაბრუნდა,
მარუშისძემაც დატოვა ციხე, საით წავიდა, გაგება უნდა,
თუ გურგენ მეფის ერთგული იყო, განა რა მოხდა მათში იმგვარი,
მეფემ მსახური ჩამოიცილა, გამოუხურა სასახლის კარი,
ერთი ეს ვიცი, რომ შერისხული, ტაოში დავითს არ გაჰყოლია,
ზოგჯერ ძნელია იმის დანახვა, რასაც უყურებ და იოლია,
თუ გურგენ მეფემ იოანეზე იეჰვიანა და მოიშორა



ნიშნავს, რაც სცოდა დიდებულებთან, მოინანია, გამოასწორა.
 ჩვენ თუ არ გვენდო, არ გაგვიკარა, ამით ცდებოდა,
 თან წარა-მარა,
 ჩვენაც ვცდებოდით, არ ჩავუსაფრდით,
 არ შევებრძოლეთ და ესეც კმარა.

სადარნასე ძამელი

თავს ნუ იმტყუნებ, რაც შენ გამოგრჩა,
 გულის ფიცარზე მაქვს ჩაწერილი,
 თუმც ძნელად ნახავ, რომ კაცი იყოს
 იოანეზე ბრძენი და ფრთხილი,
 მაგრამ ეს საქმე მაინც გამჟღავნდა, ამგვარი ძნელად დაიფარება,
 ქართლის ერისთავს ჩვენ ყველა ვიცნობთ,
 სიტყვაძვირია და უკარება.
 მან მიიწვია უფლისციხეში ზენა სოფელის დიდებულები,
 ყველა, ვინც იყო მათი ერთგული, მათთან, ჩემსავით შეფარულები,
 მოგვმართა სიტყვით და მოგვიწოდა
 სამშობლოსათვის მსხვერპლი გაგველო,
 საკუთარ თავზე გვეთქვა უარი, სხვებისთვის ეზოს კარი გაგველო.
 ასე ამბობდა, უნდა შევერთდეთ ტაო, კახეთი თუ აფხაზეთი,
 თუმც ტომები ვართ სხვადასხვა კუთხის,
 ჯიში ერთი ვართ, წვეთი და წვეთი,
 ვიდრე ვართ ცალკე და ერთურთს ვებრძვით,
 იოლად ვხდებით მტრების ნადავლი.
 ასე ცალ-ცალკე დავიღუპებით, ჩვენზე იტყვიან, –
 გასვლიათ ყავლი,
 გარშემო მტრები მახვილს ლესავენ, სომხებია თუ არაბებია,
 ბიზანტიელნი, სპარსნი თუ ოსნი, თურქნი და მათი თანამხლებია,
 ჯერ კიდევ დროა ხელი ხელს მივცეთ,
 ერთიანობის ძალით ვიხაროთ,
 მტერს, ვინაც ცდილობს ჩვენ დამონებას, მივუხტეთ,
 ჯავრი ამოვიყაროთ.



შემდეგ მოგვმართა კურაპალატმა, ვითომ კეთილად,
 მამაშვილურად,
 თან შვილობილი წარმოგვიდგინა,
 აგვიხსნა, ქართლში დატოვებდა რად,
 იმისი აზრი იყო ასეთი: ბაგრატი მისი შვილობილია,
 ტაოს სამეფო იქნება მისი, სამეფო ტახტიც აწყობილია,
 ამავე დროს კლარჯეთ-შავშეთის მეფის,
 გურგენისაა ბიჭი მემკვიდრე,
 მამის შემდეგ ის ტახტს დაიკავებს, ორგან იმეფებს,
 იცოცხლებს ვიდრე,
 მიემატება მას პაპის მხარე, სამივე სამეფო ერთის გახდება,
 ერთიანობის იხარებს ნერგი, მათი ოცნება ასე ახდება.
 დარჩება მხოლოდ მტკვარის აქეთი,
 სად გურანდუხტი ზის გამგებელი.
 ბაგრატი უნდა შეცვალოს დედა, ამიტომაა დედა მშობელი,
 ეს საგამგებლო აფხაზეთია, აფხაზეთ სამეფოს კუთვნილი წილი,
 მეფე ჰყავთ ბრმა და უძეო და შეგაშრებათ პირზე სიცილი,
 თუ გეტყვით, ბაგრატს მიაკუთვნებენ,
 კილიდან – კიდე სამეფოს მიწებს –
 ასე გახდიან იმერს და ამერს, ერთის სამეფოს და დასაფიცებს,
 ბოლოს დავითმა ასე გვიბრძანა,
 ბაგრატს გიტოვებთ ქვეყნის გამგებლად,
 მამამისს ეტოვებ ყმაწვილის მცველად,
 თანაგამგებლად და თანამხლებლად.
 ტაოს ვბრუნდები, მაგრამ იცოდეთ, ბაგრატიც ვარ მე მოურავი,
 ვერვინ გაბედოს მათი ურჩობა,
 არ გახდეს ჩემი მსხვერპლი ბედშავი.
 აი, ასეა. უფლისციხეში, ბაგრატია და მისი მშობლები
 არავინაა მათი პატრონი, უარის მთქმელი და ხელის მხლები.

ჰავითარ ტბელი

დავითთან ბრძოლა მეტად ძნელია, არაბთ ხალიფაც ვერ მოერია,
 აღარას ვიტყვი ბიზანტიაზე, ბიზანტიელი ჭრელი ერია,



სომხობა დავითს მამად მიიჩნევს, ისაა მათი დიდი მფარველი,
 ხლათი, არქეში და მანასკერტი სომხით აავსო, გაუხდა მცველი,
 ჩვენ რას შევბედავთ, ძალა აქვს დიდი,
 მაგრამ თუ გავხდით მას შენახიდი,
 თუ მას ვუფერეთ, გურგენს კი ვუმტრეთ,
 ეგებ ცხოვრება დაგვიდგეს მშვიდი.

ნატი ბაღვაში

აზრი ფუჭია. შენ როგორ გინდა,
 ბიძისშვილები ერთუროს წაჰკიდო,
 ის ტოტი მოჭრა, რაზეც ორივე გამობმულია, როგორც აკიდო,
 ერთიანობის ტოტი გვარია და ბაგრატია ორივეს შვილი,
 ერთმა აკეთა, მეორემ ზარდა, დაკაცებაში დაიღეს წვლილი.
 ჩვენ რომ ეს ტოტი მოგვაჭრევიანა,
 ჩვენ რომ ბაგრატი მოვიგდოთ ხელში,
 ერისთავები, აზნაურები გავსწორდებოდით ერთბაშად წელში,
 ბაგრატი მძევლად რომ ავიყვანოთ,
 კახეთს ან ჰერეთს გადავიყვანოთ,
 თუ შეგვებრძოლნენ, წინ დავიყენოთ
 და არაფერი ჩვენით არ ვავნოთ.
 თქვენ როგორ ფიქრობთ, თავად დავითი,
 თითს არ მოიხრის შეგვებრძოლება?
 პირიქით, აქეთ თავს გაგვიყადრებს, ჩვენთან მოვა და მოგვეტოლება,
 მაშინ ჩვენ შევძლებთ მასთან ვივაჭროთ, ზოგი რამ დავთმოთ,
 დავათმობინოთ,
 თუ მივალწიეთ დასახულ მიზანს,
 რად არ შევთანხმდეთ და ვაწყენინოთ?

კვირიკე ჭორავაძე

ჭკვიანურად სჯი. მაგრამ იცოდნე განსჯა ერთია, საქმე მეორე,
 თუ რამ განსჯის დროს გამოგეპარა, საქმისას ბევრჯერ გაიმეორებ,
 შენ ახლა ის თქვი, რაც ყველა ჩვენგანს გულში ედო
 და ხმას არ იღებდა,



რომელი არი თუ გაგვიგებდა,
 წვლილს შესაძლებელს არ გაიღებდა.
 მაშ, ასე არი. ბაგრატი დასვეს, მასთან გამეფდა მისი მშობელი,
 გარს აკრავს ქართლის დიდებულები, ცოტა ერთგული,
 ბევრი მგმობელი,
 დღეს ახალია, მათი მეფობა, არამყარია მტრებს შორის ყოფა,
 მაგრამ დრო გავა, მიეჩვევიან, მგმობელებს ბევრი გამოეყოფა.
 თუ რამეს ვფიქრობთ, დროით ვიფიქროთ,
 საკეთებელი არ დავახანოთ,
 ისე არ მოხდეს ფეხი ვითროთ,
 დროის დაკარგვა ბოლოს ვინანოთ.

ალარნასე ძამელი

ვიჩქაროთ, მაგრამ აუჩქარებლად, ყველა ავწონოთ,
 ყველა განვსაჯოთ,
 შვიდჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭკრათ,
 რომ აჩქარებით არ დავისაჯოთ,
 მარუშისძე ხომ ჯერაც არ ვიცით, ზეიმის შემდეგ საით ვიღოდა,
 რასა ზომავდა, რასა წონიდა, ნაფიქრი როგორ გამოსდიოდა.
 ჩვენ დავადგინეთ, რომ ამირასთან ის შესახვედრად არ წავიღოდა,
 მაგრამ ეგება სომეხთა მეფეს,
 ან უფროს ბაგრატს რომ შეხვედროდა?
 სწრაფად გვჭირდება ამის დადგენა და არ მიიღოთ აზრი საწყენად,
 უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ბრძოლა,
 ჩვენვე არ დაგვრჩეს უაზრო რქენად.

ნატი ბაღვაში

რაზეც ძამელი შიშს გამოთქვამდა, არაა ჩვენთვის ავის შემცველი,
 კლდეკარი იქით გზებს თუ ჩაკეტავს,
 არ მოუწვევებათ აქამდე ხელი,
 და ამას გარდა, სადაც მტერია, იქვე გაჩნდება მოყვარე ჩვენი,
 ვერ თავსდებიან დღეს მამა-შვილი, მეფე გურგენი,
 ბაგრატი რეგვენი.



ბაგრატი გურგენს მხარს არ აუბამს,
 რეგენია და ამდენს ვერ ხვდება,
 იმათში მტრობა მე მითესია, მოყვრობა აღარ განმეორდება,
 უფრო მაფიქრებს მე ჩემი შვილი,
 დავითთან მძევლად დატოვებული,
 უფლისციხეში მოუყვანიათ, გურანდუხტს ეგებ გაუთბეს გული.
 მგლოვიარე ქალს არ ეგლოვება,
 არც ექსოვება და არც ძაფს ართავს,
 მარუშიძესთან, ქმართან და მაზლთან, რაზე თათბირობს,
 რა ხლართებს ხლართავს,
 თუ იოანემ დაადლო ციხე, საით გასწია, რასა ფიქრობდა,
 ასე მგონია, ჩვენ რას ვიზამდით,
 საით გავწევდით წინასწარ გრძნობდა,
 თუ გადავიდა დვალეთის მხარეს, დვალეებს, წანარებს¹ მოიყოლიებს,
 იქით ოსებშიც თუ გადავიდა, რატომ და რისთვის, ვინ მოიძიებს?

ქავთარ ტბელი

უფრო მგონია, რომ მარუშისძე აფხაზეთის გზას დაადგებოდა,
 იცის, ორმოცს თუ მიუსამძიმრებს, ეს მის ჩანაფიქრს წაადგებოდა,
 ეს საქმე ძნელი დასადგენია, გაგვირთულდება თუ ვერ გავიგეთ,
 თუ საძირკველი არაა მყარი, კოშკი მაგარი როგორ ავიგეთ?
 კაცი მსტოვარი აფხაზთა მხარეს გავაგზავნოთ
 და ველოდოთ შედეგს,
 ნიშნავს ერთ ხიფათს თუ ამოვიცნობთ,
 მტერი ამზადებს იქავე შემდეგს,
 დრონის დაკარგა წაგებას ნიშნავს,
 უნდა ვეცადოთ მოვიგოთ დრონი,
 ჩვენზე ვერა თქვან, – რა უფიქრიათ, ეგონოთ გიჟის გამონაგონი.

კპირიკე ჭორეპისკოპოსი

ბრძნულად მსჯელობა ზოგჯერ სიბრძნეა,
 ზოგჯერ შეცდომა არი ფარული

1. დვალეები, წანარები – კავკონური წარმომავლობის ტომებია, ქართოს – ფარნავაზის, შემდეგ იბერია – საქართველოს სამეფოში შემავალი.



ურთი-ერთს ვუსმენთ არა იმიტომ,
 გრძელი მსჯელობის ვართ მოყვარული,
 თუ გადავწყვეტთ ძალთა შეკრება, თუ დავადგინებთ ვინაა მტერი,
 იმას თუ მივხვდით იმათ რა უნდათ,
 მათ ძალებს სწვდება თვალსაწიერი,
 მაშინ ზედმეტი მიეთმოეთი, სიტყვის გაჭიმვა რა საჭიროა.
 უნდა დადგინდეს, თუ ძალა შეგვწევს,
 მტერს რომ ვუყულოთ სწორედ ის დროა,
 თუ უფლისციხეს დავარტყით უცებ,
 ვიდრე გურგენი გონს მოეგება,
 უხმაუროდ და სისხლ დაუღვრელად,
 ბაგრატი ვიგდოთ ხელში ეგება,
 თუ ბაგრატს ვიგდებთ, ეს იმას ნიშნავს,
 ყველა ერთბაშად ხდება მძევალი,
 კურაპალატსაც იქით შევუტევთ და შეგვიძლია დავადოთ ვალი,
 მთავარი არი შეერთებულად, ერთიან ძალით რომ ვიმოქმედოთ,
 რად ვიმკითხაო, თავად მეტყვიან, კახეთს რომ მტრობენ,
 გულში რა ედოთ.

რატომ ბაღვაში

მინდა წინასწარ კარგად გამიგოთ, საერთო საქმეს არ ვეთიშები,
 მაგრამ ბრძოლისას, უფლისციხეში, სააშკარაოდ ვერ გამოვჩნდები,
 ჩემი ასული მძევლად ჰყავს გურგენს,
 ბრძოლისას სადმე რომ დამინახოს,
 „თუ არ შემეშვი, ასულს მოგიკლავ“,
 გამწარებულმა რომ შემომძახოს.
 ხომ დავდედლდები, იარაღს დავეყრი
 და მოლალატე თქვენი გავხდები,
 მათი არა ვარ, თქვენთან არა ვარ,
 საკუთარ თავთან ცალკე წავხდები,
 ამიტომ ვიტყვი, მე გზებს ჩაკეტავ, უფლისციხეში არ გამოვჩნდები,
 რასაც გპირდებით, მას შევასრულებ, ასეთი არი გულში ნადები.



ადარნასე კამელი

ხედავთ, ხომ ვამბობ, არ შეიძლება, ყოველი საქმე აჩქარებული, უაზრობაში გადაიზრდება, მქმნელი დარჩება თავად ვნებული, ეს რომ არ მოხდეს სჯობს შევიცადოთ,

მარუშიძის გზა გამოვიკვლიოთ, შემდეგ დავსახოთ გადასაწყვეტი, რასაც დავადგენთ იმასა ვსდით. მანამდე რატი თუ სამხრეთს შეკრავს,

გურგენს სამეფოს ჩამოაცილებს, უფლისციხეში, გამომწყვედეული, ჩვენგან ტყვეობას ვერ აიცილებს, მე და ქავთარსაც ხომ შეგვიძლია, იმერს სავალი გზები ჩავხერგოთ, აფხაზთ სამეფო შუა გავწყვიტოთ,

იმათ ის დარჩეთ, რაც ადრე ერგოთ.

კვირიკე ჟორჯიშვილი

თუ ჩემთანა ხართ ერთად ვიომოთ, ძმურად გავიყოთ გასაყოფელი. თუ არა აქეთ რას მოდიოდით, რად შეაწუხეთ აქეთ მყოფელი, ასე შევთანხმდეთ, რასაც ამბობდით

თუ ხართ იმისი შემსრულებელი წადით, მიჰხედეთ თქვენ საკუთრებას,

არ დაგჭირდებათ ჩემგან მხლებელი. მე კი, მე ვიცი რას ვიმოქმედებ, კახეთის ბედი თავად გავჭედო, უმთავრესია არ მილალატო შენ, შემოქმედო და ჩემო ბედო

/978 წ. კონსტანტინეპოლი. იმპერატორი ბასილი,¹ მისი დედა და დედოფალი ფეოფანე, იმპერიის ჯარების სარდალი (დომესტიკოსი) ბარდა ფოკა, ათონის ივერთა მონასტრის ბერი იოანე (ეროზაში თორნიკე ერისთავი)

1. ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II 976 - 1025 წ. ჰეკიანი, ენერგიული, მკაცრი მმართველი იყო. დაუნდობლობისათვის ეწოდა „ბულგართ მჟლეტელი“.



ბასილი იმპერატორი

ბარდა რომ გვირჩევს, თუ დავეთანხმეთ,
 ბიზანტიისთვის ისიც მარცხია,
 მტერი მძარცვავს თუ მძარცვავს მოყვარე,
 სიკეთის მაღლი არავის სცხია.

ბარდა ფოკა

ბევრი ვიფიქრე, რომელი გვიჯობს და დედოფალსაც მოვეთათბირე,
 ერთიც ავია, მეორეც ავი, სხვა იმედი კი ვერ შევიპირე,
 ჩვენ ყველა ვწუხვართ, მაგრამ არ არი სხვა უკეთესი გამოსავალი,
 საქმეს არ შევლის ფიქრი და განსჯა, არცა გონება,
 არცა თვალთვალი.
 ორი წელია ქვეყანას მართავ, ჯერ არ გინახავს მშვიდობის დილა,
 აჯანყებული ბარდა სკლიაროს¹ თავს არ გიყადრებს,
 ისე გაზრდილა,
 ხალიფა ხოსრო ჩვენზე აქეზებს, მიხაილ ვურცა და ტარონელი,
 ბრძოლა მოგვიგო და აქეთ იწევს,
 ზვალის განსაზღვრაც არაა ძნელი.
 მხოლოდ ერთს ვხედავ ქვეყნის იმედად, თუ არ დავეთანხმდით,
 სხვა ხსნა არ არი,
 ქალაქის კედლებს თუ მოადგება, ბოლო გვექნება უფრო საზარი,

1. ბარდა სკლიარი, იმპერატორ იოანე ციმისხის ნათესავი, აღმოსავლეთის ლომესტიკოსი. 976 წ. ზაფხულში დაიწყო აჯანყება ბასილი იმპერატორის წინააღმდეგ. სამხედრო ელიტის, მუსლიმანების, მთავარი ტარონელის, ამიდის ემისის მხარდაჭერით მან თითქმის მთელი მცირე აზია დაიკავა. მიხაილ ვურცამ მას ანტიოქია ჩააბარა. იმპერატორის ფლოტი მის მხარეზე გადავიდა. 978 წ. ბარდა სკლიაროსმა (სკლირმა) იმპერატორის ჯარები დაამარცხა. იმპერატორს საფრთხე უშუალოდ დაემუქრა. მაშინ კაპადოკიის მხარედან შერისხული ბარდა ფოკა კონსტანტინეპოლში მიიწვიეს. ფოკას რჩევით დახმარება სთხოვეს ტაოს მეფე დიდ დავით კურაპალატს. აჯანყება სწორედ დავითის დამხმარებით ჩაახშეს.



დედოფალი ფეოფანე

შენ ჩემო შვილო, იმასა სჩივი, რაც სხვას უპყრია და დაგიკარგავს,
 რაც დაგრჩენია თუ მიაყოლე, ნერგს ზეთისხილის,

შენთან ვინ დარგავს,
 ივერთა მეფე, ღიდი დავითი, სანაცვლოდ ომში დახმარებისა
 შენგან მოითხოვს იმის მიცემას,

რაც ბედის ძალით გამხდარა სხვისა.
 კარნუ ქალაქი¹ და ბასიანი, აპახუნიკის მიდამოები,
 მასთან მიწები ევფრატის მხარეს, ჭალა და ველი, მაღალი მთები,
 ხანის წყალი და არაქსის მხარე, ქართ-არმენებით დასახლებული,
 ჩვენგან ისედაც მოწყვეტილია, სკლიაროსისგან აოხრებული.

შენ თუ ის დათმე, რაც არ გეკუთვნის,
 როგორ გამოვა მაშინ წაგება,
 რას კარგავ თუკი არ დათანხმდება, ამასაც უნდა კარგი გაგება,
 ასე მგონია ძალზე ცოტას გთხოვს, გთხოვს იმას,

რასაც ისეც მიწვდება,
 უფრო მეტს მისცემს აჯანყებული,
 ზურგს გაიმაგრებს თუკი მიხვდება.

ბერი იონანე

ჩემი პატრონი დავითი ღიდი, ვისაც ბევრი ჰყავს კარს შენახიდი,
 ათასი მტრისგან იცავს სამეფოს,

მიტომ არა აქვს ცხოვრება მშვიდი,
 მასში ხედავენ დამცველს და მფარველს,

ვინც არაბთაგან არი ჩაგრული,
 ქართველთ მეფენი მამადა თვლიან,

არმენებიც ყავს გულში ჩაკრული.
 ვანის ტბის იქით ჰერ-ქართულები მიწყო მტრებისგან იჩაგრებოდნენ
 იმედად მხოლოდ დავითი ჰყვანდათ,

მისგან სიკეთეს მუდმივად გრძნობდნენ

1. კარნუ ქალაქი – კარენიტი.



ახლა თქვენც ხედავთ, როცა გისჭირდა,
 დავითი გახდა თქვენი იმედი,
 მას შეუძლია გაიღოს ხელი, ნათელი გქონდეთ გადასახედი,
 ის კი არა გთხოვთ შეველას და შევებას,
 დღეს დახმარება თქვენა გჭირდებათ,
 თუ არას დათმობთ, ვერას მოიგებთ და უარესად გაგიჭირდებათ.
 გადასაწყვეტი საქმეა თქვენი, რისი ხართ შემძლე, რისი ჩამდენი,
 დავითს რა უჭირს, ან მე რაღა მრჯის, რად ავიტკიო თავი ამდენი.

ბარდა ფოკა

თორნიკე, გიცნობ და შენც მიცნობ,
 რადგანაც დავითს ვემეგობრები,
 შენი პატრონი ძმადნაფიცია და მისი ქებით მე ვერ დავშვრები,
 იმპერატორი ახალგაზრდაა, დიდ საქმეებში გამოუცდელი,
 მაგრამ ვერ საზღვრავს და უზომოდ წუხს
 თუ მამულებზე აიღო ხელი.
 დღეს ჩვენთვის საფრთხე ძალზე დიდია,
 მასზე ბასილის ბედიც ჰკილია,
 რა დროს ფიქრია, ვინ რას წაიღებს, დაპყრობილია თუ ნაყილია,
 შენ უნდა შეძლო, გვიშუამდგომლო,
 აუხსნა დავითს, აქ რა გვჭირს ჭირი,
 მიიღოს ხელი, შეებას ბარდას,
 დარჩეს მეგობრად და გახდეს გმირი.

ბერი იოანე

სამი წელია ერობა დავთმე და სიბერეში ვიწყებ ბერობა,
 ათონის წმინდა მონასტრის საკანს არა სცილდება ჩემი მზერობა,
 სამი წელია მკლავს სინანული, რაც ქვეყნად ცოდვა ჩამიდენია,
 ვინ არწყას ჩემგან დაღვრილი სისხლი,
 სრულად ვინა თქვას სულ რამდენია.
 ახლა ვლოცულობ მომეხსნას ცოდვა,
 მოხუცებულმა ვიგრძნო სიმწვიდე,
 გამომიყვანეთ, ჩამომიყვანეთ, გინდათ ცოდვებთან ახლად მივიდე.



მე კარგად ვიცნობ კაბადოკიას, ფოკას გვარ-თესლი ძალზე ძველია,
 შენ მამა-ბიძას იმედოდ ვყავდი და საზრუნავიც არ დამელია,
 დღეს ისლა მიკვირს, ვიცი გმირობდი,
 სკლიაროს როგორ გამოგეპარა,
 სპერიდან აქეთ მიწა წაგართვათ
 და გამარცხებდათ თან წარამარა
 თქვენ გინდათ მეფე-პატრონს ვეახლო,
 აქედან იქით ჯორით ვიაროთ,
 გადავცე თქვენი სურვილი-თხოვნა, თან ჩემი აზრი გავუზიარო,
 თქვენ მტერს შეეხებას და დაამარცხოს,
 სულის სიმწვიდე ამით შეგძინოთ,
 სანაცვლოდ იქით არა გაიღოთ, არც გაახაროთ, არც აწყყინოთ.

ბასილი იმპერატორი

ისე არ არი, როგორც შენ ყვები,
 ვალში არა ვართ შენს მოძმეებთან,
 ჩვენც გვიომია მათი გულისთვის, ხან სპარსელებთან,
 ხან არაბებთან,
 და ამას გარდა ჩვენით ამაღლდნენ პატრიკიოსი, კურაპალატი,
 მეფე არ ერქვათ, იმპერატორი, გავაამაყეთ, გაეხადეთ ხატი.
 ახლაც ასეა, თუ შენი მეფე, ხელს გამოიღებს, დაგვეხმარება,
 აღმოსავლეთის კურაპალატის სახელოს მივცემ, არ მეზარება.

ბერი იოანე

შენ თუ გსმენია თქვენი წარსული, მეც ბევრი რამე გამიგონია,
 თუ გიომიათ თქვენს სასიკეთოდ, ჩვენი გულისთვის, – არა მგონია,
 მარტო ის რად ღირს,
 გუბაზის შემდეგ ლაზებს მოუსპეთ ქვეყნად მეფობა,
 პატრიკიოსი უწოდეთ მეფეს, მისიც არ გასურდათ კაცური ცნობა.
 თავად გუბაზი, ერთგულებისთვის,
 სარდლებს ღალატით მოაკვლევინეთ,
 რაც სპარსელებმა დაგმართეს საქმე,
 სუსტს მიაღებით და აზღვევინეთ.



კურაპალატი უწოდეთ აშოტს,

ვინც ტაო-კლარჯეთს მეფობით ფლობდა,
 აფხაზთა მეფე ესიძებოდა, ძალაუფლებას ქართლშიაც გრძნობდა,
 ახლა იმ მხარეს სამი მეფეა, კახეთს და ჰერეთს დიდი მთავარი,
 აფხაზთა მეფეს ქართლი ეკუთვნის,

ძალუმს ამირას დასცეს თავზარი.
 კლარჯეთის აქეთ დავითის არი, ამიერ ტაო, იმიერ ტაო,
 სამეფოს საზღვრებს სად მიუწვდები, ღრუბლებისაა იქ საკატაო.
 კურაპალატი თუ არქვით მეფეს,

თქვენგან დაკარგულ აღმოსავლეთის,
 დიდი პატივი გაგიმეტიათ, დარჩეს მლოცველი თქვენი სიკეთის,
 თუ მხოლოდ ამის გამო მაწვიეთ, წავალ, მონასტერს მივებარები,
 რამდენი დამრჩა კიდეც სიცოცხლე, კიდეც გავალო საკნის კარები.

დედოფალი ფიოჯანა

ბარდა ფოკაა ჩვენი მრჩეველი, მეგობარია ამავე დროს თქვენი,
 მისი კარნახით ავიღეთ გეზი, გელოდებოდით ჟამი რამდენი,
 ახლა შენ გინდა გვითხრა უარი, იმედის კარი გამოგვიხურო,
 არ გვათქმევინო ჩვენი სათქმელი, არ გვიპასუხო და იხმაურო.
 სასწორზე იცი დევს ქვეყნის ბედი, მეორე მხარეს შენ ხარ იმედი,
 ქრისტიანი ხარ, მისთვის ლოცვაში, დაგიწევია ამაყი ქედი,
 მაგრამ სალოცავ ადგილთა შორის ჩვენი მამული ავირჩევია,
 თუ ხარ მორწმუნე, მოყვასისათვის თავის დადება არა გჩვევია?
 შენ ხომ ღმერთს შეთხოვ,

ჩვენ შენ შეგთხოვეთ ქრისტიანული შუამდგომლობა,
 ხელი ხელსა ჰბანს და ორივე პირს, ასეა ძმობა და ახლობლობა,
 შენ თუ გვიშველი და მეფე შენი,

ბასილმა უკვე მოგართვათ ძღვენი,
 კურაპალატი აღმოსავლეთის, სახელი არი გამოსაჩენი,
 იმას, რასაც შენ გვევედრებოდი,

ვამბობ, გაძლევთ და დაისაკუთრებთ,
 ოლონდ თუ ჩვენი თანხმობით არი,
 არ გაამჟღავნებთ და იხმაურებთ.



ბარლა ფოკა

დედოფალმა თქვა ჩვენი სათქმელი,
 იმპერატორიც ხომ იყო წრფელი,
 ახლა შევეთანხმდეთ, ხატს დავიფიცოთ,
 მერე კაცურად ხელს დავკრათ ხელი,
 სხვა რაღა გითხრა, იმას მიიღებთ, რაც იყო ჩვენში უკვე ნათქვამი,
 შემდეგ რას შეძლებთ აღმოსავლეთით დრო მოიტანს
 და გვიჩვენებს უამი.
 მე დავითს ვიცნობ, სანამ იცოცხლებს,
 მამულის მოვლას არ მოეშვება,
 ვინც წინ დახვდება, აღმართავს მახვილს,
 არ მოსცილდება იმას ვაება,
 ოლთისს რომ ჩახვალ, არა ჯორებით, აქედან გემით გაემგზავრები,
 სინუპესა და ტრაპიზონს შორის წინ დაგხვდებიან ჩვენი მთავრები.
 იქ ხალიბების სამოსახლოა, ეტყვიან ლაზებს, ეტყვიან ჭანებს,
 ვინც ვერ მონახავს საერთო ენას, ახლოს შიშით ვერ გაიჭაჭანებს,
 შემდეგ დავითის სამეფო არი, ხშირად ბუდობენ მესხი-ლაზები,
 ომში სიფიცხით მოტრიალენი, ლხინში დინჯები და ლამაზები,
 შენს პატრონს ეტყვი რა გვაქვს პირობა,
 რომ ჩაიდინოს ჩვენთვის გმირობა,
 ჩემ გვერდით ყოფნა მისია ვალი, არა გვჭირდება სიტყვა ხშირობა.

ბასილ იმპერატორი

ძალა აღმართს ხნავს, დღეს ვარ ძლეული, დამხმარე არ მყავს,
 დავრჩი ეული,
 მოვა დრო, მახვილს ისე აღმართავ, ვეგონო სისხლით გადარეული,
 შენმა მეფემაც დაე იცოდეს, ვინც ბავშვობაში არ შემეცოდეს,
 დაკაცებული ისე შეგუტევ, მიხვდნენ რაც მიყვეს, ყველაში
 სცოდეს.
 სახელოს ვაძლევე, განა ცოტაა? სხვა ვინ გავთ უფრო აღმატებული,
 მამულებს მართმევს დახმარების წილ,
 ვრჩები ყოველ მხრივ დამცირებული,



დე ასე იყოს. რასაც დღეს ვკარგავ, ხვალე ორმაგად დამიბრუნდება!
მწიფეს ესვრიან და მკვახე ცვივა, გაგეგონება, ასედაც ხდება.

დელოვალე ფეოფანე

ახლა ხარ ბერი, მოძღვარის სიბრძნით,
ისმენ და პასუხს არ ეპირები,
მაგრამ ადრე ხომ მახვილს იქნევედი, იყავ მებრძოლი დაუზარები,
კარგად მიხვდები, რომ ჩემი შვილი, სიფიცხით ამბობს,
არ იმუქრება,
იმპერატორი ახალგაზრდაა, ასაკით არი მიუკარება.
მთავარი არი ის ავასრულოთ, რაც განვიხილეთ და გადავწყვიტეთ,
ყველამ ვთქვით გულში მყარად ნადები
და სასაუბრო წყარო დავწყვიტეთ,
მეფესთან გატანთ ძვირფას საჩუქრებს,
შეთანხმებაა უფრო ძვირფასი,
ჩახვალ, ჩაიტან და დაარწმუნე, მის დახმარებას არა აქვს ფასი.

/დავით დილის სამეფო. ოლთისი. სამეფო დარბაზი. დავით დიდი,
თორნიკე ერისთავი, იოანე მარუშისძე, მამა იორდანე, იოანე შავლიანი/

ღავითი დიდი

აჩქარებითა რაც დაგვემართა, უნდა სიღინჯით გამოვასწოროთ
ვიჩქაროთ, მხოლოდ აუჩქარებლად,
სულწასვლით სული არ ავიძმოროთ.
აქ მოვისმინეთ ბევრი ახალი, რაც მეტი ძველის გაგრძელებაა,
აწყმოს სჭირდება მომავლის ხედვა, ხედვა წარსულის მოძიებაა,
ადრე ჩვენ ბევრი რამე შევძელით და შეცდომებიც ვერ ავიცილეთ,
ჩვენი შეცდომით მტერი ვაცინეთ და არ ვიქეცით იმათ საწილედ.

1. ბასილ იმპერატორმა 1001 წ. (დიდი დავითის გარდაცვალების შემდეგ)
ტაოს სამეფო დაიკავა. საქართველოს მეფე ბაგრატმა სცნო ამ ფაქტის
კანონიერება. მკვლევართა შორის აზრთა არსებითი სხვაობაა მასთან
დაკავშირებული. კერძოდ კი, მცდარია შეხედულება ეს 988 წ. მოვლენებს
დაუკავშირონ. არ შეიძლება, შეფასებისას, მხედველობიდან იქნეს გაშვებული
ბასილის პიროვნება.



ამიტომ უნდა წვრილად განვსაჯოთ,
 თვითეულს რაც აქ მოუყვლია,
 ვინ სად ყოფილა, რა გაუგია, მტერი, მოყვარე ვინა ჰყოლია.

მამა იორღანე

დიდო მეფეო, ღვთით კურთხეულო, მერამდენე დღე ჩამოთავდება,
 მთლად აფხაზეთის დიდებულები გევედრებიან, თხოვნა არ წყდება.
 აქ იოანე შავლიანია, კაცი მძლავრი და გამგებიათ,
 გარეთ იცდიან ერისთავები, მსჯელობა მოსდევთ მრავალხმიანი.
 შენთან შეხვედრას გევედრებიან,

უნდათ გაგანდონ გულის წუხილი,
 შენი შეხედვა მზის ამოსვლაა, ხმის გაგონება არი ქუხილი.
 მარუშისძე ჰყავთ შუამავალი, ყველას იმისკენ უჭირავს თვალი,
 შენც კარგად იცნობ მის გარჯილობას,

არ დაგვჭირდება შორით თვალთვალი,
 როგორც მიბრძანეთ ჯერ მხოლოდ ორნი

თხოვნის სათქმელად შემოვიყვანე,
 რა სურთ, რა უნდათ, რა შეუძლიათ, აგიხსენ, სიტყვა არ დავახანე.
 მეორე მხარეს ერისთავია, სამი წლის უკან ბერად შემდგარი,
 მისი სახელიც იოანეა, თორნიკე იყო უწინ მედგარი,
 თხოვნა აქვს მასაც აუწონავი, გადაუღია საქმისთვის თავი,
 გითხარ რა უნდა, თავად განსაჯე რაა მოგება, რა არი ავი.

ღავითი დიდი

აფხაზებთან გვაქვს ბევრი საერთო, ერთი-მეორეს მყისედ დაერთო,
 თუ რამ სიძნელე გადაგვიდგება,

გააჭრევიანე ჩვენ მახვილს ღმერთო,
 განა არ იყო, ჩემი ბაგრატი, უფლისციხეში დავსვი გამგებლად,
 დედას, გურანდუხტს, მივგვარე შვილი,

მამა ვუჩინე მცველად და მხლებლად.
 რით დამიფასდა ასეთი გარჯა, შენ მარუშისძე უნდა გახსოვდეს,



სიფრთხილზე არი ვაჟკაცის ჩვევა,

რომ თადარიგი ყოველთვის ჰქონდეს, მე შენი რჩევა დამიჯდა ჰკვაში, სიფრთხილზე მაინც გამოვიჩინე, ტაოსკენ წაველ ჩემი ამალით, მაგრამ მსტოვრები კი დავარჩინე, კლარჯეთს არ ვიყავ ჯერაც მისული, როცა ამბავი შემატყობინეს, რომ კახელები დაეცნენ ბაგრატს, ტყვედ აიყვანეს და აწყენინეს. უკან გავბრუნდი გამგელებული, რომ კვირიკეზე შური მეძია, მისი ციხენის კარი მეღეწა, სიმართლევ იქვე გამომეძია, რატი ბალვაში წინ შემეგება, რა სურდა გულში, ეს ვერ გავიგე, ციხის კლიტენი ფეხქვეშ დამიწყო, მისი მამულიც ფეხქვეშ გავიგე. ურბნისს ჩავედი და ჩავივაკე, ფლავი ავიღე და ფლავისმანი¹, იქვე დამიხვდნენ ტბელნი, ძამელნი, დიდაზნაურნი და მათი ძმანი, გახარებულნი მომასხენებდნენ: „კვირიკე, კახელთ ეპისკოპოსი ბაგრატივანთა განაყარია და ერთგულია გვარის სამოსი. მას მოახსენეს, მეფე გურგენი, კახის დაპყრობას ეპირებაო, უფლისციხეში კერა გამართა, არაგვის ჭალებს ეპარებაო, ჰო და დაასწრო კვირიკემ აქეთ, უფლისციხეში გაუბატონდა, მეფე ცოლ-შვილით თან წაიყვანა,

მოსპო მიზეზი, რომელიც ჰქონდა, საბოტარელნი, ნაქურდეველნი² გვერდით ედგნენ და ეხმარებოდნენ, ფიქრობდნენ, ამით თავს უშველიდნენ

და აფხაზეთის მეფესა ვნებდნენ. მაგრამ როდესაც კვირიკემ იცნა, ბაგრატი შენი შვილობილია, ყმაწვილი, ჯერაც წვერუპარსავი, ტაოს სამეფოდ გამოზრდილია, შეცბა და უკან გამოამგზავრა, მასთან აახლა მისი მშობლები, შენც შეერიგება შემოგთავაზა, მზადაა გახდეს შენი თანმხლები. რაკი დამთავრდა მშვილობიანად, აღარ ვიშიშვლე ხმალი ნალესი, აწყმობა მიწყვ კაცის საფიქრი და იმედი აქვს მიწყვ ხვალესი,

1. ურბნისი, ფლავი, ფლავისმანი – ქართლის ისტორიული სოფლებია.
 2. საბოტარელნი, ნაქურდეველები – ქართლის წვრილაზნაურული საგვარეულოები.



იონანე მარუშისძე

მე დვალეთს¹ ვიყავ, ის ხომ ქართლია, დვალეთის იქით არი ოსეთი²,
 ალანებია ოსების იქით, სკვითებს მიჰგავენ წვეთი და წვეთი,
 მაგრამ ოსებთან მაინც მოყვრობენ,

ჩვენთანაც უნდათ ჰქონდეთ საერთო,
 ვისაც მოყვრობის წყალი სწყურია,

მასთან მოყვრულად უნდა გაერთო.

ალანებიდან გადაველ ჯიქეთს. ჯიქებიც არი ტომი მრავალი,
 შემდეგ სანიგნი და აბაზგები, სად არი მთებზე გადასავალი,
 შავლიანია მათი თავკაცი, გვარი დიდია და ყველგან მძლავრობს,
 ჯიქეთს იერთებს, ზღვიდან მთებამდე ფესვძლიერია და ასე ხარობს.
 აბაზგებს აქეთ აბშილებია, ზევით მთებში კი მისი მიწები,
 მხარე ღარიბი, მაგრამ ლამაზი, მე მისი ქებით არ დავიღლები,
 იქიდან ქვევით ლაზებისაა, ლაზების მძლავრი სამეფოც იყო,
 ბოლოს აფხაზთა მხარე ეწოდა, ამერ-იმერიც ასე გაიყო.

ქუთათისს ვიყავ, თეოდოს მეფე, ძველი ნაცნობი და მეგობარი,
 სიამით შემხვდა, დარდი გამანდო,

ბრმისთვის ცხოვრება როგორი არი.

იონანე შავლიანი

მეც დავამატებ, იმას რაც არი, რაც არი კარგი და ან საზარი,
 ნათქვამით უნდა დავრეკო ზარი,

რათა შეერთდეს ჩვენ შორის ბზარი.

1. დვალეთი — ქართლის მთიანი ნაწილი, მისი ისტორიული კუთხე. XIX ს. რუსეთის იმპერიამ დვალეთი ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად თავის ფარგლებში მოაქცია. 1862წ. დვალეთი მალალი სამხედრო — საიმპერიო მოსაზრებით ქართლს ჩამოაცილეს და ვლადიკავკაზს მიუერთეს. დღეს ეს კუთხე ოსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და მისი ქართული ისტორიულობა თითქმის მივიწყებულია. დვალეთმა და დვალეებმა, გაოსებულმა ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ალან-ოსური კულტურის განვითარებაში. საკმარისია გავიხსენოთ კოსტა ხეთაგუროვი.

2. ოსები — კავკონური წარმომავლობის ტომია, რომელიც ალან-სკვითებში გაითქვიფა, თუ ალანური ფუძიდანაა — საჭიროებს შემდგომ შესწავლას.



თავად განსაზღვრეთ, აფხაზთ ერისთავს,
 ვისაც ჯიქეთშიც მეთქმება ძმობა,
 რაში მჭირდება უნდითა ძებნა, ერთგულთა დევნა,
 ორგულთა ხმობა,
 აქაც ჩამოველ დიდებულებით, რათა რა –
 რაა თქვენთან განვსაჯოთ,
 გავერთიანდეთ, ვიბრძოლოთ ერთად
 და მოლაღატეც ერთად დავსაჯოთ.
 სხვა ვინღა დარჩა ქვეყნის მოყვარე,
 რომ მარაუმიანს ექცეს მოგვარედ,
 მასავით სურდეს ქვეყნის დიდება,
 გვერდს უმშვენებდეს შინა თუ გარეთ,
 მეფევ დიადო, ჩვენი მიზანი, ზეცას უფლისგან დალოცვილია,
 მისია სიტყვა და საქმე შენი, იცოდე ჩვენიც დიდი წვლილია,
 შენით ჩვენ საქმე უნდა შევიძლოთ,
 შენით განივთდეს ჩვენი ერთობა,
 რომ მომავალმა შენით ირწმუნოს, უფალის მაღლი,
 კაცის ღმერთობა.

ღავითი დიდი

თუ აფხაზეთის დიდებულები, როგორც ამბობენ, ისე ფიქრობენ,
 საერთო უნდათ გვექონდეს სამეფო,
 ჩემში მხარდამჭერ მეგობარს გრძნობენ,
 თანახმანია მომცენ მძევლები, რომ პირნათლობა მათი ვირწმუნო,
 უნდა დავფიქრდე, რატომ გითხათ ჰო,
 ანდა ნააზრი რად დავიწუნო.
 ერთი შეხედვით ის რაც კარგია,
 ცისარტყლის მსგავსად მონაქარგია,
 დრო დააძველებს, უცებ გაქრება, იტყვი რა იყო, რაში მარგია,
 აგისხნით რატომ არ ვჩქარობ პასუხს,
 ათას მიზეზებს, რატომ ვედები,
 ერთობის ძალა განა არ მესმის, მისთვის ვიბრძოლებ,
 მტლად დავედები.



მაგრამ ხომ უნდა კარგად განვჭვრიტო, ნაბიჯს-ნაბიჯი,
 სხვა რა მოჰყვება,
 ვარდის სურვილით თუ ეკლებს კრეფავ,
 ვით მოგიტანოს შედეგმა შვება?
 აფხაზთა მეფე ნათესავია, აფხაზთა მხარე ისედაც ჩვენი,
 ჩემი ბაგრატი თუ უნდათ მეფედ, რატომ დავრჩები ამით ნაწყენი?
 ასეც შევხედოთ აფხაზთა სურვილს, ბიზანტიელნი რომ გაიგებენ
 რას იფიქრებენ, მტრებს მოგვისევენ,
 შეძენილ მამულს ქვეშ დაიგებენ,
 ზედ არაბობა დაემატება ხალიფა ხოსრო და ამირები,
 აღმოსავლეთით თურქმენობაა და უკვე აქეთ გაკვალეს გზები,
 უფრო ახლოა კახეთ-ჰერეთი და არც ერთს გულზე არ ვეხატები,
 თუ არ განვსაზღვრეთ, რას რა მოჰყვება,
 მოგების ნაცვლად კიდევ შევცდებით.

იონანე მარუშისძე

დაგეთანხმები, ყოველ საქმეში, საქმის დაწყება ყოფილა ძნელი,
 ამიტომ უნდა შეიღწერ გაზომო,
 რომ გასაჭრელად არ წაგცდეს ხელი,
 ბრძენი ხარ მეფევ, როდესაც ცდილობ
 ყოველმხრივ საქმე გამოიკვლიო,
 მომავალს აწყმო, აწყმოს წარსული,
 წარსულის ამბებს გვასწავლის კლიო!¹
 ჩვენაც შევხედოთ რას გვითხრობს კლიო,
 როდის რა იყო ჩვენი წარსული,
 როდის ვყოფილვართ მენის მტყორცნელი,
 როდის სუსტნი და ვადაგასული,
 არავინ უწყის ჩვენთა წინაპართ რად რა გადახდათ,
 როგორ იარეს,
 სხვას რა ანახეს თავმოსაწონი, ვისი წუხილი გაიზიარეს.

1. კლიო – ძველი პელაზგიურ – ბერძნული მითოლოგიის თანახმად, სიძველეთა, ისტორიის მფარველი მუზა.



მხოლოდ ის ვიცი, რომ თარგამოსი ქალღევნელთ
 მამულს უწილოდ ფლობდა,
 უკიდვანო ქვეყნის გამგები, მტრებს ვერ ხედავდა
 და ვერცა გრძნობდა,
 მაგრამ როდესაც ჯანით მოხერდა, შვილებს სამეფო დაუნაწილა,
 რვად დაყოფილმა, დასუსტებულმა სხვის ძალადობა ვერ აიცილა.
 უხსოვარ დროდან ასე დაგვჩემდა, როცა ნაწილი,
 ნაწილს ეკვროდა,
 ძალას იკრებდა, მამულს იცავდა,
 მომხდური მთლიანს ვერას ერჩოდა,
 ახლაც ასეა, ვართ დაყოფილნი, ერთობას ვწუნობთ,
 ნაწილი მთელიობს,
 ნაწილი ნაწილს მცირეს წაართმევს,
 ორივეს შეჭმას მესამე მცდელობს.
 ამავ დროს მტრები კარს მოგვდგომია
 ყველას ჩაყლაპვა არის მიზანი,
 ტკიბილი ენით და ბასრი მახვილით, ვინ რას გვიპირებს, ამოიცანი,
 რა გადაგვარჩენს ერთობის გარდა,
 რომელი მტერი ძმურად გვიშველის,
 ვისაც საჩვენო თავისთვის უნდა, რატომ იქნება მქნელი სიჭკველის?

ღაპითი ღიღი

მესმის, რა უნდათ ქართლის ერისთავს
 და ჯიქეთიდან გადმოსულ სტუმარს,
 შესჭიდებიან ერთ ღიად მიზანს, რაც არ მიაგავს ამბავს სახუმარს,
 მაგრამ ჩემიც ხომ უნდა გაიგოთ, რატომ არ ვჩქარობ,
 და გონით ვწონი,
 თუკი ჩახვდებით საფიქრის სიღრმეს,
 რა, ვიმსახურებ საყვედურს მგონი,
 ხედავთ? გვერდს მიზის ჩვენებრ ჭარმაგი,
 გვისმენს და ხმა არ ამოუღია,
 მასაც თქვენსავით სტკივა მამული,
 და ძმობისათვის გული აქვს ღია.



ამავ დროს თვევენგან განსხვავებული მძიმე ცნობები მოუტანია, თქვენსავით უნდა საქმის გარკვევა და მელოდება კარგა ხანია, მე დაყოვნების არ ვარ ტრფიალი,

მაგრამ საქმე რომ მოგებად ღირდეს, არ გადახვიდე დაუკრეფავში, დასაკრეფი კი უნდა მომწიფდეს. ახლა კი, რათა კარგად გაიგოთ, ჩემი საფიქრის მხარეს იაროთ, მდუმარეს ვეტყვი ხმა ამოიღოს, მისი ნათქვამი გაიზიაროთ.

თორნიკე პრისტავი

ჩემო ბატონო, მფარველ-პატრონო, ვიცნობ მათ, ვისაც ვუძებნე შენ გვერდით, სხვადასხვა ქვეყნის ერისთავები, ერთად ვომობდით,

ერთად დავებრდით, ვხელავ დღეს ყველა ერთ აზრზე ვდგევართ,

გულს უხარია და თან ვღონდები, ბერად შემდგარი, ვრჩები უღონო, ამათაც ასე მოვაგონდები. თან როცა ვიტყვი ათონის მთიდან,

აქეთკენ გზები რისთვის დავლახე, რას მოგიწოდებ და გეაჯები, რისთვის ვიწვალე და გავილახე, იტყვიან, რა დროს ეგეთებია, ჩვენ ჩვენი გვტყვიან და ჩვენი გვიჭირს, მე კი ვეტყვადი, ჯერ მომისმინეთ, მერე განსაჯეთ, რა როგორ გვიღირს.

იოანე მარუშისძე

ის, ვინც დღეს ბერი იოანეა, გუშინ გმირობდა, ერისთაობდა, მტერს მიჰყოფდა, მიაგებლებდა, უნდობლად ჩეხდა, არა დაობდა, სამი წლის უკან ხმალი ჩააგო, ტაო დააგდო, იწყო ბერობა, ჩვენი ერთობის გრძნობა თან გაჰყვა,

რატომ ისურვოს ახლა მტერობა?

თორნიკე პრისტავი

ჩემზე რაცა თქვი, სულ მართალია, ცოცხალს არც მინდა ვიყო სხვაგვარი,



ჩვენ თუ რამ გვინდა, უნდა ვიცოდეთ,
 ერთობით უნდა გავხედოთ მაგარი,
 დღეს აფხაზეთის სამეფო ფიქრობს,
 ყველა მის გვერდით უნდა დგებოდეს,
 კახეთიც ცდილობს იყოს პირველი,
 მის უკითხავად არც რა ხდებოდეს,
 ჩვენ, ტაოს მხარეს, ჩვენი გვაქვს აზრი, ამისთვის ვიბრძვით,
 ამისთვის ვზრუნავთ.

ხედავთ? საიდან, საით დავდივართ,
 როგორ ვირჯებით და როგორ ვზრუნავთ,
 მეფე ნებას მრთავს და მოკლედ გეტყვით,
 ბარდა ფოკასგან ვარ მოგზავნილი,
 მასთან ბასილი იმპერატორის და დედოფალის მომაქვს გრაგნილი,
 ერთობით გვთხოვენ დახმარებასა, სამაგიეროდ ქვეყნებს გვითმობენ,
 მხოლოდ დავითის დააქვთ იმედი, დიდი დავითის ძალასა სცნობენ.
 ორი წელია, გეცოდინებათ, ბარდა სკლიაროს, აჯანყებული,
 მთელ იმპერიას ეპოტინება და ბიზანტია დამცირებული,
 ვერ უმკლავდება მოჯანყე სარდალს, მისი ჯარების ძალა მეტია,
 ბელადსაც დააქვს დიდი იმედი, იმხელა, გულში ვერ ჩაეტია.
 ჩვენ თუ სკლიაროსს შევებრძოლებით,
 ზურგიდან დავცხებით და დაბლა დავცემთ,
 ფოკას, მეგობარს, შევეხიდებით, იმპერიის წილ სიკეთეს გავცემთ,
 მე ჩამოველი თხოვნის სათქმელად,
 იქით მთხოვნელნი პასუხს ელიან,
 დამეთანხმებით, ორივე თხოვნა, შესასრულებლად ერთად ძნელია.

იოანე ზავლიანი

შე დალოცვილო. რასაც შენ ამბობ,
 ჩემ თხოვნას როგორ გაუტოლდება,
 ჯერ ჩვენი უნდა შეერთდეს ძალა,
 მერე იოლად სხვაც შესრულდება,
 კი არ ვჭორაობ და მოგიწოდებ, ტყუილად ენას დავატრიალებ,



საქმეზე ვმსჯელობ, საქმის გულისთვის,
 გულელებში ხანძარს ავებრიანებ.
 სამი წლით ადრე თქვა მარუშისძემ, კაცმა ბრძენმა და გამგებიანმა,
 დროით სჭირდება საქმეს კეთება, არ წაახდინოს ჟამმა გვიანმა,
 სამი წელია ამ ხაზს მივყვები

და ვიდრე ვცოცხლობ არ დავიღლები,
 მაგრამ თუ ტაომ არ მოგვცა მხარი,

მარტოსულობის ვრჩები თანმხლები.
 განა შორსაა ქუთათისამდე, აფხაზთა ყოფა რომ არ იცოდეთ,
 ხომ აირევა უფრო სამეფო, თუ უსინათლო არ შეიცოდეთ,
 დიდ აზნაურნი, ერისთავები, მხოლოდ თავისკენ ეზიდებიან,
 სამეფოებად დაიშლებიან და მერე ზრუნვა იქნება გვიან.
 თეოდოს მეფე გულკეთილია, ყველას პატიობს და ეფერება,
 ახლოს ვერ ხედავს, შორს რას გაუგებს,

რომელი რა გზას მიეფარება,
 ამიტომ იყო ტახტის ერთგულებს, სხვა გზა არ დაგვრჩია,
 აქეთ ვიარეთ.

მარუშოიანი წამოვიმძღვანეთ, აზრი გავანდეთ, გავიზიარე.
 ჯერ კიდევ ძალგვიძს ერთობის ჭედვა, მეფის გარშემო ერთიანობა,
 ხვალ რა მოხდება არავინ უწყის,

საით წაგვიყვანს მეფის არ ცნობა,
 შორს რად წავიდე, ვარ ერისთავი, აბაზგების და სანიგთა თავი,
 ჭიქეთი ძალით მემორჩილება, თავდახრილია, როგორც თავთავი.
 თუ დაიშლა აფხაზთ სამეფო, მეც ცალკე გავალ, გავინაპირებ,
 მაშინ შენაც არ შეგეპულები, დამორჩილებას თუ დამიპირებ,
 ჰო და, ვიდრე მე ნებით გმორჩილობ, მე კი ჭიქეთი მემორჩილება,
 მოგვხედე, მოგვეც მეფედ ბაგრატი, ჩაახშოს ჯანყი და აშლილობა.

თორნიკე მრისთავი

მძიმე სიტყვა თქვი. ლოდივით მომხვდა.
 მაგრამ მეფისაც უნდა გაიგოთ,
 რომელი დიდი არი მოგება, მომავლის ხაზი ისე აიგოთ,
 აფხაზთ სამეფო თუ აირია, ძნელი არაა ისევ შეკრება,



ბიზანტიას ღღეს თუ არ ვუშველით,
 არ ვიცით ხვალე რა შეეძლება,
 ჩვენ იმპერია თუმცა გვერჩოდა, სხვა მტრებისაგან მაინც გვიცავდა,
 მტერი იყო და მტრებს გვარიდებდა, თუ არ მოყვრობოდა,
 კეთილს მოჰგავდა.

თუ არ ვუშველით ბარდა სკლიაროს,
 ხოსრო ხალიფას შეთანხმებული,
 მოგვიბრუნდება, რა ღღეში ჩაგვყრის, გამწარებული, გავეშვებული?

იონანი მარუშისძე

ძალიან კარგი, მერე ვინ ამბობს, ზურგი ვაქციოთ, არ დავებმართოთ,
 მოღალატეთა კერძი გაეხადოთ, რას იმსახურებს, ისიც ვიკმართოთ,
 აქ გასაყოფი არაფერია, პირველ-მეორე არ ამერია,
 მოფიქრება და სისწრაფე გვინდა, თავად ცხოვრება წამიერია.,
 აბა, იფიქრეთ, ბარდას კლიაროსს მთელი აზია ემორჩილება,
 ბასილის მტრებიც ესმარებიან, არ ამჩნევიათ დანაწილება,
 ამხელა ძალას ვერ მოსპობ უცებ, მოუმზადებლად ვერ მოერგევი,
 იქაც გჭირდება მსტოვრების თვალი, გამოიძებნოს შინა ამრევი.
 ყველაფერ ამას დრო დასჭირდება, ეგებ თვე იყოს, ეგება მეტი,
 ჯარსაც სჭირდება გავარჯიშება,

გახდეს მტრებისთვის გზების ჩამკეტი,
 მეფე თუ იტყვის, დარბაზს აცნობებს, მერე დაიწყებს მომზადებასა,
 წელი ილევა, ზამთარი მოდის, საქმე თვით მოგთხოვს გადადებასა.
 მეფე ხომ თავად არ ჩაერევა, ჯარს უნდა მისცეს ვინმე სარდალი,
 სხვა საზრუნავი თავად გაჩნდება, ერთს მოაგვარებ, ყვირის ახალი,
 სულ სხვა საქმეა ქუთათისს წასვლა,

შავლიანს მიტომ დავეთანხმები,
 აქ მტერს ვერ ვხედავ, დიდ აზნაურებს
 შეწყობილი აქვთ საჩვენოდ ხმები.
 თავად თეოდოს, ბიძა ბაგრატის, დისწულის ნახვის მოხარულია,
 როგორც შვილს, ტახტზე მოისვამს გვერდით,
 ჩვენგანაც ასე დანახულია,
 ბაგრატი ისეც აფხაზთ სამეფოს ნაწილს განაგებს, მას ეხილება,



თანამეფობა თუ დამშვენდება, საქმეს გულდაგულ მოეკიდება – აქ საომარი არაფერია, მომავალ წლამდე გადასადები, მშვიდობიანად მოხდება ყველა, ერთობის გრძნობა არი თავდები, მაგრამ თუ საქმე ძალით გავწელეთ, მიზეზ-მიზეზებს გამოვეკიდეთ, დიდებულები აიშლებიან და მერე სდიე კიდიდან-კიდედ. ასეც შევხედოთ. დღეს არაბობას

დავითთან ბრძლის არა აქვს თავი, მშვიდობა უნდათ, მიწებს კარგავენ

და მაინც უნდათ დაგიღონ ზავი, მათ აფხაზეთი არ ენაღვლებათ, მათთვის ის ისეც დაკარგულია, თბილისს ამირაც კი არ მორჩილებს, ხალიფა ნახვას მონიტორულია, პირიქით არი. ტაოს, აფხაზეთს, ქრისტიანული სალოცავები იმათ მიწაზე აქვს აგებული, იმათ მადლსაა შენაზავები. ბიზანტიაზე აღარას ვიტყვი. იმპერატორი დამდაბლებული, თავს ვერ იფარავს, ჩვენთვის ვერ იცლის,

ჯავრი აქვს გულში მოზღვავებული. ეს იმას ნიშნავს, აქ შეგვიძლია, ჩვენივე საქმე ისე განვაგოთ, შემოდავება ვერვინ გაბედოს, ერთი სამეფო ერთად ავაგოთ, ამასობაში ჯარის შეკრება და გამზადება ჩამოთავდება, ერთი მეორეს კვალში მიჰყვება და საზრუნავი არ დამთავრდება.

ღავითი დიდი

დიდია ძალა ხმლისა და მუშტის. გონების ძალა უფრო მეტია, ასჯერ ავზომეთ. ნაფიქრ-ნატანჯი, ნათქვამში მაინც არ ჩაეტია, მარუშნიანმა სწორად განსაზღვრა. აფხაზეთს საქმე არი საშური, ვიდრე ხვალინდელ ერთობის გრძნობას,

არ გადასძალავს ღვარძლი და შური. აფხაზეთს ქართლის დიდებულები,

განზე გადგომით ტოლს არ უდებენ, გურგენს და ბაგრატს ეურჩებიან, დროს თუ ნახავენ,

ფენს დაუდებენ, მათი მოთავე რატი ბაღვაში, ძალებს მოიკრეფს, ფეხზე დადგება, დრო თუ დაკვარგეთ, ერთობის გეგმა, მერე რალაში გამოგვადგება.



მსტოვრებმა მითხრეს, რატის ასული,
 კვირიკეს სარძლოდ დაწინდულია,
 დინარი დავითს¹ თუ გააყოლეს, ამაში საფრთხე ჩადებულია,
 ამაში შევცდი, როცა კვირიკემ, ჩემი ბაგრატი, მისი მშობლები,
 უკან იოლად გამოისტუმრა, ათავისუფლა მისი მხლებლები.
 დინარი აღარ გამოაყოლა და ყურადღება არ მივაქციე,
 არ მოვიტხოვე მოსათხოვარი, უკან მდევარი არ მივაწიე,
 ახლა კახელი ბაღვაშს ემოყვრის,
 ბაღვაშს გვერდს უდგას ყველა გამცემი,
 მათ მამულებზე გადის ჩვენი გზა საბრძოლ-სავაჭრო გადასაცემი.
 თუ არ ვიჩქარეთ, გზას ჩაკეტავენ,
 მის გახსნას ბევრი რამ დასჭირდება,
 დღეს კი ჩვენ ვმძლავრობთ, ჩვენთან ჭიდილი,
 ყველას ერთადაც გაუჭირდება,
 ამიტომ უნდა დროით გავჭედოთ, ამ მხრივ რაცაა გასაჭედელი,
 შორ გზას დამდგარი, შორს გაიხედავს,
 თვალში თითს იკრავს ახლომხედველი.
 მიბრძანებია. არა ხვალისთვის, დღესვე დავიწყით კაზმვა-მზადება,
 აქ გამოჩნდება ვინ რადა ფასობს, ვის შეუძლია თავის დადება,
 მარუშისძემ კი სწრაფად იაროს, უფლისციხეში ნახოს ბაგრატი,
 შემდეგ მცხეთაში სთხოვოს პატრიარქს,
 წამოიმძღვანონ სამეფო ხატი.
 შორაპანს ახლოს ძალებს შეეკრებავთ, ლოცვით,
 გალობით მთას გადავივლით,
 ქუთათისს მივალთ, თეოდოსს ვნახავთ,
 მრევლი შეგვხვდება მოხუცით, ჩვილით,
 ვიდრე ბაღვაში, ძამელნი, ტბელნი, მათ თავს რა მოხდა,
 გამოიკვლევენ,
 ბაგრატს ვაკურთხებთ, მეფედ დაუუსვამთ, მეფეს უნდოდეთ,
 ველარა სძლევენ.

1. დავითი – კვირიკე ქორეპისკოპოსის ძე და მემკვიდრე



აქ იორდანეს ვტოვებ გამგებლად,

აქვე თორნიკეს ჰქონდეს ბრძანება,
ბერის სამოსი სკივრს მიაბაროს, ასეთი არი მეფური ნება,
ჯარი შეკრიბოს, გაავარჯიშოს, კვლავ ერისთავად ერს მოევიწიოს,
ვერვინ უნახოს მხედრობას წუნი, დაგვამარცხოს

და კიდეც დაგვცინოს.

ამასობაში მეც დავბრუნდები,

მიზნის მიღწევას ბრძოლა სჭირდება,
შემართებულად თუ ვიმოქმედებთ, შედეგი აღარ გაგვიჭირდება.

/რამდენიმე დღის შემდეგ. ქუთათისი. მეფეები: დავით დიდი, გურ-
გენი, თეოდოსი, ბაგრატი. დედოფალი გურანდუხტი. ერისთავები: იოანე
მარუშისძე, იოანე შავლიანი/

თეოდოსი

დღევანდელი დღე ღირსსახსოვარი, ბუნებისაგან დალოცვილია,
ამინდი გვწყალობს, ერი ზეიმობს,

ამ დიდ საქმეში ჩვენიც წვლილია,
გუშინ ბაგრატი ვაკურთხეთ მეფედ, თანამეფობა ჭაბუკსა შვენის,
ის უნდა ჩემთვის გახდეს თვალები,

მაგრამ არ გახდეს ამჟოლი ენის.

დიდაზნაურნი, ერისთავები,

დღეს მოდრეკილნი ველარ მძლავრობენ,
ველარ ბედავენ მეფის ურჩობას,

ვერც მოლაღატურ ხერხებს ხმარობენ,
მეც დამეუფლა სულის სიმშვიდე, სადარდებელი სხვას გავუყავი,
ახალგაზრდობა გამახსენდება, სად რა ვაკეთე, ვისთან ვიყავი.

დავით, შენ გახსოვს, ერთ წელზე მეტი,

შენს მეფურ ნებას ვეფარებოდი,
იმედი მქონდა, ძმა დამითმობდა, სამეფო გვირგვინს ვეპარებოდი,
გავიდა წლები, დღეს მეფე მქვია,

გულში კი იმავ ძველ დროს მივტირი,
თვალი მიჭრიდა, ჯანი მომდევდა, მომავლის მწამდა,

რატომ ვთქვა ძვირი?



ღავითი ღიღი

ასაკით თითქმის ვართ თანატოლნი,
 ორნივე სხვადასხვა და ერთნი მგონი,
 სხვადასხვაგვარად გავვლეთ ცხოვრება, შენ არ იყავი ჩემი გამგონი,
 შენი რა მსურდა, ძმისგან დევნილი, ოლთისის მხარეს ეფარებოდი,
 ძმაც მოგყოლა და მოგძახოდა,
 ტკბილი და მწარე მისგან ხდებოდი.
 თეოდოს, ხედავ, იცვალნენ დრონი, ვინც იყო რამე,
 რამის გამგონი,
 შენ თუ თვალეები დაგისამარეს, სხვა რა სიკეთის გახდა ამწონი?
 ჩვენი თანხმობით ვაერთეთ აზრი, რაც შენ გინდოდა,
 ის გახდა ჩვენი,
 თუ სიკეთისთვის მიგვიღწევია, რატომ ვაგინოთ მაშინ გამჩენი?
 ბაგრატი შენი დისწული არი, ჩემთვის კი მხოლოდ შვილობილია,
 შენ სხვა ვინა გყავს, მე სხვა ვინა მყავს, მეფობა ჩვენგან აწყობილია,
 გუშინ ვთქვით მეფედ, განა იმეფებს, შეგეხილება, შეგძენს დიდებას,
 თუ დარწმუნდები მის კაცობაში, აღარ დავიწყებ სხვის მოკიდებას.
 მე და შენ ისეც ვართ ერთი ჯიშის, თუ გვარი გავგყოფს არაფერია,
 ჩვენ თუ დავაკლებთ, ბაგრატი შეძლებს, შვილია, ჩვენი მოსაფერია,
 შენ კი, თეოდოს, ჩემო მოყვარე,
 დღეს შენი ქცევით შვება მომგვარე,
 ვიცი, ბევრი სხვას გიკარნახებდა, უგვანოს ბევრი ჰყავდა მოგვარე.
 ჩვენ ავირიდეთ შუღლი და ბოღმა, ჩემთან,
 შენ ბაგრატს უთხარ მამობა,
 უნდა შევიძლოთ ერთობის თესვა,
 ერთად ყოფნა და ერთობით ძმობა.

იონანე მარუშისძე

ღიღი მეფენი თუ გახდებიან იბერ-კოლხების სიკეთის მფენი,
 კაცი კაცია მეფე თუ მონა, უნდა შეიძლოს გამოსაჩენი,
 მე ერისთავი შიდა ქართლისა, ვის უფლისციხის დაცვა მევალა,



ასე ვფიქრობდი, ვინც დაგვესმება,
 ჩვენ ვაზღვევინებთ დღესვე ან ხვალა
 მერე შევხედე, ირგვლივ ყოველი,
 მხოლოდ შიდა ქართლს ეპოტინება
 კახი თუ ჰერი, იმერ-აფხაზი, ახლა თურქმანის გამხდარა ნება
 ზედაც სომხითით ბაგრატუნები, არ ვიცი ვისგან დანალოცია
 ცდილობენ ქართლის დასაკუთრებას,
 რაც ქართთა კუთხე და სალოცია
 ხო და ვიფიქრე, ეს ჩემი აზრი აფხაზ გურანდუხტს გავუზიარე
 ავუსხენ რა გვჭირს, რაშია შვება,
 რა მოგვიშუშებს ქვეყნის იარებს
 კარგად გამიგო, ერთად ავწონეთ, მერე შავლიანს კიდევ გავწნეთ
 ჩვენ თავიდანვე კარგად განვსაზღვრეთ,
 ვისაც არ ღირდა, იმას არ ვენდეთ
 საერთო თხოვნა მივართვით მეფეს, მეფე დავითი გამგებია
 გვერდში დაგვიდგა, გვიხელმძღვანელა, საქმეც გამოდგა შედეგია
 ჯერ უფლისციხეს დავსვით ბაგრატი,
 უფლის ციხე კი შენ გეკუთვნოდა
 მეფე არ იყო, ასე არც ვარქვეთ, რომ მტერს მიზანი არ ახდენოდა
 არ დაეთესა თქვენ შორის შური. მაგრამ საქმე, რომ იყო საშური
 უცებ დამტკიცდა, როცა დაგვატყდა კვირიკესაგან რისხვა კახური
 დღეს ჩვენ შეცდომა გამოვასწორეთ,
 ქართლი რადგანაც აფხაზთა არი
 აფხაზეთს იჯდეს მისი მმართველი, მეფეთა წული და დასადარი
 ბაგრატს დაერქმის მეფე აფხაზთა, შემდეგ ქართველთა მიემატება
 სხვა ნაწილებიც თუ დაერთვება, მძლავრი სამშობლო დაიხატება

თეოდოსი

რა კარგადა თქვი, მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა,
 სხვათა და სხვათა
 მაგრამ ის რაც ჯერ არი ოცნება,
 ჩვენ სინამდვილედ როგორა ვთქვათა?
 ჯერაც არ ვიცი, ბიზანტიაში, ამ ახალ ამბავს რომ გაიგებენ



რას იფიქრებენ, რას გადაწყვეტენ,
 როგორ საომარ გზებს დაიგებენ
 აქეთ ამირა, ბაგრატუნები და კახელების ავი მთავარი
 რომელი არი არა ნატრობდეს ხელში ჩაიგდონ
 ქართლის მთა-ბარი
 კვირიკემ ხატზეც კი დაიფიცა, რომ დარჩებოდა ჩემი ერთგული
 ფიცი გატეხა, შედეგი იცით, არაკაცობით მომიკლა გული
 ვინ დამაჯეროს, რომ მომავალში ცუდი არასდროს განმეორდება
 რაც მე გადამხდა ღალატისანი,
 ბაგრატის წილად ის არ მოხდება?
 მე ჩემი კალო გამილეწია, ზეპირად იცით რაც შევიძელი
 არ მინდა ბაგრატს იგივე უყონ,
 ყმაწვილზე სამტროდ აღმართონ ხელი
 ბევრის რამ ვიცი, გულითა ვხედავ
 და შვილობილმაც უნდა იცოდეს
 ვერ იქნებიან მისი ერთგულნი, ვინც მამულს უმტრო
 და ღმერთთან სცოდეს

ღავითი ღიღი

თეოდოს, გითხარ და ვიმეორებ, ტყუილად ენას რად ავიძმორებ
 ღმერთს ვეცრუები, კაცს ვემდურები,
 ვის გავაცურებ და მოვალორებ
 კონსტანტინეპოლს რიდი აქეთ ჩვენი,
 გმირობითა ვართ გამოსაჩენი
 ვინმემ გაბედოს, გვისაყვედუროს,
 ძალგვიძს ვუტიროთ იქით გამჩენი
 დღეს ბიზანტია არეულია, ბარდა სკლიაროს აჯანყებული
 თვით იმპერატორს უპირებს ტყვევნას,
 ბასილიც ღვთისგან მიტოვებული
 თხოვნას მიგზავნის, რომ დავეხმარო, მისი საქმენი მე მოვავგარო
 ასეთ დროს რა აქვს სასაყვედურო, როგორ შემბედავს, —
 მანდ რატომ ხარო



როცა აქეთკენ წამოსვლა ვბრძანე, ჯარის შეკრებაც არ დავახანე, აღკაზმულები თავს მოიყრიან, რომ გადათელონ ველები მწვანე, თორნიკე დავთქვი როგორც სარდალი, რომ სამზადისზე ეჭიროს თვალი, ამ საქმეებში გამოცდილია, გადაუხდია ბრძოლა მრავალი.

თეოდოსი

ერისთავს თავად კარგად ვიცნობდი, ვაჟკაცი იყო გამორჩეული, გვინადირია, გვიქეიფია, კარგ მასპინძლობას იყო ჩვეული, მაგრამ მსმენია, ბოლო ხანებში, კერა დააგდო, იწყო ბერობა, ახლა კვლავ მახვილს რად მიაკითხა, ვინ გაუწია ასე მტერობა?

ღავითი დიდი

ბარდა სკლიაროს როცა აჯანყდა, მთლად ბიზანტია მოინადირა, კონსტანტინეპოლს უთხრა მუქარა, იმპერატორი გაინაპირა, ბარდა ფოკა მყავს მათთან ერთგული, მან დაუსახა დედოფალს გეზი, ვინ გაუწევდა სკლიაროსს მტრობას

და გახდებოდა კარის ჩამრაზი. ერთად მოძებნეს ათონის მთაზე, ბერი ცხოვრებას გარიღებულნი, სთხოვეს და ჩემთან გამოაგზავნეს, მეწვია ჯორზე ამხედრებულნი, თხოვნა გადმომცა და თან პირობა,

თუ დაგვშვენდება ჩვენ გარჯილობა, ჩემი სამეფო მიწებს შეიძენს, იქნება ჩვენში მამა-შვილობა.

მეც დავუკვირდი, თორნიკე ბერი თუ არი ჩვენში შუამავლი, იქ ყველას იცნობს, ყველასი იცის, გზაშიც ყველაზე ეჭირა თვალი. სხვა უკეთესი სადღა ვეძებო, ასეთ სარდალზე რად ვთქვა უარი, ბერის სამოსი კედელს დაჰკიდოს, რომ ასახელოს ერი და გვარი, ჯერ არ უნდოდა, ფეხი ითრია და მაინც ბოლოს მომცა თანხმობა, ბერის რწმენაზე ძლიერი არი, მამულზე ფიქრი, კაცური ძმობა.

თეოდოსი

გასაგებია. სულაც არ მიკვირს, რწმენა მეც ბევრჯერ გამცულებია, ხატზე ვაფიცე და არ დამინდეს, გაცუდდა ის რაც გულში მღებია,



რამდენჯერ მითქვამს, ღმერთო ძლიერო,
 ასეთებს ქვეყნად რად აბოგინებ,
 ცრუსა და ორპირს რატომ არ დასჯი,
 მათ ძლევას როდის გამაგებინებ.

ღედოფალი ბურანდუხტი

ღმერთს ნუ შესცოდავ, ნუ საყვედურობ, რაც იყო ავი, იყო,
 წავიდა,
 დღეს სასიკეთო დაგვიდგა ჟამი, უნდა ცხოვრება ვიწყოთ თავიდან.
 დღეს მადლიერი გალობდა ერი და ახალ ტაძარს დავდეთ სამანი,
 ბაგრატის სახელს უკავშირდება და რომ გაივლის რალაცა ხანი,
 ის დაამშვენებს აფხაზთ სამეფოს, ქუთათისს მოჰყენს მშვენიერებას,
 ის დაგვამშვიდებს და დაგვაიწიებს კაცთ მტარვალობას
 და მწუხარებას.

მეფე ბურბანი

მეც მათქმევინეთ ჩემი სათქმელი, რაც ამ ქვეყნად ვარ,
 სიცოცხლე მთელი
 მამულზე ფიქრში მიტარებია, სულს მინათებდა,
 როგორც სანთელი,
 ბედნიერია, ვისაც უნახავს არტანუჯის და სპერის მიდამო,
 თორთომის ციხეს მიჰყუდებია და განუცდია წუთი საამო,
 ვისაც კალმანის წყალი შეუსვამს, ბასიანის ქედს დასჭიდებია.
 ვისაც კინტრიშის წყლის კინტრიშით,
 ფიქრებზე ხავსი არ დასდებია,
 ღმერთო, რამდენი უნდა მაცოცხლო,
 მზერა მომწყინდეს და დავიღალო,
 ოშკთან მისულმა ბანა არ ვნახო, მერე-ს მერე ვთქვა,
 დღეს რად ვეწვალო,
 ხახულის ხილვამ ფრთა არ შემასხას,
 ოცნებით ხანძთას გადავუფრინო,
 რად დავიბადე მაშინ ამქვეყნად, რად გავიზარდე უგულ-უტვინო.



მაგრამ რასაც დღეს დადეთ სამანი,
 ხვალ ათასფერად გამობრწყინდება,
 ბაგრატის ტაძარს ვწირავ სიცოცხლეს,
 ხარჯის გაღება არ მომწყინდება,
 თქვენ, ვინც დაიდეთ ამაში წვლილი,
 შენებისათვის ხართ ხელგამლილი,
 სანთლის ანთებით მოგიგონებენ შვილი,
 შვილი და ... მრავალი შვილი.

იოანე შავლიანი

მე, როგორც თავი ერისთავების და აფხაზების აზრების მთქმელი,
 არ გავიხსენებ ძველ უღმერთობას და არც რა იყო ღალატი ძველი,
 მაგრამ რომ არ ვთქვა ჩვენში მთავარი,
 ძველ და ახალში გავავლო ხაზი,
 არ ვიქნებოდი მოთავის ღირსი, გადამიყოლებს გულს მონახაზი.
 დღეს აფხაზეთის დიდი სამეფო უკიდევანოდ გადაშლილია,
 გუშინ ცალკ-ცალკე რასაც ვმძლავრობდით,
 ჩვენივე ნებით გადაშლილია,
 ბაგრატი თუმცა ჭაბუკი არი, მაგრამ ყველასი სათაყვანები,
 ვაერთიანოთ მის ირგვლივ ძალა, შემოვიკრიბოთ ჩვენისთანები.
 თეოდოს მეფე მე მპატრონობდა, ყოველთვის ვიყავ მისი ერთგული,
 არც რა შეცვლილა გუშინდელს აქეთ,
 მაგრამ აზრი მაქვს ერთი ფარული,
 ბიძა-ღისწული ერთნი არიან და მაინც მათში არი სხვაობა,
 ბაგრატს ვინც იცნობს, დამეთანხმება, არა სჩვევია მასხარაობა.
 ვფიქრობ, ამიტომ, ბიძა-ღისწულმა ახლავე დათქვან,
 ვინ რის მქნელია,
 ისე არ მოხდეს, სხვათა ენებით, ერთობა გახდეს სანატრელია,
 სიტყვა უფროსის, საქმე უმცროსის, ან და ყველაფრის შეთანახმება
 თავად განსაზღვრონ, ჩვენაც ვიცოდეთ, ვის დავუჭეროთ,
 ვისია ნება,
 არ დაიღვევ ამ ქვეყანაზე წამქეზებელი, დამბეზლებელი,
 მაგრამ თუ ვიცით ვისი რა არი, არ აგვერევა ბატონ-მხლებელი.



თეოდოსი

იოანემ თქვა ცუდი სათქმელი, რაც სხვებისაა აზრი ფარული,
ბევრჯერ დიდ საქმეს ძირს გამოუთხრის,

ექვი ანაზღად შემოპარული,
ვინც იცის ჩემი ცხოვრების გეზი, მეფობისათვის მეც მიბრძოლია,
ძალაუფლების ავადმყოფობა, წინაპართაგან გამომძლიყოლია.

კაცის ბუნება არი უძღები, ერთს რომ მოიგდებს, მეორე უნდა,
მთავარი არი მიზნის მიღწევა, რომც შეეწიროს

ამ ბრძოლას თუნდა,
არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი, ბიზანტიიდან მიტომ ვიარე,
აქ გავიბრძოლე, იქ გავერიდე, ათასი აზრი გავიზიარე.

დავით, ერთ ხანად შენთან ვიყავი, ძმას, გაუმაძლარს, ვემალეობდი,
კახეთში ჩაველ, გუნდს ვაგროვებდი,

ძმასთან საომრად ვემზადებოდი,
და რა მივიღე, რაც დამეკარგა, ნაპოვნს თუ დასდევს იმისი ფასი,
ერთი შეხედვა, მეფობასა სჯობს, ყურება არი მრავალათასი.

რაც მეფე გაეხდი, მალევე მიეხვდი,

ფუჭი ყოფილა ყველა მცდელობა,
წარმავალია ჩვენი სიცოცხლე, მიწყვი ძიება, – არი ხელობა,
და რაკი მიეხვდი, მინდა იცოდეთ, მეფედ დავრჩები პატარა ხანი,
შემდეგ გეწვევით, სტუმრად დავრჩები,

რამდენს გაუძლებს ტანჯული ჯანი.

ღავითი ღიღი

თეოდოს, მინდა კარგად იცოდე, მე შენს წინაშე თუ რამე ვცოდე,
მონანიების ჯავრმა შემჭამოს და ჯოჯოხეთის ალში ვიწოდე,
შენ რომ ხარ მეფე, არა ნაკლები სივრცისა არი ჩემი მიწები,
გურგენს რომ ჰკითხო, მისი სამეფო, ყველასგან არი დასაფიცები.
ჩვენი ვალია, ჩვენსას რომ ვიცავთ,

სხვისიც გავიგოთ და შევეხილოთ,
თუ გაუჭირდა გვერდით დაუზღვეთ,

მეზობლის დაცვა თავს ვალად ვიღოთ.



შენ კარგად იცი, დავრჩი უძეო, ბაგრატი არი ჩემი მემკვიდრე,
 შვილად მივიღე, ვემსახურები, ამ ქვეყანაზე ვიცოცხლებ ვიღრე,
 ბუნების ძალა, თუ ღვთის ნებაა,

უშვილო დარჩი შენაც ჩემ დარად,
 ბაგრატის მეტი ვინ გაგაჩნია,

რომ გემსახუროს შვილებრივ მყარად.
 ჩემი სამეფო ბაგრატისაა, შენი სამეფოც თუ გახდა მისი,
 გურგენის მამულს თუ წაუმატებს, ძალაც ექნება შესაბამისი,
 მაშინ მოხუცებს ჩვენც შეგვეძლება,

რომ ჩვენი ბედიც ბაგრატს მივანდოთ,
 კაცი ბერდება, მომღელი უნდა,

ვინ გვეგულება ჩვენ უფრო სანდო?

მეფე ბურბანი

უფალს მადლს ვწირავ, ბედი მქონია, ვინცაა მეფე გამოსაჩენი,
 ჩემ ბაგრატს სწყალობს, მეფობას უთმობს,

ვის შეჰხვედრია ასეთი ძღვენი?
 ჩემი სამეფო ისეც მისია, მოკვდები, თან ხომ ვერ წავიყოლებ,
 ცოტას შევხედავ, ტახტს დავულოცავ,

სიბერით სულს ხომ არ ავიყროლებ.
 მე თეოდოსის სიტყვა მემამა და მის ნაფიქრალს შეგუერთდები,
 საქმე დააწყე, შემდეგ მეწვიე, სიძე ვარ, ძმურად რად არ შეგხვდები,
 მერე ტაოსკენ გავწიოთ ერთად, დავითი ჩემიც არი პატრონი,
 ამქვეყნად მხოლოდ მამაჩემია უხიაკი და ავის გამგონი.

ღავითი დიდი

ღღეს არ მინდოდა მასზე რამ მეთქვა,
 უფალო, ბევრსაც ნუ მათქმევიანებ,
 მაგრამ წესს და რიგს არ გადავიღეს,

სანაცვლო საქმეს ნუ მაქნევიანებ.
 უხიაკია, შენ ასე ამბობ, ჩემი კი არი, არი რეგვენი,
 მისი ნათქვამი, ნამოქმედარი, იცი, არავინ იცის ჩემდენი,
 დიდი ბაგრატი, შენი ბაგრატის ღვიძლი პაპაა და არა პაპობს,



თუ ხასიათით კაცი იცნობა, მიემგანება ჭაობს და ტაფობს, მეფეთა შორის უხნიერესი, ქცევით ცელქებზეც მეტად ცეტიან, ქვეყნის ათასი უცნაურობა, ერთს როგორ შეხვდა, სად ჩაეცია, არა უშავს რა, რამდენსა გაძლებს, მისი სამეფოც ბოლოს შენია, შენგან ის ბაგრატს გადაეცემა, გახდება მისი შენაძენია.

დედოფალი ბურანდუხტი

მე, რძალი, ქმარს და მაზლს მოგიწოდებთ,
თუ აპატიებთ და შეიცოდებთ,
მამამთილი ხომ თქვენი სისხლია,
ჯიშს არ გალანძღავთ და არ შესცოდებთ,
მოხუცი კაცის გაჯიუტება, არ ახალია, ქვეყნად ძველია,
ცოტაც ძალზე სწყინს, ბევრი უხარის, მონაცვლეობა არ დაელია,
მთავარი არი უყვარს ბაგრატი, ვიცი ამაყობს და უხარია,
ამავ დროს ის სწყინს საქმე არ ანდეთ,
თუმც მოხუცია, ხომ მაგარია,
მე სხვა მაფიქრებს, დიდ აზნაურნი, ქვეყნის არევას შეეცდებიან,
რაც მოხდა მათიც არი სიკეთე, ვერ გაიგებენ და მიხვდებიან.

ბაბრათი

მადლობა უფალს, ყველა ხართ ერთად,
ვის ქვეყნის ბედი მოეკითხება,
თქვენგან გაწვრთნილი, თვითეულს გიცნობთ,
არა გჭირდებათ ფოლორცი, ქება,
დედამ თუ მშობა და მამამ მზარდა,
განა ნაკლები თქვენია წვლილი?
მამობილს ვეტყვი, დედის ძმას ვეტყვი,
განა არა ვარ ოთხივეს შვილი?
ბედი მქონია, ვინაც მწურთნიდა, იყო მამულზე შეყვარებული,
თქვენ მაგრძნობინეთ რაა სამშობლო,
ამიტომა ვარ თქვენი ერთგული,
ჩემი მეფობაც თქვენია მადლი, თქვენი ზრუნვა და დამსახურება.



რამდენსაც შევძლებ, თქვენით შევიძლებ,
 არ დამჭირდება სხვათა ყურება,
 საკეთებელსაც თქვენ შეგითანხმებთ,
 უთქვენოდ რატომ გავისარჩები,
 მშობლის წინ მსტუნავ კვიცს არა ვგავარ,
 უაზრობით არ დავისაჩები.

/10 წლის შემდეგ. დღივი (ჯავახეთში). დავით დიდის სამხედრო
 ბანაკი. დავით დიდი, ბაგრატ რეგუენი, სომეხთა მეფე სუმბატი, მისი ძმა
 გაგიკი, კარის მეფე აბასი, რატი ბაღვაში, მოგვიანებით მამა იორდანე,
 იოანე მარუშისძე, ბაგრატ მეფე/

ღავითი დიდი

მხარდაჭერისთვის ვარ მადლობელი, ჩემ დაძახილზე,
 მოიღეთ ხელი,
 მშვიდი ცხოვრება ზრუნვით შეცვალებთ,
 მგლურად გამოვლეთ ბილიკნი გრძელი,
 თქვენ თანადგომას ვაფასებ დიდად,
 კერას იყავით წყნარად და მშვიდად,
 ერთგულება და თავისდადება ხვალ გამარჯვებას გავუღლოთ ხიდად.

სომეხთა მეფე სუმბატი (სმბატი)

დავით, შენა ხარ ჩვენში პირველი,
 ქართველების და სომეხების მცველი,
 შენ დაგვიბრუნე სულის სიმშვიდე,
 შენ შემოგვმატე მიწები ვრცელი,
 სკლიაროსს სხვა ვინ დაამარცხებდა, ჩვენ სამეფოებს ვინ დაიცავდა,
 მისგან, ბასილი იმპერატორი, შეშინებული, კურდღელსა ჰგავდა.
 შენ შესძელ მაშინ შეუძლებელი, მონობისაგან ყველა გვიხსენი,
 შენი ძახილი არ გაგვეგონა, ჩვენ არ ვიყავით ამის ჩამდენი,
 მე და გაგიკი, ჩვენი რაზმებით,
 შენს ირგვლივ მუდამ დავირაზმებით,
 ბრძოლაში აფხაზთ სისხლს ვადენინებთ,
 რომ იამაყო სომეხი ძმებით.



ბაზიკ სუმბატის ძმა

აფხაზებთან გვაქვს ხანგრძლივი შური,
 ქართლის მამულებს გვედავებთან,
 აქეთ ცდილობენ სომეხების ტყვევნას, ვერას შეძლებენ,
 ვერა ხვდებიან.

რად ავიწყდებათ, ოთხმოცი წლის წინ
 გვქონდა ომი და დიდი კირთება,
 კონსტანტინ მეფემ ვერ გამოთვალა, სომეხთა ძალა და აზვორთება,
 ქართლი დაიპყრა, ჰერეთს უწია,
 მთლად აფხაზეთი ყველას უწოდა,
 მაშინ სუმბატმა, სომეხთა მეფემ,
 ქართლს ძმობის ხელი გამოუწოდა.

აფხაზი იყო ქართველთა სიძე, სიძემ თუ სიმამრს ასე უყვლა,
 მიგინებია ასეთი სიძე და სიძის ირგვლივ კარგი სულ ყველა,
 ღალატისათვის აფხაზთა მეფეს, ღალატი ერგო სომეხების მხრიდან,
 ანისს გაგზავნეს დატყვევებული, ჩამოიცილეს საომარ გზიდან.
 შემდეგ მოგებით ათავისუფლეს, მტერს გაუჩინეს ახალი მტერი,
 ცალკერძ აფხაზმა, ცალკერძ ქართველმა,
 შედეგი ნახეს მათი საფერი¹

კარის მეფე აზასი

სომეხებს რა გიჟირთ, თქვენზე ეშმაკი, ქვეყნად ეშმაკიც არ იარება,
 მხოლოდ მოგება არი მიზანი, თქვენი სანთელი და ზიარება.

1. 904 წ. აფხაზეთის მეფე კონსტანტინემ ქართლი (სიმამრის, ადარნასე მეფის კუთვნილი) დაიკავა. შემდეგ კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსთან ერთად არიშისა და გავაზის ციხეები ჰერეთში. სომეხთა მეფე სუმბატმა, თავის მხრივ, გამოილაშქრა და უფლისციხე აფხაზებს წაართვა. შედგა აფხაზ-სომეხთა მოლაპარაკება, რომლის დროს სომეხებმა კონსტანტინე ღალატით დაატყვევეს და ქ. ანისში წაიყვანეს. ოთხი თვის შემდეგ კი ტყვე გაათავისუფლეს და წართმეული ტერიტორიებიც უფლისციხეთი დაუბრუნეს. რატომ? მით უმეტეს, რომ ამის შემდეგ სომეხთა მეფე სუმბატი და ტაო-კლარჯეთის (ქართველთა მეფე) ადარნასე ერთი-მეორეს მტრად მოეკიდნენ.



როდესაც მეფემ სკლიაროსს სძლია,
 ყველაზე მეტი კვლავ თქვენ მოიგეთ,
 არაქსის მხარე, აპახუნიკი, რაც არა გქონდათ, ფეხქვეშ გაიგეთ,
 ახლაც ასეა, ფიქრობთ ბაგრატი, აფხაზთა მეფე თუ დამარცხდება,
 ქართლის მიდამო, მისი რომ იყო,
 თუ ბედი გწყალობთ თქვენი გახდება.
 თქვენგან სხვაობით, მე ვარ ერთგული,
 შორი გზა მიტომ გამოვიარე,
 დავითის ძმობა მავალდებულებს, მისი წუხილი გავიზიარე,
 არც გადავუხვევ ერთგულების გზას,
 კარელებს მსგავსი არა გვჩვევი,ა
 საით წავიდეთ, ვის შევებრძოლოთ, ეს დავით მეფის ასარჩევია.

რატი ბაღვაში

როცა აფხაზთა და კლარჯელებმა,¹
 ტაოსთან სამტროდ მხარი იბრუნეს,
 დიდაზნაურნი წინ გადაუდგნენ²,
 მათ მოსასპობად კიდევ იბრუნეს.
 არც ისე დიდი გავიდა ხანი, აფხაზს უნდოდა ქართლელოთა დასჯა

1. იგულისხმებიან აფხაზთა მეფე ბაგრატი და კლარჯეთ-შავშვეთის მეფე გურგენი. მამაშვილის სამეფოებს შორის იყო მოქცეული ბაღვაშთა თრიალეთის საერისთაო, როგორც საზღვარგამყოფი. გეოგრაფიულად და ისტორიულად გარდაუვალი იყო საერისთაოსთან ურთიერთობის გარკვევა. სხვანაირად ბაგრატი ქართულ სამეფოთა გაერთიანებას ვერ შეძლებდა. ამას კარგად გრძნობდა რატი ბაღვაშიც და ემზადებოდა.

2. იგულისხმება ბაგრატი III მიერ ქართლის დიდაზნაურთა დამორჩილების ცდა.

ბაგრატი აფხაზეთის მეფე და ქართლის კურაპალატი იყო. ქართლის გამგებლად მისი დედა გურანდუხტი ითვლებოდა. ისინი დედოფალს ეურჩებოდნენ. მათ ძლიერი ბაგრატის მორჩილებაც არ სურდათ და ქუთათისიდან წამოსულ ბაგრატს მოღრისის თავთან ომი გაუმართეს. ბაგრატმა ისინი გაფანტა, ჩავიდა უფლისციხეში და შევიწროებული დედა თან წაიყვანა. ქართლი თავად დაიჭირა. სწორედ ეს გახდა საწყისი რატი ბაღვაშის ამოქმედებისა მეფის წინააღმდეგ.



რადგან ერთგულნი იყვნენ დავითის,
 არც დაუწყია ფიქრი და განსჯა
 მოღრისის თავთან დაესხა უცებ ქავთარ ტბელსა
 და მასთან დანარჩენთ.

ასე იფიქრა, მძლავრი დარტყმისგან,
 დავითის ერთგულთ რა გადაარჩენთ,
 არ გაუვიდა აფხაზთა მეფეს, ქართლელთ მოღრეკა ძალზე ძნელია,
 მათ შორის მე ვარ მიზანში მყოფი, სანერვიულო არ დამელია,
 როცა ბაგრატი ქუთათისს დასვეს, მეფობა იგდო და დაიგულა,
 ცხვირმოუხოცი ჯერაც ყმაწვილი, ძალაუფლებამ გაადიდგულა.
 შემდეგ, როდესაც დიდი დავითი, ვის სახელს იგი ეფარებოდა,
 ვის შვილობილად მიაჩნდა თავი და ვის მეფობას ეპარებოდა.
 როდესაც მძლავრი მეფე დავითი, ბიზანტიასთან ომში ჩაება,
 ბაგრატმა სახე გამოაჩინა, თავის მახეში, თავად გაება,
 იფიქრა, ბასილ ბულგართამჟღეჭი, იმპერატორი უძღვევლია,
 ფოკასთან ერთად მამობილს მოსპობს, მოხდება ის,

რაც სანატრელია,
 ადგა და მამას შეუთანახმდა, შეთანხმებულად დავითსა მტრობენ,
 ტაოს მეფისთვის მათი მოღრეკა, არ არი ძნელი,

ამას ვერ გრძნობენ.
 ახლა, როდესაც დავითის მხარეს, ვდგევართ მეფენი, ერისთავები,
 ეჭვი არ არი, ვინ გაიმარჯვებს, ვისი დაცვივა მიწას თავები.

ბაგრატი (რეზუმენი)

ჩემი ძე არი თუმცა გურგენი, სამცხე-ჯავახეთს მეფის მემკვიდრე,
 მაინც არ მინდა გადავცე ტახტი, თავად ვიმეფებ,
 ვიცოცხლებ ვიდრე,
 კარგად გამიგებთ, როგორი არი
 მამა-შვილს შორის ტახტისთვის ბრძოლა,

1. დავითის მეგობარმა, ბიზანტიის აღმოსავლეთის დომესტიკოსმა, ბარდა ფოკამ 987 წ. თავი იმპერატორად გამოაცხადა და მცირე აზია დაიკავა. ბასილ იმპერატორთან მისი ბრძოლის დროს, დავით კურაპალატმა მოჯანყის მხარე დაიჭირა.



შვილის დანახვით გამოწვეული,
 დღისით კანკალი და ღამით ძრწოლა.
 მე თავიდანვე ცუდად მენიშნა, მერე სუბმათმა გამაგებინა,
 უფლისციხეში რას თათბირობენ, ვისა მოყვრობენ, მტერია ვინა,
 შემდეგ, როდესაც რატი მესტუმრა,
 მითხრა ქუთათისს დანაპირები,
 მეფედ დაუსვამთ ჩემი ბადიში, შეუკრებიან აფხაზთ გმირები.
 მახვილს ლესავენ, მემუქრებიან, დიდაზნაურებს მომაყოლებენ
 მიწებს გვართმევენ, თავისთვის უნდათ,
 მეფობის ღირსად სხვას არვის ცნობენ,
 შვილი შვილიშვილს ჩემზე აქეზებს, შემირცხვენია ასე შვილობა,
 შვილთაგან მოდის ყველა ხიფათი, ნერვების წყვეტა, კარაშლილობა,
 მე რალა მექნა, რატიმ მარწმუნა,
 მემკვიდრეთაგან სიკვდილი მელის.
 მარტო მომხდურებს ვერას დავაკლებ,
 მერე დავფიქრდი, სხვა ვინ მიშველის,
 ტაოს გავწიე, ოლთისს ჩავედი, ვნახე დავითი სიკეთის მყფე,
 ბევრი ვეხვეწე, ძლივს დავითანხმე, მეფეს დაიცავს მეფეთა-მეფე,
 შემოგვიერთდა ბალვამი რატი, საქმე დასახა, როგორც ნახატი,
 გულით იფიცა და დაგვაფიცა
 ერთგულებაზე ღვთისმშობლის ხატი.

ნატი ბალვამი

მართალი ვიყავ, თქვენც ხომ დარწმუნდით,
 გურგენი სამტროდ მეომრებს კრებდა,
 კლარჯეთ-შავშვეთის გზები შეეკრა,
 მოთაფლულ ტყუილს არაკრავებდა,
 ღმერთმა აღიღოს დავითი დიდი, გურგენს დაასწრო და შეუტია,
 შემინებული გარბოდა მეფე, წიფთის ციხეში ძვლივს შეეტია¹.

1. ისტორია გვამცნობს, რომ დავით კურაპალატმა ბაგრატ III და გურგენის ბოროტი განზრახვა მას შემდეგ ირწმუნა, როცა ბაგრატ რეგუვენმა შვილს და შვილიშვილს უმტრო. დავითმა შავშვეთში მყოფ გურგენს შეუტია. ამ უკანასკნელმა ბრძოლას თავი აარიდა და წიფთის ციხეში შეიკეტა.



ახლაც იქა ზის, იმის იმედით, ბაგრატი მივა და გამოიყვანს,
 ქართველთა მტერი, ქართველთა მეფე,
 ალყაში მყოფი გაძლებს რამდენ ხანს?
 თავად ბაგრატი, მსტოვრებმა მითხრეს,
 სოფელ კარუშეთს, თრიალეთშია,
 მამას მიელის, ჯერაც არ იცის, ციხეში მამას სცივა თუ შია.
 მარჯვე დრო არი, უნდა ვუყლოთ,
 გაგუნადგუროთ აფხაზთა ჯარი,
 მამასთან ერთად ტყვედ ავიყვანოთ,
 ქვეყნის ორგულებს დავცეთ თავზარი,
 დიდაზნაურნი, ტბელნი, ძამელნი, აბაზასძენი გველოდებიან,
 ჩვენი იმედით ძალებს იკრებენ, აფხაზებს ხომ არ დაზავდებიან,
 ბაგრატი სანამ გონს მოეგება, დაგებულ მახეს წამოეგება,
 აფხაზებს ლიხის მთას გადავრეკავთ და ეს იქნება ომის მოგება.

ბაბრატი (რეზუმი)

როგორც ყოველთვის, რატი ბაღვაში,
 სიმართლეს ამბობს დ მოგვიწოდებს,
 ის გამარჯვებას როგორ მოიმკის,
 ვინც მტერს დაინდობს და შეიცოდებს.
 ჩვენც არ დავინდოთ, თუნდ ახლობელი,
 ვისაც ჩვენი კვლა განუზრახია,
 ვინც უსამართლოდ სხვას ორმოს უთხრის, თავად ჩავარდეს,
 მასზე ახია.

სომეხთა მეფე სუმბატი (სმბატი)

მეც იმ აზრის ვარ, თუ შევიკრიბეთ,
 რად მოვიცადოთ და მტერს ვაცალოთ,
 ჯავრი დაგროვდა, მიზეზი არი, შურისძიების თასი დავცალოთ,
 ჩვენი რაზმები უსაქმოდ დგანან, უსაქმურს მეტი უნდა საკვები,
 თუ დავაყოვნებთ, დაიმშვეიან, საქმე გვექნება თავში სახლები.
 გადასაწყვეტი უნდა გადაწყდეს, ვინც ხელს შეგვიშლის,
 მოშორდეს, გაწყდეს,



რაც არი მათი გახდება ჩვენი, ჩვენი იმედი ამგვარად ახლეს.
 სხვაფრივ აქ დგომით რა გვემატება, ჩაფიქრებული საქმე წახდება,
 ნადავლის ნაცვლად ზარალსა ვნახავთ,
 მტრების სურვილიც ასე ახდება,
 დავით, შენა ხარ ჩვენში პირველი,
 პირველმა უნდა აღმართო ხელი,
 ჩვენც გამოგყვებით და მხარს აგიბამთ,
 შენი გამირობის ვინც ვართ მნახველი.

პარის მეფე აბასი

მე მეფეიქრება უფრო სხვა რამე, ბაგრატს სადა აქვს იმხელა ძალა,
 ჩვენ გაგვიმკლავდეს, ვისი იმედით, მამის იმედი გამოეცალა,
 მაგრამ ხიფათი სხვა რამეშია, ბარდა ფოკაა აჯანყებული,
 იმპერატორობს ერთი წელია, რადგან დავითი ჰყავს მას ერთგული.
 კარგად იციან ბიზანტიაში, სადაც ბასილი იმპერატორი,
 კაცი მრისხანე, დაუნდობელი, კაცთა ჟლეტაში არა ჰყავს სწორი,
 ბასილი ბაგრატს თუ მხარს აუბამს, შეგვებმებიან ერთიან ძალით,
 დაგვამარცხებენ, ხარკს დაგვადებენ, არავინ იცის რა სათვალავით.
 თუ ზოგისათვის სულ ერთი არი, ჩემი სამეფო განადგურდება,
 თუ შემოიჭრა ბასილის ჯარი, უკან უხარკოდ არ გაბრუნდება,
 ამიტომ, ვფიქრობ, უნდა ავჩქარდეთ, სანამ დრო ითმენს
 ბაგრატს ვუყულოთ,
 მტრებს თუ ცალკ-ცალკე შევეჭიდებით,
 მათი არსება აღარ გავწელოთ.
 სომეხთა მეფე ამბობდა მართალს,
 აქ ფუჭად დგომით რა გვემართება,
 თუ არ ავიღეთ ვალი იქიდან, მერე აქედან დაგვემართება.

რატი ბალვაში

ჩვენ ერთი აზრი გვაერთიანებს, დარდი ერთი და ერთი სურვილი,
 აქეთ წამოსულ აფხაზთა მეფის სისხლით
 მოვიკლათ ყველამ წყურვილი,
 ერთობა აზრის სულაც არ ნიშნავს, ერთობას ომში მოქმედებისა,



ასე ამბობენ, ვინც სწორად საზღვრავს,
 უაზროდ იგი არ წახდებისა.
 თუ შეკრულები ვართ ერთი აზრით,
 ხამს მოქმედებაც ვაერთიანოთ,
 ჩვენი ქმედება ისე განვსაზღვროთ,
 ცოტა გავიღოთ და ბევრი ვავნოთ,
 აღრეც გითხარით, დიდაზნაურნი, „ნაქურდველნი, საბოტარელნი“
 მონატრულები აფხაზთა დევნის, სმაში ჭკვიანნი და ომში ხელნი,
 ჩემ შეყვილებას ელოდებიან, ჩვენი სიტყვა სწამთ, არა ცდებიან,
 ჩვენ თუ შევეუტევთ აფხაზთა რიგებს, ისინი მეტად გამგელდებიან.
 მაშ ფეხს რად ვითრევთ, ვის ველოდებით,
 დროის დაკარგვით კიდევაც ვცდებით,
 მეფე დავითს ვთხოვ, შენ ხარ პატრონი,
 ჩვენ შენ ბრძანებას დაველოდებით.

ღაპრითი დიდი

ისე არ არი, როგორც თქვენ ზომავთ,
 მე უფრო მეტი მომეთხოვება,
 უფლის წინაშე მე ვაგებ პასუხს და ცოდვა –
 მაღლიც მე მეწონება,
 ვბერდები და ჯერ არა ყოფილა, რაც მიკავია სამეფო ტახტი,
 ქართველისათვის ისარი მეკრას, ან შემომეკრას ხმალი და ლახტი.
 უარეს დღეში ვარ ჩავარდნილი, ვინაც მტერია, ჩემია შვილი,
 ქართლში მე დავსვი, აფხაზთ მეფობა,
 ჩემგანვე ჰქონდა მას აწყობილი.
 იმან გამწირა, ამით რა მიქნა, მე რა დამაკლო, ჩამომაცალა,
 ერთი ეგ არი ფოკას მოვცილდი, ბასილთან ომი არ დამაცალა,
 ეს ეგებ კიდევ უკეთესია, თესლი სისხლის ღვრით ვის უთესია,
 სისხლით მოუშკავს ბოლოს ნაყოფი,
 სიმუხთლე ჩვენი ყოფის წესია.
 ახლა ასე ვთქვათ, იქით თუ დავკარ, დავკრავ და ვიცი,
 გავაჭრევენებ,



შეილობილს მოგკლავ თუ დავატყვევებ, თავს გავიტანჯავ
 და ვაწყენინებ,
 ძნელი ყოფილა შეილის გაწირვა, ბაგრატ, არ გესმის
 და ხარ რეგვენი,
 გურგენი შენი ნაყოფი არი, ბაგრატი არი ნაყოფი ჩვენი.
 ძია ხარ, მაგრამ მაინც შეგკადრი, გურგენს რომ სწირავ,
 სხვა ვინა გრჩება,
 მუღმივად მაინც ხომ ვერ დარჩები,
 სიცოცხლეც აღარ განმეორდება.
 დანარჩენებს კი გიბრძანებთ იმას,
 ნათქვამს რომ ვისმენ ტანშიაც მზარავს,
 ზედმეტად ხმალი არ მიქნევია, უფალი მიტომ
 მწყალობს და მფარავს,
 დღევანდელი დღე უნდა მაცალოთ, ხვალ გადაწყდება გადასაწყვეტი,
 კაცს ველოდები სიბრძნით აღსავსეს, ზოგიეროვით არაა ცეტი.
 ის რას მომითხრობს, რა რჩევას მომცემს,
 რას მოვიფიქრებ, შეგატყობინებთ,
 ჩემ დაძახილზე ხართ მოსულები, რად გალოდინებთ
 და ვაწყენინებთ.

/შემოდის მამა იორდანე/

ხომ ხედავთ ფუჭად სიტყვა არ დამცდა, კაცი მოვიდა,
 კაცის ნიშანი,
 დამტოვეთ ერთხანს, რომ გავარკვიო,
 როგორი არი ხვალის მიზანი.

/დავით კურაპალატთან მოთათბირენი სამეფო კარავიდან გადიან/
 მარუშიანი თუ მოსულია, ნუ ალოდინებ, შემოიყვანე,
 ისედაც ვნანობ, საქმე გართულდა და მისი ნახვა დავაგვიანე.

მამა იორდანე

ჩემო ბატონო, ვიდრე ბრძანებას, გავიდოდე და ავასრულებდე,
 პირობა მოგვეც, არც შემოგვწყრებდე
 და არც არაფერს გაიკვირვებდე,



ღავითი ღიღი

რა უნდა იყოს თქვენგან ისეთი, ვერ გაგიგოთ და დავრჩე ნაწყენი,
როდის იყო, რომ შემოგწყრომივარ,
მაგრამ მაფიქრებს სიტყვები შენი.

მამა იორღანე

ჩემო უფალო, რაც შენთანა ვარ, შენი მესმის და რას იზამ ვიცი,
მაგრამ დღეს სხვაა, გარემოების გამო მინდოდა მეფუფური ფიცი.

ღავითი ღიღი

ვფიცავ. ახლა კი საქმეს მიხედვ. საქმე არ ითმენს და მეჩქარება,
რაც უნდა იყოს, სიტყვა მითქვია, წყენა ჩემ გულს არ მიეკარება.

/მამა იორღანე გადის. ცოტა ხანში შემოუძღვება იოანე მაუშისძეს,
რომელსაც მოსდევს წელზე თოკობილი ბაგრატი, აფხაზთა მეფე და
ქართველთა კურაპალატი/

იორღანე მარუშისძე

ღვთით კურთხეულო, მეფევე ძლიერო, გაოცებული გიჩანს იერი,
რასაც უყურებ, ასე არ იყოს რა, დარჩებოდი სვებედნიერი?
უფალმა ქვეყნად მიტომ დაგვბადა, აზრი ჩაგვიდო, მოგვცა გონება,
ავწონ-დავწონოთ, ფასი დავადლოთ, რასაც ვნახავთ და გაგვეგონება,
ასჯერ აზომე, ერთხელ გასჭერი, ასე გვარიგებს ბრძენი ქართველი,
ვინც აჩქარდება, ცხვირ-პირს წაიმტვრევს,

ასეთებს მიტომ ვარქვით სულელი.

ასე რად ვამბობ, რატომ გიბედავ, აჩქარებულხარ, მეფეო, ვბედავ,
ხვალ იმ ტოტს მოჭრი, რომელზეც ზიხარ,

კვიცს ყელს გამოჭრი, რომელსაც ხედნავ.

დღეს ტოტი კიდევ უძლებს სიმძიმეს, ნახენდი კვიციც მომიყვანია,
მინდა უვნებლად დადგე მიწაზე, შეხედო კვიცს რა მოუტანია.

ღავითი ღიღი

რაც შენ გაბედე, ის რომ სხვას ეთქვა, გაუხლებოდა სანანებელი,



შენ ჩემთვის სხვა ხარ, ისევე, როგორც,
 ჩემთვის სხვა იყო შენი მხლებელი.
 სწორედ შენიშნე, შენ მოგელოდი,
 შენი მხლებლით ვარ გაოცებული,
 ჩემი სიკვდილის მოსურნე მოგყავს,
 მე როგორ შეგხვდეთ აღტაცებული?

იოანე მარუშისძე

შე დალოცვილო, მირონცხებულო, მეფეთა შორის აღმატებულო,
 ქართველთა მცველო, სიკეთის მცდელი,
 ბრძენთა შორისაც ბრძენო ქებულო,
 შენ თუ გამოგრჩა, სხვამ ვერ შეგკადრა, ანგრევ,
 რაც წლობით გიშენებია,
 ბრმა ხომ არა ხარ, მახვილს მოუღერ, შეხედავ ყველა ხომ შენებია.
 რამდენი წლის წინ, აღარც კი მახსოვს,
 პატარა ბალღი გამგებლად დასვი,
 შვილად გაზარდე, ქართლი უბოძე,
 უფლისციხეში მტკვრის წყალი ასვი,
 ათი წლის უკან მეფობა მიეც, მთლად აფხაზეთი უერთიანე,
 გააძლიერე, მტრები მოუსპე, წუთითაც არსად დააგვიანე.
 განა იმიტომ, ძალა გეცადა, შენივე მსხვერპლი, რომ გამხდარიყო,
 რომ დაივიწყო შენი მირონი, შენი ამაგი და გაირიყო.

ღავითი ღიღი

მარუშოიანო, თუმც პატივსა გცემ, დაუკრეფავში ნუ გადახვედი,
 ისე გამოგდის ვარ შარისთავი, გაგიჟებული და შვილის მკვლელი,
 მაგას თუ ჰკითხე, რა დაგუშავე, მამობილს სიკვდილს მექადნებოდა,
 ჩემი სამეფოს დაპყრობა სურდა, მომკლავდა? აზრიც აუხდებოდა.
 მადლობა უფალს, ვაჟკაცთა შორის, სადაც მტერია, იქვე მოყვარე,
 გამაფრთხილეს და შევძელ თავდაცვა,
 სიამოვნება მკვლელს არ მოგვგვარე.



იონანე მარუშისძე

შვილის ლალატი ვინც შენ გარწმუნა,

თუ ფიქრობ შენი ერთგული არი,
ერთგულთა ცნობა არა გცოდნია, უნდა განგაშის ჩამოგვკრა ზარი,
მეფე, რომელსაც ვეთაყვანები, სამშობლოს მცველად მიმიჩნევია,
ყოფილა კაცი გზააბნეული, წინ-უკან ხტომა ვისაც სჩვევია.
ვხვდები, ვის უნდა ერწმუნებინე,

თქვენ შორის შუღლი გულში ვის ედო,
ემამ ანგელოზს როგორ აჯობა შენ ჩემო ღმერთო და შემოქმედო,
ნურაფერს ბრძანებ, მაგრამ დაფიქრდი, ამ შარის ძირი ერისთავია,
ორპირი მუდამ შორს იყურება, სადაც ტკბილია, იქვე ავია,
მამა-შვილს შორის რატი ბაღვაში, ბაღვაშთან ერთად აზნაურები,
ორივეს მტრობას დაატარებენ, დახურული აქვთ გულის კარები.

ღავითი ღიღი

ამაში ცდები. რატი ბაღვაში ჩემთან არი და ზურგსაც მიმაგრებს,
თუ საჭიროა რაზმსაც მომახმარს,

ღიდ აზნაურთა რიგებსაც შაკრებს,
მაგრამ ბაგრატის განზრახულობა,

მასთან გურგენის მტრული მცედლობა,
ამისმა პაპამ შემატყობინა, ასეთი არი მისი ხელობა.

ანდა რად მინდა სხვისი ნათქვამი, თვალი ხედავს

და საზღვრავს გონება,
კაცის ფიცი მწამს, საქმე მაკვირვებს, – ასე იტყვიან, გაგეგონება.
თუ ტყუილია რაც მომახსენეს, გავგიჟებულარ, ვარ შარიანი,
დამარწმუნე და თითსაც მოვკაკავავ, ჯერაც არ არი საქმე გვიანი,
მაგრამ მანამდე იქნებ ამიხსნა, გურგენი მახვილს რატომ ლესავდა,
მეომრებს კრებდა, ავარჯიშებდა, როგორც აბედზე კაჟი კვესავდა.
ან უკეთესი. საიდან მოხვალთ შენ და მორჩილი ჩენი მხლებელი,
გიჟი რომ ვიყო, ეგ დამრჩებოდა უვნები და ხელშეუხებელი?



ბაბრათი

მარუშიანო, შენ დამყვებოდი, როგორც მრჩეველი,
 როგორც პატრონი,
 საქმე, რომელიც გვიკეთებია, შენგან ფარული არ იყო, მგონი,
 თუ რამე იყო მნიშვნელოვანი,
 აღმზრდელთან გვექონდა შეთანხმებული,
 შვილად აღმზარდა, მეფობა მომცა,
 მეც ვიყავ მუდამ მისი ერთგული.
 ყველაზე დიდი, რაც ხელს მიშლიდა, მისგან ყოფილა მოგვარებული,
 ეს არ მცოდნოდა, ვერ დამენახა, ხომ არ ვიყავი დაბრმავებული,
 ახლა, როდესაც საქმემ მომთხოვა, უხმაურო და სწრაფი ქმედება.
 კარუშეთს¹ მისულს შემატყობინეს,
 მამობილს შურის ცეცხლი ედება,
 ჯერ მამაშენი დაანიავა, გურგენი ციხეს შეკეტულია,
 ხვალ შენ გიპირებს აწიოკებას, თქვენ შორის ხიდი ჩატეხილია,
 მე რა მეღონა, აფხაზთა ჯარით დაგხვედროდი
 და სისხლი მეღვარა?
 ჩაგსაფრებოდი, თავზე დაგსხმოდი, თუ კიდევ რამე ხერხი მეხმარა?
 მე, როგორც შვილი მოველ მამასთან,
 სიმართლის ხილვას შენგან მოველი,
 ხედავ, თოკი მაქვს წელს გამობმული,
 როგორც ნახენი კვიცი მოველი,
 შენ გამიჩინე მე სამართალი, ვარ დამნაშავე? აქვე დამსაჯე,
 მაგრამ ნუ იზამ დაუფიქრებლად, როგორ და რატომ,
 წვრილად განსაჯე.

ღავითი ღიღი

ჩემ გაცეებას არა აქვს ზღვარი, გულში ტრიალებს ბორეა ქარი,
 ამათი სიტყვით ისე გამოდის, წამომიწყია უღაოდ შარი,

1. კარუშეთი – სოფელი თრიალეთში, სადაც ბაგრატ III
 ჯარმა დაიბანაკა.



თქვამთ, რომ ბაღვაში გამტრობს და გაბეზლებს,
 პაპაშენ ბაგრატს მიუქარია,
 თრიალეთს ჯარი რად მოიყვანე, ესეც მე ვარ და ჩემი შარია?

ბაბრათი

თანდათან ვხვდები რაშია საქმე, ნისლი გადადის, დგება ნათელი,
 ძველს არ ვივიწყებ, ახალს ვამატებ, ხელისგულზეა ნახატი მთელი,
 შენც გაგასხენებ დიდებულთ ნათქვამს,

როცა თეოდოს ოლთისის გასტუმრე,
 კული მოაბეს, უმწუო მეფე, გამომიგდია კერიდან თურმე.

შემდეგ, როდესაც მოღრისის თავზე, შემეზნენ,
 სურდათ ჩემი ტყეობა,
 ხმა გამივრცელეს, იქით დავეცი აზანურთ,

როცა ჰქონდათ ღრეობა.
 როდესაც დედა უფლისციხიდან, ჩემთან, ქუთათის გადავბრძნე,
 დედას წაართვა დედოფლობაო, ხმა გაავრცელეს, არ დაახანეს,
 ახლა, როდესაც შენ ბარდა ფოკას გვერდში უღვებარ
 და ეხმარები,

ჩემზე გეტყოდნენ, დრო შეარჩია,
 რომ ოლთისისკენ გაკვალოს გზები.

შენც დაგაჯერეს და აგამხედრეს, წამოხველ შვილის დასასჯელადა,
 გზაში ბიძაშვილს მხარი გაჰკარი,

ჩუმად მეომრებს თავს უყრის რადა,
 არადა, სჯობდა სანდო შიკრიკი, გამოგვეზავნა ამბის გამგები,
 გიპასუხებდი რა მაქვს მიზანი, საომარ გზაზე რატომა ვღვები.

ღავითი დიდი

თუ ხარ ასეთი წინდახედული, წინასწარ ყველა გამოგითვლია,
 თავად რატომ არ შემატყობინე, ლიხის მთა რაზე გამოგივლია,
 მესმის, რომ მეფეს ახლდეს ამაღა,

შენ რად გინდოდა ამხელა ჯარი,
 თრიალეთს რატომ დაიღე ბინა,

რატი ბაღვაშის თუ გქონდა ჯავრი?



ბაბრათი

ერთ რამეში ვარ მე დამნაშავე, მაგრამ ავიხსნი, თავად მიხვდები, თუ რამ ვიცრუო, ღმერთმა დამსაჯოს,

კაცური სიტყვა არი თავდები.

ვიცი რა ხდება ბიზანტიაში, ქვეყანა ორად გაყოფილია, ორი ჰყავთ ბერძნებს იმპერატორი, ეს ახალია, ის ყოფილია¹, ათი წლის წინათ, შენი მცდელობით, ყოფილმა ტახტი შეინარჩუნა, ახალი იყო შეუამავალი, ყოფილს იმედი არ გაუხუნა.

ბარდა სკლიაროს შენ დაამარცხე, იმათ მეტოქე ჩამოიცილეს, მაგრამ ვერ შეძლეს დიდხანს ერთობა,

გზების გაყოფა ვერ აიცილეს.

შენ ბარდა ფოკას ხარ მეგობარი. მის გვერდით ყოფნა შენი ვალია, ამავე დროს ბასილს ომს არ უმართავ,

ბრძოლაში ჩაბმა არ გავალია.

ასეთ დროს მე რომ მეტქვა ხმამაღლა,

საბრძოლო რატომ არი მზადება,

შენთვის მეთხოვა ჯარის შეკრება, მხარში დადგომის არ გადადება, ჯერ შენ საქმესაც გავაფუჭებდი, რას იანდებდა იმპერატორი, აქ ჩემი საქმეც გაფუჭდებოდა, გადიხრებოდა იქით სასწორი.

ხომ ხედავ, ჩუმად, სწრაფად ვემზადე, მიზანი მაინც გამჟღავნებულა, რატი ბაღვაში მაინც მიმხვდარა და დასახვედრად მომზადებულა, პაპამ თუ რატის აუბა მხარი, პაპა-შვილობას ჰქონია ბზარი, ნიშნავს სხვაგვარი მმართველს მცდელობა,

რომ განდგომილებს დავცე თავზარი.

დიდ აზნაურნი თუ არ მოვთოკე, ქვეყანა როგორ ვაერთიანო, კახეთს და ჰერეთს რა მოვუხერხო, ამირა, როგორ დავაზიანო, პაპის იმედი სულაც არ მქონდა,

მაგრამ წინ თუ შენ დამიხვდებოდი,

1. 979 წ. თორნიკე ერისთავმა ბარდა სკლიაროსი დაამარცხა და ის ბაღდადში ხალიფა ხოსროსთან გაიქცა. იმ დროს ბასილი იმპერატორი და ბარდა ფოკა ერთად მოქმედებდნენ. 987 წ. უკვე ფოკა აუჯანყდა ბასილს და დაიკავა რა მცირე აზია, თავი იმპერატორად გამოაცხადა.



სულ არ მეგონა, რას ვიფიქრებდი,
 რატის დამხმარე თუ გახდებოდი,
 როგორც აღმზრდელთან, ვარ თავდახრილი,
 ახლა მითხარი შენთან რა ვცოლდე,
 შემეჯავრება ჩემივე თავი, თუ შემიბრალე და შემიცოლდე.

დავითი დიდი

რასაც შენ ამბობ აღმოჩენაა, გამოდის ხელი რომ შეგიშალე,
 მხარი არ მოგეცე, არ მოგეხმარე, რასაც ეცადე, ისიც წავშალე,
 მე რატის რატომ დავუჭერებდი, მაგამ ბაგრატი როცა მეწვია,
 ისეთი მითხრა, ისეთ სიტყვებით, რომ ეჭვი სულ არ გამოეწვია.
 ბაგრატი შენი რომ პაპა არი, ჩემი ძიაა, თანაც უფროსი,
 რეგვენი არი, მაგრამ ალალი, არც არა-სია და არცა ჰო-სი.
 ჰო და მის სიტყვებს კიდევ მივენდე, ეჭვი ჩავაქრე, გულით ნატკენი,
 მამაშენს ვეცი, არ შემეჭიდა, არ მალანძლინა თავის გამჩენი,
 მერე გავიგე თრიალეთს მოხველ, თან დიდი ჯარი მოგიყვანია,
 ჯერ კი ავმხედრდი, მერე შევეჭვდი და ფეხს ვითრევდი ერთი ხანია,
 ახლა ნათელი არი ყოველი, ქვეყნისთვის ცდილობ,
 რატომ მეწყინოს,
 შიგნით ორგულეებს თუ არ მოთოკავ,
 სამეფომ როგორ უნდა იბრწყინოს?

/დავითი დიდი და ბაგრატი რიგდებიან/

ბოლოტიქმა

დავით კურაპალატის თანხმობითა და ნებართვით, ერთი წლის შემდეგ ბაგრატ III, კლდეკარის საერისთაო დაიკავა. დამარცხებულმა რატი ბაღვაშმა ძე ლიპარიტი მძევლად მისცა ბაგრატ მეფეს და „მოთვინიერებული“ კვლავ არგვეთის მამულს დაუბრუნდა. ბაღვაშმა მოთოკვა სხვა დიდაზნაურთა ძალით თუ ნებით დამორჩილების საწინდარი იყო.


იმავე პერიოდში ბაგრატ III კახეთ-ჰერეთის შეერთებაც მოინდომა. მან დაამარცხა კახეთის ქორეპოსკობოსი დავითი კვირიკეს ძე. „მატიანე“ გვამცნობს, რომ დავითის მეუღლე, ყოფილი დედოფალი დინარი ბაგრატმა „თვისად“ დაიჭრა.

უცნაურად და ცუდად წავიდა დავით დიდის საქმეები. ბარდა ფოკა 989 წ. 13 აპრილს მთავარ ბრძოლაში შეება ბასილი იმპერატორს. ომის დროს მსახურის მიერ მოწამლული ფოკა ცხენიდან ჩამოხდა, დაწვა მიწაზე და მიიცივალა. მოულოდნელად გამარჯვება ბასილი იმპერატორს დარჩა. ბასილი შეურიგდა თორნიკე ერისთავის მიერ დამარცხებულ და განდევნილ ბარდა სკლიაროსს. ორივენი ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ დავით კურაპალატის დამოკიდებულებით მათდამი.

990 წ. გაძლიერებულმა ბასილმა აიძულა დავითი, თავისი სამეფოს მემკვიდრედ იგი ეცნო. მოგვიანებით ბაგრატ III იძულებული გახდა ამ მემკვიდრეობის კანონიერება ელიარებინა. ქართველობას ხანგრძლივი მცდელობა დასჭირდა ტაოს დასაბრუნებლად.

საუკუნის ბოლოს განვითარებული მოვლენები ვერ ცვლიან და ვერ ამცრობენ დიდი მამულიშვილის ერისთავ იოანე მარუშისძის დამსახურებასა და ღვაწლს ქართულ სამეფო-სამთავროების გაერთიანების საქმეში. ეს ნაშრომიც სულმნათის არდავიწყების საქმეს ემსახურება.

ပြည်ထောင်စုတစ်ခုလုံး?
(2011 ခု.)





სიძინადად სუბიექტური თბიერების

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე (კოტე) კუბლაშვილი საქმეებს ათვალიერებს. ერთმა განცხადებამ დააინტერესა.

თავმჯდომარე

ჰმ... ეს რა მოუწერია. (კითხულობს) „მინდა, თქვენი ფიცი რომ მწამს, ბოლოც ვიწამო“. ეს ვინ არის, გიჟია ვილაც, როგორ მიბედავს. ანდაზებით მომმართავს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

(იხმობს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსს გოჩა დიდავას)

გოჩა დიდავა

მეძახლით ბატონო?

თავმჯდომარე

ეს რა არის? რა სულელური განცხადებები შემოგაქვს ჩემთან?



ბოჩა დილაგა

აბა, შეგხედო.ეს ლიკა ქემოკლიძემ ამოიტანა მისაღებიდან.

თავფალომარე

ლიკა ქემოკლიძე ვილაა?

ბოჩა დილაგა

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის რეფერენტია. ადრე საქალაქო სასამართლოში იყო ია ლეგაშვილის თანაშემწედ.

თავფალომარე

მერე, ლეგაშვილი ხომ კერძო სტრუქტურებში სამუშაოდ გადავიდა, თან ვერ წაიყვანა?

ბოჩა დილაგა

არ გაჰყვა, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პიროვნებას კარგად იცნობს საქალაქო სასამართლოდან.

თავფალომარე

რაო, რას ამბობს, ნორმალურია ეს პიროვნება?

ბოჩა დილაგა

ნორმალური, მაგრამ თავისებური.

თავფალომარე

გასაგებია. ჩვენ დროში რომ არ თქვან გიჟიყო, ამბობენ თავისებური. აი, წაიკითხე რას მწერს ეს ინტრიგანი.

ბოჩა დილაგა (კითხულობს)

„ადმინისტრაციულ სამართალწარმებაში ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ინდივიდუალური მეწარმეა) არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.“ ამას თქვენ წეროთ გზამკვლევაში, თბ.



2010 წ. გვ. 48. მაღლობა ასეთი სამართლიანი სიტყვებისათვის. მე თქვენი მწამს“.

ბატონო კოტე. აქ შეურაცხყოფლი არაფერია. რატომ გწყინთ ეს სიტყვები?

თავმჯდომარე

შემდეგი წაიკითხე და მიხვდები.

ბოჩა (განაგრძობს კითხვას)

„თქვენი მტკიცების საწინააღმდეგოდ, საქმე №8ს – 904-878 (კ-10), უარი მითხრეს საქმის განხილვაზე ბაჟის გადაუხდელობის გამო. მხედველობაში არ მიიღეს არა მხოლოდ თქვენი დაპირება, არამედ სოციალური დაუცველობისა და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ წარდგენილი ცნობებიც. გამოვიდა ქართული ანდაზის მიხედვით: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“.

ბატონო კოტე, ეს პიროვნება თქვენზე კი არა, სხვა მოსამართლის შესახებ წერს.

თავმჯდომარე

კი მესმის, მაგრამ ნინო ქადაგიძე ხომ ჩემი თანამშრომელია და ჩემი მითითებებით ხელმძღვანელობს. ამასთან, მე რას მთხოვს ეს თავხედი კარგად ჩაიკითხე.

ბოჩა (კითხულობს)

„თქვენ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გთხოვთ, ზედამხედველობის წესით გადაამოწმოთ ჩემი საქმე. თუ ვტყუივარ ცილისწამებისათვის დამსაჯეთ, თუ მართალი ვარ დამემარეთ სამართლიანობის მიღწევაში. არ მინდა ვიწამო, რომ უფულობის გამო, ჩემ სამშობლოში სიმართლეს ვერ ვპოულობ, მინდა, თქვენი ფიცი რომ მწამს, ბოლოც ვიწამო“. „თქვენი ობიექტურობის იმედით“. და ხელის მოწერა.



თავფალომარე

ახლა ხომ ხვდები, თქვენი ობიექტურობის იმედით. თუ არ დავეხარე, სხვა შემთხვევაში არაობიექტური და ცრუ გამოვლივარ.

ბოჩა

ბატონო კოტე, მართლაც რომ გადავამოწმოთ ეს საქმე?

თავფალომარე

ხომ არ გაგიჟდი. მე ჩემს მოსამართლეებს ვენდობი. ინსტრუქციებს არ გადაუხვევენ. ეს მათხოვარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელად ითხოვს საქმის განხილავას და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვალის დაბრუნებას მოითხოვს. ხომ იცი პრეზიდენტის მითითება: ბიუჯეტის ხარჯზე ვალების გასტუმრება არ შეიძლება.

ბოჩა

ჰო, მაგრამ პიროვნების ვალი თუ აქვს სახელმწიფო ორგანიზაციას, არ უნდა დააბრუნოს?

თავფალომარე

გამომიხვედი წმინდანი. ეს ვალი შევარდნაძის ხელისუფლებამ აიღო და ჩვენ რატომ უნდა გავისტუმროთ? ასე რომ იყოს დიდ ხელფასებს და პრემიებს საიდან გასცემენ?

ბოჩა

მაგაში მართალი ბრძანდებით. ეს მომენტი სულ გამომრჩა. (შემოდის პირადი მდივანი)

მღივანი

ბატონო კონსტანტინე, ჟურნალისტია ტლევოზიიდან, გელოდებათ. ასე ამბობს, შეხვედრა დანიშნული გვაქვსო.

თავფალომარე

ვინ არის? ჰო, გამახსენდა. რამდენჯერმე გადავუღე შეხვედრა. სად მაქვს მაგის დრო, მაგრამ თუ არ მივიღე, ათას კუდს



გამოაბამენ და არადემოკრატიულობაში დამდებენ ბრალს. რაც არის, არის. შემოვიდეს, ოღონდ გააფრთხილე, ღიდ ღროს ვერ დაეუთმობ.

(მდივანი გადის. შემოდინ ტელევიზიის ჟურნალისტი და ოპერატორი. მისალმების შემდეგ დამხვედრები მოიწესრიგებენ თავს. იწყება გადაღება და ინტერვიუ)

ჟურნალისტი

ბატონებო, თქვენი ნებართვით ოპერატორი დააფიქსირებს არსებულ მდგომარეობას, მე კი დაგისვამთ რამდენიმე შეკითხვას.

თავმჯდომარე

ჩვენ წინასწარ შევთანხმდით დღის წესრიგზე, საკითხთა იმ წრეზე, რომელიც გაინტერესებთ და იმედია რეგლამენტის ფარგლებს არ გადავცდებით.

ჟურნალისტი

ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით, გვაქვს საერთო მიზანი და შევეცდებით ყველაფერი ჩარჩოში ჩავტოვოთ. თუ რაიმე არ მოგეწონებათ, შევწყვეტთ ჩაწერას და მოვილაპარაკებთ. შევთანხმდით?

თავმჯდომარე

ჩავთვალთ, რომ შეთანხმება მიღწეულია.

ჟურნალისტი

ასეთ შემთხვევაში პირველი კითხვა პროზაულია: რა საქმეს განიხილავდით ჩვენს მოსვლამდე?

თავმჯდომარე (შვებით ამოისუნთქავს)

მეგონა უფრო მწვავე და სერიოზული კითხვები გექნებოდათ. ეს? რუტინაა. ვისთვის უნდა იყოს საინტერესო ვიღაცა პენსიონერის, როგორ წერს განცხადებაში? ჰო, სოციალურად



დაუცველი და ფიზიკურად გაჭირვებულის ინტრიგანული წერილი?

შურნალისტი

ვეგებ სწორედ ვგაა საინტერესო. რა განცხადებაზეა საუბარი?

თავმჯდომარე

არიან მომბეზრებელი ტიპები. სხვა საქმე რომ არ აწუხებთ, ყველა სახელმწიფო ინსტანციაში განცხადებებს, წერილებს, საჩივრებს უხვად აგზავნიან. რალაცით ხომ უნდა დაკავდნენ და ქვეყნად თავისი არსებობა გაამართლონ. აი, ნახეთ რას წერს. გოჩა, გადაეცი ეგ განცხადება.

შურნალისტი (კითხულობს, დაფიქრდება და...)

ბატონო კონსტანტინე, რა დამთხვევაა. თქვენამდე მოაღწია ამ საქმემ?

თავმჯდომარე

რა, თქვენც იცნობთ იმ დამთხვეულს? იცით უკვე მერამდენედ შემოდის მისი ინტრიგანული განცხადებები? ჯერ მხოლოდ მოსამართლე ნინო ქადაგიძეს წერდა, შემდეგ მაია ვაჩაძე ჩართო, ეტყობა ერთობა და ჩვენც საზრუნავს გვიჩენს. არადა უპრიანი იქნებოდა, მას ფსიქიატრისთვის მიემართა.

შურნალისტი

ნება მომეცით არ გადეთანხმოთ. 2009 წლის 7 აპრილს მე ვესწრებოდი საქალაქო სასამართლოში იმ სხდომას, სადაც მოსამართლე თეა თადაშვილმა დეტალურად გამოიძია საკითხი და თუმცა მოთხოვნა მთლიანად არ დააკმაყოფილა, ძირითადში მაინც დაეთანხმა მომჩივანს. ამასთან, ამ პიროვნებამ სხდომის დაწყებამდე განაცხადა: პატივცემულო მოსამართლე, ჩემი სარჩელის განხილვა წლობით გრძელდება. ვიცი, რა მიზეზების გამო. ამ ხნის მანძილზე თქვენც გაკვირდებოდით. დავრწმუნდი



თქვენს კეთილსინდისიერებაში. იცოდეთ, მე თქვენ გენდობით და რა გადაწყვეტილებაც არ უნდა გამოიტანოთ, არ გავასაჩივრებ. და მე მეგონა ასეც იქნებოდა. იმავე საღამოს, საინფორმაციო გადაცემაში ამიტომ აღვნიშნე, რომ მოარული ხმების მიუხედავად, სამართალწარმოებაში სამართალი მანც არის.

თავმჯდომარე

კი, მაგრამ ამ პიროვნებას თქვენ ადრე იცნობდით? ერთი სიუჟეტით როგორ შეიძლება კაცის ამოცნობა? საერთოდ როგორ მოხვდით იმ პროცესზე?

შურნალისტი

თქვენი მსჯელობის მიმართულება გასაგებია. ხომ არ მიგვიწვია ამ პიროვნებამ სპეციალურად? არა, მე მგონი პირიქით იყო. სასამართლო იძულებული იყო, საქმე ნაწილობრივ მანც დადებითად გადაეწყვიტა. ხუმრობა ამბავია? სარჩელში მითითებული იყო, რომ ამ პიროვნებამ ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე (ასე ერქვა ადრე ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს), მასხოვს 1995 წელს შეიტანა 7070 დოლარი. მას შემდეგ, 1%-ის გაანგარიშებით თვეში, პროცენტებმა თანხას ორჯერ გადააჭარბა. მოსამართლემ სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოაჭრა პროცენტები და მორალური ზარალი და მხოლოდ შეტანილი თანხის, ანუ ვალის უკან დაბრუნება მოსთხოვა მევალეს. განა ეს კომპრომისული გადაწყვეტილება არ იყო?

თავმჯდომარე

თქვენი საუბრიდან ასე გამოდის, მაგრამ რა ხასიათის იყო სარჩელი და რას ეფუძნებოდა მოსამართლის გადაწყვეტილება, ეს თუ არ ვიცით ზეპირ განცხადებას ვერ დაუპყრებ.

შურნალისტი

მერე და რა გიშლით ხელს, მოატანინეთ საქმე და გადახედეთ.



თავგაჯდომარე

თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? რა გაეწყობა. გოჩა, სთხოვე ნინო ქადაგიძეს საქმე მოიტანოს.

(გოჩა დიდავა ურეკავს მოსამართლე ნინო ქადაგიძეს, კარნახობს საქმის ნომერს და სთხოვს შემობრძანდეს თავგაჯდომარესთან. ცოტა ხანში მოსამართლე შემოდის საქმით)

ნინო ქადაგიძე

ბატონო კოტე, ამ მათხოვრის საქმეზე ერთხელ უკვე მივიღე თქვენგან კონსულტაცია. როგორც შევეთანხმდით, საკითხი ისე გადავწყვიტე, გასაჩივრების უფლების გარეშე. ახლა რა შეიცვალა?

თავგაჯდომარე

ნუ ინერვიულებ, ნინო, საქმე დახურულია და საარქივოდ გამზადებული. ჟურნალისტებს ადრე ჰქონიათ მასთან შეხება, სიუჟეტიც გადაუციათ ეთერში და აინტერესებთ რაღაცა დეტალები. მართლა, (მიუბრუნდება ჟურნალისტს) როდის იყო გადაცემა?

ჟურნალისტი

დღე და საათი ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით 2009 წლის აპრილის პირველ ნახევარში.

ოკეატორი

მე მახსოვს, შვიდი აპრილი იყო, გაეწვალდით შენობის სხვენის ნაწილში აპარატურის თრევით.

ნინო ქადაგიძე

მართალი ბრძანდებით, აგერ მაქვს საქმე №3/3671-06 გადაწყვეტილება, მოსამართლე თეა თადაშვილის ხელმოწერით.



თავმჯდომარე

და რას სწერს ქალბატონი თეა? ვიცი, ძალზე კვალიფიციური სპეციალისტია და სამართლიანი.

ენო ჭაღაბიძე

რას? (კითხულობს) „მოსამართლემ... 26.07.2006 წელს საჩხელით მომართა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განმარტა, რომ მის მიერ 1995 წლის 13 აპრილს... სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტორდან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით... დაფარა 48614 აქციის ღირებულება 71070 აშშ დოლარის ფარგლებში“

შემდეგ დადგინდა. (კითხულობს) „სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1996 წლის 20 დეკემბრის... გადაწყვეტილების საფუძველზე და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1997 წლის 19 მარტის №ქ-3/166 ბრძანების მეშვეობით თუმცა სახელმწიფომ სრულად დაიბრუნა უკან კუთვნილი ქონება... მიღებული ფულადი თანხები უკან აღარ დაუბრუნებია, რაც არასწორია, კანონსაწინააღმდეგოა“.

თავმჯდომარე

თუ ასეთი ფაქტები დადგინდა, მაშინ გადაწყვეტილებაც სამართლიანი ყოფილა. ჩვენ არ ვეხებით 1996 წლის 20 დეკემბრის შემდეგ პერიოდში საპროცენტო თანხას (თვეში ერთი პროცენტის დანაგარიშებით), როგორც მორალურ ზარალს, მაგრამ მართებულია, მოპასუხემ აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ყიდვა-გაყიდვის აქტის გაფორმებამდე. საინტერესოა უმადლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ რატომ არ იმსჯელა გადახდილი თანხის კრედიტორისათვის დაბრუნებაზე?

ენო ჭაღაბიძე

საქმის მასალებიდან ეს არ ჩანს, მაგრამ თუ დაინტერესდებით



კვითხავ რეფერანტ ლიკა ქემოკლიძეს. ის საქალაქო სასამართლოში მუშაობის დროს საქმის კურსში იყო.

ეშრნალისტი

ღიას, თუ ეს შესაძლებელია. მე უკვე დავინტერესდი ამ საქმით.

(თავმჯდომარე თანხმობას აძლევს და იძახებენ ლიკა ქემოკლიძეს. მალე ის თავმჯდომარის კაბინეტში შემოდის)

ინო ქადაგიძე

ლიკა, შენ გახსოვს ჩვენი არაერთგზისი მიმოწერა საქმე №ბს-904-878 (კ-10) - თან დაკავშირებით. მე ჩანიშნული მაქვს. შენ სამჯერ მაინც გააგზავნე გზავნილი, როცა გაცემა გამოვთქვი სიჯიუტით მითხარი, რომ წლების მანძილზე იგი ასევე მოითხოვდა სიმართლის დადგენას საქალაქო (მაშინ საქალაქო ეწოდებოდა) სასამართლოში. ისიც მახსოვს, ია ლეგაშვილთან ერთად ტარიელ ზამბახიძე მონაწილეობდა საქმის განხილვაში და, რომ სწორედ მათი მონათხრობი იყო უცნაურობებით სავსე. ასეა?

ლიკა ქემოკლიძე

ღიას, ასეა. მოსამართლე ტარიელ ზამბახიძე მოყვა ამ საქმის საწყის ისტორიას. იგი ადრე უზენაესი საარბიტაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. ამ საქმესთან მჭიდრო შეხება ჰქონდა და რამდენიმე საათის განმავლობაში დეტალურად ეცნობოდა წარდგენილ დოკუმენტაციას. ბატონ ტარიელს არც ის დაუმაღაღეს, რომ ყველა გაურკვევლობის სათავეს ბატონმა თამაზ კილანავამ მისცა ბიძგი.

თავმჯდომარე

ამ ორივე მოსამართლეს კარგად ვიცნობ. არა მგონია მათ უხეში შეცდომა მოსვლოდათ. გოჩა, ნუ დაიზარებ, ბატონ ტარიელს დამაკონტაქტეთ.

(გოჩა დიდავა უკავშირდება ტარიელ ზამბახიძეს)



ბოჩა

ტარიელ, გამარჯობა, თავმჯდომარის კაბინეტიდან და მისი დავალებით ვრეკავ... გვანტერესებს ძველი საარბიტრაჟო სასამართლოს დროინდელი საქმე, რომელი? გაიხსენე 1996 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე №5/63. მოსამართლე თამაზ კილანავა ყოფილა... არა, თამაზი არ გვინდა, გვანტერესებს თქვენი და მომჩივან ა. ახატნელის საუბარი. როდის? 1997 წელს. გაიხსენე? კარგი. თუ შეიძლება მოკლედ მოყვი. ბატონი კონსტანტინე აქვეა და გვისმენს.

ტარიელ ზამბახიძე (ტელეფონით)

თქვენ კარგად იცით იურისტთა ქცევა-უთიკის ნორმები. მე რატომ გავხდებოდი ჩვენი საქმის მაგინებელი. ახატნელის საქმე არ მავიწყდება. ბევრი რამ იყო დაუზუსტებელი და სადაო.

ბოჩა დიდავა

მინც რა გახსოვს, რა გადაწყვეტილება გამოიტანა თამაზ კილანავამ, რას გთხოვდა ახატნელი?

ტარიელ ზამბახიძე

რა გითხრათ, ძალზე ძველი ამბავია და შემდეგ წლებში რომ არა მქონოდა ურთიერთობა, არც დამამახსოვრებოდა.

ბოჩა დიდავა

გასაგებია. ვის ახსოვს წლების წინ განხილული საქმე, ან გამოტანილი გადაწყვეტილება, მაგრამ არის ხოლმე გამონაკლისები, რაღაცა დაგამახსოვრდება, რაღაცა წაიშლება. და მინც.

ტარიელ ზამბახიძე

1997 წლის შემდეგ ძალზე დიდი დროა გასული. ზოგად ხანებში ასე დამამახსოვრდა: ჩემთან მოვიდა სააქციო



საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მე მაშინ უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი. ამ პიროვნებამ დაბეჭითებით მთხოვა მომესმინა და დაგზმარებოდი რითიაც შემემძლო. მახსოვს, ცოტა შევშინდი. რამდენი ჭკუაარეული, ყაჩაღი და გაბოროტებული დათარეშობდა იმ დროს. სხვა გზა არ იყო, მოვუსმინე. მისმენთ?

ბოჩა დიდავა

რა თქმა უნდა, განაგრძე.

ტარიელ ზამბახიძე

ჯერ შემემინდა, შეიარაღებული არ ყოფილიყო. გახსოვთ, მაშინ რთული პერიოდი იყო. მერე დავრწმუნდი, კაცი, რომელიც პოლიტოლოგიას ასწავლიდა უმაღლესში, მთლად დამთხვეული არ იქნებოდა. მისმენთ?

ასე მომიყვა. 1994 წელს ტექნიკური უნივერსიტეტიდან (მაშინ გპი ერქვა), მეგობრის თხოვნით საპრივატიზაციაო პროცესის უშეცდომოდ ჩატარება დამავალეს. რამდენადაც ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე ნაცნობი იყო, პროცესი უნაკლოდ ჩატარდა. გადახრები არც ერთ მხარეს არ აწყობდა. 1995 წლის სექტემბრისათვის საწარმოს 69% უკვე პრივატიზებული გახლდათ. აი, მაშინ დაიწყო უცნაურებები.

მისმენთ?

ბოჩა

გულისყურით, განაგრძე.

ტარიელ ზამბახიძე

მე ვყვები ა. ახატუნელის ნაამბობს, ჩემი აზრი არაფერ შუაშია. 1995 წლის ოქტომბერში ამ ობიექტის შემოწმება დაიწყო თბილისის პროკურატურამ. თუ გახსოვთ ან იცნობდით, პაატა მხეიძის ხელმძღვანელობით. შემდეგ მოხდა ის, რომ საქმის



გაძლიერა ითავა კახა თარგამაძემ. გახსოვთ გვეყვება ასეთი „რკინის კაცი“ შინაგან საქმეთა მინისტრი. გახსოვთ?

ბოჩა

რა თქმა უნდა. შენს მონათხრობს ბატონი კონსტანტინეც უსმენს.

ტარიელ ზამბახიძე

ძალიან კარგი. წლებია ეს საკითხი მოსვენებას არ მაძლევს. ახლა, როგორც ეკლესიაში ზიარებისას, ვაღიარებ. თან ახატნელის მონათხრობს ვყვები. იცით რა მითხრა? ობიექტის გამო მოხდა აზრთა ჭიდილი კახა თარგამაძესა და ნუგზარ შევარდნაძეს შორის. ბოლოს თარგამაძემ გადაძლია და ობიექტი მოიგდო. მაშინ, პირადად ბატონი ედუარდის მითითებით, ობიექტის პრივატიზება გაუქმდა. მახსოვს ა. ახატნელმა შესაბამისი დოკუმენტაცია მანახა, არ ვიცი, როგორ მოიპოვა, მაგრამ ფაქტია.

ბოჩა

მერე?

ტარიელ ზამბახიძე

ამას რად უნდა მერე. კახა თარგამაძემ ობიექტის დირექტორად დასვა თავისი კაცი. მეთვალყურედ ნათლიმამა, ჯუმბერ შალიკაშვილი მიუჩინა. და დაიწყო უდიდესი ობიექტის დარბევა.

ჟურნალისტი

ბატონო გოჩა, ჰკითხეთ ახატნელის შესახებ. (შესაბამისი დიალოგი)

ტარიელ ზამბახიძე

სწორედ ამას ვყვები. თანაც პირადად ა. ახატნელის



მონათხრობის მიხედვით, ობიექტის მზრუნველი გენერალური დირექტორი ანზორ ჯაფარიძე აიძულეს წასულიყო და მის ნაცვლად საკუთარი კადრი, მიშა ვაშაკიძე დაენიშნა. ბევრს არ გავაგრძელებ. ჩანაწერი მაქვს მოსმენილი. ეს ჩანაწერი პროკურატურამაც იცოდა, სადაც მ. ვაშაკიძე აღიარებს, რომ დირექტორად დაინიშნა კახა თარგამაძის პირობით. დირექტორს უნდა ემოქმედა ჯ. შალიკაშვილის მითითებით.

ბოჩა

მერე რა მოხდა?

ტარიელ ზამბახიძე

მოხდა ის, რომ ყველაზე რენტაბელური, უაღრესად საჭირო და მომგებიანი ობიექტი აღარ არსებობს. მხოლოდ 1996 წლის 9 თვის განმავლობაში 1. 300 ათასი დოლარი იქნა შექმნილი. როგორც მითხრეს, კახა თარგამაძემ და ჯუმბერ შალიკაშვილმა ამ თანხიდან წყნეთში აგარაკები იყიდეს, მინისტრმა პარიზში ქორწილი გადაიხადა და ა.შ.

ბოჩა

მერე?

ტარიელ ზამბახიძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. ახატუნელს ხმა რომ არ ამოეღო, იგი ჯერ კახას ხალხმა გააწამა დაკითხვებით და მუქარით, შემდეგ საქმე რესპუბლიკის პროკურატურას გადაეცა.

ბოჩა

გასაგებია, შემდეგ?

ტარიელ ზამბახიძე

თუ ვინმეს ახსოვს პროკურორები ტარიელ კვაშალი და გოგი ლალიაშვილი, თვეების მანძილზე „სწავლობდენ“ საქმეს და



ბოლოს საჭირო დასკვნაც დადეს, თავად საწარმოს დირექტორი იყო დაინტერესებული წარმოების დანგრევით, სხვანაირად თარგამადის ხალხი მას ხელში ვერ ჩაიგდებდა. ახატნელმა ასევე მომასმენინა დირექტორის მონათხრობის საიდუმლო ჩანაწერი, სადაც იგი ყვება, როგორ დაიბარა მინისტრმა და უთხრა: ან დაგიჭერ, ან იმოქმედებ ჯ. შალიკაშვილის მითითებებითო. პროკურორების დათანხმება, დაეწერათ დასკვნა, რომლის საფუძველზე ობიექტის გაუქმება მოხდებოდა დირექტორს 6 ათასი დაუჯდა. რამდენი დასკვნას დასჭირდა, უცნობია. რასაკვირველია, რომ სააქციო საზოგადოება გააუქმეს, ხოლო აქციონერებისათვის ვალის დაბრუნებზე არ უმსჯელიათ.

ეს მე სხვისი მონათხრობი გავიმეორე, ამის გამო ბატონ თ. კილანავასთან ნუ დამაპირისპირებთ.

ბოჩა

რა თქმა უნდა, ვინ დაიწყებს 2011 წელს თხუთმეტი წლის წინანდელი საარქივო მასალის ძიებას. ნახვამდის.

თავმჯდომარე

კი მაგრამ საარბიტრაჟო სასამართლოს საქმე ჩვენთან რატომ მოხვდა. ვინმემ იცის ამის შესახებ?

ნინო ჭავჭავაძე

ბატონო კოტე, მასალები, რომელიც სააპელაციო სასამართლომ გადმომცა, ამაზე დუმიან. მე მხოლოდ ლიკა ქემოკლიძის გადმონაცემი ვიცი.

თავმჯდომარე

მერე და რას გვეუბნება უკვე საარქივო მასალები? ქემოკლიძე, რა იცით ამის შესახებ? ხომ არ არის მასალებში რაიმე ხელჩასაჭიდი?



ლიბა ქვმოკლიძე

ბატონო თავმჯდომარე, არ იფიქროთ, რომ მე ამ საქმით დაინტერესებული ვარ. უბრალოდ, წლების მანძილზე მიწვედა მათთან შეხება და ძირითადი მომენტებიც დამამახსოვრდა.

თავმჯდომარე

ნუ ნერვიულობ, შენ არაფერ შუაში ხარ, მე მაინტერესებს საარბიტრაჟო სასამართლოს განსახილველი საქმე ჩვენთან, უზენაესში რატომ მოხვდა.

ლიბა ქვმოკლიძე

ბატონო, თქვენამდე მოხდა ეს ამბავი. 1997 წელს საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა საერთოდ გააუქმეს. უზენაესი საარბიტრაჟოს საქმეები უზენაეს სასამართლოს გადაეცა. ამასთან იყო დირექტივა განსახილველად მიეღოთ ის საქმეები, რომელთა შესახებ საჭირო მონაცემები არსებობდა 1996 წლის 25 დეკემბრის შემდეგ. ეს საქმე, რამდენადაც განხილული იყო 1996 წლის 20 დეკემბერს, უზენაესმა აღარ განიხილა. ამგვარად, სააქციო საზოგადოებამ და მისმა წარმომადგენელმა ტყუილად დახარჯეს ენერჯია უზენაეს სასამართლოში. გუგული დევდარიანი მაშინ, როგორც თავჯდომარის მოადგილე, პრინციპული იყო. ხუთი დღე თითქოს არაფერია, მაგრამ წესი წესია.

თავმჯდომარე

საცოდავი მომჩივანი.

ლიბა ქვმოკლიძე

ამ მომჩივანთან წლების მანძილზე მქონდა ურთიერთობა და კარგად ვიცი, ის უსამართლობას არ დანებდებოდა.

თავმჯდომარე

კი, მაგრამ ვინაა ეს დამთხვეული?



ლიკა ქვმოკლიძე

ახლოს, არაოფიციალურად ურთიერთობა არა მქონია, მაგრამ საუბრიდან და მოქმედებიდან დავასკვნის, რომ მთლად რიგითი მოქალაქე არ უნდა იყოს.

თავმჯდომარე

მინც?

ლიკა ქვმოკლიძე

არაოფიციალურად ცნობილია, რომ მან ლაფში ჩასვა კონტროლის პალატის წარმომადგენლები. მახსოვს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვილაც პოლკოვნიკმა ქეშიშოვმა დარეკა და გაგვაფრთხილა, რომ ამ კაცთან დიდი ცოდნა და სიფრთხილე დასჭირდებოდა სასამართლოს.

თავმჯდომარე

მერე რით დამთავრდა ის პროცესი?

ლიკა ქვმოკლიძე

პირველ ხანებში ეს კაცი სააქციო საზოგადოების აღდგენისათვის იბრძოდა. ქონების მართვის სამინისტრო აიძულა შეექმნათ სპეციალური კომისია, რომელიც საწარმოს პრივატიზაციის კანონიერებას შეისწავლიდა. და რა გამოვიდა? 1999 წელს კომისიამ დაადგინა: კონტროლის პალატის 1996 წლის თებერვლის აქტი შეცდომებით სავსეა, ტენდენციურია და სიყალბის შემცველი. პრივატიზაციის პროცესში დარღვევები ვერ დადგინდა. შესაბამისად გამოდის, რომ პაატა ჭავჭავაძემ აქტი შეადგინა მოგონილი დარღვევების საფუძველზე, შემდეგ, ყვებოდა ა. ახატენლი: პ. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ უარყოფითი აქტის დამკვეთი თავად ბატონი ე. შვეარდნაძე იყო.



თავმჯდომარე

კი მაგრამ ბატონ ედუარდს ამ სამქეში რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა?

ლიკა ჭემოკლიძე

ა. ახატუნელისგან ვიცი, თბილისის ნავთობბაზიდან როგორც კი „მხედრიონის“ წარმომადგენლები განდევნეს, იქ ნუგზარ შევარდნაძის წარმომადგენელი გამოჩნდა წინადადებით: ბაზა იქნებოდა დროებით აქციონერების, მთელ სამეურნეო საქმიანობას წარმართავდა ბატონი ნუგზარი.

თავმჯდომარე

მერე?

ლიკა ჭემოკლიძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ იყო შეთანხმების წინააღმდეგი, მაგრამ გენერალურ დირექტორს, მიშა ვაშაკიძეს თავისუფალი მოქმედება არ შეეძლო. ჯუმბერ შალიკაშვილისაგან მან შეთანხმებაზე უარი მიიღო.

თავმჯდომარე

კი მაგრამ დირექტორს რა შეეძლო სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე?

ლიკა ჭემოკლიძე

ბატონო კონსტანტინე, 1996 წელს ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო ფუნქციები. როგორც წესი სამეურნეო საქმიანობა გენერალური დირექტორის ფუნქცია იყო. ამასთან, თავმჯდომარეს უკვე დაათრევდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, უყენებდნენ ათას ბრალდებას და ის თავის მართლებით იყო დაკავებული.

თავმჯდომარე

და ბრალი ვერ დასდეს?



ლიკა ქვემოკლიძე

ვერ შეძლეს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ედვარდ ქეშიშოვის ჯგუფმა, კონტრილის პალატის წარმომადგენლებთან ერთად მძიმე ბრალდებები წაუყენა საზოგადოების თავჯდომარეს. საქმეს ოფიციალურად იძიებდა აფხაზეთიდან დევნილი გამოძიებელი მერაბ ხურცილავა. დასკვნითი შეხვედრის დროს მან ბრძანა: ერთ მხარეს ხართ თქვენ, ბატონი ედუარდ ქეშიშოვი და კონტროლის პალატის წარმომადგენელი პაატა ჭავჭავაძე, მეორე მხარეს არის სააქციო საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენელი ა. ახატენელი, ორვე მხარემ უნდა დამარწმუნოს თავის სიმართლეში.

თავმჯდომარე

ვერაფერს იტყვი. მართებულია. მერე, რა მოხდა?

ლიკა ქვემოკლიძე

რამდენადაც ვიცი, ორგანოების წარმომადგენლებმა, მხოლოდ ის ივარაუდეს, რომ ა. ახატენელი „პარავოზია“ საქმეში, მაგრამ ვერაფერი დაუდასტურეს და საქმე რესპუბლიკის პროკურატურას გადასცეს.

თავმჯდომარე

ეგ უკვე ვიცით. რესპუბლიკის პროკურატურამ გენერალური პროკურორის მოადგილის ა. შუშანაშვილის ხელმოწერით აღძრა საქმე რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე და მოსამართლე თამაზ კილანავამ გამოიტანა ობიექტური გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების გაუქმების შესახებ.

ბოჩა

ერთი პირობით, აქციონერების მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე თ. კილანავას არ უმსჯელია.



ნინო ქალაგიძე

თუ არ იყო მოთხოვნა ამ საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ მოსამართლე როგორ იმსჯელებდა?

თავმჯდომარე

ერთი რამ გარკვეულია – თამაზ კილანავა მართლია. თუ ობიექტის გენერალური დირექტორი ითხოვს პრივატიზაციის გაუქმებას, თან პატივისცემას სთავაზობს, რატომ არ უნდა გააუქმოს?

ნინო ქალაგიძე

ბატონო კოტე, რამდენჯერ გვექონია აზრთა სხვაობა, ზოგჯერ კამათი ამა თუ იმ საქმის ირგვლივ, განა ეს ყველაფერი სამსჯელოა? მაშინ ხომ მოსახლეობას მართლმსაჯულებაზე აზრი შეეცვლება.

თავმჯდომარე

გეთანხმები ნინო, სასამართლო სისტემა ლაფმიუცხებელი უნდა იყოს, ის, რაც შიგნით ხდება, გარეთ საჭორაო არ უნდა გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა გავილანძღვებით. ახლა წარმოვიდგინოთ რა რეზონანსი ექნება საზღვარგარეთ. ჩვენ საზოგადოებას აღარ ვამბობ. აქ ყველაფერი დაპროგრამებულია. ახლა საკითხი ნათელია. მომჩივანი ითხოვს ოფიციალურად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. ეს სამართლიანი მოთხოვნაა, მაგრამ საპედაციომ უარი რა მოტივით უთხრა?

ნინო ქალაგიძე

ბატონო თავმჯდომარე, თქვენზე უკეთ ვინ იცის სასამართლო პროცედურების შესახებ. ამ საკითხზე პირადად ჩემგან იყავით ინფორმირებული, ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე არავითარი ვალების დაბრუნება არაა დასაშვები. ეს მომჩივანი კი ბიუჯეტს ეხება. რა ექნა ლეილა მამულაშვილს?



თავმჯდომარე

ჰო, მაინც რა მოიფიქრა?

ნინო ჭაღაბიძე

ლეილა არაჩვეულებრივი ქალია, საზრიანი და პრინციპული, ამასთან არაორდინალური აზროვნების, ამიტომ შეძლო პროცესის საჭირო მიმართულებით წარმართვა, ამით ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეცდომების გამოსწორება.

თავმჯდომარე

საგნობრივად? კონკრეტულად?

ნინო ჭაღაბიძე

პროცესში სამინისტრო მონაწილეობდა როგორც აპელანტი. ახატნელი მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე იყო. აპელანტი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა იმ მოტივით, რომ: 1) არ იყო წერილობითი ხელშეკრულება სამინისტროსა და სააქციო საზოგადოებას შორს და 2) საქმე ხანდაზული იყო და სასამართლოს იგი არ უნდა განეხილა.

თავმჯდომარე

ლოგიკურია გაუქმების საფუძველი არსებულა, მერე?

ნინო ჭაღაბიძე

ლოგიკურია, მაგრამ უსაფუძვლო. ახატნელმა წარმოადგინა საჭიროზე მეტი დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა თანახმად წერილობითი ხელშეკრულება სააქციო საზოგადოების „ვალდებულების“ ფორმით სამინისტროსთან გაფორმებული იყო. თანაც ხელშეკრულების პირობებს სამინისტრო განსაზღვრავდა. ასევე წარდგენილი იყო უამრავი დოკუმენტი, რომელთა თანახმად საქმე გაჭინაურებული იყო და არა ხანდაზმული. თანაც სამინისტროს მიზეზით.

**შურნალისტი**

მაშ, მოუგია ახატუნელს პროცესი.

თავმჯდომარე

იმ პირობით, თუ არ გამქლავდება ახალი გარემოებანი.

შურნალისტი

კი, მაგრამ თუ ერთმა მხარემ წარადგინა მცდარი პრეტენზია, მეორე მხარემ ის დასაბუთებულად უარყო, ეს ხომ პროცესის მოგების საწინდარია.

ენო ქადაგიძე

ეს იმ შემთხვევაში, თუ დავა თანაბარ მხარეთა შორის მიდის.

შურნალისტი

ამიხსენით რა მნიშვნელობა აქვს, სასამართლოსთვის ხომ პროცესის ორივე მხარე თანაბარუფლებიანია.

ენო ქადაგიძე

კი, მაგრამ თუ ერთი მხარე სახელმწიფოს ინტერესებს იცავს, მეორე კი ცდილობს ბიუჯეტს რაღაცა წაგლიჯოს საკუთარი ინტერესებისათვის, რა ქნას მოსამართლემ?

შურნალისტი

გეთანხმებით. თუ პიროვნება ან, გნებავთ, იურიდიული პირი უკანონოდ ცდილობს ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე, გნებავთ მოწინააღმდეგე, როგორც თქვენ უწოდებთ, ცდილობს არა წაგლეჯას, არემედ წაგლეჯილის უკან დაბრუნებას და სასამართლოსაგან სიმართლის დადგენას ითხოვს.

თავმჯდომარე

თეორიულად ასეა, პრაქტიკას ზოგჯერ შეაქვს თავისი



კორექტივები. ჩვენ პირველ რიგში სახელმწიფოს და არა ცალკეული პიროვნების ინტერესებს ვესახურებით.

შურნალისტი

სახელმწიფო ხომ ცალკეული პიროვნებების ერთიანობაა? მე ასე მესმის.

თავმჯდომარე

თქვენ მართებულად გესმით, მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პიროვნებები მილიონებია, სახელმწიფო და მისი ბიუჯეტი ერთი და მას მოფრთხილება სჭირდება.

ნინო ჭაღავიძე

ლეილა მამულაშვილმა სასამართლო დავის პროცესით სწორედ სახელმწიფოს ინტერესები დაიცვა, ანუ ჩვენი ყველას ერთად.

შურნალისტი

გამოდის, რომ ახატნელი ამ ყველაში არ შედის?

ნინო ჭაღავიძე

ეგ არ მითქვამს. შედის და ამდენად მისი ინტერესებიც დაცულია. უფლებებზე აღარას ვამბობ.

თავმჯდომარე

მაინც რა საფუძველი დაადგინა მამულაშვილმა?

ნინო ჭაღავიძე

ძალიან მართებული და ორიგინალური. მოსამართლემ გამოიძია სასამართლო დავის საგანი და დადგენილად მიიჩნია ყველა ის დებულება, რომელთა შესახებ იმსჯელა თბილისის საოლქო სასამართლომ 2002 წლის 11 მარტს №3ა/3 საქმესთან დაკავშირებით და რომელსაც სრულად დაეთანხმა უზენაესი



სასამართლო. ამ გადაწყვეტილებათა თანახმად სააქციო საზოგადოების 26 აქციონერს დაუბრუნდათ მათ მიერ გადახდილი თანხა. ამ აქციონერებს შორის იყო ახატნელიც. შესაბამისად ამ პიროვნებამ მიყენებული ზარალი აინაზღაურა.

სააპელაციო სასამართლომ დეტალურად განიხილა პრივატიზაციის კანონმდებლობა. აგერაა 2010 წლის 20 აპრილის „გადაწყვეტილება“ საქმე №33/1719.09 დაკავშირებით, ოც გვერდზეა დოკუმენტი წარმოდგენილი. ბოლოს სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რადგან ახატნელმა 2002 წელს ზარალი აინაზღაურა, უნდა დაკმაყოფილდეს ამით და სხვა ვალის დაბრუნებაზე აღარ იზრუნოს.

შურნალისტი

მოსამართლე 2002 წლის გადაწყვეტილებას თუ დაეთანხმა, ბუნებრივია, ის გადაწყვეტილება ძალაშია შესული და აღსრულებულიც, პრინციპული მნიშვნელობა იმასა აქვს, ამ ახლო საქმის გარჩევისას რა აზრი ჰქონდა ძველი საქმის ოც გვერდზე გადაწერას. მან თუ დაადგინა ამ ახალ საქმეში ახატნელის ვალი და თუ იმსჯელა ყველას ან უკიდურეს შემთხვევაში, ამ პიროვნების ვალის დაბრუნებაზე?

ენო ჭაღაბიძე

კარგია, როცა ხელისუფლების ყოველი შტო გამჭვირვალეა. თავის მხრივ ეს არ უნდა ნიშნავდეს უფლებამოსილების გადამეტებას. ამ შემთხვევაში ყველაფერი კანონიერების ფარგლებშია. აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, მოპირდაპირე მხარეს ხმა თითქმის არ ამოუღია, უფრო მეტიც. მოსამართლის კითხვაზე, რატომ არ იცავს თქვენს პოზიციას ადვოკატი, უპასუხა, უსახსრობის გამო ადვოკატის დაქირავება ვერ შევძელიო. ამისთანა მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოში რა უნდა. ბიუჯეტიდან 71070 აშშ დოლარს ითხოვს, ადვოკატისთვის კი



5%-იც ვერ გადაუხდია. ამას ისევ შევარდნაძის დრო ჰგონია, როცა ჯერ კიდევ უფასო იყო სასამართლო, საავადმყოფო და სხვა მომსახურება.

შედევრიც ლოგიკურია, არა გაქვს გადახდის შნო, ნუ ეტენები, სადაც არ გაგივა. მით უმეტეს, რომ ბიუჯეტს აზარალებ.

შურნალისტი

კი, მაგრამ თუ ეს თანხა ახატნელმა ბიუჯეტში შეიტანა იმ დროს, როცა დოლარი დოლარობდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მსოფლიოს იყო მოდებული მათხოვარივით, ახლა, თუნდაც ნომინალი, აღარას ვამბობ სხვა მოვლენებზე, რატომ არ უნდა დაუბრუნდეს?

თავმჯდომარე

მაპატიეთ, უხეშობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ შევარდნაძის ვალები სააკაშვილმა რატომ უნდა იხადოს?

შურნალისტი

შევარდნაძეები და სააკაშვილები, არა აქვს მნიშვნელობა გვარებს და პიროვნებებს, უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენენ. სახელმწიფოში კი არის მემკვიდრეობის პრინციპი. რა მნიშვნელობა აქვს როდის მიიღო ბიუჯეტმა ფიზიკური თუ იურიდიული პიროვნებებისაგან კრედიტი. მთავარია ვალი უნდა დაბრუნდეს.

ნილო ჭაღავიძე

ვალი უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ხომ უნდა გაირკვეს ვისგანაა კრედიტი მიღებული?

შურნალისტი

საქმის მასალების მიხედვით ბიუჯეტში ამ თანხის შემომტანი ხომ ახატნელია და ის ითხოვს ვალის დაბრუნებას.

**წინაო ქაღალცი**

საქმეც მაგაშია. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს ახტანელი აწერს, მაგრამ თანხა მხოლოდ მისი არაა. თანხა 86 აქციონერზე ნაწილდება.

შურნალისტი

მით უმეტეს, თუ თანხა ერთ პიროვნებას კი არა, 86 აქციონერს ეკუთვნის, მაშინ ამდენივე ოჯახი ზარალდება. უსამართლობის მსხვერპლი 86 ოჯახი გამოდის.

წინაო ქაღალცი

თქვენი პოზიციიდან გამომდინარე ასეა. სინამდვილეში თანხას ერთი პიროვნება ითხოვს და არა კოლექტივი.

შურნალისტი

საკითხს ასე დავსვამდი, თუ კოლექტივი ენდო პიროვნებას, თუ უფლებამოსილმა პიროვნებამ სამინისტროს გადაუხადა მოთხოვნილი თანხა, თუ ბიუჯეტი 15 წლის მანძილზე სარგებლობს ამ თანხით, უპრიანია, რომ ვალი პროცენტებით დააბრუნოს. სასამართო კი ვალის დაბრუნებაზე უარს ამბობს. პროცენტებზე და მორალურ ზარალზე საუბარი აღარაა. განა ეს სამართლიანია?

წინაო ქაღალცი

1995 წელს, აღნიშნული 71070 აშშ დოლარი 86 აქციონერს გადაუხდია. შესაბამისად აქციონერთა კოლექტივმა უნდა მოითხოვოს ვალის უკან დაბრუნება და არა ერთმა პიროვნებამ.

შურნალისტი

თუ ყველა აქციონერის მაგიერ თანხა ახტანელმა გადაიხადა, დოკუმენტს აქციათა ყიდვა-გაყიდვაზე მან მოაწერა ხელი, თუ სამინისტრომ გადახდის დროს არ მოიკითხა ვინ რამდენს იხდის, კოლექტივმა როგორ მოითხოვოს მისი დაბრუნება?



ენო ქადაბი

თქვენ ამ პიროვნებასავით მსჯელობთ. სააპელაციო სასამართლო პროცესზე ახატნელმა აღნიშნა, რომ 2002-2003 წლებში ჯერ საოლქო, შემდეგ კი უზენაესმა სასამართლომ 71070 აშშ დოლარის ვალის დაბრუნების საკითხი არ განიხილა იმ მოტივით, რომ ამას კოლექტივი ითხოვდა და არა ის პიროვნება, ვინც აღნიშნული თანხა გადაიხადა და შესაბამის აქტსაც ხელი მოაწერა. ჩვენი კოლეგიის წევრი ნუგზარ სხირტლაძე იმ სხდომის მონაწილე იყო და ახსოვს, თავჯდომარე ბადრი მეტრეველმა როგორ ურჩია სარჩელი აღეძრა, როგორც გადამხდელს და საკითხიც დადებითად გადაწყდებოდა.

შურნალისტი

მეც მანდ ვარ. ადრე სასამართლომ საკითხი არ განიხილა იმიტომ, რომ ვალის დაბრუნებას კოლექტივი ითხოვდა, თანხა კი ახატნელს ჰქონდა გადახდილი. ახლა სასამართლო ახატნელს უარს ეუბნება იმიტომ, რომ თანხა მხოლოდ მისი არაა, თუმცა მან გადაიხადა. სხვა აქციონერები კუთვნილ თანხას ვერ მოითხოვენ, რადგან დოკუმენტს ხელს არ აწერენ და გადახდას ვერ ადასტურებენ. სახელმწიფოს უმტკივნეულოდ რჩება ეს თანხა და პასუხსაც ვერავინ მისთხოვს. ასეა?

თავმჯდომარე

ასეთი სურათი იკვეთება, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ არსებობს კიდევ ერთი ინსტანცია – უზენაესი სასამართლო და ისეთი საზედამხედველო ორგანო, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოა.

შურნალისტი

საინტერესოა, ისარგებლა ახატნელმა კასაციის უფლებით?

ბოჩა დიდავა



არაერთხელ. სააპელაციო სასამართლოს ჯერ „გადაწყვეტილება“ არ ჰქონდა გაფორმებული, როცა ახატნელმა ერთდროულად მიმართა სახალხო დამცველს, უზენაეს სასამართლოს და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

შურნალისტი

თუ მოსამართლეს გადაწყვეტილება არ ჰქონდა დაწერილი, რა შეიძლება მომჩივანს მოეთხოვა?

ბოჩა ღილაკა

ახატნელი ასაბუთებდა, რომ მოსამართლემ გადაამეტა თავის უფლება-მოვალეობას, მოიქცა მიკერძოებულად, ტენდენციურად და მოითხოვდა სასამართლოს იმავე ინსტანციას, სხვა შემადგენლობით განეხილა სადაო საქმე. იქვე აღნიშნავდა, რომ მოსამართლე ასე იქცევა, რადგან იცის, რომ უსახსრობის, სოციალურად დაუცველობის გამო უზენაეს სასამართლოში საქმეს ვერ აღძრავს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისათვის.

შურნალისტი

მერე? ჩაერია ვინმე, დაინტერესდა ვინმე ამ საქმით?

ნინო ჭაღაბიძე

როგორ არა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უპასუხა, რომ ვერ ჩაერევია სასამართლოს ფუნქციებში. ყველაფერს გარდა, პავლე კუბლაშვილი ძმის, კონსტანტინე კუბლაშვილის ინტერესებს ვერ შეეხებოდა. მისი 09.06 2010 წლის წერილი საქმე, №642014-10 დაკავშირებით, საქმეში ინახება.

შურნალისტი

უზენაესი სასამართლო?

ბოჩა ღილაკა

მე ვიცი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს



უფროსმა, ბატონმა ლაშა მალრაძემ ჯერ კიდევ 28. 04. 2010წელს №3-406-10 წერილით უპასუხა და ურჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის მიემართა.

შურნალისტი

ეს თავიდან მოშორება იყო თუ სწორი გადამისამართება? რა მოიმოქმედა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ?

თავმჯდომარე

როგორ გეკადრებათ, ბატონ ლაშას სწორი ორიენტირი მიუცია.

შურნალისტი

და ვინმემ იცის, რითი დამთავრდა ეს მიმოწერა?

ნინო ჭაღავიძე

ცნობილია, იუსტიციის საბჭომ უყურადღებოდ არ დატოვა ასეთი ფაქტი. სანაცვლოდ მოსამართლე ლეილა მამულაშვილმაც გამოიყენა დამატებითი სხდომის ჩატარების უფლება. 25. 05. 2010 წელს დამატებით სხდომაზე დაიბარა მომჩივანი და საქალაქო სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება გაუუქმდა. ამით მომჩივან – ინტრიგანს კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

შურნალისტი

მე ვიცი, რომ ახატნელი, როგორც სოციალურად დაუცველი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებული იყო. აქ ითქვა, რომ თავის განცხადებაში იგი ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა. რამ აიძულა ლ. მამულაშვილი წლების წინანდელი გადაწყვეტილება გაეუქმებინა და გაჭირვებული ადამიანისათვის თითქმის სამი ათასი დოლარის გადახდა დაეკისრებინა?

**წინაო ქაღაბიქ**

მაშ, როგორ? თუ დავის ერთი მხარე ამეტებს თავის უფლებას, შეურაცყოფს და ჩირქს სცხებს სასამართლო სისტემას, თავად მოსამართლეს, მან თავისი უფლება არ უნდა გამოიყენოს? ყველა რომ ქალბატონ ლეილასავით პრინციპული იყოს, უფრო მეტი წესრიგი იქნებოდა, თავხედობას და თავნებობას შეეშვებოდნენ. იცით, რა განაცხადა ახატნელმა? აი, ასე: მე აქ სამართალს ვერ ვხედავ, თქვენისთანა მოსამართლის სხდომის დარბაზის წინ თემიდას ქანდაკება კი არა ალ კაპონეს ქანდაკება უნდა იდგეს. ასეთი თავხედობა არავის ეპატიება.

ჟურნალისტი

გამოდის, რომ ახატნელმა არა მხოლოდ მოგებული სასამართლო პროცესი წააგო, არამედ ფინანსურადაც დაისაჯა. მერე და ასეთმა კაცმა უყურადღებოდ დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?

წინაო ქაღაბიქ

სულაც არა, ძირითადი სხდომის გადაწყვეტილება კასაციის წესით იქნა წარმოდგენილი და იგი მე დამეწერა. რაც შეეხება დამატებით გადაწყვეტილებას, 25. 05. 2010 წელი საქმე №3ბ/1719-03 ბედს, იგი კასაციის წესით ქალბატონ მაია ვაჩაძეს დაეწერა.

ჟურნალისტი

რაკი მივყვით ამ საქმეს, გთხოვთ, ბოლომდე გამარკვიოთ, რა ბედი ეწია საკასაციო განცხადებებს?

წინაო ქაღაბიქ

საკასაციო საჩივარი მე დამეწერა. განცხადებას ბაჟის გადახდის ქვითარი არ ახლდა. დეტალებს აღარ ჩავუღრმავებდი. ექვსჯერ თუ რვაჯერ გამოვიტანე განჩინება ამ საქმეზე. მქონდა სერიოზული კონსულტაციები კოლეგებთან. ჩვენთვის სააპელაციო



სასამართლოს მტკიცებულებანი ურყევ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული. საეჭვოდ მომეჩვენა კასატორის სიჯიუტე, ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ და მოვითხოვე სოციალურად დაუცველ ოჯახთა აღრიცხვის შესახებ ცნობის განახლება. მოვითხოვე, საბუთი 2010 წლით ყოფილიყო დათარიღებული, იცით რა მიპასუხა? თავგედი. მიპასუხა: „ვიყავი შესაბამის სამსახურში და იქ უარი მითხრეს. თქვეს, შენი საბუთი ქმედითია და ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ იგი ოფიციალურ დოკუმენტად უნდა მიიღოსო. ყოველ წელს ამ საბუთის განახლება არა ხდებაო. ამიტომ, პატივცემულო მოსამართლე, აწ აღნიშნულ დოკუმენტს დაეყრდენით ან თქვენი უფლების ფარგლებში, ამ სამსახურიდან ახალი ცნობა გამოითხოვეთ“.

შურნალისტი

მერე, გამოითხოვეთ?

ნინო ჭაღავიძე

გადავევებოდი. არ მომიტანა ახალი საბუთი და მეც, ბაჟის გადაუხდელობის გამო ან რაც იგივეა, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქმე არ განვიხილე. ასეც ჩავწერე 8. 0920/10-ში საქმე №ბს -904-818 (კ-10) გამო: „მოქ. ალექსანდრე ახატნელის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველი; 2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.“ ჩემთვის მთავარი კანონიერების დაცვაა. კანონით გეკუთვნის ბაჟის გადახდა? კეთილი ინებე და გადაიხადე.

შურნალისტი

ხომ არის გამონაკლისებიც. თუ პიროვნება პენსიონერია, სოციალურად დაუცველ ოჯახთა აღრიცხვაზე და ა.შ. არ ეკუთვნის შეღავათი?



ნინო ჭაღავიძე

ყველაფერს გარდა, ხომ არის კოლეგიალობაც? რას ემგვანებოდა მე რომ ლეილა მამულაშვილს დავიპირისპირებოდი? არადა საქმე ისეთია, რომ განმეხილა, დავიპირისპირებას ვერ ავცდებოდი. ასე სჯობდა ყველასათვის.

თავმოვლომარე

ახლა ყველაფერი გასაგებია. მიკვირდა, რას გადამეკიდა ეს ვილაცა ახატნელი, დაახლოებით ხუთი განცხადება მაინც მაქვს მისგან მიღებული. ახლა კი პირდაპირ მწერს, შენი ფიცისა მწამს, მოქმედებისა არაო. როგორ მოვიქცეთ? თუ ჩვენი განაწესის მიხედვით მოვიქცევით, მისი საკასაციო საჩივარი უნდა განვიხილოთ ბაჟის გადახდის გარეშე. თუ განვიხილავთ, უნდა დავაკმაყოფილოთ სარჩელი. ეს კი პრეზიდენტის მითითებას ეწინააღმდეგება. რა ვქნათ? ისევ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაკენ მივუთითოთ?

გოჩა დიღავა

ბატონო კონსტანტინე, ეგ საქმე მე მომანდეთ. ამ პიროვნებას პირადად გავცემ დასაბუთებულ პასუხს. რაც შეეხება იუსტიციის საბჭოს ან, გნებავთ, პრეზიდენტს, დარწმუნებული ვარ, იგი უჩვენოდაც გაკვალავს იქით გზას.

ნინო ჭაღავიძე

გოჩა მართალია. იუსტიციის საბჭოდან ვიცი, რომ იქაც მოსვენება არა აქვთ ამ პიროვნებისაგან. ახლაახანს მისი ერთი განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციიდანაც გადაუგზავნიათ რეაგირებისათვის. ნინო გიორგაძე, მგონი, მხოლოდ ამ პიროვნების წერილების კითხვითაა დაკავებული.

თავმოვლომარე

არის რაიმე სიახლე? შედეგი რაა?



წინა მარჯვნივ

ის, რაც აქ გადაწყდა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, ვერ შეიცვლება. ნ. გიორგაძის თქმით, მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებები შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი.

თავმჯდომარე

მაშინ გადაწყდა. გოჩა, შენ გაეცი პასუხი, თან აგრძობინე, რომ მივხვდით მის უკბილო, ბოროტ იუმორს. მოხოვნილი ასე არ უნდა იქცეოდეს. წავიდა ამ ქვეყანაში ამხანაგების ეპოქა, ახლა ბატონების ეპოქაში ვცხოვრობთ და მეტი მოქნილობა საჭირო.

ბოჩა დიდავა

დავალევა გასაგებია. დღესვე პასუხი მზად იქნება, თანაც ისეთი, რომ სხვებისთვისაც იყოს გასაგები.

თავმჯდომარე

(ჟურნალისტს) ვფიქრობ, თქვენს შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გაეცა. ხომ არ დავამთავროთ ინტერვიუ სასამართლოში?

ჟურნალისტი

გმადლობთ, რომ ამდენი დრო დამითმეთ. ვფიქრობ, ამ საქმეს გაგრძელება ექნება, რადგან ცხადია, რომ ადამიანმა თანხა გადაუხადა სახელმწიფო სტრუქტურას, სასამართლო კი ვალის დაბრუნებაზე უარს ეუბნება მოტივაციის გარეშე.

სარჩევნი

გუბაზი (549 – 554 წწ) - - - - -	-5
იოანე მარუშის ძე (975-988) - - - - -	61
სამართალია? (2011 წ.) - - - - -	-165